114
1942

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

6

თბილისი
1942

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

სრულიად-საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო
ჟურნალი

წელიწადი მეცხრამეტე

3830

6

Тбилисский филиал
Библиотека
ИМЭЛ при ЦК ВКП (б)

19 ივნისი
სახელგამი 42

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პ/მგ. რედაქტორი ალიო მაშაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/VII-1942 წ. უე 9254. ანაწყობის ზომა 7 × 12. ნიშანთა
რაოდენობა სასტამბო ფორმაში 50.688. შეკვეთის № 1258. ტირაჟი 2300.

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, ჟორესის ქ. № 5. რედაქციის მისამართი:
ჟორესის ქ. № 5. სახელგამი. ტელ. 3-04-64.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ჭუთათელი

პირისპირ*

რომანი

ორ ცეცხლს შუა

„Les femmes allèrent un jour
Se plaindre du chasseur Amour".
(ერთხელ ქალებმა დაიწყეს მონადირე ამურზე ჩივილი).

მანდეს: „მედეა".

როდესაც ნინომ კორნელის ცოლობაზე უარი განუცხადა, დაემშვიდობა და კარები მოჰხურა, უმალვე მუხლები მოეკვეთა, პალტო ძლივს გაიხადა, დერეფანში დაჰკიდა და მერმე ოთახში მთვარეულივით შევიდა. სარკიან კარადასთან უნებლიეთ შეჩერდა და თავის სახეს დააცქერდა. თვალები ისევ სიცხიანსავით ანთებოდნენ, სახეზე ალმური მოსდებოდა და ლოყაზე, ყაყაჩოსაებრ, წითელი ლაქები დასჩენოდა. ნინოს თავის თავი შეეცოდა. ტუჩები აუცახცახდნენ, თვალზე ცრემლი მოადგა და სახე დაეღმიჭა. „ყველაფერი გათავდა", — გაიფიქრა მან. იქვე სავარძელში დავარდა. თვალებზე ხელები აიფარა, სავარძლის სახელურზე თავი დასდო და უმწეოდ აქვითინდა.

ბოლოს ტირილით გული მოიჯერა, თავი ასწია და ფანჯარას გაჰხედა. ფანჯარას ბნელი ღამე მოსწოლოდა და ოთახში გულის შემღონებელი სიჩუმე დამკვიდრებულიყო. ადგა და დარაბები დაჰხურა. ეხლა ციხის საკანში გამომწყვდეულივით დარჩა. საშინელი მარტოობა იგრძნო. „ნუთუ კორნელი მატყუილებდა? სიყვარულს მეფიცებოდა და, ამავ დროს, ზნედაცემულ გერმანელ ქალში — მარგარიტა ლეტცში მცვლიდა. უნდა გათავდეს ეს სისაძაგლე. დაცინვის უფლებას მე არავის არ მივცემ!" — დაადგინა მაყაშვილთა ასულმა და მყისვე სიამაყე და თავდაჭერა დაუბრუნდა. კორნელისთან დანიშნული პაემანი და მასთან არსებული ურთიერთობის ამოსაწურავად გადადგმული, დამოუკიდებელი ნაბიჯი მოეწონა, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ, კორნელის წერილი მიიღო და მან თავგზა დაუბნია.

წერილი ისეთი უჩვეულო და უცნაური იყო რომ, შიგ გამოთქმული გრძნობის გულწრფელობაში ეჭვის შეტანა ეძნელებოდა. თანაც ფიქრობდა: „ვაი, თუ დედა, ელო, ვანო და მეგობრები განზრახ ჭორავენ კორნელის და მე კი — ასე სასტიკად მოვეპყარიო". დერეფნის კედლის სვეტზე გაკრული კორნელი, მისი აწეწილი თმა, უცნაურად ანთებული თვალები, უკანასკნელი სიტყვები

*) გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 5.

და ხელის შეხება მოაგონდა. კორნელის წინაშე დანაშაული იგრძნო და მონანიების სურვილი დაებადა. მაგრამ კორნელი ფრონტზე ისე გაეგზავნა, რომ ნინომ დანაშაულის მონანიება და წერილზე პასუხის გაცემა ვერ შეასწრო. „განა ასეთი წერილის უპასუხოდ დატოვება შეიძლებოდა?“ — გაიფიქრა ნინომ. საწერ მაგიდასთან მივიდა, ყუთიდან წერილი ამოიღო და მეასეჯერ დაიწყო მისი კითხვა. თუმცა წაკითხვა რა საჭირო იყო, — ზეპირადაც იცოდა. კორნელის წერილი სწორად იყო გამიზნული და, როგორც ამურის უაცილდო ისარი, ნინოს პირდაპირ გულში მოხვდა. როდესაც იმ ადგილს მიაღწევდა, სადაც ეწერა — „ჩემი გადარჩენის და ჩემი დაღუპვის სათავეც თქვენ ხელთ არისო“, — საშინლად აღელდებოდა. „კორნელი ორი თვეა რაც უკვე ფრონტზეა და ომში რაიმე უბედურება რომ შეემთხვეს, ბრალი მე დამედებაო“, — ფიქრობდა იგი. დედობრივი რაღაც მზრუნველობა ებადებოდა. ეხლა კორნელის სურათი აიღო და სათნოებით დააცქერდა. ყველაზე უფრო წერილის ბოლომ დააღონა: „შეუძლებელია ჩვენი ასეთი უსაფუძვლო და უაზრო განშორება. „Мы так недавно, так нелепо разошлись“-ო. თვალზე ცრემლი მოადგა და ინატრა: ნეტავ კორნელი მალე დაბრუნდებოდეს, რომ სულსა და გულში ჩავწვდე, ჩავხედო და ერთხელ და სამუდამოდ დავრწმუნდე ჩემდამი მის გულწრფელობაშიო.

ქალი დაიტანჯა. ჯანი დაჰკარგა და დასჭკნა. ოდესღაც ღაჟღაჟა მის ლოყებს სიწითლე წაერთვა და ზედ სანთლის ფერი დაედო. თავბრუ ეხვევოდა და გული მისდიოდა. უნივერსიტეტში და კონსერვატორიაში სიარულს თავი გაანება. სატანვარჯიშო საზოგადოება „შევარდენი“ 26 მაისის ზეიმისათვის ღიდიხანია რაც ემზადებოდა, ნინო კი შინ იჯდა, არავის ნახვა არ სურდა.

შეშფოთებული მშობლების მიერ მოწვეული ექიმების დარიგებას არ ასრულებდა და ძირმწარესავით საძაგელ წამლებსაც არა სვამდა. დარჩა ასე ქალი მარტოდმარტო, სნეული და სევდიანი. რას უნდა დაებრუნებინა მისთვის ჯანი, ძალა და სიმხნე? ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი თავის ცხოვრებისათვის დაჰკარგა — საყვარელი არსება. ცხოვრება მისთვის სატანჯველი გახდა. აი, როგორი დედობა, ნათესაობა და მეგობრობა გაუწიეს მას ვარდომ, ელომ, ვანომ და შუშანიკმა. ესენი იყვნენ რომ ჰორავდნენ კორნელის. ნინოს მის სიყვარულზე ხელს აღებინებდნენ. ნინოსაც უნდა მოეხადა სიყვარულის სენი, მაგრამ განა ყველანი უხიფათოდ იხდიან ხოლმე ამ სენს! 14 იანვარს, როდესაც ვარდო ნინოს წაეკიდა და კორნელი უხეშად მოიხსენია, მისთვის უკვე ნათქვამი ჰქონდა ელოს: კორნელი მარგარიტა ლეტცთან ჭეიფობს, დროს ატარებს და ცხოვრობსო. ეს ვანომ უამბო ელოს, ჩვეულებრივი ჩხუბის შემდეგ მომხდარი შერიგების დროს, და თან დასძინა: აი, ხომ ხედავთ, თქვენ — მაყაშვილები მხოლოდ მე მიწოდებთ გარყვნილს, ნამდვილად კი — ყველანი ჩემზე უფრო გარყვნილები არიან. იცოდეს ღმერთმა, მე ჩემი მეგობარი იმიტომ გავეცი და გავაცხადე რომ შენ, ნინო და საერთოდ მაყაშვილები მიყვარხართ, გაფასებთ და თქვენს ინტერესებს ჩემი მეგობრის ინტერესებზე მაღლა ვაყენებო...

ვანო სცრუობდა. იგი სხვანაირად ანგარიშობდა: თუ მაყაშვილები ჩემზე ცუდი აზრის არიან, დეე ჩემს მეგობარზეც ცუდი აზრისა იყონო. ამის გარდა, — ქალის მოყვარულ და თავდაუჭერელ მხატვარს ნინო მოსწონდა და, რადგანაც ქალს კორნელი უყვარდა, — შურდა. თანაც ჯავრობდა: რატომ

ელოს მე არ ვუყვარვარო. მიზანსაც მიაღწია: ნინოს თვალში მეგობარი გააშავა. და იჯდა ეხლა მარტოკა თავის ოთახში საწყალობელი და შეეშვებული ქალი. რა წამს მარგარიტა ლეტიც მოაგონდებოდა, ბოლმით ივსებოდა, სისხლი თავში აუვარდებოდა, საშინელ დაცინვას, დამცირებას გრძნობდა და მაშინ მზად იყო მტკვარში თავი დაეხრჩო, ხოლო როდესაც კორნელის წერილს წაიკითხავდა, ჭორი ავიწყდებოდა და ისევე კორნელის უჯეროდა. მართლაც დაიტანჯა ქალი. არავინ არ ჰყავდა მრჩეველი და მანუგეშებელი. მხოლოდ ოპერის თეატრის მსახიობი, მომღერალი ქალი — ვერა ალექსანდროვნა სამარინა უცქეროდა ისევ კედელზე დაკიდებულ სურათიდან. ოდნავ ჩასუქებული, ოცდა ათი წლის ლამაზი ქალი, რომელსაც ყოველივე განცდილი ჰქონდა — სიყვარულიცა და ღალატიც, ისევ მაცდური ღიმილით უცქეროდა ნინოს, თითქოს ეუბნებაო: „გამოუცდელი ჭაბუკი მერყევია და ძნელად დასანდობი, ხოლო გამოცდილი მამაკაცი კიდევ უფრო საშიში, ვინაიდან ვერ გაიგებ, როდის არის იგი გულწრფელი და როდის კიდევ — ნიღაბჩამოფარებული. ერთი სიტყვით, მე რომ მკითხო: მამაკაცები არ არიან ღირსნი ჩვენი სიყვარულისა“. ეს სიტყვები არაფერს არ ეუბნებოდნენ ეხლა ნინოს სულსა და გულს. პირიქით, აბრაზებდნენ კიდეც და, მან დამცინავი და ცივი ღიმილით მოჩერებული მსახიობი ქალის სურათი კედლიდან ჩამოხსნა, შეაბრუნა და კარადის უკან შეინახა.

ვაკეში

სამზადისი

„Недавно меньшевистская газета в Грузии писала: „Есть две силы на земле: Антанта и Советская Россия“. Что такое меньшевики? Это — люди, которые держат нос по ветру“...

Ленин, ტ. XXV, გვ. 509.

„სოციალურ სახეობათა აღწერა, ორჯერ უფრო დიდ სირთულეს მაინც წარმოადგენს, ვიდრე ცხოველების სახეობათა აღწერა..“

ბალზაკი: წინასიტყვაობა „ადამიანურ კომედიისათვის“.

„ლომის ძირითადი ხასიათი ის არის, რომ იგი მსხვილი მტაცებელია... ერთმა ბუნებისმეტყველმა ლომის ჩონჩხი მაჩვენა და მითხრა: ეს — ოთხ თათზე დადგმული ყბა არისო“.

იპოლიტ ტენი: „ხელოვნების ფილოსოფია“. 19 და 20 გვ.

26 მაისიც გათენდა. ყოფილი სასულიერო სემინარიის ახლოს, ვაკეში ხალხმა და ჯარმა დილიდანვე იწყო დენა. მთავრობა ცდილობდა ინგლისისა და საფრანგეთის საოკუპაციო ჯარების სარდლობისათვის გრანდიოზული სახალხო ზეიმი ეჩვენებინა, რათა უცხოური, გათავხედებული გენერლები დაერწმუნებინა, რომ საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა და არა რუსეთის ყოფილი პროვინციაო. მაგრამ ამ დღეს საკვირველი და ყოველგვარ წესრიგს მოკლებული ზეიმი გამოვიდა. დილით ჯარის აღლუმი არ

ყოფილა. მხოლოდ დამფუძნებელ კრებაში შესდგა ხანმოკლე საზეიმო სხდომა. ქალაქიდან და ახლომახლო სოფლებიდან ვაკეში ხალხს ძალით მიერეკებოდნენ. ამ საქმეს გვარდია და მილიცია ასრულებდა. ჯარის ნაწილები, ზოგი თოფით და ზოგიც უთოფოთ, მიდიოდნენ. ერთადერთი მშვენება ამ დღისა, სატანვარჯიშო საზოგადოების — „შევარდენის“ გამოსვლა იყო.

ნაომარი, დაღლილი, ძარღვებაშლილი და დაქანცული კორნელი ერთი კვირა იქნებოდა რაც ახალციხის ფრონტიდან დაბრუნდა. დასვენება არ დასცალდა, რადგან იგი და მისი ამხანაგები „შევარდენმა“ მოიწვია. ერთი კვირის განმავლობაში, დღედაღამ, სასპორტო დარბაზში დაიარებოდა და სტადიონზე გამოსვლისათვის ემზადებოდა. შარშან გაცილებით უფრო ძალოვანი კუნთები ჰქონდა კორნელის და უკედაც ვარჯიშობდა. ეხლა კი — სისუსტეს გრძნობდა, იარაღებზე ვარჯიშობაც დავიწყნოდა, ეჩოთირებოდა, პამპულობად ეჩვენებოდა და „შევარდენში“ ძალისძალად დაიარებოდა. „რა დროს ვარჯიშობაა, როდესაც საარსებო წყარო დამეშრიტა, სულიერი სიშშვიდე და სატრფო დავკარგეო“. — ფიქრობდა. ნინოსგან წერილზე პასუხს ამაოდ ელოდა. ჯარში ვეღარ გაძლო. მას ერთი წლის შვებულება ჰქონდა მიცემული — მიმდინარე წლის სექტემბრამდე და ფრონტიდან ჩამოსვლისთანავე ჯარიდან თავი გაინთავისუფლა.

„შევარდენში“ დილით ადრე მივიდა კორნელი. მოვარჯიშენი სასპორტო შენობის ეზოში შეგროვილიყვნენ, უკლებლივ. წურთნელმა — ახოვანმა, მაღალმა და შავგვრემანმა ვაჟკაცმა — გიორგიმ გაუღიმა, არაბსავით თეთრი კბილების რკალი გამოუჩნდა და ბოხი ხმით ჩააგუგუნა:

— ძილის გუდა ყოფილხარ.

კორნელიმ ხელი ჩამოართვა და გაოცებით შეხედა, თითქო პირველად ხედავსო: ომში მოკლული ასკერი მოაგონდა. გიორგი რუსეთიდან ჩამოსული, პუტილოვის ქარხნის ინჟენერი იყო. ცნობილი საზოგადო მოღვაწის შვილი და დიდად განათლებული კაცი. წურთნელები და მოვარჯიშენი კორნელის გარს შემოერტყნენ. ყველანი, ჩეხელი სპორტსმენების მსგავსად, ლამაზ ტანსაცმელებში იყვნენ გამოწყობილნი. მესტებივით მსუბუქი და ფეხზე მოჭერილი წუღები, უსახელო — გულამოჭრილი თეთრი ხალათები და ლურჯი შარვლები ეცვათ, რომელთა სათავეები — ეროვნული სამფეროვანი დროშის მსგავსად — შავ, წითელ და თეთრ ზოლებიან სარტყელს წარმოადგენდნენ. ჭაბუკებს თავზე შევარდნის ფრთით შემკული თუშური ქუდები ეხურათ. ქალებიც ამრიგად იყვნენ გამოწყობილნი, ხოლო გრძელი შარვალის ნაცვლად, მოკლე ბანდურა შარვლები ეცვათ და შიშველი კანჭები უჩანდათ. კორნელის მაშინვე მოაგონდა კარისმერეთში ასეთნაირად გამოწყობილ ნინოს ორძელზე რომ ავარჯიშებდა, მაგრამ ქალებში ნინოს ძებნა არ დაუწყია; ნინო „შევარდენში“ რომ არ დაიარებოდა და უქეიფოდ იყო, კორნელიმ კარგად იცოდა. ისიც იცოდა, თუ რისთვის იყო უქეიფოდ. საშინლად სწუხდა. ნინოსგან წერილის პასუხს და მასთან შეხვედრას მოუთმენლად ელოდა. თუმცა, წერილზე პასუხს რომ მიიღებდა და შეხვდებოდა კიდეც, ამაში სავსებით დარწმუნებული იყო.

„შევარდენის“ უფროსმა — ბრინჯაოს ქანდაკების მსგავსად ჩამოსხმულმა და კუნთებმაგარმა შუახნის კაცმა — გურგენმა გამყივანის ხმით დაიძახა: „დადექითო“. იგი გამოჩენილი ჩეხი სპორტსმენის, მასწავლებლის ღირსეუ-

ლი მოწაფე და პრაღაში შევარდენთა მსოფლიო გაფრენის მონაწილე იყო, სადაც პირველი ხარისხის ჯილდო მიაკუთვნეს. ცისფერთვალება და ქერა კაცი, მართლაც ჩეხსა ჰგავდა. ჩეხურ კილოზე ლაპარაკობდა; ჩეხური ტანვარჯიშო საზოგადოების — „შევარდენის“ ტრადიციები ძვალსა და ტვინში ჰქონდა გამჯდარი და თბილისელი თავისი ბარტყები ჩინებულად ჰყავდა გაწვრთნილი და გამოზრდილი. კორნელიც უკვე შვიდი წელი იყო რაც მისი უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ იწვრთნებოდა და იზრდებოდა. ეხლა კორნელი წურთნელთა ჯგუფში იყო. გამოცდების შემდეგ, მასწავლებელი გახდებოდა და მერმე კი—თვითონვე დაზრდიდა ბარტყებს. წურთნელთა ჯგუფი ოცდაოთხი კაცისაგან შესდგებოდა, ხოლო საზოგადოებას ოთხასამდე წევრი ჰყავდა: ხუთმეტი წლიდან — ოცდაათ წლამდე. თვითონ გურგენი ოცდაათი წლის კაცი იქნებოდა. „შევარდენთა“ შორის ძმური განწყობილება სუფევდა და ერთმანეთს „ძმებს“ უწოდებდნენ. შულლი და თაღლითობა იძრახებოდა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო. „შევარდენი“ ვაჟკაცობას, ამტანობას და სიმხნეს უნერგავდა და უნვითარებდა ადამიანს, ხოლო ეს თვისებანი, ყველაზე მეტად თვითონ გურგენში ცნაურდებოდნენ. გურგენთან ერთად გამგეობაში სხვა ცნობილი სპორტსმენებიც იყვნენ.

ჯგუფებად დაყოფილი მოვარჯიშენი მწკრივში ჩადგნენ. ყველაზე წინ ახოვანი ვაჟკაცები დაირაზმნენ: გიორგი, დათა, მიტო, კუკური, სანდრო, კორნელი და სხვანი. ეს წურთნელთა ჯგუფი იყო. მერმე ჩვეულებრივი მოვარჯიშენი და ბოლოს — ქალები. ორკესტრმა დაუკრა და „შევარდნები“ ქუჩაში გამოვიდნენ.

მზიანი და ნათელი დღე იყო. ცა — სარკესავით მოწმენდილი, სუფთა და მუქლურჯი.

დილით გრილოდა, მაგრამ შემდეგ მზემ საშინლად დააჭირა და მოვარჯიშეებს შიშველი მკერდი, ზურგი და მკლავები დაუწვა, თითქო მდულარე გადაავლესო. რუსთველის პროსპექტზე ქვეითი ჯარი, ცხენოსანი ლეგიონი და მერმე არტილერია შეეყარათ. ნოხით, ხალიჩებით, ყვავილებითა და დროშებით მორთულ აივნებზე გამოსული მოქალაქენი ჯარსა და „შევარდენს“ გასცქეროდნენ. უნივერსიტეტამდე არ დაუსვენიათ შევარდნებს. აქ კი, ეზოში წყალს მისცვივდნენ, შესვეს, სახეზე შეისხეს, ჭადრების ჩრდილ ქვეშ წამოწვნენ და დაისვენეს. მზით დამწვარ და გატრუსულ სახეზე ოფლი ჩამოსდიოდათ და ცხვირსახოცით იწმენდნენ. ბოლოს, გურგენმა ისევ დაიძახა: „დადექითო“. წინ ისევ წურთნელები დაეწყვნენ, მერმე ჩვეულებრივი მოვარჯიშენი და ყველანი სტადიონისაკენ წავიდნენ.

სტადიონისაკენ ზღვა ხალხი მიდიოდა. ზოგი ფეხით, ზოგი ურმითა და ორთვალით და ზოგიც კიდევ — ეტლით, საბარგო და მსუბუქი მანქანებით. სასულიერო სემინარიის ახლოს, მარცხნივ — მთის ძირში გაშლილ ველზე, უამრავი ხალხი და ჯარი შეგროვილიყო. სავარჯიშო მოედნის ირგვლივ თოკი იყო გაბმული და მილიციელები და გვარდიელები წესრიგს იცავდნენ. სტადიონისათვის ჩავარდნილი ადგილი შეურჩევიათ და ამფითეატრივით დაქანებულ მთის ფერდობებზე ჯარი და ხალხი იდგა და ზოგიც პირდაპირ მიწაზე დამჯდარიყო. გზის პირას, მთავრობისა და უცხოური სტუმრებისათვის, ბრეზენტის დიდი ფარდულები — კარვები დაუდგამთ. იქვე, შტოებით და ხალიჩებით სახელდახელოდ გადახურულ და მოჩარდახებულ ფანჩატურებში,

ფულის მოგების მოყვარულნი, სომეხი და ქართველი მედუქნენი და მეწვრილმანენი წყალს, ნაყინს, ხილსა და საჭმელს ჰყიდიდნენ.

შევარდნებმა გზიდან გადაუხვიეს, სტადიონის სავარჯიშო მოედანზე გავიდნენ და იქ, ერთ კუთხეში, დაბანაკდნენ. შევარდნებთან, ხალხში გარეული მეგობრები და ნაცნობები მივიდნენ — პეტრე ცხომელიძე, (მკერდზე დაკიდებულ დაჭრილი ხელით), გიგა ნახუცრიშვილი, ვანო მაჭავარიანი, ლეონ მერაბიანცი, არფენია და შუშანიკი... სავარჯიშო იარაღები უკვე მოეტანათ: გურზები, ჯირითები, შურდულები, თარაჯები, რგოლები, ხარიხა, კიბეები, ღერძი და ორძელები... „შევარდენის“ ხელმძღვანელებმა — გურგენმა, გიორგიმ, დათამ და მიტომ სავარჯიშო იარაღები დაათვალიერეს.

სტუმარ-მასპინძლები

უცბად, სტადიონისაკენ მომავალ გზაზე, უცხოდ ჩაცმული ცხენოსნები გამოჩნდნენ. ისინი ჩაქურებში იყვნენ გამოწყობილნი. შავი ხავერდის სირმიანი ქურთუკები ეცვათ. წელზე ბროწეულის ყვავილისფერი აბრეშუმის შარფები მოეხვიათ, შემოერტყათ და ფოჩიანი ბოლოები გვერდზე მარყუჟად გაენასკვათ. თავები, აჭარლებსავით, წითელი ჩაბალახებით წაეკრათ და შორიდან ყიზილბაშებსა ჰგვანდნენ. მოწინავე რაზმის შემდეგ, ჯიშიანი ცხენებით შებმული ღია და ფართო ეტლი გამოჩნდა. იგი ქართველი მრეწველის — ხოშტარიას ლანდო იყო. მრეწველს, ამ საზეიმო დღეს, თავისი ლანდო მთავრობისათვის დაუთმია. შიგ ფრაკში გამოწყობილი ცილინდროსანი პირები ისხდნენ და კორნელის მსახიობები და ცირკის კლოუნები ეგონა. ლანდოს უკან მანქანები გამოჩნდნენ. მანქანებში საზეიმო ბრწყინვალე ტანსაცმელში გამოწყობილი, უცხო სახელმწიფოთა გენერლები და სამხედრო პირები ისხდნენ. ლანდოს და მანქანებს, წინ და უკან, ჩაქურიანი მხედრები მოსდევდნენ და კორნელი მალე დარწმუნდა, რომ ლანდოში მჯდარი ცილინდროსნები არა კლოუნები, არამედ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე — პრეზიდენტი — ნოე ჟორდანია, შინაგან საქმეთა მინისტრი — ნოე რამიშვილი და საგარეო საქმეთა მინისტრი — ევგენი გეგეჭკორი იყვნენ.

უცნაური კორტეჟი სტადიონს მოუახლოვდა. ჯარი, სააღლუმო წესისამებრ დადგა და ორკესტრმა საზეიმო მარში დაუკრა. მთავრობის წევრნი და უცხოური სტუმრები ლანდოდან და მანქანებიდან გადმოვიდნენ და კარვების წინ გაჩერდნენ. ტრიბუნის ერთ მხარეს მთავრობის თავმჯდომარე — პრეზიდენტი ნოე ჟორდანია, და მისი მინისტრები, მერმე — დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე — კარლო ჩხეიძე, პარლამენტის წევრი — კაკი წერეთელი, ბენია ჩხიკვიშვილი და სხვა თანამდებობის პირნი და მოღვაწენი იდგნენ. ბოლოს კი — ქართული ჯარების სარდლები — გენერალი კვინიტაძე, ოდიშელიძე, გაბაშვილი და სუმბათაშვილი. მეორე მხარეს — ინგლისელი ჯარების სარდალი ამიერ-კავკასიასა და საქართველოში — გენერალი კორი, გენერალი — უოკერი, ბიჩი, პოლკოვნიკი — სანდერსი, ბელე, კაპიტანი — ხენტი, ინტერპრეტატორი — პოლკოვნიკი მელიქოვი, მდივანი — მაჭავარიანი, ინგლისელი გენერლების ადიუტანტები, მრჩეველნი და მხლებლები. გვარდიის სარდალი — ჯუღელი და ზოგიერთი ქართველი გენერალი, ამჟამად ფრონტზე იმყოფებოდნენ: ზოგი — ახალციხისა და ზოგიც კიდევ — სოჭისა.

ჟორდანიამ მხრები აიჩეჩა, (მღელვარების დროს ასე იცოდა. ეს ჩვეულება სამხედრო მინისტრსაც დასჩემდა). ინგლისელ გენერლებს და ოფიცრებს განცვიფრებული, წყლისფერი თვალებით მიაშტერდა, ფეხები დააბაკუნა და თავი ჩაჰკიდა. მენშევიკების ბელადი — თეთრწვერა „პატრიარქი" რაღაც უხერხულობას გრძნობდა, თითქო მოედანზე თავშეყრილი ხალხის რცხვენია და თვალს ვერ უსწორებსო. ევროპელთა მინისტრებისათვის მიჩნეული ეს წოწოლიკა და უცნაური ქუდი — ცილინდრი საჩქაროდ მოიხადა. ხალხი და ჯარი განცვიფრებით მისჩერებოდა ცილინდროსან მინისტრებს და საზეიმო მუნდირებში გამოწყობილ ინგლისელ გენერლებს — კორს, უოკერს, ბიჩსა და სხვებს....

ინგლისელი მხედრები ჩრდილოეთის ქვეყნის შვილები იყვნენ: ცივი აუღელვებელნი, ანგარიშიანი და თავდაჭერილნი. მათი ყურადღება, უმთავრესად, ქართულ მხედრობას მიეპყრო. დინჯად, ქანდაკივით უძრავნი, მძაფრად გამოკვეთილი სახით მისჩერებოდნენ ისინი ჯარს; ჯარის ღირსებას, ნაკლს და ყოველ წვრილმანს გამოცდილი თვალით აკვირდებოდნენ და სწონიდნენ: საქართველო რა სახელმწიფოა? ღირს თუ არა მისი ანგარიშის გაწევა, თუ პირდაპირ, ლაგამი ამოვსდოთ, ჩვენი ინტერესებისათვის გამოვიყენოთ და საბჭოთა რუსეთთან დენიკინის ბრძოლაში ეხლავ ჩავებათო. მათ აღმოსავლეთის და აზიის მრავალი ქვეყნები ჰქონდათ მოვლილი, შესწავლილი და დაუფლებული. ეხლა სირია-მესოპატამიიდან ირანი გადმოლახეს, ამიერ-კავკასიას მოადგნენ და აზერბაიჯანში, სომხეთსა და საქართველოში თავისი ჯარებით ჩამობრძანდნენ. მათი მიზანი იყო ამიერ-კავკასია, ირანი და ავღანისტანი — ეს გზა მიმავალი ინდოეთისაკენ — გერმანელებს, თურქებსა და ბოლშევიკებს ხელში არ ჩაჰვარდნოდა. მართლაც, მაშინდელი გერმანიის დიპლომატია იქითკენ იყო მიმართული, რომ ირანი და თურქესტანი გაეერთიანებინა და მერმე კი მთელი ცენტრალური აზია და ავღანისტანიც ინგლისისათვის ხელიდან გამოეცალა. ამის საწინააღმდეგო და ამაზე უფრო დიდი მისიაც ჰქონდა დაკისრებული ინგლისის ჯარების სარდალს — ჯერ გენერალ ტომსონს, მერმე კი — გენერალ კორს. კორი ბრაზობდა, რომ ამ მისიის განხორციელებას აგვიანებდა და საქართველოს მთავრობასთან მოლაპარაკებით და ლაყბობით ძვირფას დროს ჰკარგავდა. ამიტომ იყო ბანკეტებზე, ჩაუტზე და ზეიმებზე რომ იშვიათად ცხადდებოდა იგი. ეხლა კი ისევ დინჯად, მოკუმულ ბაგეებით და კუშტი სახით გასცქეროდა ქართულ ჯარსა და მოედანზე თავშეყრილ ხალხს.

ჟორდანია და მისი მინისტრები სამხრეთელები იყვნენ. მზიანი საქართველოს შვილები — მგზნებარენი, აჩქარებულნი, თავდაუჭერელნი და უანგარიშონი. მინისტრები, ცმუტავდნენ, ვერ ისვენებდნენ, და ერთმანეთს ყურში რაღაცას ჩუჩურჩულებდნენ. ქართველთათვის სასაცილო და უჩვეულო ქუდებით—ერთარშინიანი მაღალი ცილინდრებით გამოჩენისა რცხვენოდათ და ისინიც, ჟორდანიასაებრ ხალხს თვალს ვერ უსწორებდნენ. ჟორდანიამ ბენია ჩხიკვიშვილს რაღაც უთხრა და გრძელ-წვერიანი, გამხდარი და აყლაყუდა ცილინდროსანი კარავისაკენ ოჩოკოჩივით გაიქცა. ეხლა კი ვეღარ დამალა ხალხმა თავისი გაკვირვება და აქა-იქ, მოქალაქეთა შორის, სიცილი გაისმა.

— ვა, ბენიას შეხედეთ, რა დღეშია! — დაიძახა კორნელის ზურგს უკან ვიღაცამ მეამიტად. მეორემ მიუგო:

— სად არის ერთი მკვდარი კატა, რომ იმ ცილინდრში ვდრუბო!

ორივემ გადიხარხარა, თითქოს ეგ იყო ნიშანი: სიცილი, სტადიონის ირგვლივ გაბმულ თოკის იქით, ხალხსაც გადაედო. განსაკუთრებით კი — ყმაწვილებსა და ჭაბუკებს. მათ კიდევ უფრო მეტი ხარხარი მორთეს და ისე გადაამლაშეს, რომ ზოგმა მათგანმა პირში თითები ჩაიყო და ავარულად დაუსტვინა.

— რას ჰგავს, ეს ამხანაგებო, ავლაბრის მოედანზე ხომ არ გგონიათ თქვენი თავი? — დატუქსეს ხალხი გვარდიელებმა. მილიციელები ავარულად მასტვენალ ყმაწვილებს გამოუდგნენ. ჟორდანიამ ხარხარი და სტვენა გაიგონა, მობრუნდა, ბენიას შეხედა და მაშინვე მიხვდა, ხალხი რომ ბენიას და მის ცილინდრს დასცინოდა. მხრები ისევ აიჩეჩა, ფეხები დააბაკუნა, დარცხვენით ჩაჰკიდა თავი და გაიფიქრა: „ღმერთმა დასწყევლოს ესტატე მაყაშვილი და ძმანნი მათნი. ეს ისინი ჩაგვაცივდნენ: ცილინდრები და ფრაკები ჩაიცვით, — ევროპელები ტანსაცმელს, თავისდაჭერას და ცერემონიებს დიდათ აფასებენო. თითქო ეგ ამბავი მე არ ვიცოდე. მადლობა ღმერთს, ევროპასა და ინგლისში მიცხოვრია, მაგრამ ქართველმა კაცმა ევროპაში ასი წელიწადი რომ იცხოვროს, — ევროპელთა ზნე-ჩვეულებას, ადათს, ჩაცმულობას და ცერემონიას მაინც ვერ შეეთვისება“.

ფრაკები და ცილინდრები თეატრის გარდერობიდან გამოეტანათ მინისტრებს. კორნელის გაეცინა და მეგობრებს უთხრა:

— ლანჩხუთელ და სურებელ ყაზახებს ეს ერთარშინიანი ცილინდრები თავზე რომ დაუკოსებიათ, ჭკუა სად ჰქონდათ! რომელი სტენლი ბოლდუინები და რაიმონ პუანკარეები მყვანან!

— შენ გესლიანი ენა გქონია! — შენიშნა გიორგიმ. გაიღიმა და ისევ არაბსავით თეთრი კბილები გამოუჩნდა. გიორგის ბელგიაში ჰქონდა დამთავრებული საინჟენერო ფაკულტეტი და ევროპას კარგად იცნობდა.

„როგორ ჰგავს იმ ასკერს“. — გაიფიქრა კორნელიმ და ტრიბუნას ნაღვლიანად გაჰხედა.

ჟორდანიამ უცხოურ სტუმრებს თვალი შეასწრო — „ხომ არ დაგვცინიანო“, — გაიფიქრა, მაგრამ ინგლისელი გენერლები ისევ დინჯად, კუშტი სახეებით იდგნენ, ორკესტრს უსმენდნენ და ეტყობოდათ — ბენია ჩხიკვიშვილის და ქართველ მინისტრების ცილინდრები მათ არ გაჰკვირვებიათ და არც სტვენა-ხარხარისათვის მიუქცევიათ ყურადღება.

— მგონი, გადავრჩით, ბიჭებო! ინგლისელები ჩვენი მინისტრების პროვინციულ იერს, მათ სასაცილო ჩაცმულობას და ცილინდრებს ყურადღებას არ აქცევენ, არ უკვირთ და არც დასცინიან. — სერიოზულად წარმოსთქვა მინისტრების მაგიერ დარცხვენილმა, გაწითლებულმა და ფრანტობის მოყვარულმა სანდრომ.

გაბმულ თოკზე მოწოლილმა გიგა ნახუცრიშვილმა, რომელსაც არაფერი არ გაეგებოდა ვარჯიშობისა, მიუგო:

— აი, შენ კი მამიკვდი. რად უნდა გაუკვირდეთ, ან დასცინონ! განა მათ სამშობლოში — ინგლისში, ომის დროს და ეხლაც, მუშათა რიგებიდან, წვრილ-ბურჟუაზიულ და მეშჩანურ წრიდან გამოსული მინისტრები არ მომრავლდნენ!

— მაგალითად? — შეეკითხა სანდრო.

— ჯემს რამზეი მაკდონალდი. — მიუგო გიგამ.

— ახლა საქართველოს პრეზიდენტი თუ ბრიტანეთის იმპერიის პრემიერს არ შევადარეთ, — ისე ხელს არ მოგვცემს! რამზეი მაკდონალდი, — ალბათ ლორდის შვილია. — შენიშნა სანდრომ.

— არაფერიც არა გცოდნია.

— შენ საიდან იცი?

— წიგნს თუ არ წაიკითხავ, არაფერი არ გეცოდინება. — მიუგო გიგამ და დაიწყო: — მუშათა პარტიის ყოფილი ბელადი, — მაკდონალდი წინად ღარიბი პროვინციელი, კანტორის მოხელე იყო, რომელიც შოტლანდურ მეთევზეთა სოფლიდან ლონდონში ბედის საძიებლად ჩავიდა, ახლა კი ბრიტანეთის მეფის, პრინც უელსის და ლორდების მსახური პრემიერი გახლავთ.

— ან და აიღე შენ მინისტრი — ჯემს ტომას — რკინიგზის ზეინკლის შვილი, ყოფილი ცეცხლფარეში, რომელსაც დაცინვით „ორთქლმავლის გენერალს“ უწოდებენ. — განაგრძო მიტომ, — ლორდ ბერნხემის მეგობრობის მაძიებელმა ამ კუნძივით მაგარმა, მრგვალმა და დაბალმა კაცმა ყველაზე დიდი სამსახური გაუწია ბურჟუაზიას ბოლშევიკური სენის მოსპობაში და მუშათა გაფიცვების ალაგმვაში.

— მართლა, შენც ხომ ზეინკლის შვილი ხარ! ალბათ იმიტომ დაგაინტერესა ჯემს ტომასის ბიოგრაფიამ. — შენიშნა კორნელიმ.

— ვა, მართლაც ასე უნდა იყოს. — დაიძახა სანდრომ.

გიგას უკან გამხდარი და ფერმკრთალი კაცი აიტუზა, ჯიბგირივით გაილურსა და ტრიბუნას გაჰხედა, თითქო ტრიბუნა აინტერესებსო, მაგრამ მისი ცალი ყური ათამაშდა, აიზიდა და რუპორივით გაიზარდა.

პუტილოვის ქარხნის ყოფილმა ინჟენერმა — გიორგიმ, ნაკითხსა და საქმეში ჩახედულ, გიგა ნახუცრიშვილს შეხედა და უთხრა:

— ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი — არტურ გენდერსონი ფოლადის ჩამომსხმელი საამქროს ყოფილი მუშაა.

— და მუშათა რევოლუციურ მოძრაობის და ბოლშევიზმის შეგნებული მტერი. — დასძინა გიგა ნახუცრიშვილმა. ზურგს უკან ქურდივით გალურსულ კაცს მოჰხედა და ასე მოეჩვენა, თითქო იმ კაცის ყური ვირის ყურის ოდენა გამხდარაო. კაცმა თავი ასწია, ბაცაცსავით რეგვენი და წირპლიანი თვალები დაახამხამა და ისევ ტრიბუნას გაჰხედა. „საზიზღარი“, — გაიფიქრა გიგამ. გული აერია. მერმე აილეწა და, იმ კაცის ჯიბრზე სანდროს, გიორგის, კორნელის და სხვა მეგობრებს უთხრა:

— ჩვენ ფინანსთა მინისტრი — ფილიპ სნოუდენი დაგვავიწყდა, უბრალო მოხელის ოჯახიდან გამოსული, სუსტი, გამხდარი, დაჯღარკული, ცალფეხა და ყავარჯენზე დაყრდნობილი, ჩანჩურა ინტელიგენტი — ჟურნალისტი, რომელიც მუშათა დამოუკიდებელი პარტიის ბელადი იყო და ახლა კი — კომუნიზმის დაუძინებელი მტერია.

გიგას ზურგს უკან ატუზული და ქურდივით გალურსული კაცი ზეზეულად გაშრა, ფეხის წვერებზე შესდგა და გრძელი და ვიწრო თავი გველის წიწილასაებრ მაღლა აასავსავა. მაგრამ გიგამ ისევ სანდროს და თავის მეგობრებს მიჰმართა:

— მაშ, რად უნდა გაუკვირდეთ ინგლისელ გენერლებს ჩვენი მინისტრების ჩაცმულობა, გარეგნობა და აღნაგობა? ინგლისელ გენერლებს ჩვენ მი-

ნისტრთა ჩაცმულობაზე, თავისდაჭერაზე, აღნაგობაზე და იერზე უფრო ის აინტერესებთ, — თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლიათ მათ დიდი ბრიტანეთისთვის. გენერლებმა ძალიან კარგად იციან, რომ ასეთი ადამიანები მინისტრებმა დიდი სამსახური გაუწიეს ბრიტანეთის იმპერიალიზმს. ბურჟუაზიასთან შემარიგებლობამ იქ — ინგლისში, ამ გენერლების სამშობლოში, — მაკდონალდი, ტომასი, გენდერსონი, სნოუდენი და სხვანი კაპიტალისტური ევროპის ბელადებად აქცია.

გიგამ უეცრად მოჰხედა მის ზურგს უკან ატუზულ კაცს.

კაცს მკვდრის ფერი დასდებოდა, თითქო სიკვდილით დასჯის განაჩენი წაუკითხესო. იგი რაღაც უცნაურად ჩაიკეცა, თითქო გიგას სიტყვებმა, ვით ტყვიებმა ისე დაცხრილესო.

და როცა კაცი ხალხში გაძვრა და მიიმალა, — გიგა ნახუცრიშვილმა თავისი სიტყვა ასე დაამთავრა:

— შემარიგებლობას და მუშათა კლასის გამცემლობას, თავისი რკინისებური კანონი გააჩნია. მან ქართული მენშევიზმის მესვეურნიც ქართული ბურჟუაზიისა და კაპიტალისტური ევროპის მსახურებად გახადა და მათ, ცირკის კლოუნის — ტაკიმასხარის ქუდის მსგავსად, თავზე ევროპელი ბურჟუას, მეშჩანის და ლორდის ცილინდრები დაჰხურა. მაგრამ ინგლისელ გენერლებს ეს, როგორც ხედავთ, არ უკვირთ.

ახლო-მახლო მდგომი ხალხი და მეგობრები სულგანაბული უსმენდნენ გიგას და ბევრს ვერ გაეგო მიზეზი მისი ასეთი აღშფოთებისა და მთავრობის წევრებისადმი მისი ასეთი ახირებისა.

* * *

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარემ — ჩხეიძემ ხელი ასწია და როცა ორკესტრები დადუმდნენ, საზეიმო მიტინგი გახსნა, ხალხს მიესალმა და სიტყვა მთავრობის თავმჯდომარეს — პრეზიდენტს ნოე ჟორდანიას მისცა.

ჟორდანიამ ცილინდრი ტრიბუნაზე დასდო, მხრები აიჩეჩა, თეთრ წვერზე ხელი გადაისვა და დაიწყო:

„მოქალაქენო, მოგილოცავთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ერთი წლის თავს. ჩვენი ქვეყანა — განაგრძო ჟორდანიამ — დემოკრატიის თანხმობისა და ერთსულოვნების წყალობით, გადარჩენილ იქნა ბოლშევიკური საფრთხისა და ანარქიისაგან. ამ ერთი წლის განმავლობაში, ჩვენ ღირსეული პასუხი გავეცით და მოვიგერიეთ საქართველოს და ამიერკავკასიის დემოკრატიის მტრები. უპირველეს ყოვლისა — დაშნაკური სომხეთის ჯარების მუხანათური თავდასხმა. შემდეგ — მო... მო... მო... ხალისეთა ლაშქრის შემოტევა. (რატომღაც აქ მოიტეხა ენა ჟორდანიამ). ბოლოს ჩვენ მოვიგერიეთ და დავამარცხეთ, არდაგანიდან ახალციხით ჩვენს ტერიტორიაზე შემოჭრილი, თურქ-თათრების ურდოებიო...“

მერმე ჟორდანიამ საქართველოს დემოკრატიას ხოტბა შეასხა. გაისმა „ვაშა“ და ორკესტრმა ქართული ეროვნული ჰიმნი დაუკრა.

ბოლოს, უცხოური სტუმრების გულისმოსაგებად, ჟორდანიამ ბრიტანეთი, საფრანგეთი და იტალია შეაქო. ინგლისის პარლამენტი, საფრანგეთის რევოლუცია, იტალიელი გარიბალდი ახსენა და დასძინა:

„მე ბედნიერი ვარ გაცნობოთ თქვენ, რომ ამიერიდან საქართველოს დემოკრატია, თავისი სახელმწიფოებრივი მშენებლობისას და ბრძოლისას, მარტო აღარ იქნებაო. ამიერიდან მთელი ევროპის დემოკრატია ჩვენს მხარეზეა. საქართველოს დემოკრატია დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის დემოკრატიის მხურვალე მომხრეა და ეჭვს გარეშეა, რომ საქართველოს დემოკრატიას თავისი ახალი სახელმწიფოებრივი მშენებლობის საქმეში, მთელი ევროპის დემოკრატია დაეხმარებაო“.

განსაკუთრებით ინგლისს ჩააცივდა ჟორდანია:

„უპირველეს ყოვლისა, საქართველოს დემოკრატიას დიდი ბრიტანეთის ხალხი დაეხმარებაო. ინგლისი — ეს აკვანი ყოველივე იმისა, რითაც დღეს თავი მოაქვს განათლებულ კაცობრიობას. ინგლისი — ახალი ცხოვრების მო... მო... მო... მოციქული, ცივილიზაციის მეთაური და მებაირალტრეო“. (აქაც ენა წაიტეხა ჟორდანიამ).

— საქართველოს პრეზიდენტი ენაბლუ ყოფილა — უჩურჩულა სარდალმა კორმა უოკერს, მაგრამ იმ წამსვე ორკესტრმა ინგლისური ეროვნული ჰიმნი დაუკრა: „დე ბატონობდე მარად ზღვებზე, შენ ბრიტანეთო...“

ეხლა ინგლისელი გენერლები, სამხედრო წესისამებრ, გაიჭიმნენ, გაქვავდნენ. ხელით სალამი აიღეს, მთებსა და შორეულ ჰორიზონტს მრისხანე სახეებით გაჰხედეს, თითქო ზღვის რეიდზე გამოსულ, ზარბაზნებით დახუნზლულ ჯავშნიან გემებსა და დრედნოუტებს სჭვრეტენო. და, როდესაც ჰიმნი დასრულდა, სარდალმა კორმა გაიღიმა, ცხენსავით გრძელი კბილები გამოაჩინა და თეთრი ხელთათმანი გაიძრო. იგი ჟორდანიასთან მივიდა, ხელი მაგრა ჩამოართვა და მადლობა გადაუხადა.

სიტყვებისა და მისალმების შემდეგ „შევარდენის“ გამოსვლა და ფეხბურთის თამაში უნდა დაწყებულიყო. მანამდე კი დასვენება გამოაცხადეს.

უთანხმოება

ხალხში ჩოჩქოლი ატყდა. ჯგუფ-ჯგუფად დამდგარნი დაობდნენ. მათ ჯარისკაცებიც აჰყვნენ. როდესაც გენერალი კორი და ჟორდანია ღიმილით და სიცილით ერთმანეთს მიესალმნენ, შუახნის ერთმა მუშამ წყენით ჩაილაპარაკა:

— შეხედეთ, ჟორდანია რა დღეშია! — ეს ის მუშა იყო, რომელიც ქართველ-სომეხთა ომის დროს, სადგურის მოედანზე, სიტყვით გამოვიდა... კორნელიმ მაშინვე იცნო იგი, გაჭიმულ თოკზე გადახტა და მოკამათეებთან მივიდა. აქვე იდგნენ გიგა ნახუცრიშვილი, მიტო ჩიკვაიძე და კუკური ზარანდია.

— ჩვენც საქართველოს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას ვზეიმობთ, რაღა! — დაეთანხმა მუშას გიგა ნახუცრიშვილი.

ჯარისკაცს მოეწონა გიგას ნათქვამი, კეფა მოიფხანა და წყენით უთხრა:

— რა ზეიმია! — იგი გამხდარი, გატრუსული, თვალებჩაცვენილი და ჩია კაცი იყო. ჩალურჯებული ტუჩები დასკდომოდა და ციხიდან ახლად გამოსულსა ჰგავდა.

გვარდიელმა დატუქსა:

— თვალიც დაგიდგეს, თუ არ მოგწონს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვისთვის ზეიმია და ვისთვის კიდევ — სატირალი. — შენიშნა ჯარისკაცმა.

გვარდიელმა ამრეზით შეჰხედა და დამცინავად შეეკითხა:

— რა გატირებს, შე მაიმუნო?

ჯარისკაცი აენთო და ალარ დაერიდა:

— გვარდიელო, მოდი ერთი, ჩემს მაგიერ, შენ დადექი ამ ლეგიონში. მე კი, შენს გვარდიაში ვიმსახურებ და ბატონივით ვივლი ამ თბილის-ქალაქში. ჩვენი ლეგიონის ბიჭებს მუდამ ომსა და დავიდარაბაში უკრავენ ხოლმე თავს. ჩვენი ლეგიონი გუშინ ჩამოვიდა ახალციხის ფრონტიდან. შენ კი მაიმუნს გვიწოდებ. რატომ, შვილო? იმიტომ რომ შიმშილით ვიხოცებით და ტანზე არ გვაცვია? ამ ღიპს ხომ ხედავ, რომ დაგდებია და კანში ველარ ეტევი! შე პირშავო, სარკე მაინც არა გაქვს, შიგ რომ ჩაიხედო!?

რადგან კორნელი და მისი მეგობრებიც ახალციხის ფრონტიდან ახლად ჩამოსულები იყვნენ, ამიტომ ჯარისკაცის მხარე დაიკავეს.

— მაიმუნი ის არის, ვინც ზურგში რჩება, სუქდება, ვითომდა წესრიგს იცავს და გვარდიაში ყოფნით იკვეხნის! — შენიშნა კორნელიმ.

— ეს რომ მუშა იყოს, შეგნებული მოქალაქე და არა გამოყრუებული გლეხი, მაშინ ესეც გვარდიაში იქნებოდა. — დაარიგა კორნელი ჭკუაზე გვარდიელმა.

— გვარდიაში, თორემ მე ვიცი: საქართველოს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას ჩვენზე უკეთესად იცავთ! — დასცინა ჯარისკაცმა.

— მაშ ვინ იცავს? იქნებ ბოლშევიკები და მათი არმია — რეაქციის მოციქული, ყრუ გლეხობა! — დაიჩემა გლეხობის გაკილვა გვარდიელმა მუშამ.

— თქვენი მოქმედებისა და ბრძოლის შედეგი აი, ეს არის, რაც დღეს აქ ხდება. — წაეშველა ჯარისკაცს ის მუშა, რომელმაც განაცხადა: „შეხედეთ, ჟორდანია რა დღეში არისო!“

— ამხანაგო, დემაგოგიას თავი გაანებე. დარდი ნუ გაქვს, ბოლშევიკებს ჩვენ კარგად ვიცნობთ. მათ სურთ რუსეთი საქართველოს კისერზე დააჯინონ და ჩვენი ქვეყანა — ტულის გუბერნიად აქციონ. — მიუგო, ნამდვილად დემაგოგიის მოყვარულმა, გვარდიელმა მუშას.

— შე კაი კაცო, — დაიწყო ეხლა გიგამ, — ჟორდანია, ამ ოცი წლის განმავლობაში, სულ იმას გაიძახოდა: საქართველო რუსეთს არ უნდა გამოეყოსო. საქართველოს ხალხის ბედი რუსეთის ხალხის ბედთან მჭიდროდ არის დაკავშირებულიო. ის კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიის წინააღმდეგ ილაშქრებდა. ეხლა კი — ისტორიულ და ეთნოგრაფიულ პრინციპს იცავს იმისთვის, რომ დაამტკიცოს: რუსეთი თავისი ისტორიული გზით მიდის, საქართველო კიდევ — თავისი საკუთარითო და საქართველოს ინგლისთან შეერთებას მხარს უჭერს. განა სოციალისტის და დემოკრატის გზა ასეთი უნდა იყოს?

— ბრმა ყოფილხარ, ბიძია. განა ვერ ხედავ ახლა რუსეთში რა ანარქია და რეაქცია მძვინვარებს? ასეთ რუსეთთან რა საერთო უნდა ჰქონდეს ნამდვილ სოციალისტს და დემოკრატს! — განრისხდა გვარდიელი.

— ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეიგნოთ, რომ ბოლშევიზმი რევოლუცია არის და არა ანარქია! ვითომ ბოლშევიკებზე უკეთესი სოციალისტები და დემოკრატები თქვენა ბრძანდებით? საქმე ის არის რომ თქვენ — მენშე-

ვიკები ბურჟუაზიულ დემოკრატიას უჭერთ მხარს, ბოლშევიკები კი — პროლეტარულს. — შენიშნა მუშამ. გიგამ დასკვნა გამოიტანა:

— რა გასაკვირია, ამის შემდეგ, ჟორდანია დღეს თუ კაპიტალისტური და იმპერიალისტური გენერლების გვერდით დგას!?

— წადით, დაიკარგეთ აქედან, თორემ აქვე დაგაპატიმრებთ. — იყვირა გვარდიელმა და ამ მუშას და გიგა ნახუცრიშვილს თვალები დაუბრიალა. იგი მენშევიკი იყო, პარტიული, ჟორდანიას თაყვანისმცემელი, რომელსაც თავისი ბელადის ყოველი მოსაზრება და შეხედულება ურყევ დებულებად მიაჩნდა და უკრიტიკოდ იღებდა. ჟორდანია კი, ისეთ მოსაზრებას და შეხედულებას, თუ ის მენშევიკური არ იყო და პირადათ მას არ ეკუთვნოდა, ვერ იტანდა. თვითეულ პარტიის წევრს ისე უნდა ეფიქრნა, ეაზროვნა და ელაპარაკნა, როგორც მას. მენშევიკურ პარტიაში პირადი რეჟიმი დიდად იყო გამეფებული და ვინც ამ რეჟიმს არ დაემორჩილებოდა, ჟორდანია თავის ავტორიტეტს მიჰმართავდა, ამხანაგებში ნდობას და პატივისცემას დაუკარგავდა, ენამწარედ გაჰკილავდა, გააშავებდა და პარტიიდან გააძევებდა. ამ ნიადაგზე, ჟორდანიას გარშემო მლიქვნელნი, თვალთმაქცნი, მედროვენი და მუქთახორები მომრავლდნენ. მან თავისი ფავორიტები გაიჩინა და პარტიაში კამარილია გამეფდა. გვარდიელი—მენშევიკური ყველა უარყოფითი თვისებებით შეპყრობილი პარტიული იყო და ამიტომ ჟორდანიას დებულებათა საწინააღმდეგო მოსაზრებანი რომ გაიგონა, საშინლად აღშფოთდა, ვერ აიტანა და იმ მოსაზრებათა ავტორების დაპატიმრება განიზრახა, მაგრამ მუშას და გიგას ჯარისკაცები გამოესარჩლნენ. შეიქნა მიწევმოწევა, ჩხუბი და ალიაქოთი.

ამ დროს ცხენზე მჯდარმა პოლკოვნიკმა — ჯიბო მაყაშვილმა ლეგიონს ჩამოუარა და მოჩხუბარ ხალხში ჩარეული თავისი ჯარისკაცები რომ დაინახა, იქითკენ წავიდა, ცხენი შეაყენა, კორნელის თავი მოაწონა და ჯარისკაცებს უყვირა:

— რა ამბავში ხართ? მწკრივიდან რად გამოსულხართ? წადით, დადექით! ლეიტენანტო, დასაჯეთ ესენი!

— რას გვემართლებით? — შეუტიეს ჯარისკაცებმა. პოლკოვნიკმა ერთ ჯარისკაცთან ცხენი უხეიროდ მიაგდო და დატუქსა:

— ხმა ჩაიწყვიტე...

აღელვებულმა ჯარისკაცმა ცხენს აღვირში ხელი წაავლო და ლეგიონის უფროსს უხეშად უთხრა:

— გაიარეთ. რას გვაჯირგალებ!

— ხელი გაუშვი აღვირს, — უყვირა მას პოლკოვნიკმა და მათრახი შემართა. მაშინ ჯარისკაცმა შაშხანა გადმოიღო და...

მოჭიდავის მსგავსმა, ახოვანმა გვარდიელმა მოასწრო, მაუზერი მკერდზე დაადო და დაემუქრა:

— შაშხანა დააყენე, თორემ ძაღლსავით დაგაგდებ. შე პირძაღლო, აჯანყებას გვიწყობ, ამ სახალხო ზეიმის დროს!? წაართვით შაშხანა!

მაუზერიანი გვარდიელები მისცვივდნენ და ჯარისკაცი სადღაც გააპარეს.

პოლკოვნიკი სახტად დარჩა. ერთმა გვარდიელმა მის ცხენს აღვირში ხელი მოჰკიდა. ჯიბო ჯარიდან გაიყვანა და უთხრა:

— ცოტა ხანს მოშორდით აქაურობას, პოლკოვნიკო.

პოლკოვნიკმა ცხენი აღმართისაკენ წაიყვანა.

— ეს შეტაკება და უსიამოვნება ერთ წუთში მოხდა და მთავრობას და უცხოურ სტუმრებს იგი არ შეუმჩნევიათ.

„ჰერი-ჰა. ეხლა უფრო მეტი ფესვები გაუდგამთ ბოლშევიკებს ჯარსა და ხალხში. ნეტავი ვიცოდე, გიგა ბოლშევიკია თუ არა?“ — გაიფიქრა კორნელიმ და გიგას შეეკითხა:

— ბიჭო, შენ ბოლშევიკი ხარ?

— ბოლშევიკიც რომ არ ვიყო, ამ უმსგავსოებას მხარს მაინც არ დავუჭერდი. — მიუგო გიგამ. — ტრიბუნიდან ჩამოსულ და კარავთან მოსაუბრე ჟორდანიას, მის მინისტრებს და ინგლისელ გენერლებს გაჰხედა და დასძინა:

— ხომ ხედავთ: ჟორდანიამ საქართველო ინგლისელებს მიჰყიდა.

— კაცო, ასე რად აუხირდი ინგლისელებს! — შენიშნა კუკური ზარანდიამ. — შეხედე, როგორ ამაყად დგანან. საქართველოსაც ჰქონდა თავისი ოქროს ხანა და იმდროინდელ ქართველებსაც, ალბათ, ინგლისელებსავით ეროვნული სიამაყე ახასიათებდათ, მაგრამ სადღაა ეხლა ის ძლიერი საქართველო, ან მისი მუდმივი მტრები: არაბეთი, სპარსეთი, რომი? — უმალვე გაიელვა მწარე აწმყოზე ფიქრმა და უკეთეს მერმისში შეეჭვებამ უძველესი ტომის ნაშიერის გონებაში.

თეთრ პიჯაკში სუფთად გამოწყობილი, ქერა და სახეალანძული მასწავლებელი-პატრიოტი საშინლად აღელდა და შევარდენის ტანსაცმელში გამოწყობილ ზარანდიას, კორნელის და გიგა ნახუცრიშვილს უთხრა:

— მეგობრებო, საქართველო ახალშენი არ გახლავს. საქართველო მოწინავე და კულტურული ქვეყანა იყო ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ინგლისს კულტურაზე არავითარი წარმოდგენა არ გააჩნდა...

კორნელიმ დამცინავის ღიმილით გადახედა პატარა, კაფანდარა კაცს და მიუგო:

— ეგ სისულელეა! ასეთი პატრიოტიზმით შორს ვერ წავა საქართველო.

ისევ ილია ჭავჭავაძის სიტყვები მოაგონდა:

„მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...“

მერმე ფიქრში წასულმა, გზის პირას გაშლილ კარვებს და მთის კალთას ნაღვლიანად გაჰხედა.

*
* *

პოლკოვნიკს — ჯიბო მაყაშვილს ცხენი ნაბიჯით მიჰყავდა.

შერცხვენილი, თავმოჭრილი და იხტიბარგატეხილი პოლკოვნიკი ბოღმისგან გულზე გასივებულიყო და ასე ფიქრობდა: „იმ თავხედ ჯარისკაცს თავ ხმლით რად არ წავაგდებინე? წავაგდებინებდი კიდეც, მაგრამ, ასეთი სახალხო ზეიმის დროს, ეს მარტოკა იმ ჯარისკაცის თავის მოჭრა კი არ იქნებოდა, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნისა. სწორედ ამან შემაჩერა. ვინ იყო ნეტავ ის ვერანა ჯარისკაცი? ალბათ — ბოლშევიკი. ვაი, სირცხვილო, სირცხვილო! რა კომანდირი ვარ მე ახლა, ასეთი შეურაცყოფის შემდეგ! როგორ მივიდე

ისევ ჩემს ლეგიონში?“—სწუხდა პოლკოვნიკი. ხალხით გაჭედილ მოედ ფერდობზე ცხენი შეაყენა და ადიუტანტს თავისი თანაშემწე ახმობინა. ცხენს ყურებზე დააშტერდა. არ მოეწონა, ცხენი რომ ყურებს სცქვეტდა, წამდაუწუმ ატრიალებდა, წინ ფეხებს აბაკუნებდა და ცმუტავდა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ ცხენი ერთ ადგილას აღარ გაჩერდებოდა. პოლკოვნიკმა აღვირი მოსწია. „ღმერთმა დასწყევლოს შენი ჯილაგი — გაუბრაზდა ცხენს პოლკოვნიკი, — მარჯვნივ რომ დავაპირებ წაყვანას, იგი თავს მარცხნივ მოიღრეცს და ეშმაკებისაკენ მიიწევს. ტრიალებს, ერთ ადგილას არ დგება, ვინ შემომაჩეჩა ეს გაუხედნელი, ურა ცხენი? ეს სამგლე, ვერ დავიურვე. ჯარისკაცს დაეტაკა, ფეხი დაადგა და ჯარისკაცმა იმიტომ მიყვირა: გაიარეთ, რას გვაჯირგალებთო. რომელი ცხენოსანი მე ვიყავი, ქვეითი ჯარის ოფიცერი რომ ამ ურა ცხენზე შევჯექი! ახია ჩემზე“. — ჯარისკაცს ვერ მოერია და ცხენს დაუწყო საყვედური, პოლკოვნიკმა. მერმე კორნელი მოაგონდა და ეწყინა: „რა უბედურებაა, ის მეტიჩარა რომ ყველგან გამოეჩრებაო“. ხალხთან და ჯართან ცხენის მიყვანას ვერ ბედავდა. მამაცი პოლკოვნიკი ყბადაღებულ ცხენს ბრალს სდებდა და ასე ეგონა — ამით შედრკომა, შერცხვენა და თავის მოჭრა შეუმსუბუქდებოდა. ბოლოს თანაშემწეც მოვიდა. გზაზე გავიდნენ; პოლკოვნიკი ცხენიდან ჩამოხტა, აღვირი ადიუტანტს მიუგდო და თანაშემწეს უთხრა:

— აქ დამიცადე და სარდლის განკარგულებას შეგატყობინებ. მე ვფიქრობ — ლეგიონის ყაზარმაში წაყვანაზე რომ დამთანხმდებოდეს, აჯობებს.

— რა თქმა უნდა. აკი ვამბობდი, ჯარში ნამსახური ჯარისკაცები წავიყვანოთ, მეთქი ზეიმზე, ჩვენ კი — მთელი ლეგიონი მოვიყვანეთ. ლეგიონში ნახევარზე მეტი, ახლად მოსული ავარები და გაგრიებია და, ღმერთმა იცის, რას გააკეთებენ?! — მიუგო თანაშემწემ.

— თავი გამანებე — შენიშნა პოლკოვნიკმა, — არც ახლად მოსული და არც ის თქვენი ჯარში ნამსახური, ძველი ჯარისკაცები ვარგან. ძველი ჯარისკაცი არ იყო ის ვერანა — შაშხანით რომ დამემუქრა!? — ჩაიქნია ხელი პოლკოვნიკმა და კარავისაკენ გასწია.

დიდი კარავის წინ, ჩრდილში სამხედრო მინისტრი, იუსტიციის მინისტრი, ვექილი ესტატე მაყაშვილი, სენატორი — დადვაძე, ქართველი მხედრები და ოფიცრები იდგნენ და საუბრობდნენ. პოლკოვნიკმა ჯიბო მაყაშვილმა კარავიდან გენერალი კვინიტაძე გამოიხმო და ჩუმად უთხრა:

— ბატონო გენერალო, ჩემს ლეგიონს დილით არაფერი არ უჭამია, ჯარისკაცები დაიქანცნენ. ნება მიბოძეთ, ყაზარმაში წავიყვანო.

თეთრ ჩოხაში გამოწყობილმა, ჩიატანის შავწვერა გენერალმა, გაკვირვებით შეხედა პოლკოვნიკს და მიუგო:

— დედაკაცები და ბალღები არ დაქანცულან და ჯარისკაცებს რა ღმერთი გაუწყრათ? — ჯარისკაცები რომ უჭმელი იყვნენ, ამაზე გენერალს პასუხი არ გაუცია.

პოლკოვნიკი აღარ დაერიდა და პირდაპირ უთხრა:

— ბატონო გენერალო, ჩემს ლეგიონში ბოლშევიკებიც ყოფილან. ეს ცდათ უჭირავთ თავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

Библиотека

44009 3830

გენერალმა მიიხედმოიხედა. პოლკოვნიკი გვერდზე გაიხმო და წყნარად უთხრა:

— შე კაი კაცო, თქვენს ლეგიონში თუ ბოლშევიკები და ბრესაიმედო ჯარისკაცები იყვნენ, ეს ადრევე უნდა გცოდნოდათ და დაგეტოგებინათ ისინი იქ — ყაზარმაში. — თითქო გენერალმა არ იცოდა, ჯარში რომ ბოლშევიკები იყვნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენერლის შენიშვნა არ ესიამოვნა პოლკოვნიკს. „შუბლზე ხომ არ აწერიათო“ — გაიფიქრა, მაგრამ მორიდებით მიუგო:

— ამდენხანს კარგად ეჭირათ თავი, ბატონო გენერალო. ვერაფერს ვერ ვამჩნევდი. ეხლა კი — ჟორდანიას სიტყვა რომ მოისმინეს და ინგლისელი გენერლები დაინახეს, ერთთავად გაგიჟდნენ, გვარდიელებს მისცივდნენ და მთავრობის გინება დაიწყეს. მეშინია: ცუდი რამ არ გააკეთონ...

გენერალი გაფითრდა. პოლკოვნიკს ტუჩზე ხელი კინაღამ არ მიაფარა: გაჩუმდიო. მთავრობის კარავს, ელვის სისწრაფით, თვალი მოავლო, მერმე ცალი წარბი ასზიდა. პოლკოვნიკს ჩქარი და ჩუმი ხმით უთხრა და უბრძანა:

— ჟორდანიამ და რამიშვილმა ეს ამბავი რომ გაიგონ, თქვენცა და მეც ტყავს გაგვაძრობენ... უმალვე დააწყვეთ თქვენი ლეგიონი და ყველანი ყაზარმაში წაიყვანეთ... მოაშორეთ. გარეკეთ აქედან!

— მესმის! — მიუგო პოლკოვნიკმა. ხელით მხედრული სალამი მისცა. ჯარისკაცივით შეტრიალდა და წავიდა.

ესტატე მაყაშვილი გენერალ კვინიტაძესთან მივიდა და შეეკითხა:

— ჩემი ძმა რაზე გელაპარაკებოდათ?

— არაფერზე. ლეგიონის შესახებ. არ იქნება კაცო, არ იქნება, ათასჯერ მითქვამს და ეხლაც ვიმეორებ: ბოლშევიკების მოსვენება, არ იქნება! ეხლა ჯარშიაც შეუგზავნიათ აგენტები.

— რასა ბრძანებთ? — გაოცდა ესტატე.

— არავისთან არ წამოგცდეთ, ამ ზეიმის დროს. — შეეხვეწა გენერალი.

კარავში

მთავრობისათვის მიჩნეულ კარავში, გრძელი სუფრა იყო გაშლილი და ირგვლივ თეთრ კოსტუმში გამოწყობილი, ჰალსტუკიანი ოფიციანტები ტრიალებდნენ. სუფრაზე ხიზილალა, კარაქი, თხლად დაჭრილი ზუთხი, ვეტჩინა და ცოცხალი ეწყო. ლანგარები, ვაზები, მაღალყელიანი ბროლის ჭიქები, სურები, ვერცხლის დანა-ჩანგალი და სხვა ძვირფასი ჭურჭლები მეფის ნაცვალის სასახლიდან მოეტანათ. მწვანილი, ხილი და ლარნაკებში ჩადგმული თაიგულები სუფრას ალამაზებდნენ და ეშხს ჰმატებდნენ.

საგარეო საქმეთა მინისტრი — ევგენი გეგეჭკორი ბრიტანეთის ჯარების სარდალთან — კორთან, გენერალ ბიჩთან, უოკერთან მივიდა და ისინი და სხვა სტუმრებიც საუზმეზე მიიპატიჟა.

გენერალებს, პოლკოვნიკ სანდერსს, პოლკოვნიკ ბელეს და კაპიტან ხენტს, ვარდო მაყაშვილი და მაღალი წრის თავადი ქალები თაიგულებით გაჰყვნენ. შემდეგ — ქართველი გენერლები: ოდიშელიძე, კვინიტაძე, გაბაშვილი, სუმბათაშვილი, ინტერპრეტატორი — პოლკოვნიკი მელიქოვი და მაჭავარიანი.

ჟორდანია და მისი მინისტრები უკვე კარავში იყვნენ და უცხოურ სტუმრებს ღიმილით მიეგებნენ.

ქართველთა სტუმართმოყვარეობა ინგლისელებს ადრევე ჰქონდათ გაგონილი და ამიტომ გაშლილი სუფრა და საყინულედან ამოღებული ბროლის

გაორთქლილი სურები და შამპანიური ბოთლები არ გაჰკვირვებიათ. ამდენხანს ქალაქს გარედ, მზეზე და სუფთა ჰაერზე იდგნენ და მათაც მოშივდათ და მოსწყურდათ. თავპატიჟი არ გაუდვიათ: პირდაპირ სუფრას მიუსხდნენ, დანაყრდნენ, შამპანიური ზედიზედ გადაჰკრეს და უცხო ეზოს ლაბორატორიას მოჰყვნენ.

გეგეჭკორი გათამამდა. ორდენებით მკერდმოხატულ სარდალს — კორს მიჰმართა:

— ჩვენი რესპუბლიკის მზემ ხომ არ შეგაწუხათ, ბატონო გენერალო?

ვიკტორიას ორდენის კავალერმა, გორდონის მთიელთა ბრიგადის გენერალმა არწივივით გადმოხედა გეგეჭკორს, საგარეო საქმეთა მინისტრის ორაზროვანი შეკითხვა არ მოეწონა და ამაყად მიუგო:

— როგორც მოგეხსენებათ, ბრიტანეთს, მზიან საქართველოზე უფრო მხურვალე ქვეყნებიც გააჩნია.

გეგეჭკორმა გაუბედავად აჰხედა მაღალ, ტანადსა და მწითურ გენერალს. „ჩემი შეკითხვა ხომ არ ეწყინაო", — იფიქრა და, ოდიშის თავადთა და აზნაურთა ნაშიერი, ამაყ ბრიტანელ მხედარს შეედავა:

— ინდოეთის, აფრიკის და უდაბნოთა ტროპიული მზისაგან საქართველოს მთის მზე, მაინც დიდად განსხვავდება.

— ბრიტანეთისათვის მთა და ბარი, ზღვა და ხმელეთიც ნაცნობია. — მიუგო კორმა, ცალი ხელით დოინჯი შემოიდგა, ხოლო მეორეთი შამპანიურით სავსე მაღალი ჭიქა აიღო, ნელინელ მოსვა და ცისფერი, ბასრი თვალები ისე თავხედად და ამაყად შეანათა გეგეჭკორს, თითქო ეუბნება: მთელი დედამიწა ერთი მთლიანი სახელმწიფოა და ამ სახელმწიფოს ბატონპატრონი და მბრძანებელი თვითმპყრობელი კუნძული — ბრიტანეთი და ბრიტანეთის მკვიდრნი არიანო.

— ჩვენ ქვეყანას კი ეხლა ეცნობა ბრიტანეთი, ბატონო გენერალო. თქვეს მალე დარწმუნდებით, რომ საქართველო მაინც სხვა ქვეყანაა: რაინდი, კეთილშობილი და სამართლიანი. — არ ეშვებოდა კორს გეგეჭკორი.

„რას ჩააცივდიო", — წყენით გაიფიქრა ჟორდანიამ, მაგრამ კორმა ლმობიერად მიუგო ეხლა გეგეჭკორს:

— რაც უფრო ვეცნობი მე თქვენს სამშობლოს, მით უფრო მომწონს იგი. თქვენი ქვეყანა, მართლაც კარგია. იგი უფრო კარგი იქნება, დიდ ბრიტანეთს თუ კეთილის სურვილით მიენდობა.

— დაახლოებით ასეთი აზრი გავატარე მე მთავრობის თავმჯდომარესთან — ბატონ პრეზიდენტთან საუბრის დროს. — უთხრა კორს გენერალმა უოკერმა. მერმე ჟორდანიას შეხედა და პათეთიურად დასძინა: — მთავარია საქართველოს მთავრობა და ხალხი გვენდოს ჩვენ და დარწმუნდეს იმაში, რომ სადაც არ უნდა ჩნდებოდეს ინგლისის დროშა, იგი თავისუფლებისა, მშვიდობიანობისა და საყოველთაო კეთილდღეობისათვის ფრიალებს.

ჟორდანია მაშინვე ფეხქვეშ გაეგო გენერალ უოკერს და საგარეო საქმეთა მინისტრსაც ბოდიში მოჰხადა:

— აკი გითხარით, და ეხლაც გიმეორებთ, რომ მთელი ჩემი მოღვაწეობა, როგორც სახელმწიფოებრივი, ისე პუბლიცისტური, — მიმართული იყო ინგლისის სასარგებლოდ. ვიმეორებ, რომ ჩემი სიმპატიები არ შეცვლილა ომის დროს, არც ახლა. რაც შეეხება საგარეო მინისტრს, ჩვენი საგარეო პოლი-

ტიკის ხელმძღვანელს, მისი მოღვაწეობა და შეხედულებანი, როგორც შეთანხმების სახელმწიფოს გულწრფელი მომხრესი, არასოდეს [illegible] ყოფილა დაფარული და ყველამ კარგად უწყის.

„შარვალი ჩაგვხადესო“, — ცინიკურად გაიფიქრა რამიშვილმა, ინგლისელ გენერლებს მიჰმართა და ჟორდანიას სიტყვას კვერი დაჰკრა:

— ამ საკითხში არ შეიძლება არავითარი ეჭვის შეტანა.

ევგენი გეგეჭკორი კი — ყოველივე ამას სულგანაბული ისმენდა და, მეტის-მეტ სიამოვნების გამო, მსუქანი ქვედა ტუჩი დამბლადაცემულივით ჩამოუვარდა. მასხრობა საქმე ხომ არ იყო: მენშევიკების ბელადი ჩინებულ დახასიათებას აძლევდა თავისთავსა და მას!

— თუ საქართველო მართლა გულწრფელად მომხრე იქნება ინგლისისა, დიდათ მოიგებს. — განუცხადა ჟორდანიას, გეგეჭკორსა და რამიშვილს გენერალმა კორმა.

— ჩვენ და მთელი საქართველო მთლიანად მივდივართ ინგლისთან მჭიდრო კავშირის გზით. — მიუგო გეგეჭკორმა და ჟორდანიას შეხედა, ხომ არ გადავამლაშეო, მაგრამ ჟორდანიამ, თანხმობის ნიშნად, თავი დაუქნია და ამის გამო წაქეზებულმა მინისტრმა, ინგლისისა და საქართველოს კავშირისათვის, დიდის რიხით სადღეგრძელო წარმოსთქვა. მერმე, მოულოდნელად, ინგლისელ გენერლებს ვაჭრობა დაუწყო:

— თქვენ მდიდარი ქვეყანა ხართ. ჩვენ კი — ღარიბი. ჩვენ ფინანსიური დახმარება გვეჭირვება.

— თქვენ ქვეყანაში არსებული სოციალიზაციის გამო, მოკავშირეთა კაპიტალი აქ არ მოვა. — შენიშნა, ცუდი ინფორმაციით შეცდომაში შესულმა, უოკერმა.

ჟორდანიამ მაშინვე მიახარა:

— სოციალიზაცია არ ვრცელდება სამრეწველო და სავაჭრო წამოწყებებზე. ეს ჩვენში არ არის.

— ჩვენ არა გვაქვს ამის მტკიცე რწმენა. — ისევ შენიშნა უოკერმა.

ჟორდანიამ იწყინა და მტკიცედ მიუგო:

— უნდა გქონდეთ. სხვანაირად ჩვენ ბოლშევიკები ვიქნებოდით და არა საქართველო.

გენერალმა ბიჩმა აღელვება შეატყო ჟორდანიას, დრო შეურჩია და საკითხი პირდაპირ დაუყენა:

— თუ ეს ასე არის: თუ თქვენ მართლაც ბოლშევიკებს ებრძვით და ინგლისთან კავშირის მომხრენი ხართ, — შეუთანხმდით დენიკინს, რომელიც ბოლშევიზმს ებრძვის. მაშინ ევროპაში და ინგლისში იტყვიან, რომ პატარა საქართველომ, რომელმაც ასე ბევრი დაჰკარგა და დაიტანჯა სოჭის საკითხში, იმდენად გამოიჩინა თავი, რომ ბოლშევიკებთან ბრძოლის გულისათვის მსხვერპლი მიიტანა, შეუთანხმდა რა მოხალისეთა ლაშქარს და ამით დენიკინს შესაძლებლობა მისცა, შავი ზღვის ნაპირებიდან, დიდი ძალები ბოლშევიკურ ფრონტზე გადაესროლა. — ჯარისკაცივით მოიქნია ხმალი მამაცმა გენერალმა და ხმლის ერთის მოქნევით მოსჭრა მთავარი საკითხი. მაგრამ საქართველოს მთავრობის წევრებს დაბნეულობა შეამჩნია, და ლმობიერად დასძინა:

— მე ამას გირჩევთ, როგორც საქართველოს მეგობარი.

— გმადლობთ, ჩვენდამი თქვენს კეთილგანწყობილებაში, ჩვენ ადრევე დავრწმუნდით და ეხლაც დარწმუნებული ვართ. მაგრამ თუ ჩვენ ნაკლებ დათმობას და მსხვერპლს გავიღებთ, მაშინ იგი გაღებული უნდა იყოს ინგლისელების მხრივაც. — მიუგო ჟორდანიამ.

— რა თქმა უნდა. ამის შესახებ ჩვენ კიდევ მოვილაპარაკებთ. მე ვფიქრობ ყოველივე სასურველად დამთავრდება. — განაცხადა კორმა და ამ საგანზე საუბარი უმალვე შესწყვიტა, ვინაიდან ჟორდანიასთან და ინგლისელ გენერლებთან ჯერ იუსტიციის მინისტრი, ვექილი ესტატე მაყაშვილი და სენატორი დადვაძე მოვიდნენ და მერმე კი — ჟურნალისტები: ერემო გოდებანიძე, გენადი ქადაგიშვილი და სხვანი. ჟორდანიამ უკმაყოფილების ნიშნად, მხრები ისევ აიჩეჩა და გაიფიქრა: „ინგლისელ გენერლებთან საქვეყნო საქმეს ვაგვარებთ და ეს უზრდელები პირში რად გვეჩრებიანო!“

კორმა თავი ასწია და სუფრის ბოლოს ჩხეიძე შენიშნა. ჩხეიძე — ლენინგრადელ მოხუც პროფესორს მადლობას უხდიდა, ქართულ უნივერსიტეტში მუშაობაზე თანხმობის განცხადებისა და ანტიკური ლიტერატურის კათედრის ჩაბარებისათვის. პროფესორს ცისფერი ბასრი თვალები ჰქონდა, მძაფრად გამოკვეთილი მოგრძო სახე და ინგლისელს ჰგავდა. ჩხეიძე მთავრობის წევრებისა და ინგლისელი გენერლების საუბრის დროს ადგილიდან არ ამდგარა. იქვე კაკი წერეთელი იჯდა და იგი კი მოსკოვის სამხატვრო თეატრის ცნობილ მსახიობ ქალს — გერმანოვას ართობდა და უმასპინძლდებოდა. არც წერეთელს მიუღია მონაწილეობა ინგლისელ გენერლებთან საუბარში. თითქო ჩხეიძეს და წერეთელს სამშობლოს ბედიღბალი არ აინტერესებდათ და რუსეთიდან საქართველოში ჩამოსული მსახიობი ქალის — გერმანოვასაებრ გასტროლიორები ყოფილიყვნენ.

ახოვანი, მკერდგანიერი და ეშხიანი ქალი ინაზებოდა და, თებერვლის რევოლუციის ტრიბუნსა და „ოქროპირს“ ჭკვიანსა და დიდრონ შავ თვალებში ბედნიერი ღიმილით, შესცქეროდა. კარავის კუთხეში მდგარი ქალები შურით და აღტაცებით უცქერდნენ მათ და მაშინვე ხმა დაარხიეს: წერეთელს და გერმანოვას ერთმანეთი უყვართო. ეს ხმა მართალი გამოდგა. მოსკოვის სამხატვრო თეატრის მთელი შემადგენლობა ამჟამად თბილისში იმყოფებოდა და წერეთელი არც ერთ სპექტაკლს არ სტოვებდა უნახავს. საბჭოთა რუსეთიდან გამოძევებულს, მისთვის საყვარელი, ძველი და აზნაურული რუსეთი სამხატვრო თეატრმა მოსკოვიდან თითქო თბილისში ჩამოუტანაო და რევოლუციით იმედგაცრუებული ოქროპირი ეხლა ოსტროვსკის, ჩეხოვის და დოსტოევსკის დროინდელი რუსეთით ყოველდღე ტკბებოდა და ერთობოდა.

ყოველი სპექტაკლის შემდეგ გერმანოვას თაიგულს უგზავნიდა და ვაშხმად ჰპატიჟებდა. ძალიან მოსწონდა ამ ნიჭიერი მსახიობი ქალის თამაში. განსაკუთრებით ძმები „კარამაზოვებში“ — გრუშენსკას როლის შესრულება მოსწონდა.

— თქვენ, გრუშენკას ჭეშმარიტი განსახიერება ხართ. — ეუბნებოდა ეხლა წერთელი გერმანოვას. — ხორცსავსე, დოვლათიანი და, ამავ დროს, მოქნილი და რბილი სხეულის დაოკებული მიხვრა-მოხვრა, კატისებური უჩუმარი სიარული, თავდაჭერილი, გამიზნული და შემპარავი ღიმილი, უცნაურ თვალთა ვნების აღმძვრელი გამოხედვა, რუსული უტკბილესი სიმღერის მსგავსი

ხმა და ლაპარაკი, ჯანმრთელი ქალის თეთრი ფერხორცი, წენ წამოზიდული ყბა და წითელი მსუქანი ქვედა ტუჩი, წარმტაცი ხელი, [illegible] კუთრებით კი — ნეკი და ბოლოს: უეცარი და ნაპირგადასული უტიფარი სიცილი, რომლის დროსაც, მთის ჩანჩქერების ქაფზე უთეთრესი კბილები, საამო ხახა და ბროწეულის ყვავილისფერი პატარა ენა მოსჩანს და თრთის. აი, თქვენი გრუშენკა. არა, თქვენ კი არა — თვით დოსტოევსკისა. — ეუბნებოდა გერმანოვას, მისი ეშხით, ნიჭით და ლაზათით მოჯადოებული წერეთელი ყრუ, იდუმალის და გულითადის ხმით და ეხლა თვითონვე ჰგავდა მაცდურ და მეძავ გრუშენკას მიერ მოჯადოებულ მორცხვსა და ქალთა საკითხში გამოუცდელ, მწირსა და არიფ ჭაბუკს — ალიოშას. გერმანოვა გრძნობდა ამას და ისიც იცინოდა ისეთივე ნაპირგადასული და ბედნიერი სიცილით, როგორც ალიოშაზე გამარჯვებული გრუშენკა. აი, როგორ ერთობოდა რუს მსახიობ ქალთან — გერმანოვასთან თებერვლის რევოლუციის ყოფილი მებაირაღტრე, საბჭოთა რუსეთიდან გამოძევებული და ეხლა კი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გასტროლიორი. ასეთია არამკითხე რევოლუციონერის, რევოლუციაში შეეჭვებულის და ამიტომ რევოლუციის მიერ გარიყული, უნებისყოფო ინტელიგენტის ბედი. ეხლა წერეთელი და გერმანოვას ქალიც ევროპის გასტროლიორები არიან.

შევარდნები

მთავრობის წევრები და უცხოური სტუმრები, შევარდნების ვარჯიშობის საცქერლად, კარავიდან გარეთ გამოვიდნენ. ისინი გრძელ სკამებზე დასხდნენ.

ეხლა მზე უფრო სასტიკად აჭერდა და ადიუტანტებმა ინგლისელ გენერლებს ჭილის ქუდები — ფართოყალმიანი პანამები მოუტანეს.

ღრუბელთა სპეტაკი, თეთრი და ვეება ქულების გროვები — მახათას, სამგორისა და კახეთის მთების გადალმა — სარკესავით სუფთა და ლურჯი ცის ტატნობზე მიჯარულიყვნენ. ცხელი ჰაერი მაღლა ისწრაფოდა, გრილი კი ეთერის ქვედა ფენებისაკენ. აორთქლებული ღრუბლების გუნდებს აღწევდნენ, ჰკუმშავდნენ, აცივებდნენ და ტყვიის ფერით ჰმოსავდნენ. ღრუბლები ნელა იზიდებოდნენ, ერთმანეთს ზანტად ეხუტებოდნენ და ცასა და დედამიწას შორის ფარივით დგებოდნენ. ეხლა ღრუბლები მზის სხივებს გარესკნელისაკენ აღარ ატარებდნენ. და ჰაერი კიდევ უფრო დაიხუთა. სიცხე აუტანელი გახდა. ცა — მხოლოდ წყნეთის, მამადავითის და კოჯრის მთისკენ იყო ისევ მოწმენდილი. დედამიწას და ქალაქს იდუმალი რაღაც მყუდროება მოეფინა. უძრავ სიჩუმეში, ყოველი ხმაური, ბგერა და ხმა ზარასაებრ ისმოდა, რეკავდა: გამყიდველთა შეძახილი, ბავშვთა და ყმაწვილთა ყვირილი, ჰაერში მონავარდე მერცხლების ჟივილი....

უცბად, ამ უმძაფრეს სიჩუმეში, ლითონივით აჟღერებული, მჭექარი და გამყივანი ხმა გაისმა:

— ნაბიჯით, იარ! — ეს „შევარდენის“ უფროსი — გურგენი იყო.

ოთხასი მოვარჯიშე სტადიონზე ისეთი ჩქარი ნაბიჯით წამოვიდა, თითქო შევარდნები მოფრინავენო და როცა გადაჯგუფდნენ და მოედანზე დალაგდნენ, გურგენი სავარჯიშო მაგიდაზე შეხტა, და აქედან დაიძახა:

— სმენა. მარჯვნივ გაიჭერ!

შევარდნები სტადიონზე გაიშალნენ და, ჭადრაკის დაფის სისწორით და სიმეტრიით, ოთხკუთხედად დადგნენ.

ორკესტრმა საამური ჰანგი დაუკრა და ოთხასმა ქალ-ვაჟმა ერთ ხელად, მასიური ვარჯიშობა დაიწყო. ჯერ უიარაღოდ, მერმე კი — ჯოხებითა და გურზებით.

ამას უფრო საზრიანი, ლამაზი და ხატოვანი ვარჯიშობა მოჰყვა.

მერმე დარჩეულმა ჭაბუკებმა და ქალებმა რთული და მრავალნაირი პირამიდები გააკეთეს.

უკანასკნელი პირამიდის დროს, მოვარჯიშენი ხუთსართულად მოიქცნენ. მათი სხეულების მეხუთე სართულზე გიორგი, კუკური, კორნელი, სანდრო და კიდევ ორი ჭაბუკი ავიდა. ამ ჭაბუკების გადაჭდობილ მკლავებზე — ბაქანზე, გერკულესივით ახოვანი და კუნთებდაგრაგნილი მოვარჯიშე — მიტო და, მასთან შედარებით ჩია ტანის, დათაც ავიდა და მიტოს გვერდით დადგა. მიტომ დათას ხელები ხელებში ჩასჭიდა, ადგილიდან დასძრა, მაღლა ჰაერში ბურთივით შეისროლა და მხრებზე შეისვა. ახოვანი ჭაბუკის ცისკენ ატოტებულ ხელებზე — ხელის გულებზე დათა დაებჯინა, აიმართა და წინშვერიდან სუფთად და მსუბუქად ყირა გააკეთა. მთის კალთისა და დასავლეთით მოწმენდილ ცის ფონზე პირამიდა ლამაზად აიხატა. ხალხს მოეწონა და მოვარჯიშენი ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვა.

პირამიდებს იარაღებზე ვარჯიშობა მოჰყვა.

წურთნელთა ჯგუფის გამოსვლას ყველანი მოუთმენლად ელოდნენ. მათი ვარჯიშობა „შევარდენის“ დღევანდელი გამოსვლის გვირგვინი იყო.

ოცდა ოთხი დარჩეული ვაჟკაცი გურგენმა ჩქარი, მსუბუქი და ფრთაშესხმული ნაბიჯით სავარჯიშო იარაღებისაკენ წამოიყვანა. წურთნელები სამ ჯგუფად დაჰყო, თვითეულ ჯგუფში — რვა კაცი დააყენა; პირველი ჯგუფი, ორძელთან დადგა, მეორე — ღერძთან და მესამე კი — ხარიხასთან.

პირველი ჯგუფი, რომელშიაც კორნელი ირიცხებოდა, შევარდენთა წესისამებრ, ორძელთან იდგა. მარჯვენა ფეხი მოვარჯიშეებს ოდნავ გალაჯული და ხელები უკან დაწყობილი ჰქონდათ. წელს ზევით შიშვლები იყვნენ და მკერდგანიერ, ვიწროწელიან და ტანწერწეტა ჭაბუკებს ხალხი სულგანაბული მისჩერებოდა.

შევარდნები ორძელის უკან იდგნენ, და აქედან, მათ პირისპირ, გზის პირას გამართული კარვები, ტრიბუნა და გრძელ სკამებზე მჯდარი მთავრობის წევრები, უცხოური სტუმრები და ხალხი სჩანდა. ხალხი ამფითეატრივით დაქანებულ მთის კალთაზე იდგა. აქა-იქ გაშლილი, მზით განათებული და ფერად-ფერადი ქოლგები ქალებს შუქფარივით თავზე ეხურათ. თეთრი, ყვითელი და წითელი ქოლგები შორიდან, მთის კალთაზე ამოსულ, გიგანტურ სოკოებსა და ყაყაჩოებს მოგაგონებდათ.

უცბად, კორნელიმ ხალხში ესტატე, ვარდო და დადვაძე შეამჩნია და იმ რიგს, რომელზედაც ისინი ისხდნენ, დაძაბული დააცქერდა, თავითბოლომდე დაათვალიერა და ელო, ნინო და ვანოც დაინახა. ელოს თეთრი ქოლგა გაეშალა და მარჯვნივ და მარცხნივ ვანო და ნინო შემოსხდომოდნენ. ნინოს დურბინდი მოიმარჯვა და პირველ ჯგუფს გაჰხედა. კორნელი შეკრთა, რადგან კარგად იცოდა, რომ ჯიბოსეულ სამხედრო დურბინდს, თუ სათანადოთ მომართავდა, კაცს ცხვირ წინ დაუყენებდა.

პირველი ჯგუფის მწკრივში კორნელი მეოთხე იყო. პირველი — გიორგი, მეორე — მიტო, მესამე — კუკური, მეხუთე — სანდრო, მეექვსე — ბაბა, შვიდე — გიგა მახვილაძე, მერვე კი — შაქრო ლათიბაშვილი. ბაბა ბამუალო ტანის კაცი იყო. გიგა — პატარა, ხოლო შაქრო კი — ყველაზე მომცრო, მაგრამ ორძელზე და ხარიხაზე ვარჯიშობაში ტოლი არ ჰყავდა. მას ზანგსავით გარუჯული, შავი სახე და ტანი ჰქონდა.

სანამ კორნელის ვარჯიშობის ჯერი მოაღწევდა, იგი ნინოს თვალმოუშორებლივ უცქერდა. დურბინდის გამადიდებელი მინით მოახლოვებული მოვარჯიშენი და კორნელი ნინოს სულ ახლოს, თვალ წინ დაუდგნენ. ნინოს ასე მოეჩვენა, თითქო კორნელი ხელს ჩამოართმევდა, დაელაპარაკებოდა. ხსიც შეკრთა, დურბინდი მუხლებზე დაიდო, ელოს და ვანოს შეხედა, გაფითრდა, ქვედა ტუჩზე იკბინა და თავი ჩაჰკიდა. ზამშის პატარა თეთრ ტუფლებზე დაიხედა. გრძელი ტუფლების ვიწრო წვერებზე მტვერი დაჰყროდა. წვერი ასწია, მიწას დაარტყა და გაიბერტყა.

— ცუდად ხომ არა ხარ? — შეეკითხა ელო. თავი დაღუნა და ქვევიდან ამოჰხედა.

— არა. — მიუგო ნინომ. თუმცა, თავბრუ ეხვეოდა, ყურებში ჟიჟინი გაუდიოდა და სისუსტეს გრძნობდა. რედიკული გახსნა და ზამშის თეთრ ხელთათმანით შემოკვართული ხელის გრძელი და ვიწრო თითები შიგ გააჯირითა. საამური სურნელით დასხურებული აბრეშუმის პატარა ცხვირსახოცი ამოიღო, თეთრი ჭილის ქუდი ცალი ხელით აიწია, და მერმე ფიქალ შუბლზე და შავ ბუსუსებიან ზედა ტუჩზე ცვარცვარად დამჯდარი ოფლი მოიწმინდა. ამ წუთის შემდეგ ელო ნინოს განდაგან, ქურდულად უცქერდა და თვალს არ აშორებდა. ორივეს თეთრი ტანსაცმელი ეცვათ და ნაცრისფერ კოსტუმში გამოწყობილი ვანოს გვერდით მჯდარნი, კორნელისათვის ადვილად შესამჩნევი იყვნენ.

გიორგიმ, მიტომ და კუკურიმ პირველი ვარჯიშობა მოათავეს, თავის ადგილზე მივიდნენ და გაჩერდნენ. ეხლა კორნელის ჯერი იყო, მაგრამ იგი ისევ ნინოს გასცქეროდა და მწკრივიდან გასვლა დააგვიანა. გურგენი გაოცდა. კუკურიმ იდაყვი წაჰკრა. კორნელი ისე დაფეთებული მოსწყდა ადგილს და ორძელისაკენ ისეთი ჩქარი ნაბიჯით წავიდა, რომ ხალხმა სიცილი დააყარა.

კორნელის შერცხვა. გუნება გაუცუდდა და ამან მის ვარჯიშობაზე გავლენა მოახდინა. მრავალ ნაწილებისაგან შემდგარი ვარჯიშობანი ერთმანეთს ცუდად გადაბა. ნაწილთა შორის ყოვნა, თანმიმდევრობა და რიტმიულობა არ იგრძნობოდა, ხოლო ვარჯიშობის ბოლო ნაწილი კი სულ ცუდად და ბლაგვად შეასრულა. ტაში არავის არ დაუკრავს.

კორნელი დარცხვენილი გაჩერდა მწკრივში და ისევ ნინოს მიაშტერდა. ნინო მიხვდა, რომ მის გამო იბნეოდა, და ცუდათ ვარჯიშობდა იგი. დურბინდი ისევ მუხლებზე დაიდო და გაჯავრებულმა მუშტი მუშტს შემოჰკრა. კორნელიც მიხვდა ეხლა ნინოს რომ, მისი ცუდი ვარჯიშობის გამო, გული დაწყდა. იამა. ოდნავ გაიღიმა და მაშინვე გაიფიქრა: „მაშ ეხლა მიცქირეთ, როგორ ვივარჯიშოო“. ნინოსაკენ ცქერას თავი გაანება, თავი დაიჭირა, დამშვიდდა, მთელი თავისი გულისყური იარაღისაკენ გადაიტანა და, როცა

კუკურიმ ვარჯიშობა დაამთავრა, მწკრივში მივიდა, დადგა და ზურგისაკენ მოტრიალდა, — კორნელი მაშინვე ორძელისაკენ დაიძრა.

იარაღთან ჩქარი ნაბიჯით მივიდა და ლამაზად გაჩერდა. ხელი ორძელთა შორის შეიჭრა, ხელები შევარდნის ფრთებივით გაშალა, იარაღს დააფრინდა და ძლიერი ქანით პირდაპირ ყირაზე გაჩერდა. ყირიდან შმაგად მოსწყდა, ძელებზე იღლიებით დატრიალდა, ძელებს ხელები უშვა, ტანი, ისარივით, მაღლა ცისკენ შეისროლა, ჰაერიდან შვეული ხაზით წამოვიდა, ძელებს დაახტა და დატაცით ყირაზე დადგა. მერმე ისევ ყირიდან დაეშვა, ძელები ლაჯებში გამოივლო, მაკრატელივით გაშლილი, შხვართი ფეხები შეაერთა. წინშვერიდან ძელებთა შორის ჩავარდა, ძელებს ხელებით დაეკიდა და კიდიდან, ქვედა ამართვით ისევ ყირაზე დადგა. ეხლა მარჯვენა ხელი ძელს შეუშვა, ცალ ძელზე მარტოკა მარცხენა ხელით გაჩერდა, მერმე მარჯვენითაც დაებჯინა. დაეშვა, ფეხები ხელებ შორის გაატარა, ორძელს ხელი უშვა, მიწაზე დაფრინდა, წამიერ ფეხის წვერებზე დაეშვა. მერმე ზამბარივით წამოდგა, წავიდა, მწკრივში დადგა და ზურგისაკენ მოტრიალდა.

ხალხმა ტაშის ცემით იგრიალა.

ყმაწვილებმა, აღტაცების ნიშნად, სტადიონზე თეთრი მტრედები ააფრინეს და ცაში აუშვეს. მტრედები მაღლა, ცის ტატნობისაკენ აიშალნენ. მთელ სტადიონს ფრთების ტკრციალით და დავლურით შემოუარეს და მათ თეთრ ფრთებზე ანარეკლი მზის სხივები ცაში ეფენების უცხო ელარუნივით დაიბნა, თითქო მთა და ბარს და სტადიონზე თავშეყრილ ხალხს, კორნელის ვარჯიშობით მოჯადოებული ყმაწვილების აღტაცება მოჰფინესო.

ნინომ ისევ მუხლებზე დაიდო დურბინდი და ეხლა მტრედებს მანაც იმ ყმაწვილთა მსგავსი აღტაცებით აჰხედა.

ელომ უკმაყოფილოდ უთხრა:

— რა მოცლილია ეს ხალხი! ხალხი მართლაც, ჭამა-სმის და სანახაობის მოყვარულია. სხვა დანარჩენი ფეხებზე ჰკიდია! ამ ჩერჩეტებს ასე საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაც კი არ გაჰხარებიათ!

ელომ ქმარი შუაში ჩაიჯინა და ქოლგა დააკავებინა. ქოლგიანმა, ბედნიერმა ვანომ ცოლსა და ცოლის დას ნეტარებით გადახედა.

ეხლა მეორე და მესამე ჯგუფმა დაიწყო ვარჯიშობა.

პირველი ჯგუფი ღერძთან მივიდა.

აქაც პირველობა კორნელის ხვდა წილად.

მრავალი და რთული ნაწილებისაგან შემდგარი ვარჯიშობის შემდეგ, კორნელიმ აღმატრიალიდან ტანი წამიერად ღერძზე შეაჩერა. ყირაზე დადგა და ყირიდან წამოვიდა, ღერძს ხელები გაუშვა, თითქო მერცხალმა ფრთები გაშალაო და მკერდით ჰაერს მოაპობსო. მერმე ტანი ჰაერშივე მოჰკეცა და გამართა. კალმახივით სწრაფად მოიქნია და დედამიწაზე დაფრინდა. ამას შევარდნები „მერცხალს“ ეძახდნენ.

ეხლა უფრო მეტის ტაშით იგრიალა ხალხმა. ყმაწვილები სულმთლად გაგიჟდნენ: სამჯერ მეტი მტრედები ააფრინეს სტადიონზე. მერცხლები დაფრთხნენ. დაბლა ნავარდით დაეშვნენ, ხალხს ცხვირ წინ ჩაუქროლეს და ნინოს გრძელ წამწამებს კინაღამ ფრთა არ შეახეს. ნინომ ხელი მოიშველა, მოიქნია და კისკისით ვანოს მიაწყდა.

ვანოს ეს შემთხვევა ხელიდან არ გაუშვია. ნინოს გამხდარ მხრებზე ხელი მოჰხვია, მოსწია, ქალი ჩაიხუტა და გულუბრყვილო ბავშვივით დაეძახა: მერცხალი, მერცხალიო! მერმე დაიხარა, ნინოს თვალებში ჩაჰხედა, ჩაიხვიხვინა და ცხენსავით გრძელი კბილები გამოაჩინა. ელომ მრისხანედ შეხედა და კვიცივით აკუნტრუშებულმა, აყლაყუდა მხატვარმა ნინოს მაშინვე ხელი უშვა.

ყველანი კორნელის ვინაობას და სადაურობას ჰკითხულობდნენ.

— ჩემი მეგობარია. კორნელი მხეიძე. — ეუბნებოდა ვანო მეზობლებს.

— ჩემი დისწულია. — იკვეხნიდა კორსეტით მკერდაფუებული და ოფლში გაღვარული დეიდა ელენე და ინსპექტორ ჯინორიძეს და მასწავლებლებს ეტყოდა:

— დედა კორნელი, შენ გენაცვალე. შენ თუ ასეთი მოვარჯიშე იყავი, მე კი არ ვიცოდი. ენაცვალოს დეიდა. ნეტავი, საცოდავი დედა მისი — ტერეზა აქ ყოფილიყო და მისთვის ეცქირნა. ო, რა გაეხარდებოდა!

— ჩვენი ყოფილი მდგმურია... სტუდენტი. იგი ეხლახან დაბრუნდა ახალციხის ფრონტიდან. ბრძოლაში ასკერი მოუკლავს, კარგი ჭაბუკია, ნიჭიერი და წესიერი. ჩინებულად ვარჯიშობს! — აცნობდა იუსტიციისა და განათლების მინისტრს ესტატე კორნელის.

განათლების მინისტრს აზრი დაებადა:

— წურთნელთა რაზმი რომ საქართველოს ქალაქებს მოიარდეს, ძალიან კარგი იქნება. ახალგაზრდობა დაინტერესდება და სატანვარჯიშო ჯგუფებს ჩამოაყალიბებენ. საერთოდ — „შევარდენს“ ფართო გასაქანი უნდა მიეცეს ჩვენს ქვეყანაში.

— ჩინებული აზრია. — დაუდასტურა ესტატემ, იუსტიციის მინისტრმა, და სენატორმა დადვაძემ.

— შემოდგომაზე ჩვენ სამხედრო სკოლას ვხსნით და ამ ბიჭებიდან ჩინებული ოფიცრები გამოვლენ. — განაცხადა სამხედრო მინისტრმა.

ეხლა პირველი ჯგუფი ხარიხასთან იდგა. კორნელი ისევ ნინოს მისშტერებოდა. ნინო გაფითრდა და უმალვე მოაგონდა ყოველივე: პაემანი, უსიამოვნება, კორნელის წერილი. გულის ძგერა აუვარდა.

— შენ ისევ მას უცქერი? — გაკილვით ჰკითხა ელომ.

— მას და სხვებსაც. — ამრეზით მიუგო ნინომ,

— მე ვიცი, მის წინაშე, შენ ისევ გადნები და ისევ თავიდან დაიწყება შენი წამება. ძლივს მოიკეთე და ეხლა ისევ ავად გახდები. — დაგესლა ელომ.

— ეგ ჩემი საქმეა. — უკმეხად შენიშნა ნინომ.

— მე ისევ გაფრთხილებ, შენ კი როგორც გენებოს, ისე მოიქეცი. ჭირიც მომჭამე.

— მე თქვენი აპეკუნობა არ მეჭირვება.

ვანომ დების კინკლაობა რომ მოისმინა, შეწუხდა და გაიფიქრა: „ნინო თუ კორნელის შეურიგდა და ჩემი ნათქვამი გადასცა, დიდი უსიამოვნება მოხდებაო“. ორ დათა შორის მჯდარმა უხერხულობა იგრძნო, თითქო ორ ცეცხლს შორის მჯდარიყოს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ქუჩიშვილი

უკრაინისათვის

1.

ვრცელ უკრაინის
ტრიალ ტრამალებს
მტერი ტიალი
სტეპნის სიხეპრით;
სტეპნის შევჩენკოს
წმინდა სამარეს,
გმირ შვილთა სისხლით
გულბორგავს დნეპრი...

ტყვე უკრაინის
გამოსახსნელად
აღძრულა ყველა
და მიაქვს მსხვერპლი,
რომ თავისუფალ
ცისქვეშ ტყე-ველად,
აღსდგეს,
აჰყვავდეს
მამაცთა ფერფლით.

იქ ჩვენი რაზმიც,
მხარდამხარ,
ძმურად,
პარტიზანულად
მტერთ უტევს ტყეში
და მიაქვს ხევში
მგელსა თუ ტურას
ბოროტ ბანდიტთა
ბინძური ლეში.

რაზმის ბურჯია
ბრეგვაძე ბექა,
რომლის გმირობაც
გრგვინვით განთქმულა;
ქართულ შავ ქურანს
დააფრენს,
სჭექავს,
ტყეც მეგობრულად
გულს უღებს გულადს.

თვალტანადობით
მოხდენილ ბექას
თუშური ქუდიც
მოხდენით ჰხურავს;
გული დაჰბმია
მასზე ბევრ მზექალს,
ბექა-კი ბრძოლით
გატაცებულა.

ჯიხვივით მარჯვე,
ჯანმაგარ ჯიშის,
დიდ გასაჭირშიც
ქედმედგრობს ბექა;
რაზმს დაჰყიჟინებს
და იერიშით
მთას რომ შეებას,
მთაც იწყებს დრეკას.

ქურანით მქროლი
ომის გრიგალში
იგია იმავ
გრიგალზე მალი
და სამამულო
ბრძოლების ალში
ლაპლაპებს მისი
ქართული ხმალი.

მან ხშირად ერთმა
იფრინა მტერი
და მის წახდენას
ვინც დაიკვეხდა, —
ცხენშემართული,
მკლავით ძლიერით,
ხმლის ერთი დარტყმით
შუაზე სჩეხდა.

. . . . . .

დღისით,
ღამით,
ტყეში,
ღრეში,
თოფით ხელში
დანავარდობს
და სიმღერას
ცის სივრცეში
ტოროლას ხმით
ჰფანტავს,
ადნობს.

მღერის:
„მოძმე უკრაინავ!
შენ, შევჩენკოს
ნატვრის თვალო!
არ შეშინდე,
რაგინდ გსჯიდნენ,
მტერმა რაგინდ
იმტარვალოს!
უკრაინავ!
შენ მეორე
სამშობლო ხარ,
ჩვენ კი ძენი!
შენს დედურ მკერდს,
საამბოროს,
დავაკვდებით
იმ ღრმა რწმენით,
რომ დაღვრილი
სისხლი ჩვენი
კვლავ შეგმოსავს
მზიურ ბრწყენით!“

2.

სოფლის ბოლოს
თივას სთიბდნენ
გოგონები ცელებით,
მიმზიდველად მოეღერათ
მოხდენილი ყელები,
ალმას ცელთა
წკრიალს სჯობდა
იმათი სიმღერები.

ჩუ!
ფრუტუნი შემოესმათ
ტყიდან ფიცხი ცხენების
შეკრთნენ.
თიბვა შეაჩერეს,
დროც იყო შესვენების.
ვინ არ მოიხიბლებოდა
დობილ დასთა მშვენებით?

გნოლებივით გაინაბნენ
გულთეთრი გოგონები,
უკრაინულ ფერად კაბით
მსგავსნი ყვავილთ კონების.
და დაებნენ ცხენოსნები
მათ წინ თავმომწონები,
თვალთ ისრებით დაისრულნი,
სილამაზის მონები.

„თქვენ-კი დაგენაცვლეთო“, —
ქართულად შესტრფიალეს
და გაჰქუსლეს, ქარულად
ტყენი შეაშრიალეს.

ვაჟკაცური გუგუნით
შორს დროშა მიფრიალებს,
ქალებს ოხვრა აღმოხდათ,
ცელთა წყება წკრიალებს...

რაზმს მედროშედ
წინ მიუძღვის
ბექა შიშველხმლიანი,
შავი შალის
მოკლე ჩოხით,
შავყაბალახიანი.

მან სახელი გაითქვა
უკრაინის მხარეში,
სადაც გაჩნდა,
აღკვეთა
ფაშისტების თარეში.
ჯართან ერთად იბრძოდა
ის აქ თოფზარბაზნითა
და ახლაც აქ მოქმედებს
პარტიზანულ რაზმითა.

. . . . . .

მიჰქრის მხედრობა
  და ისმის
ყიჟინი წინამძღოლის:
  „წინ, ძმებო,
ვლვაროთ მტრის სისხლი,
  გზა გავიკაფოთ ბრძოლით!

თავს ვერ დაიძვრენს ჩვენგან
  ბანდიტ ჰიტლერის ხროვა!
ჰსურდა?
  დე, შეხვდეს ყველგან
ჩვენს დარტყმას,
  სახელოვანს!

წინ, ძმებო,
  დროშა გმირული,
დროშა სახალხო ბრძოლის;
  მტერთ შევხვდეთ გულჩაკირულნი,
ზურგზე ვადინოთ ბოლი!

ვანთავისუფლოთ მონები —
  დამპყრობთა უღლის ყმანი;
მადლობით მოგვიგონებენ
  მოძმეთა გულისთქმანი!

მაშ, მაღლა
  დროშა გმირული,
თავგანწირული ბრძოლის;
  მტერთ შევხვდეთ გულჩაკირულნი,
ზურგზე ვადინოთ ბოლი!“

3.

ჟინჟღლავს,
  წინწკლავს,
ღამე შავი
  დასწოლია ტყის კარავს;
წინათგრძნობა
  ავზე ავი
  პარტიზანთა ტვინს ჰზარავს.

წუთიც და
  ტყის ბნელ საფრიდან
ქვემეხმა იგრიალა;
  რაზმი ცხენებს მოაფრინდა,
ხელი მიჰყო იარაღს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„დაჰკათ ძაღლებს!
  ცეცხლი!
  ტყვია!
მოვსპოთ მათი ბუნაგი!“
  გრგვინავს ბექა
და აყრიან
  ტყვიებს
    ტყის მხეც მსუნაგებს.

. . . . . .

მტრის ნატყორცნი
  ტყვიამფრქვევით
ტყის ტევრი იკეცება;
  საპასუხოდ მათთან,
    ქვევით,
ხელყუმბარა ეცემა.

ურთიერთში ირევა
  კვნესა,
    ღრჭენა,
      ღრიალი,
ტყვიამფრქვევთა კაკანი,
ყუმბარების გრიალი.

სცელენ,
  არ ილევიან
ბნელში თავდამსხმელები;
ბექა მკერდში დაიჭრა,
კვდება სისხლის ხველებით;
აქ არ მიმატოვოთო,
რაზმს ანიშნებს ხელებით.

4.

შეწყდა სროლის ხმა...
  თენდება უკვე...
ტყეში მტრის გვამთა
  დამდგარა გროვა,
ხოლო პარტიზან
  ქართველ ჭაბუკებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გმირ მეთაურზე
შეჰქმნიათ გლოვა.
თავს დასდგომიან
რაზმელნი ცხედარს,
მათს გულში ზღვევის
ცეცხლი ტრიალებს;
გმინვით დაჰკოცნეს
წინამძღოლ მხედარს
და ცაში ხმლები
შეაწკრიალეს.

ამ სალიუტით
შეჰფიცეს ძმურად,
რომ იბრძოლებენ
მტრის შემუსვრამდე
და თავის ცხენზე
იქვე
მხედრულად
მორთულ საკაცით
გამოამზადეს...

5.

გამოიარეს ცეცხლი,
ქარბუქი,
ახლა მათ საფრთხის
შიში არ იპყრობს;
შუბლშეკრული წევს
გმირი ჭაბუკი,
თითქოს შეტევაზე
გეგმაზე ფიქრობს.

მან ულმობელი
იცოდა ომი,
ბევრს დაუბნელა
მზე მოციმციმე;
მაგრამ ბავშვს ჰგავდა
ეს ჩვენი ლომი,
როს შეურხევდით
გრძნობათა სიმებს.

6.

ის მოასვენეს
საქართველოში,
თან ახლდნენ მოძმე
ერთა რაზმელნიც
და პროცესიას,
ძაძით შემოსილს,
მისდევდა ცხედრის
მწუხარე ცხენიც...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით კასრაძე

გორის ღლეები

I

გორში

ლამაზია საქართველოს პატარა კუთხე ქართლი, მაგრამ განსაკუთრებით ლამაზია მისი უძველესი ქალაქი გორი. მას ამკობს ერთის მხრით ბურეთის ქედი და მდინარე მტკვარი გაშლილი ზურმუხტოვანი კიდეებით, მეორე მხრით კვერნაკის მღელვარე გორაკები, რომლის ერთი ფრთა ნაცარა დევკაცის გამხმარი ხელივით გადასწვდომია მტკვარს, მკერდამდე გაუპია, თითქოს უნდა, რომ მისი დინჯი მდინარება შეაჩეროსო; შემდეგ ლიახვის გიჟმაჟური სრბოლა, ატეხილი ჭალები, ქოჩორა ვენახები და მოშრიალე ვერხვების ხეივნები. ბოლოს ქალაქის შუაგულს თითქოს ხელოვნურად აზიდულა ერთი გორაკი, რომელსაც ძირიდან მოყოლებული თავზე არშიად გადავლებია ციხე ცხრაკარიანი კოშკებით და ზოგგან სამპირი გალავნით, რაც მას ზღაპრულ საანახაობის ელფერსა სდებს.

აი, ამ ქალაქში წარსული საუკუნის მე-60 წლების მიწურულში ცხოვრობდა ერთი მეჩექმე, ბესო ჯუღაშვილი. იგი გორელი არ ყოფილა. როგორც არაკეთილსაიმედო პიროვნება ადმინისტრატიული წესით გადმოასახლეს თბილისიდან, სადაც იგი ძმათა ადელხანოვის ფეხსაცმელის ქარხანაში მუშაობდა. ბესო, როგორც უთვისტომო კენტი კაცი, ქალაქის საუკეთესო ნაწილში ვერ იცხოვრებდა და არც ნებას დართავდა ადმინისტრაცია, როგორც პოლიტიკურ დამნაშავეს. ასეთი დასჯილი ადამიანებისათვის მიჩნეული იყო გორის განაპირა უბანი, რომელსაც რუსის უბანი ერქვა.

რუსის უბანი ერთი გავერანებული კუთხე იყო იმ ქალაქისა. მიწური ქოხები მიწისპირად იყო მოსწორებული. არავითარი ქუჩა. არავითარი გეგმიანობა და თვალსაჩინო ნაგებობა. აქა-იქ აშმორებული გუბეები თავისი განუყრელი ბაყაყების კონცერტებით და კუზიანი ნერგებით, — აი რუსის უბნის სურათი. ღარიბი მოსახლეობა მოკლებული იყო მზის სხივებს და თუ არა ერდოებზე ამოჭრილი პატარა საკვამურები, ვერ შეატყობდით თუ ვინმე იქ მცხოვრებელი იქნებოდა.

რუსის-უბნის იქით, ჩრდილოეთით, გაჭიმული იყო ჭაობნარი, სადაც აუარება ფრინველები ჰბუდობდა. აქ დროდადრო თავადები დათარეშობდნენ სანადიროდ, ამილახვრები და ერისთავები. გლეხებს კი წინ წამოფრენილი ღალღისთვის ჯოხიც რომ მოექნიათ, არ აპატიებდნენ, ვინაიდან იმ დროს ის ჭაობიც, იქ მობუდარი ფრინველებიც და გლეხებიც თავადის საკუთრებას შეადგენდნენ.

ბესო ჯუღაშვილმა მოსვლისთანავე კარგი სახელი გაითქვა, როგორც ხელოსანმა. იგი ერთმა სოვდაგარმა ოსეფა ბარამოვმა თავის ფეხსაცმელების

სახელოსნოში მიიწვია უფროს ქარგლად. მაგრამ დიდხანს არ გაძლო, რადგანაც ადმინისტრაციამ გააფრთხილა, ჯუღაშვილი არაკეთილსაიმედო პიროვნებაა, თბილისელ მუშებში „ბუნტოვჩიკებს“ მიემხრო და ... მუშებშიც არევდარევას შეიტანსო. იმ დროს კი „ბუნტოვჩიკი“ საშინელ კაცად ითვლებოდა, როგორც მოუსვენარი, ონავარი, მეამბოხე და ქვეყნის დამქცეველი. გორელ სოვდაგარს მეტი საფრთხობელაც არ უნდოდა და ბესო მეორე დღესვე ქუჩაში გამოაგდო.

მაგრამ ბესო არ დაღუპულა. მას გამოექომაგა თავისი ამქარი. იმ დროს საქართველოში პროფესიული კავშირები არ არსებულა, მაგრამ მისი მინამსგავსი კი იყო ამქრის სახელწოდებით. ამქარი მუშა-ხელოსანთა ძმობას ერქვა. იყო ოქრომჭედელთა ამქარი, თერძების, მექუდეებისა, მეჩექმეებისა, მღებავთა და სხვა. ამქრის მოვალეობას შეადგენდა: თავის წევრებს გაჭირვებაში დაეხმარებოდა. ბესო ქუჩაში იყო და ამაზე დიდი გაჭირვება რა იქნებოდა! განსაკუთრებით სამმა პიროვნებამ გამოიდო თავი: იაკო ეგნატაშვილმა, რომელსაც პირდაპირ ძია იაკოს ეძახოდნენ; მიხა ციხითათრიშვილმა და გიგო ხოდელმა. ხოდელმა ბესოს თავისი დუქნის კუთხე დაუთმო; იაკომ სახარაზო დაზგა შემოუგორა, მიხამ კიდევ ხელსაწყო იარაღით და ერთი თვის საყოფი ტყავეულით უზრუნველჰყო იგი. ბესომ მარჯვენა დაატრიალა და მალე ბარამოვის მუშტრები თავისკენ გადმოიბირა. თვით ისეთი დიდი კაციც-კი, როგორიც იყო იმ დროს მაზრის უფროსი, თავადი რევაზ ერისთავი, მას უკვეთავდა წაღებს, ხოლო ერთხელ იმდენად ნასიამოვნები დარჩა ბესოს ხელით შეკერილი წაღებით, რომ მას ადმინისტრატიული სასჯელი მოხსნა...

ბესო ოცდათხი წლისა შეიქნა. ლამაზი ვაჟკაცი იყო, ახოვანი, უხვად დაყრილი ულვაშებით, წინ წამოდგმული დახურული შუბლით; ჩაცმითაც კოხტად იყო გამოწყობილი, ქალაქურ ყაიდაზე, ჩოხა-ახალუხით, გულზე დაკიდული ვერცხლის საათით და გრძელი ძეწკვით. ბევრი საპატარძლო გამოჩნდა შეძლებული ოჯახებიდან. მაჭანკლებიც დაატრიალეს, მაგრამ ბესომ ისევ ღარიბი გელაძე გიორგის ქალიშვილი შეირთო ცოლად, კატო.

გელაძე გიორგი ამილახვრიანთ ყოფილი ყმა იყო; სვენეთელი. ეს სოფელი გორის მახლობლად მდებარეობს. როცა ბატონიანთ მოახლე მელანია ითხოვა გელაძემ, ბატონმა ამილახვარმა იწყინა: როგორ გამიბედე მოახლის თხოვნაო. გიორგი იძულებული შეიქნა საცოლე მოეტაცნა. ასეც მოიქცა. მოტაცებული საცოლეთი იგი გადაიკარგა და ბოლოს გორის მახლობლად ღამბარეულის ჭაობნარს შეაფარა თავი. აქ მან სახელი გამოიცვალა, რომ სასტიკ ბატონს ვერ ეცნო იგი. მეზობლებს გლახა გელაძედ გააცნო თავი და ეს სახელწოდება სიკვდილამდე შერჩა.

თუმცა საცხოვრებლად ღამბარეული სრულიად უვარგისი ადგილი იყო, როგორც ციებ-ცხელების ბუდე, მაგრამ აქ ბლომად მოიპოვებოდა მშვენიერი თიხა. გლახამ სხვების წაბაძულობით ჯერ მეაგურეობა შეისწავლა, შემდეგ მეჭურჭლეობა. მალე მისი გაკეთებული სურები, დოქები, ქვევრები და ნაირნაირი ჯამ-ჭურჭელი ეწვია გორის ბაზარს. გლახა წელში გაიშალა. ოჯახი წამოსწია. სამი შვილის მამა შეიქნა. ვაჟიშვილები გიო და სანდალა თავის ხელობაზე აღზარდა, გოგონა კი, პატარა კატო, დედას მიანება. ბიჭები მაგრები გამოდგნენ. გლახა მხოლოდ კატოზე დარდობდა, რომელიც დამპალმა ჰავამ დასცადა და ჩუმი ციება შეაპარა. მაგრამ თვითონ გლახას უარესი დღე დაემართა: მას უფრო მძლავრად დასჭიდა ხელი ციებ-ცხელებამ და სამი

წლის განმავლობაში სტანჯა, აწამა და საბოლოოდ გამოასალმა ამ წუთისოფელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაობლდა ოჯახი. მისი მარჩენალი ეხლა პატარა ვაჟკაცი გიორგი და მისი უმცროსი ძმა სანდალა. ისინი ჰხედავდნენ, რომ მათ საყვარელ დაიას ხეირი არ ეყრებოდა ღამბარეულის დამპალი ჰაერის გამო. დედას ურჩევდნენ—ისევ სვენეთში წავიდეთ, ნათესავობა მოვძებნოთო, მაგრამ მელანია იმდენად ზარდაცემული იყო ამილახვრებისაგან, რომ იქ დაბრუნებას ისევ აქ სიკვდილს არჩევდა. პატარა ვაჟკაცებს გული უკვდებოდათ დედის ყოველდღიურ მოთქმა-გოდებაზე, მაგრამ ვერაფრით ენუგეშებინათ, ახლა იმას-ღა ნაღვლობდნენ, დღეს რომ ასე იქცევა დედა ჩვენი და ლამისაა მამას ცოცხალი თავით საფლავში ჩაჰყვეს, ხვალ რაღა იქნება, თუ ჩვენი დაიკოც დაგვეღუპაო.

მაგრამ გადარჩნენ: კატო უკვე ცხრა წლისა იყო, როდესაც საქართველოში ბატონყმობა გადავარდა. პირველ ხანებში ბატონებს თაგვის სორო სიცოცხლის ფასად უღირდათ. გუშინდელმა ყმებმა თავი მაღლა ასწიეს, აიყალყნენ და თავადების მამულებზე დასახლდნენ, თუმცა შემდეგში თავბედი აწყევლინეს იმავე თავადებმა, როდესაც მიხვდნენ, რომ ბატონყმობის გადაგდება მთავრობის მიერ გათამაშებული კომედია იყო. ღამბარეულიც დაიცალა. ზოგი სად წავიდა, ზოგი სად. გელაძეს დავაჟკაცებულმა ბიჭებმაც შეაბეს ურემი, დასხეს მოხუცი დედა და საყვარელი პატარა დაია და გორში შორეულ ნათესავ ნარიაანთ მათეს გვერდით დასახლდნენ რუსის უბანში.

გორის ჰავამ ყველაზე კარგად იმოქმედა, განსაკუთრებით პატარა კატოზე. წინად თუ გაყვითლებული იყო და ტოლამხანაგებში გასვლა ეზარებოდა, ახლა გამოცოცხლდა, ლოყებიც ვაშლივით აებრაწა, ისწავლა სუფთად ჩაცმადახურვა და მალე ლხინში ტაშ-ფანდური უომისოდ აღარ ჩაღდებოდა. თორმეტი წლისა ხომ უკვე სახარბიელო საპატარძლოდ ითვლებოდა. მაჭანკალი-მაჭანკალზე მოსდიოდა, მაგრამ კატომ ისევ ბესოს მოგზავნილი კაცი მიიღო და უარი აღარ შეუთვალა.

ქორწილი კვალობაზე ჩინებული გადაუხადეს. აქ დიდი დახმარება გაუწიეს ჩვენმა ნაცნობმა ძია იაკომ, ციხითათრიშვილმა და გიგო ხოდელმა, რომელთაც იკისრეს მეჯვარეობა და ქორწილის ხარჯიც თითქმის უკლებლივ მათ გადაიხადეს.

კატო მეტად ბედნიერად ჰგრძნობდა თავს. ბესო ჯუღაშვილი მეოჯახე კაცი გამოდგა. პატარა დიასახლისი დატრიალდა და საქმე ისე წაიყვანა, რომ დარბაისელი ხალხი სულ მაზე ათითებდა, ნეტაი მაგას, რა ბედნიერი ქალია, რა იქნებოდა, რომ ჩვენი გოგოებიც ასეთი პატარძლები დამდგარიყვნენო.

ბედნიერ ოჯახს მალე უბედურება ეწვია: წლისთავზე ვაჟიშვილი შეეძინათ, მაგრამ ლოგინს არ აჰყოლიათ. შემდეგ წელსაც იგივე დაემართათ, მეორე შვილიც არ შერჩათ. ბესომ ძალზე იდარდა. სმა დაიწყო. რა თქმა უნდა, დედაც ბევრს ნაღვლობდა, მაგრამ რაც იყო, ისევ დიდედა მელანია, რომელიც სულ ქოთქოთებდა და ქვითინებდა, როგორც ჩამორჩენილი, ბატონყმობის უღელში ნამყოფი ქალი, ამილახვრებისაგან დევნილი. იგი მეტისმეტად ცრუმორწმუნე იყო და, როგორც ასეთი, ახალგაზრდა ცოლქმრის უბედურებას ხატის მიზეზით ჰხსნიდა. ყარალაჯელი მკითხავი მოიშველია და ალმრაჩინა, ვითომაც ოჯახს გერის წმინდა გიორგის ხატი რაღაცაზე ედავებოდა; აიჩემა, უნდა წავიდეთ გერში, ხატს ზვარაკი შევწიროთო, მაგრამ ბესომ ამაზე დაუტია და დაუტია:

— დედაკაცო, — უთხრა მან, — შემოჩენილი ხომ არა ხარ? მე ღმერთი მწამს, მართალია, მაგრამ იმ ღმერთს ღმერთად ვერ შეგიფასებ, და ხატს ხატად, ვინც დედების ცოდვას უმანკო ბავშვებს ახდევინებს. — ეს ერთ ასეთი ღმერთი და მისი სალოცავი, დაინგრეს და გატიალდეს. თუ შემთხვევა მომეცა, ასეთ ღმერთსა და ხატს თავს ისე გავუსრისავ, როგორც შხამიან გველსაო.

დიდმა ნაღველმა წელში მოსდრიკა ბესო. სანთელივით დაადნო, დაფუტუროვებული ჭანდარივით გამოიყურებოდა ძველი ვაჟკაცი.

— არა, ბედნიერებას ვერ ვეღირსები, ვერა, ჩემი ბედი დაწყევლილია. — გაიგონებდით მისგან, რასაც თან მოსდევდა მისი უნუგეშო ხელის ჩაქნევა.

II

ძეობა

სასტიკი ზამთარი იყო. ყინვა ცოფიანი ძაღლივით იკბინებოდა. მთები, მდინარეები, ხეები, სახლები, ერთი სიტყვით მთელი მთა და ბარი ყინულეთში შემჯდარიყო და ისე მოკიაფობდა, როგორც ზღაპრებში ბროლის ციხე.

ბესო ჯუღაშვილი უთენიებლივ წავიდა თავის სახელოსნოში. ულვაშებზე ყინულის ლოლუები ჩამოეკიდა. ძალზე გაიყინა. მაგრამ საჩქარო სამუშაო ჰქონდა და გადადება არ შეიძლებოდა. სახელოსნოში შესვლისთანავე მაყალი გააჩაღა, ხელები მოითბო და ქონის სანთელზე შეუდგა მუშაობას.

მძიმედ წამოიწია დილამ. როდის-როდის გამოიღვიძა მიძინებულმა ქალაქმა. ბაზარი აახმაურეს სოფლიდან ჩამოსულმა მეურმეებმა, რომელთაც გასაყიდად წამოეღოთ შემონარჩენი სანოვაგე. გაჩაღდა სიცოცხლე. კიდევ ცოტაც და თოვლით დაფენილ ქუჩებზე ბედნიერმა შეძლებულ ოჯახიშვილებმა მქროლავი მარხილებით დაიწყეს თავბრუდამსხმელი სრიალი.

მათი წაბაძულობით გამოიფინენ ბავშვებიც და ყინვისაგან აბრაწულ ლოყებით მოყვნენ ნავარდს. გაიმართა სლიკინ-სლიკინი და კოტრიალ-კოტრიალი ციგებითა და ციგურებით. მაშინ ვინ რას მიხვდებოდა ვინ ვის ეტოლებოდა ბედნიერებაში. ამ დროს კი სადღაც ჩაბნელებულ ცივსა და ნოტიო სახელოსნოში ვილაცა მეჩექმე ბესო სარდაფში შემძვრალიყო და ლუკმაპურისათვის ირჯებოდა.

შუადღე გადატყდა. მზემ ნისლის კაბა გაარღვია და სიხარული მოჰფინა ქვეყანას. ამ დროს სახელოსნოს კარი ხმაურით გაიღო და ბესოს პატარა მოყვარე სანდალა შურდულივით შემოიჭრა.

— ბიჭიანობაა! მამილოცავს, ბესო, კეკე მშვიდობიანად განთავისუფლდა.

ბესო გაოცდა:

— ასე მალე? აკი ბებია ამბობდა ხუთი დღეც ნუ გშურსო.

— რა ვიცი, ე ბიჭი შეგვეძინა და...

— როგორი ბავშვია?

— კირკიტაა, კირკიტა! ჯუღაშვილიანთ თვალი იქნება!

— შენ პირს შაქარი!

ბესოს ულვაშებში ჩაეღიმა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— დედა თუ ფური ირემია, შვილი გიშრის თვალება ნუკრი ეყოლება.

— ტყუილია თუ?!—კვერი დაუკრა სანდალამ,—ნუკრის თვალები კი არა—ხარისაა, ჭოტა ხარისა!... ამირანის ხმალიც თან დაჰყვა.

ორივემ გულიანად გადაიხარხარეს. ერთმანეთი კვლავ გადაკოცნეს და ზედ თითო-თითო არაყიც გამოხუხეს ახლად დაბადებულის სადღეგრძელოდ.

ბესომ სახელოსნო დაჰკეტა. გზადაგზა ხმელი ხილი იყიდა, ნუყლი, კიდევ სხვა ტკბილეულობა და ახალ მელოგინეს თავზე გადააყარა.

— მომილოცავს!... ღმერთმა გიდღეგრძელოს ჩემი პატარა ვაჟიკაცი. ქვეყნის თვალად გაგაზრდევინოს!...

ახალგაზრდა დედას ამაყი მორცხვობით ლოყები აუკვერდა, როდესაც ბესო დაეკონა.

ოჯახი მზიური სიხარულით აივსო. ბესოს ყველანი ულოცავდნენ, მოულოცა ბებია ქალმაც, რომელმაც ხელი დაუკოცნა და აჭიკჭიკდა:

— ჩემი შვილების დღეგრძელობამ, კარგა ხანია, ასეთი ბავშვი არ ამიყვანია. ბიჭი ქუდბედით დაიბადა. ბუდე თავიდან რომ ავაცალე, ისეთი ბიჭი გამოვიდა, როგორც კროლა კაკალი. ბუდე ავიღე, ვაშლის ძირას თოვლი გავქექე და ღრმად ჩავმარხე, რომ გაზაფხულზე გაფოთქვის დროს ბიჭიკოს ბედნიერებას სურნელება და დღეგრძელობა მოაფრქვიოს.

— ბაგ ხელბედნიერებას დაგიფასებ, ოლონდ ბავშვი შემრჩეს... ჯერჯერობით ხელთ ესა გქონდეს...

ბებიამ ლურჯი ხუთმანეთიანი გამოართვა და მადლობის ნიშნად კვლავ მისი ხელის საკოცნელად მიიზიდა, მაგრამ ბესომ შეაჩერა:

— რა არის, ქალო, რომელი დეკანოზი მე მნახე, რომ წარამარა ხელზე მკოცნი. წადი, ეხლა შენ შვილებსაც მიხედე.

— მივხედავ, ჩემო ბატონო, მივხედავ... ღმერთმა გაგიზარდოს... ღმერთმა შეგარჩინოს.. ან რატომაც არ უნდა შეგარჩინოს. ზაქივით ბიჭია.. წელს სამოცი ბავშვი მაინც ამიყვანია, სულ ჭიანა ბავშვები მხვდებოდნენ... ეს კი სულ სხვაა, ვენაცვალე... ნამდვილი კირკიტაა, კირკიტა!. ღმერთმა გაგიზარდოს... ღმერთმა ბედნიერი ვაჟკაცი გიმყოფოს...

დიდედა მელანია ცას დაეწია, ისიც იმოწმებდა, რომ ბავშვი დეევმირი გამოვაო.

თუმცა ყველანი ირწმუნებოდნენ, რომ ბავშვი ჯანმრთელია და ქუდბედნიერებაც მის დღეგრძელობას მოასწავებსო, მაგრამ ბესოს მაინც გული ეთანალრებოდა, მოუსვენრობას გრძნობდა და ნათლობა დააჩქარა, ბავშვი მოუნათლავი არ მომიკვდესო.

ნათლია იაკო ეგნატაშვილი დიდად გაისარჯა იმ დღეს. ბავშვი თვითონვე წაიყვანა ეკლესიაში, დეკანოზი ღამბაშიძე ისე დაასაჩუქრა, რომ მან ნათლობა გააჭიანურა და ჩვეულებრივს ერთი საათით გადააჭარბა. როცა ყველაფერს მორჩნენ და ბავშვი დედას ჩააბარეს, იაკო ეკლესიის კართან მოგროვილ გლახებს უხვად გაუმასპინძლდა, ნათლულის თავი დამილოცეთო.

ბავშვს იოსები დაარქვეს, სახლში კი სოსოს უძახოდნენ. ეს იყო მისი საალერსო სახელი და დავაჟკაცებამდის ეს სახელი გაჰყვა.

შინ დაბრუნებისას დიდი ქეიფი გაიმართა. ბავშვის ბიძებიც გაისარჯნენ, გიომ დუდუკი დაუკრა, სანდალამ ზურნა ააყოლა, ძია იაკომ თეფში გადმოაბრუნა და დიპლიპიტო გაახურა. ამას სიმღერები მოჰყვა, ხუმრობა, ტაში, მოსწრებული სიტყვები და ნაირ-ნაირი ბაღდადურები.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოდელმა ბაღდადი წელში ჩაიკეცა და ბანჯგვლიანი ხელებით ბავშვი აათამაშა, შემდეგ ძია იაკოს მიუბრუნდა და ხუმრობით გაჰკენწლა:

— იაკო დღეს ვაქკაცია,
ამ ბიჭიკოს ნათლიაო,
თუ რომ კარგად არ გაგვიზრდის,
ტურა-მგელმა ათრიაო.

საზოგადო სიცილში ხოდელმა ბიჭიკო ააბურთავა. შეშინებულმა პატარა დედამ საჩქაროდ ხელიდან გამოსტაცა ბავშვი, ემანდ ნეკნები არ ჩაამტვრიოს ჩემს პატარა მარგალიტსაო.

— ჰა, რაო, მოგხვდა მაგ ოქებიან ულვაშებში? — არ ისვენებდა ხოდელი და ისევ ბავშვისკენ იწევდა საალერსოდ.

ძია იაკოც არ ჩამორჩენია ხოდელს კენწლაობაში:

— ყველა ვაქკაცობას სჩემობს,
თვით მოკრივე ხოდელიო,
მაგრამ, ვგონებ, არ უნახავს,
ჯერ იაკოს მოგვერდიო.

ამაზე გიგო გაგულისდა:

— მოკრივეც ვარ, მოჭიდავეც,
ვიცი შენი მოგვერდიო,
გიგოს კისრულს ვით დასცინი,
ასე როგორ მობერდიო.

მოფარიკენი მასპინძელმა შეაჩერა:

— გიგოც მიყვარს, იაკოცა,
ნათლიაა ბიჭისაო,
თუ ლხინია — მოვილხინოთ,
სხვა ჩვენ აქ რა გვიჭირსაო.

საზოგადოდ მთელი დღე ოხუნჯობაში გაატარეს. წარმოიდგინეთ, სხვა დროს რომ ყინვა ცოფიანი ძაღლივით იკბინებოდა, ამ დღეს მიყუჩდა და თითქოს განგებ ცას და დედამიწას ნება დართო ერთმანეთს კოცნით შეჰკონებოდნენ, ხოლო მზეს თავი მიანება და საზოგადო მხიარულებისათვის მოკისკისე ტაშ-ფანდური მიეყოლებინა.

III

პატარა დედა

ყველა დედას უყვარს თავისი პირმშო, მაგრამ პატარა დედის კატოს სიყვარული სოსოსადმი უჩვეულო იყო, გარდანამეტი, ავადმყოფური, რასაც ხშირად სიგიჟემდე მიჰყავდა იგი. წინა წლებში ორი შვილი დაჰკარგა, ორივე ისე პატარა, რომ მას დედობისა არაფერი გაუგია. ეხლა კი ამ მესამემ ძუძუზე რომ

ტუჩები მოუცაცუნა და დედის ჯიგარი აუთამაშა, ისე შეუყვარდა იგი, რომ ქვეყნიერებაზე ყველაფერი მიავიწყდა. პატარა დედას ისე ეგონა, რომ ქვეყნის დასაწყისი და დასასრული მხოლოდ მისი შვილის აკვანთან იყო გამოკრული. მთელ ღამეებს სტეხავდა. აკვანს გამუდმებით არწევდა და იყო თუ არ იყო საჭირო, სულ „ნანინას“ ულიღინებდა. დიდედა მელანია ბევრს უჯავრდებოდა, გონს მოდი, ბავშვს საამისო რა სჭირს, რომ უძილობით თავს იკლავო, მაგრამ არ იქნა, პატარა დედა მაინც ფხიზლობდა, გარდანამეტმა ზრუნვამ სანთელივით დაადნო.

მას ყველაფერი აკვირვებდა, როცა ბავშვის გაჩენას აკვირდებოდა:

— რა საოცარი მოვლენაა, — ამბობდა იგი,—გაჩნდა ეს ბიჭიკო და ყველაფერი შეიცვალა. მე ხომ კატო აღარა ვარ, არამედ დედა. დედა ჩემს დიდედა დაარქვა, ჩემს ბესოს — მამა, ჩემს ძმებს გიოს, სანდალას — ბიძები, ძია იაკოს — ნათლია... რა საოცარი ამბები დაატრიალა ამ თითისტარა ბიჭმა, ენაცვალოს დედა!

როცა ბავშვს პირველი ცნობიერება გაელვიძა და დედას გაუღიმა, მან კინაღამ კოცნით დაახრჩო, უნდა გენახათ, როგორ თუთიყუშობდა ენამოჩქვლეთილი, რას არ ეჭიკჭიკებოდა, თითქოს ეს-ეს არის მართლა ბავშვი ყურს უგდებს და ყველა მის ნათქვამს გულის ფიცარზე იწერს დასახსომებლადო.

აი გამოვიდოდა საღამოთი, მოჰკრავდა თვალს, რომ ცის კიდურზე ახალი ნამგალა მთვარე დაკიდულა თავისი განუყრელი შუქურ-ვარსკვლავით და ესეც ბავშვს აათამაშებდა მთვარისაკენ და ბიჭიკოს გასაგონად შესძახებდა:

— მთვარე ვნახე ნებასაო,
ჩემსა გახარებასაო,
პურიცომი ღვიარიო,
საქმე ბარაქიანიო.
დღეგრძელობა ბიჭიკოს,
მუდამ რომ იჭიკჭიკოს.

ამის შელიღინების შემდეგ მთვარეს შეუწრუწუნებდა, გაატკაცუნებდა ცერით და ხელახლად შეათამაშებდა ბავშვს.

ყოველ მზიან დღეს იგი შინ არასოდეს არ ჩერდებოდა, აიყვანდა ბავშვს და სულ გარედ დაიარებოდა ბაღ-ვენახებში, მინდვრად, უკრეფდა ყვავილებს, წყაროს წყლით ჰბანდა პირს და მზის სხივებში აცურავებდა.

ერთხელ დილა-ადრიან ააყენა ბავშვი. ჯერ კარგად გააძღო, შემდეგ სქელ საბანში გაახვია და გარედ გაიყვანა სასეირნოდ.

დიდებული დღე იყო. ოქროს სხივებში ბანაობდა მთელი ქვეყანა.

აგერ გაისმა გუგულის ხმა. დედა სიხარულით აენთო, შვილი გადაჰკოცნა და მოუყვა ჭიკჭიკს:

— მომილოცნია, შვილო, გამარჯვება, მომილოცნია!... შენ უკვე გუგულს დასძლიე. მაგრამ ასე ხომ არ უნდა გავჩუმდეთ. ჩვენს დეიდა გუგულს უნდა გავაგებინოთ, რომ დღეს შენ გამარჯვებული ხარ.

და შემდეგ უჩინარ გუგულისაკენ იბრუნა პირი:

— გამარჯობა შენი, გუგულო, გამარჯობა!... სალამი, სალამი!... მაგრამ კი არ გაუწყრე ჩემს ბიჭიკოს, დღეს რომ დაგძლია... დღეს ვაჟკაცობაში ჩასდგა ფეხი, ენაცვალოს დედა!... კარგია, კარგი, ნულარ ბაქიბუქობ მაგდენს... ჩვენ-

მა ჯულაანთ ბიჭიკომ შენზე ადრე გაშალა ფრთები, პირი დედის რძით დაიბანა, ქოჩორიც დაივარცხნა. ისაუზმა კიდეც... წადი და ისევ მათ დასცინე, ვინც ზარმაცები არიან და ლოგინში გორაობენ... ჩემი ბიჭიკო, ეზაფხულს დედა, მზის ამოსვლისთანავე ფეხზე იდგა. ქვეყანა შრომას ჩაება. შრომა მხოლოდ მუქთახორა ამილახვრებს ეჯავრებათ... ეს კი მშრომელი მამის შვილია და ამიტომ ეყვარება კიდეც შრომის ქვეყანა... ხომ ასეა, ჩემო ჩიტუნი?!...

დედამ მზესაც შესაფერი ქათინაური შესძღვნა:

— აგერ მზე რა დიდებულად ანათებს... მაგასაც უხარიან, რომ ქვეყნიერება შრომობს... მოდი, მაგასაც მივესალმოთ, შვილო... მაგასც მადლობა ვუთხრათ, რომ ასე დაუღალავად ირჯება ქვეყნისათვის და უანგაროდ იძლევა სითბოს და სინათლეს... იმ მყრალს თავადებს კი არა ჰგავს, რომელნიც მშრომელი ხალხის ძარცვა-გლეჯაში არიან და ქვეყნიერებას ამყრალებენ თავიანთ მუქთახორობით... მზე სულ სხვა რამეა... ეს მხოლოდ იმას გვეუბნება, აჰა, წაიღეთ ჩემი სიმდიდრე და ისე მოიხმარეთ, რომ ყველასათვის სასარგებლო იყოსო... ასე არ არის, ჩემო გვრიტო?

— გუ — გუ!.. გუ — გუ!.. — გაისმა ხელახლად გუგულის ხმა, ამჟამად ისე ახლოს, რომ ახალგაზრდა დედამ უნებურად უკან მოიხედა და გაოცდა, შემდეგ ჩაიცინა და იქვე მდგარ პატარა გოგონას გაეხუმრა:

— ეს შენა ხარ, დარიკო? შენდა შენს თავსა, როგორ გამომაშტერე ამხელა ადამიანი!...

— დილა მშვიდობისა, დეიდა!.. — კისკისით შემოსცინა გოგონამ.

— გაიზარდე, ჩემო კუდრაჭა!... მე გუგული მეგონე, თურმე შენ ყოფილხარ...

— გუგული? ერიჰა-ა, დეიდა, რა დროს გუგულია!.. ვინ იცის, როდის მე იმას დავძლიე. პირი დაბანილი მქონდა და ნასაუზმევიც ვიყავი. მე თითონ გამოვიხმე. იმდენხანს ვუძახე „გუ-გუ“ მეთქი... როცა გამოჩნდა, სიცილი დავაყარე და ისეთი ქვა გავუზუზუნე, რომ ცხრა მთას იქით გადაიკარგა, — ეხლაც დაიკვეხოს, დარიკოს ვაჯობებო. აბა შემომხედე, დეიდა, ქოჩორი როგორ დავივარცხნე. ან ჩემი ბანტი როგორ მოგწონს, ლამაზი არ არის?

— ვიშ, ვიშ, რა ლამაზია!... სულ ცეცხლივით ელავს.

დარიკო მეზობლიანთ გოგონა იყო, ოთარიძის ქალიშვილი, სოსო მეზობლიანთ ბავშვებში ყველაზე ახლოს იყო მასთან, ამიტომ ძალიან შეუყვარდა და ხშირად ისე ეტიტინებოდა, როგორც თავის კოპწია დედოფლებს. კატო მხოლოდ მას ანდობდა ბავშვს და არც ყოფილა შემთხვევა, რომ დარიკოს ბავშვი ეტირებინოს.

— ბიჭიკო მე მომეცი, დეიდა.

კატომ ბავშვი გადასცა. გოგონა სიხარულით ცას დაეწია. ბავშვი ხან ალმა აატარა, ხან დალმა, შემდეგ რუს პირას მიიყვანა და ბატის ჭუჭულებს ქვები დაუშინა, ისეთი გატაცებით და ენის მოჩლექვით, ვითომც ამას პატარა სოსო სჩადიოდა.

— წადით, თქვენ ქორის კერძებო, წადით... ეხლა მე უნდა ვიბანაო.... მიყურეთ ერთი...

და ბავშვი რამდენჯერმე რუს სარკეს დაუპირისპირა, ვითომც შიგ ჩასვა კიდეც, აჭყუმპალავა და ამოიყვანა...

— ვიშ, ვიშ, რა გემრიელი ბანაობა იყო!...

ამასობაში გამოიღვიძა მთელმა ქვეყანამ. იქ ნახირს მიერეკებოდნენ, იქ თხებს... მეზობლის ქალებმაც თავი გამოჰყვეს, კარმიდამოზე აფუსფუსდნენ.. სხვათა შორის, შორიდან გამოჩნდა კატოს დობილი მარიამ ცეხოფერიშვილი, ეს ის მარიამ, რომელმაც მის ქორწილში კოხტა ლეკურით [illegible] და თითონაც დაინიშნა. დღეს კი ესეც დედა გამხდარიყო. ამასაც ბავშვი ეჭირა ხელში — ექვსი კვირის სანდრო.

ერთმანეთს სიყვარულით მიესალმნენ. შემდეგ კაკლის ქვეშ ჩამოსხდნენ და მასლაათი გააბეს.

როდესაც დარიკომ ბავშვი მოიყვანა მათთან, მარიამმა გაუღიმა და ბედნიერმა აზრმა მის აღტაცებას ფრთები შეასხა:

— იცი რა, კატო, ჩვენ ხომ დობილები ვართ, მოდი და ეს ჩვენი სიყვარული ამ ბიჭების დაძმობილებით განვამტკიცოთ. შენს ბიჭიკოს მე მოვაწოვებ ძუძუს, შენ კი ჩემს სანდროს...

კატოს პასუხი არ გაეცა, რომ დარიკომ სიხარულით აიყვანა და პატარა სოსო მარიამს კალთაში ჩაუგორა. იმისი ბავშვი კი თვითონ გაიტაცა. კატო სახტად დარჩა, მაგრამ ველარაფერი აწამა. მარიამმა გულწრფელი სიყვარულით გაიხსნა მკერდი და პატარა სოსოს ძუძუ პირში ჩაუდო, მაგრამ ბიჭიკომ იუცხოვა და იმისი ძუძუ არ მიიღო.

— შეხეთ, შეხეთ, რა კუდიანი ვინმე ყოფილა,—სთქვა მარიამმა, — მე დედობას ვთავაზობ, ეგ კი უარზეა...

და რომ ბავშვს ურჩობა აღარ გაეწია, თვალებზე ხელი დააფარა და ხელახლა ძუძუ შესთავაზა.

ბავშვმა წიოკობა დაიწყო. ხელფეხი აამუშავა, თავის ქნევით ძუძუ მოიშორა და ისე დაიტირა, თითქოს დედას უძახის, მომხედე, მომეშველეო.

გული აუტოკდა კატოს, გაფითრდა, მოზღვავებულ გრძნობებს ველარ გაუძლო და ბავშვი ხელიდან გამოსტაცა მოძალადე დედობილს:

— რას სისულელეა, რა ვქნა, ეს რა მოიგონე... რა საჭიროა, ბავშვმა ძუძუც მოსწოვა და ყველაფერიც...

ბავშვი გულში ჩაიკრა და ნაზად დააკონატუჩები მის შუბლს, მის თვალებს, მის ფუნთუშა ლოყებს. და არც მოისვენა, ვიდრე ბავშვი არ დააყუჩა:

— სულელი, — ამბობდა იგი, როდესაც შინისაკენ გასწია, — ეს რა მატრაკვეცობა მოუვიდა! ვის გაუგონია, ბავშვს დედა ცოცხალი ჰყავდეს და სხვამ ძუძუ მოაწოვოს... აგრე როდი ვზრდი ჩემ სოსოს, ენაცვალოს დედა. ჯერ არ მომკვდარვარ, როცა მოვკვდე, მაშინ იზრუნონ... რაო, დედად არ ვარგივარ, თუ?! მეც რძე მიდგია ძუძუში, ბალღამი ხომ არა?! აბა რა, ნურაფერი უჭამიათ, რომ ბიჭს დედა არ გამოვწირო...

მთელი თვით ამ ქალს უნძრახათ ადგა, ვიდრე ქმრები არ ჩამოერივნენ ამ საქმეში. ბოლოს დავა ისევ ძია იაკომ გადასწყვიტა:

— ეგ ჯიგრის ბრალია, ჯიგრის, — ნათლიდედა, ცუდი ხომ არ უნდოდა. სიყვარულს სთესდა. სიყვარულს... სიყვარული ხომ დასაძრახი არაა!.. ჩვენი მამა-პაპები სულ ერთმანეთის დედების ძუძუთი იზრდებოდნენ და იმიტომ უფრო იყო სიყვარული და პატივისცემა, ერთმანეთის გატანა.

ძია იაკოს სიტყვა ყოველთვის ბეჭედი იყო და ამ შემთხვევაშიც დედებმა დაჰხარეს ქედი და ერთმანეთს სიყვარულით ჩაეკრნენ გულში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV

ზი-ზი

ჯულაანთ ბიჭი, პატარა სოსო, დღითიდღე ლამაზდებოდა. ხშირი თმა გიშერივით შემოეჯალჯა მის პაწია სახეს. პატარა ბიძია სანდალა მართალი გამოდგა,—ბიჭიკოს თვალები სწორედ ნუკრისა ჰქონდა, განთიადისას ნაპრალთან რომ დადგება ხოლმე და მზისკენ გაშტერებული იმზირება.

ჯერ წლისაც არ იყო ბავშვი, რომ ენას ბრძოლა დაუწყო, უნდოდა, რომ ჩქარა ესწავლა ჭიკჭიკი. იგი ყველას საყვარელი შეიქნა. მთელი სახლი იყო და ის: პატარა დედა კატო ხომ ჰხარობდა და ჰხარობდა, ბიჭიკოს ცივ ნიავს არ აკარებდა. ბესო კიდევ, რაწამს სახელოსნოდან მოვიდოდა, ჯიბეს მოხსნიდა პირს და ამოჰქონდა და ამოჰქონდა ნაირნაირი საჩუქრები და ხილეული,— ნუყლი, ქიშმიში, ხან სათამაშოები; ხშირად ჯამბაზობდა კიდეც, შეისვამდა ბავშვს მხრებზედ და ერთ კედლიდან მეორემდე ყიჟინ-განგაშით აჭენავებდა.

— აჩუ, ქვირო, ჰეი! სად წავიდეთ? ბათუმში გინდა? ტრაპიზონში? — ეუბნებოდა მამა და შვილს ხან „ბათომისაკენ“ მიაქროლებდა, ხან „ტრაპიზონისაკენ“...

ვიდრე ბავშვი ენას გაიკვეთავდა, ყველა საგანს საკუთარი სახელი გამოუგონა. დიდები უფრო ბავშვის ენას სწავლობდნენ და მისსავით თუთიყუშობდნენ, ვიდრე ბავშვი დიდებისაგან სწორე თქმას ისწავლიდა.

პირველი სიტყვა ბიჭიკოს ყვავილებმა ამოადგმევინეს. აი ეს ამბავი როგორ მოხდა:

ერთხელ დიდედა მელანიამ ბავშვი სასეირნოდ წაიყვანა. გზა და გზა მან შეამჩნია, რომ ბავშვი გვერდით იხრებოდა, თითს აწვდიდა და რაღაცას ღროჭინებდა.

— ზი-ზი! ზი-ზი!.. — გაიძახოდა იგი.

— რა დაგემართა, შვილო, ხომ არაფერმა შეგაშინა?

მაგრამ ბავშვს სულაც არ ეტყობოდა შიში, პირიქით, სახე გაჰბადროდა, დიდედის მკლავიდან ძირს იხრებოდა და სალოკი თითით სურათოვნად რაღაცაზე ანიშნებდა:

— ზი-ზი! ზი-ზი!.. — უფრო თავგამოდებით იწევდა ბავშვი.

დიდედამ გაიხედა და ვარსკვლავივით მოკიაფე თოვლფრთებიან ყვავილს მოჰკრა თვალი, მზესავით მოკისკისეს და ყვითელგულას:

ეს იყო გვირილა.

— ეს გინდა, შვილო? — ჰკითხა დიდედამ.

და როდესაც ბავშვმა თავისებური ნიშნები მისცა, დიდედამ გადაჰხარა ბავშვი ყვავილისაკენ. ბიჭიკომ სწორედ გვირილას წაატანა ხელი, ყვავილი მოსწყვიტა, მოსრისა და ერთის ამბით პირისაკენ გააქანა.

— ზი-ზი! ზი-ზი! — წამოიძახა მან აღტაცებით.

დიდედამ ხელიდან გააგდებინა ყვავილი.

— უი, რას სჩადიხარ, შვილო, არ მოიწამლო.

ბავშვს ეწყინა, შუბლი შეიკრა და სატირლად გაემზადა, ვიდრე ახალი „ზი-ზი“ არ აღმოაჩენინა დიდედას.

დიდედამ რაკი გაიგო ბიჭიკოს „ზი-ზი“ გვირილაა და ეს ყვავილი ძალიან ესიამოვნებაო, ადგა და მთელი თაიგული შეუკონა. ბავშვი უსაზღვროდ ბედნიერი იყო. გვირილებს სათითაოდ ეთამაშებოდა; ზოგს სრისავდა, ზოგს ეხუტებოდა, ზოგს კიდევ მაგრად ბღუჯავდა და ლოგინში ერთად იძინებდა.

მეორე დღეს „ზი-ზიმ“ უფრო მეტი სასწაული მოახდინა: დიდედა მიუხვდა, რომ ბავშვი არა მარტო ენას ებრძოდა, არამედ ფეხის ადგმასაც სცდილობდა. ერთხელ ადგა, ბავშვი აიყვანა და კატოს გადასძახა:

— აბა ერთი აქ მოდი, ბიჭიკოს ფეხი უნდა ავადგმევინო.

კატო კიბის საფეხურზე ჩამოსვა, თვითონ შორიახლოს დადგა, ბავშვი დედის მუხლთან დააყენა, თითონ აიღო გვირილა და დაუძახა:

— „ზი-ზი! გამახარე, „ზი-ზი!“..

გვირილას დანახვაზე ბავშვი წამოყელყელდა, თითქოს რაღაცაზე შეფიქრიანდა.

— ჩემსკენ, გენაცვალე, ჩემსკენ!—განაგრძო დიდედამ,—ჩემსკენ!.. „ზი-ზი!“ „ზი-ზი!“

და ამ სიტყვებზე გვირილა ხელახლა მაცდური სახით აუთამაშა.

ბავშვმა ყოყმანი დაიწყო. თვალები ფართოდ გაახილა და გვირილას ისე დააშტერდა, თითქოს უნდა, რომ ეს უცნაური ყვავილი თავისი ვერცხლის მოლიფლიფე ფურცლებით აიღოს და გადაყლაპოსო. ბოლოს დასძლია ყოყმანს, ხელი გაუშვა დედის კალთას და გამოუთქმელი სიხარულით შესძახა:

— ზი-ზი!... ზი-ზი!...

და აპამპალებულმა დიდედას კალთაში წაჰყო თავი.

აღტაცებულმა დიდედამ გულში ჩაიკრა ბიჭიკო, რომელიც უკვე მიხვდა, რომ დიდედას სიხარულის საბაბი ის იყო, მაგრამ ბიჭიკო დიდხანს როდი გაჩერდა ასე, ხელახლად მოჰყვა ღროჭინს, ალბად ეს უკეთესიაო:

— ზი-ზი!... ლღლ!... ზი-ზი! ზი-ზი!...

რიგი პატარა დედაზე მიდგა. მან მოისურვა, რომ ბიჭიკო გვირილაზე უკეთესი რამით გაეხარებინა. გაიხსნა გულმკერდი, ძუძუ ამოიღო და ბავშვს დაუძახა:

— ძუძუ, გამახარე, ძუძუ!...

მაგრამ ბიჭიკოს ფეხიც არ მოუცვლია.

პატარა დედამ გაიკვირვა:

— რა ვქნა, დედიკოს ძუძუ აღარა გინდა, გენაცვალე?!

ბავშვი კვლავ სდუმდა.

მაშინ დედამ მოისაზრა, იქნებ დიდედას ხერხმა ჩემთანაც გასჭრასო, ადგა, გვირილა აიღო და იმითი დაუწყო მოტყუება:

— ზი-ზი, შვილიკო! ზი-ზი!... შეხედე, შეხედე!... აქეთ, შვილიკო!... ზი-ზი! ზი-ზი!...

ბიჭიკომ დაინახა თუ არა ვარსკვლავა ყვავილი, მგზნებარე სხივივით წამოციმციმდა, გასწორდა წელში და თამამი ფეხით გაეშურა დედისაკენ.

— ზი-ზი, ზი-ზი!..—დაიღროჭინა ბიჭიკომ და დედის მკერდთან თავი მიაყრდნო. მან უკვე იგრძნო გამარჯვება, იგრძნო, რომ ორი დედის აღტაცების მიზეზი ის იყო. ატოკდა. სიხარულით ატოტინებდა ხელებს.

დედამ ფართოდ გაშალა ხელები, ბავშვს აღარ აცალა მოსვლა და გულში ჩაიკრა. ეს დღე დაუვიწყარად აღიბეჭდა მის ხსოვნაში. თითქოს რაღაცა დი-

დებული რამ მოხდა, განუმეორებელი, უჩვეულო, ბრწყინვალე. მას ისე ეჩვენებოდა, თითქოს ბავშვმა გადასდგა ნაბიჯი, რომლითაც უკან დასტოვა ყოველგვარი დაბრკოლების გზები, თითქოს დავაუკაცდა კიდეც და ზღვრული გმირივით ფართო მხარბეჭით ეზიდებოდა საყოველთაო ბედნიერებას, საყოველთაო სიხარულს.

— ზი-ზი!... ზი-ზი!.. — განაგრძობდა ბიჭიკო ძახილს და თანდათან უფრო მეტი სითამამით ხან დედისაკენ მიცუცულებდა, ხან დიდედისაკენ, იმისდამიხედვით, ვინ უფრო ჩქარა და მეტ გვირილას დაანახვებდა.

მალე გვირილის ხეივანი გაშენდა ბავშვის დედისა და დიდედას შორის. წარმოუდგენელი იყო გვირილის სასწაული. წარმოუდგენელი იყო თვითონ ბავშვის სიხარულიც, მისი ფიქრმორეული შეჩერება დედისა და დიდედას შორის, რომელთან სჯობია ადრე მისვლაო.

— ზი-ზი!... ზი-ზი!...

ამ დღეს მხოლოდ ეს სიტყვა-ღა ისმოდა. მეორე და მესამე დღეს თვითონ ყვავილები უძახოდნენ ბიჭიკოს თავისკენ. დედის კალთას ბავშვი დაუხმარებლივ თვითონვე შორდებოდა და საყვარელ „ზიზისკენ“ მიიწევდა.

მისი შორიდან მაყურებელი დიდედა წელში გასწორდა. მოხრილი ბეჭები გაეშალა და მთლად მიავიწყდა წარსული ვაება. მას არც კი ახსოვდა, თუ ოდესმე სადღაც საზიზღარი ფეოდალი სცხოვრობდა, თავადი ამილახვარი, რომელიც ძალით სცდილობდა მის შერცხვენას და გაწბილებას. მისთვის თვით მრავალ-ტანჯული გლახაც არ არსებობდა, ისიც დავიწყა; დღეს მხოლოდ ეს ბიჭი იყო მისი უსაზღვრო ბედნიერების მედროშე. მისმა ფეხის ადგმამ და „ზიზიმ“ მარადიული სიხარული ააფეთქა მის დამწვარ გულში. უნდა გენახათ, ამ დროს როგორ უთრთოდა ტუჩები, ხოლო იმ მიმქრალ თვალებში როგორ წამოუცისკრდებოდა ხოლმე მღვრია ცრემლების ალმასები. ბიჭიკო მისი მანათობელი ვარსკვლავი შეიქნა, მისი იმედების ანთებული ცისკარი, რომელსაც მისი საფლავისათვის უნდა მიეფრქვია მოკიაფე სხივები.

— ჩემს სოსოს დიდედა ანდობს თავის სიხარულს, თავის სულის ცხონებას, — ხშირად უთქვია მას და კოცნით დაუთვრია საყვარელი ბიჭიკო.

V

დუნდალები

სოსო მეორე წელში გადადგა. მუხლი გაუმაგრდა. ენაც საკმაოდ გაიკეთა, თუმცა ეხლაც ყველა საგანს თავისებურ სახელს არქმევდა.

„ზი-ზის“ შემდეგ პირველი რთული სიტყვა „დუნდალა“ იყო.. დიდხანს ვერ მიმხვდარიყვნენ, რას ეძახდა ბიჭიკო „დუნდალას“, — შემდეგ, როგორც იყო, ამასაც მიაგნეს.

ახალ წელიწადს მამამ ბავშვის გასეირნება მოისურვა. დედას გული ეთანაღრებოდა, არ შემეციოსო, მაგრამ რადგანაც ბესომ აიხირა, ბავშვი კარგად შეფუთნა და ისე გაატანა.

გამოსვლისთანავე ბესომ ბავშვი მარხილში ჩაისვა და თოვლით დაფენილ ქუჩებსა და ქალაქგარედ კარგა დიდხანს ასეირნა.

ბიჭიკო მიყუჩებული იყო, ეტყობოდა, იამებოდა მზიანი დღე, მაგრამ ბესოს არც ის დარჩა შეუმჩნეველი, რომ ეს ბავშვი რაღაცას ყურს უგდებდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სიამოვნებით იწევდა, ყელყელაობდა მის აღმოსაჩენად. ბოლოს გრძნობა-მორევით გაიწია და კინაღამ მამას კალთიდან გადაუგორდა:

— დუნდალა ნდა-ა!.. დუნდალა ნდა-ა!... ნდა-ა!...

მამა ვერ მიხვდა, რას თხოულობდა ბავშვი. როცა შინ დაბრუნდნენ, ბავშვი გაჯიუტდა, ატირდა, შინ შესვლაზე უარობდა და სულ ერთსა და იმავეს იძახოდა:

— დუნდალა ნდა-ა!.. დუნდალა ნდა-ა!.. ნდა-ა!..

— ეშმაკმაც დაგწყევლოს შენცა და შენი დუნდულაც! — შესძახა მამამ, — წადი და დედაშენმა მოგცეს ეგ ოხრად დასარჩენი დუნდალა.

ბავშვი დედას გადაულოცა.

დედამ ბავშვს გოზინაყი მისთავაზა, მაგრამ მან კბილიც არ დააკარა და გააბა დაუსრულებელი ზმუილი:

— დუნდალა ნდა-ა! დუნდალა ნდა-ა!... ნდა-ა!...

ის დღე მთლად ჩააშხამა დედასაც, მამასაც, სტუმრებსაც.

გავიდა ერთი კვირა. მიწყნარდა დღესასწაული. სტუმრების მისვლა-მოსვლა. დაწყნარდა ბავშვიც. „დუნდალამაც“ თითქოს ჭირი მოგჭამათ, მაგრამ ეს იყო მოჩვენებით და ბოლოს „დუნდალამ“ თავი ისევ გამოჰყო.

ორი კვირის შემდეგ ბესოს მეგობარმა გიგო ხოდელმა იქორწილა და ნაცნობები მთელი ოჯახობით დაჰპატიჟა. ბესოც ეწვია. დედამ სოსოც თან წაიყვანა, დიდედას ანაბარად ვერ დავტოვებო. მთელმა დღემ ჩინებულად ჩაიარა. „ნეფე-დედოფალი“ ერთის ამბით გაისტუმრეს საყდარში, დასწერეს ჯვარი და იქიდან, როგორც მაშინ ჩვეულებად ჰქონდათ, თავზე დადგმული ტოტებიანი გვირგვინებით მოიყვანეს მაყრებმა.

საზოგადო მხიარულება უეცრივ ბავშვის ძახილმა გაჰკვეთა და ყველას ყურადღება მიიზიდა:

— დუნდალა ნდა-ა!.. დუნდალა ნდა-ა!.. ნდა-ა!

აქ კი სხვისი მიშველება არ დასჭირებია, — დედის მკლავიდან გადასწვდა პატარძლის გვირგვინის ტოტს, მაგრად ჩაიბღუჯა ხელი, ისე გამოსწია, რომ კინაღამ გვირგვინი ჩამოაძრო.

სტუმრებში ზოგმა სიცილი ასტეხა, ზოგი კიდევ ცრუმორწმუნეობამ აიტანა, — ეს რაღაცა ცუდი ნიშანია, ემანდ პატარძალი არ გაგვითვალონ და მალე არ მოგვიკვდესო.

იწყინა ბესომაც და კატო საყვედურით დაახრჩო: რა დაგემართა, დედაკაცო, ქორწილში ბავშვი რას მოგყავდაო.

— წაიყვა, აქაურობას მოაშორე, თუ ღმერთი გწამს, იქ დიდედა მოუვლის...

მაგრამ წაყვანა არ უნდოდა. ბავშვი გვირგვინის ტოტს ჩაჰფრენოდა და ხელს არ უშვებდა.

— დუნდალა ნდა-ა!... დუნდალა ნდა-ა! ნდა-ა!...

არ იქნა, „დუნდალას“ ვერ მოაშორეს.

გაცხარდა ბესო, აილეწა, ბავშვს ცემა დაუპირა, მაგრამ ძია იაკო გამოექომაგა ბავშვს.

— ხელი ჩემს ნათლულს! — შესძახა მან, — ბიჭი ვაჟკაცობას ჩემულობს და თქვენ ხელს უშლით? — შემდეგ ხოდელს მიუბრუნდა, — ფრთხილად, ხოდელო! ხიდქვეშ შენი ვაჟკაცობა! შენც იტყვი, რაღა, რა ვაჟკაცი ვიხრჩობიო! თურმე შენზე უძლეველი ფალავანი გვერდში გყოლია. კიდევ იტყვი, გორულ

კრივში ვერავინ მომერევაო, ერთი მე ვარ და ერთიც ხორველა ბიჭი... აბა, ბიჭი ხარ და გაუმკლავდი ამ ფალავანს, ხომ ხედავ, პატარძალსა გტაცებს... ეცი, რაღა, დასცხეთ ერთმანეთს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუმრები ჯერ ჩუმად ისმენდნენ ძია იაკოს სიტყვებს, შემდეგ, როცა მიუხვდნენ სიტყვის თამაშს, საყოველთაო ხარხარი ასტყდა:

— მართალია, მართალი!... ფრთხილად, ხოდელო, ფრთხილად!

— აბა, ჰა, სცადე შენი ძალა!

— ვაიმე პატარძალო!

— არა, ბიჭიც სანაქებოა! ყოჩაღ, ბიჭო, ყოჩაღ!..

— ღმერთმა შეგარგოს ჩვენი ხოდელის პატარძალი! — შემდეგ ძია იაკომ მოითამამა და ყანწი მოითხოვა:

— ხალხო, სმენა იყოს და გაგონება, წიხლის კვრა და გაგორება... ჩვენ უკვე მომხდარი ამბის წინაშე ვდგევართ. მეტი ჯანი არ არის. გიგომ მოკრიველთა დროშა უნდა დახაროს და ფალავნობა ამ ბიჭიკოს გადაულოცოს თავის პატარძალთან ერთად. აბა, პატარა დანა მომეცით.

ერთმა ხანჯლის ქარქაშზე გაიკრა ხელი და პატარა ხანჯალა დანა ამოიძრო. ძია იაკომ ჩამოართვა.

— აბა, პატარძალო, შენი გვირგვინის ცოტა უნდა დასთმო! — ამ სიტყვებზე გაუსვა დანა, ჩამოსჭრა ტოტი და ბავშვს გადასცა.

— აჰა, შვილო, ესეც შენი „დუნდალა"!.. ეხლა აღარ იტირო, ეს ნიშნობად ჩავთვალოთ და, როცა გაიზრდები, ამ პატარძალს სახლში მოგგვრით. — შემდეგ ხოდელს მიუბრუნდა:

— ხიდ ქვეშ, ხოდელო, შენი ვაჟკაცობა! არ ვიცი, პატარძალო, როგორ გაგიმასპინძლდება.

წამს უკან ქეიფი გააჩაღეს. ბავშვი დაწყნარდა, „დუნდალას" თამაშში გაერთო.

მეორე დღეს ბესო დიდ საგონებელს მიეცა: კარგი, თუ ხოდელის „დუნდალა" გვირგვინის ტოტს ნიშნავდა, იმ დღეს რაღა ჯანდაბას თხოულობდაო. იფიქრა, იფიქრა, და მიხვდა, რომ ბავშვი ცხენის მოსართავ ვერცხლის ეჟვნებისაკენ იწევდა. მეორე დღესვე უყიდა ასეთი ეჟვნები, როცა ბავშვს გადაუგორა, ბიჭიკო გადაირია სიხარულით. ეჟვნები აიტაცა და მოჰყვა ძახილს:

— დუნდალა-ა!. დუნდალა-ა!..

ბავშვი დასცხრა რა წამს „დუნდალა" ხელთ იგდო და ისე ერთობოდა, რომ ხმა აღარ ამოუღია.

მამობრივი სიამაყით აივსო ბესო, ბიჭიკოს სითამამემ ფრთები შეასხა, ულვაშებზე ხელი გადაისვა და წაიღიღინა:

— ბიჭია ბაკირაული,
კოჭი აქვს რუხი მგლისაო,
ხმალი ოქროთი ნაჭედი,
ქარქაში სპილოს ძვლისაო;
მკერდი დევკაცა ამირნის,
ქედი კი მაღალ მთისაო;
ქარიშხლის ფრთები შეუსხავს,
ქარბუქში ელვას მკისაო;

ველზე გაგლინავს ლურჯათი,
ჯავრი აქვს ქვეყნის მტრისაო;
ისე მოსდღლიძავს მუხასა,
რომ არ გაანძრევს თითსაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ დღიდან სათამაშო ნივთებში პირველი ადგილი „დუნდალებმა“ დაიჭირეს: ვერცხლის ეკვნებმა, ზარებმა, ბრჭყვიალა სტვირმა.

არც ძია იაკოს დაუკლია რამე, თუმცა მის მიერ მოტანილი „დუნდალები“ ბევრად მნიშვნელოვანი იყო, — ეს გახლდათ ვერცხლის მასრები, კოპწია ქამარ-ხანჯალი, მომწვანო მესტები, თეთრი ჩოხა და ახალუხი. როცა ბავშვი ყველა ამაში გამოაწყვეს, ძია იაკომ დოინჯი შემოიყარა, უყურა, უყურა და აღტაცებით შესძახა:

— არა, თუ ღმერთი გწამთ, გამაგებინეთ, ვისია ეს ჯეირანი? ავთანდილია თუ ტარიელი?

და პატარა „ავთანდილ-ტარიელს“ იმავე წუთში ბრძოლა გაუმართა. რა თქმა უნდა, „ავთანდილი“ გამარჯვებული გამოვიდა, რაც დამსწრეთა აღტაცებითაც დადასტურდა.

VI

საახალწლო საჩუქრები

სოსო მესამე წელში გადადგა.

ახალი წელი საზეიმოდ იწვევდა თოვლით დაფენილ არემარეს.

მარხილებს ვერცხლის ზარების წკარუნით და მოკიჟინე ეკვნების ჟღარაჟღურით დაასრიალებდნენ.

დიდედებს გადამალული ზანდუკები მოეძებნათ და უხვად ამოელაგებინათ ჩამიჩი, ჩურჩხელები, ვაშლები, მსხალი, ჩირეულობა.

ბესოს სახლი კოპწია დედოფალივით იმზირებოდა თავის ღარიბულ საშკაულებში. ყველაფერს იშვიათი სისუფთავე და ლაზათი დაჰკრავდა. მაგიდას თეთრი სუფრა ამშვენებდა. ზედ გაწყობილი იყო აბრამიანი თავისი განუშორებელი ღორის თავით, თაფლით და ნაირნაირი ხილეულობით, ჩურჩხელებითა და გოზინაყით.

სტუმრებმა დილა-ადრიანვე დაიწყეს მოლოცვა.

პატარა სოსოსაც ეწვია თავისი საყვარელი სტუმარი, — ეს იყო ჩვენი ნაცნობი მეზობლიანთ გოგონა დარიკო. დარიკომ თავის პატარა ძმობილს ფოჩიანი შაქრიელები მიულოცა. უბრალო შაქრიელები კი არ გეგონოთ, სულ კეწკეწა სურათებიანი. ერთზე ლამაზი გოგონას თავი იყო გამოყვანილი, მეორეზე ზამთარი და მსუნაგი მელია, ხოლო მესამეზე კურდღლის ბაჭიები. ბიჭიკომ ვერც ერთი იცნო, მაგრამ ყველას თანაბრად გაუღიმა. მათმა კიაფმა თვალი გაუხალისა და დაჰკოცნა. შემდეგ დარიკო და ის კუთხეში მისხდნენ და კარგა ხანს ერთად თამაშობდნენ.

თამაშით რომ გული იჯერა გოგონამ, წამოხტა და მაგიდაზე მდგარ ფეხებიან მრგვალ სარკეს მიაშურა, რომ შიგ ჩაეხედნა და თავის თავისთვის გაელრიჭა, როგორც ეს ჩვეულებად ჰქონდა. მაგრამ მისი ღია შავი თვალები მაგიდაზე გამწკრივებულ ბრტყელსურათიან შაქრიელებს შეაჩერდა, რომელთა შორის ყველაზე მეტად მოჰხიბლა ერთმა გოგონას სურათმა. გოგონა ქერა კულულებიანი იყო, ცისფერი ღია თვალებით, ცისფერი ლენტებით და ვარდის-

ფერი კაბით. თავი ოქროს გვირგვინით შემოეფარგლა, ნამგალა მთვარეზე იჯდა და ლაჟვარდოვან ცაში მიჰქროდა ოქროს და ვერცხლის ვარსკვლავთა შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარიკოს გულმა ვეღარ გაუძლო და ბესოს შეეხვეწა:

— ძია ბესო, მაჩუქე ეს შაქრიელა.

ბესო ხუმრობის გუნებაზე დადგა.

— ეხლავე, შვილო, ეხლავე, — უთხრა დარიკოს. მაგიდიდან აიღო სწორედ ის სურათოვანი ფოჩიანი შაქრიელი, კუთხეში მიდგა და ღიმილით რაღაცას ჩხირკედელობდა.

— აჰა, დარიკო!... ეხლა, შენს გაზრდას, სოსო წაიყვანე თქვენსას და იქ ათამაშე... აქ ბევრი სტუმრები მოგვივლენ... როცა დაიღალო, წამოიყვანე... ჰოო?!

— კარგი, ძია ბესო.

დარიკომ სოსოს ხელი ჩაჰკიდა და წაიყვანა. გზადაგზა პატარა სტუმრები დაუპატიჟა ძმობილს და შინ მისვლისას ხელად თამაშობა გააჩაღა. დარიკომ ბავშვებს გადმოულაგა რაც კი დედოფლები ჰყავდა, გოზინაყით ჯერ დედოფლები „დააბერა", შემდეგ სტუმრები, ბოლოს დაირა აიღო და სათითაოდ ყველა ათამაშა.

— უყურე, სოსო, ახლა ჩემმა დედოფალმა ლეკური როგორ ითამაშოს, — უთხრა დარიკომ სოსოს, აიღო ყველაზე დიდი დედოფალა, თან ლეკურს უკრავდა პირით და თან აცეკვებდა დედოფალას.

სოსომ ლეკურისა არა იცოდა რა, მაგრამ დედოფლის ხტუნაობა ისე მოეწონა, რომ დაჯდომილა თითონაც ჰხტოდა და ტაშს უკრავდა.

— ეყოფა, ეყოფა, — დაიძახა დარიკომ, — ჩემი დარეჯან დედოფალი დაიღალა, ჯერი ეხლა შენზეა, ჩემო სოსო, ახლა მე და შენ ვითამაშოთ.

წამოხტა და სოსო გაითამაშა.

ბიჭიკომ არ იცოდა თამაში, მაგრამ მაინც დარიკოს მიხედვით ხელები გაშალა. ბავშვებმა სიხარულით ტაში დაუკრეს. ისეთი ლხინი გაიმართა, რომ თვით ფისუნია-ციცუნია ეშხზე მოვიდა, გორგალს თავი დაანება და დარიკოს კაბაზე შეახტა.

ხელახლად ასტყდა ხარხარი, ერთი-ერთმანეთს მიეხვევნენ, გასწი-გამოსწიეს, მაგრამ უცბად შემოტრიალების დროს ბიჭიკოს მარცხი მოუვიდა, — ამოვარდნილ აგურში ფეხი ჩაჰკრა და წაიქცა. ეტკინა ფეხი, მაგრამ გოგოებისა შერცხვა და არ იტირა. ცრემლი წამოაწვა, მაგრამ მაინც იცინოდა.

დარიკო მიეშველა, წამოაყენა და ბავშვისთვის რომ ტკივილები დაევიწყებინა, ბესოსეული შაქრიელი გაუფცქვნა მისათავაზებლად. გაუფცქვნა, მაგრამ ვაი თქვენს მტერს, რაც მაშინ დღე დაადგა; შაქრიელის ნაცვლად ყვითელი მუყაოს ნაჭერი შერჩა ხელში.

— ეს რა ჩაუდვია, რა ვქნა?! — წამოიძახა გაშტერებით დარიკომ, მაგრამ უმალვე მიხვდა ძია ბესოს ოინებს, სასტიკად ითაკილა, სტუმრების წინ რად გამაწბილაო, სიბრაზით ყველაფერი მიჰყარ-მოჰყარა და მუთაქაზე მჯდარი ბიჭიკო უდიერი ხელისკვრით გადააგორა და ააღრიალა.

— იქით, დამეკარგე შენცა და შენი მამიკოც!

სოსოს ტირილზე დარიკოს მშობლები წამოცვივდნენ. გოგონამ გაქცევით თავს უშველა, ხელში მაინც ბესოსეული შაქარი ეჭირა დაბღუჯული, შურდულივით შეეჭრა ბესოსთან და სტუმრების წინაშე თავზე მიუგდო.

— მომეცი ჩემი შაქრიელი, მომეცი, — წიწმატებდა დარიკო, — ეს შენ წაიღე და თითონ სჭამე... რა თავში სახლელად მინდა.

ბესომ ხარხარი დაიწყო. სტუმრების წინაშე თავი უნდა [illegible] მაგრამ გოგონამ ამის საშუალება არ მისცა.

— შენ ფინთი ძია ყოფილხარ... შენი არაფერი მინდა... მომეცი ჩემი შაქრიელი... მომეცი მეთქი!

— შევრიგდეთ, ჩემო კარგო, შევრიგდეთ, — უთხრა ბესომ, — გეხუმრებოდი. ღმერთმანი, გეხუმრებოდი.

— კარგი ხუმრობაა, შენმა მზემ, ისიც ახალ წელს! — ხომ დამეკვება...

— ახალწელს უნდა ხუმრობა, შე კაი ქალო, თორემ ბებერ წელს ისედაც წელი აქვს მოწყვეტილი, სამარეში წევს და იმის თავზე სიცილი, ან ხუმრობა ვის გაუგონია. აბა, ეხლა ეგ შენი წინსაფარი წამოსწიე.

— შენი არაფერი მინდა, არაფერი, არაფერი...

ასე ამბობდა დარიკო, მაგრამ ძია ბესომ მთელი კალათა ხილი რომ გამოიტანა, პარკით ნუყლი და ხმელი ხილი, გოგონამ მორცხვად წინსაფარი წამოსწია და პირთამდე აავსებინა.

— ეს რაა, ახლა ამასაც უყურე, — უთხრა ძია ბესომ და რაც კი რამ ბრტყელი ფოჩიანი შაქრიელი გააჩნდა, სულ ერთიმეორეზე უკეთესი სურათოვანი, გოგონას კალთას ჩაუმატა.

— ეხლაც ჯავრდები?

— გმადლობთ, ძია ბესო.

გოგონამ მორცხვად თავი დაჰხარა, გაწითლდა და უცბად შინისაკენ გაჰკურცხლა.

პირველ რიგში დარიკომ სოსოსთან შერიგება მოისურვა. სოსომ რომ დაინახა, დაიბღვირა, კოპები შეიკრა, ზურგი უჩვენა.

— შევრიგდეთ, ჩემო კარგო, შევრიგდეთ, — უთხრა გოგონამ, — შეც ძია ბესომ გამაჯავრა, მაგრამ შევრიგდეთ... მოდი, გაკოცო...

არ იქნა და ბიჭიკომ კოცნის ნება არ მისცა. რამდენჯერაც დარიკომ ხელი წაატანა, იმდენჯერ განზე გაიწია, თუმცა გოგონამ მთელი კალთა ხმელი ხილი და შაქრიელი სულ თავზე გადააყარა.

— შევრიგდეთ, გამახარე, შევრიგდეთ!... მოდი, ჰო!... ნუ ჯავრობ, გეყოფა!... აკი შენ გამგონი ბიჭი ხარ.

ბიჭიკო დაიჭირა, ძალით აკოცა, მაგრამ ვერაფრით მოსთაფლა. ბიჭიკომ იძალავა, ხელიდან გაეშვა და ტირილით გასწია კარისაკენ.

— უი, დედა, რა ჯიუტი ყოფილა!...

ჯუღაანთ ბიჭი ტუსტუსით შინისაკენ გაეშურა.

მთელი დღე გაბუტულები იყვნენ, მხოლოდ საღამოთი მოხდა მათი შერიგება.

გაიხარა დარიკომ პატარა მეგობრის გულის მობრუნებით.

გაიხარა თვითონ ბიჭიკომაც:

— დალიკო... დალიკო!... ფოფალა ვითამასოთ...

და დარიკომაც დედოფლები გადმოალაგა.

წამს შემდეგ მათი კისკისი და ტაშ-ფანდური დედოფლებს ძილს უფრთხობდა. მათ ხელში თოჯინები სულ მალაყ-მალაყს გადადიოდნენ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალიო მაშაშვილი

სიმღერა—სიყვარული

ბაღში ღუღუნებს მწუხრის ნიავი,
სარკმელს შორდება მზე მოქანცული,
დალონებული ფიქრთა სიავით
ტახტზე ჩანგი წევს, — ნაზი ქალწული.

ღია გულმკერდით სუნთქავს მძინარი,
ნოხზე, ნებივრად წამოწოლილი,
ვით ერთი ტალღა სუფთა მდინარის
ხმელეთზე ბადით ამოსროლილი.

დღეა — და, შფოთავს უსიხარულოდ,
ძილშიც ის აკრთობს, ის აგონდება,
ჭკნება ქალწული უსიყვარულოდ,
და უსიმღეროდ ჩანგიც ღონდება.

მხოლოდ ჯადოსნურ მიალერსებით
ტახტთან ნიავი ზის გალურჯული,
გადაუხსნია წიგნი ლექსების,
უძევს მუხლზე და ფურცლავს ჩურჩულით.

კარი გაიღო, უცებ ჩრდილებიც
დაიძრნენ, გაქრნენ ვით უკდემონი,
დაიხარა და... კალმის ფრჩხილებით
ჩანგს ჩააფრინდა თეთრი დემონი.

ჩაიკრა ტრფობის ეშხით ვნებული,
შარავანდივით ტფილი, ცქრიალა,
და, მთელი ტანით ათრთოლებული,
ხელთ აიყვანა, ააწკრიალა.

გაისმა მგოსნის ჰანგი მზიური,
ჩანგიც გაცოცხლდა ღონე-მიხდილი:
რომ სიყვარული ამ ქვეყნიური
უმღერონ მზეს და... სძლიონ სიკვდილი.

თბილისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარიამ გარიყული

დედისერთა

მაღალი, სრულ მხარბეჭიანი ბრგე დედაკაცი, ჯოხ-დაბჯენილი მიდის. შეერცხლილი თმა ნათელ შუქსა ჰფენს მის მოგრძო, მსუბუქ ხაზებით დაღარულ სახეს. ვისაც უნახავს ის ცხრაას ხუთში, ახლა ვეღარ იცნობს. იმ დროს, მეტ სახელათ, ჯეირანი დაარქვეს ციხის ძმებმა, მეტეხის ციხის ეზოში, ამაყად ყელმოღერებული დადიოდა. დღეს ოდნავ მოხრილა, მაგრამ მაინც ისე მიდის თითქოს მთა იძროდეს, ასე ჰგონია კაცს, ქალის ოდნავ მოხრილ ბეჭებს საუკუნოების სიმძიმე მიაქვსო.

მიდის ჯეირანი სწორი გამართული ნაბიჯით, ოდესღაც ეშხით სავსე წვრილი წარბები, თვალთა ქუთუთოებზე წამოხურვია, საზრიანი გუგები ღრმა მეტყველებით იცქირებიან.

გვერდით მისდევს მეორე პატარა ტანდაბალი ქალი, ამ ქალს ბაბეს ეძახის ჯეირანი.

ბაბეს ახსოვს ჯეირანის ახალგაზრდობის ყოველი ნაბიჯი. მაშინაც ასეთი დინჯი, აუჩქარებელი და გაუტეხელი იყო. სამხედრო სასამართლომ ათი წლის კატორღა რომ მიუსაჯა, წარბიც არ შეუხრია ჯეირანს, ხოლო თვალი მოავლო დარბაზს და ბაბე რომ დაინახა, ძლივს შესამჩნევად გაეღიმა. წარსულის მოგონებამ სილუეტივით გაირბინა ბაბეს გონებაში.

— უჰ! — ამოიხვნეშა ქალმა.

— რა იყო? — შეეკითხა ჯეირანი ისე, არც კი მიუხედავას მეგობრისაკენ.

ბაბე გამოერკვა ფიქრისგან.

— არაფერი, ქვას წამოვკარ ფეხი და... — არ დაათავა სიტყვა.

ისევ მიდიან. ზაფხულის დღეა, მზე შუადღეს შემართებია. ცხელა, გახურებული ქვაფენილები თენთავს კაცს, სხეულს უდუნებს. ქუჩა მაინც ხმაურობს, ხალხი სიცხეს გაურბის თუ საქმეზე ეშურება, ისწრაფვის, ფუტკარივით ირევა.

ჯეირანი მდუმარედ მიდის და ეს დუმილი სიმძიმეთ აწვება ბაბეს გულს. თავის მოკლე ფეხებით ძლივს უსწორდება ჯეირანის განიერ ნაბიჯს. მიიხვნეშის და ოფლს იწმენდს.

— აი მწვანე მესერი, რკინის ჭიშკარიც, შვიდი ნომერი, ასე უთხრეს, ასე მიასწავლეს. ჭიშკარში, თმებგაჩეჩილი, პატარა გოგონა შემოეფეთათ.

— გოგონა! აქ ცხოვრობს ხანთაძე? — შეეკითხა ბავშვს ბაბე.

— აი მანდაა — მიუთითა გოგონამ შუშაბანდიან აივანზე და ქვემოთ მოკურცხლა. გოგო მირბოდა და მისი კულულა თმები ახლად ამოვარდნილ ნიავს მიჰქონდა. ჯეირანი კიბეზე ავიდა, კარზე დააკაკუნა, გულმა ძალუმათ დაუწყო ცემა. დერეფანში გამოვიდა თეთრთავსაფრიანი ქალი. კარი გააღო და: „ვინ გნებავთო“... ჰკითხა მისულებს.

— ილიკო ხანთაძის დედა მინდა. — თავაზიანად მიუგო ჯეირანმა. ჯეირანს, კატო ერქვა ნამდვილ სახელად...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასპინძელს ზაფრანის ფერმა გადაურბინა სახეზე.

— ცუდი ამბავი ხომ არ მომიტანეთ შვილზე?

— არა, თქვენზე არა, ჩვენსას ვეძებთ... — დაასწრო ბაბემ კატომ.

— მობრძანდით! — შეიპატიჟა მასპინძელმა და განივრათ გააღო კარი. წინ წაუძღვა, უნდა ოთახში შეიყვანოს.

— არა, ნუ სწუხდებით. — უთხრა კატომ და შეჩერდა, მასპინძელი შედგა. არ იცის ვინ არის ეს უცხო ქალი.

კატომ მოათვალიერა იქაურობა, უნდა რამეზე ჩამოჯდეს. ხედავს ლონე ღალატობს. ეშინია, სისუსტე არ გამომჟღავნოს.

დიასახლისი მიუხვდა, გასაჭირს და სკამი მიაგება. კატო ნელა დაეშვა სკამზე. ყავარჯენი მუხლებშუა დაიყუდა, ზედ ულონოთ დაალაგა ხელები... ყურს უგდებს თავისივე გულის კარები როგორ ეღება და ეხურება.

ბაბე მიუახლოვდა ამხანაგს, სახეში შეუჭვრიტა, სკამს უკან დაუდგა.

— ჩვენ მოვედით, ნათესავის ამბავი გვინდა გავიგოთ, — სთქვა კატომ, თავი არ აუწევია, ხელჩანთაში რაღაცას ეძებს, შეკეცილი ქაღალდი ამოიღო. ბაბემ შენიშნა რომ ხელი ოდნავ აუკანკალდა კატოს.

— ვინ ბრძანდებით? — შეჰხედა მასპინძელმა.

კატომ არ უთხრა ვინც იყო.

— აი, ვიზედაც მწერენ ძალუა ვარ იმისი. თქვენ იცნობთ ამ ხელნაწერს?

დიასახლისმა ჩამოართვა წერილი. დახედა და უეცრად წამოჭარხლდა.

— დიახ, ჩემი შვილის ნაწერია, — სწრაფად გადაავლო თვალი და გაფითრდა. ხელები ძირს დაუშვა, სტუმარს შეხედა, პირი გააღო, არ იცის რა უთხრას.

— დედა მისი?! მან იცის? — იკითხა ქალმა.

— ჯერ არ ვუმხელთ... — ყრუთ მოისმა პასუხი...

ბაბემ ქვედა ტუჩზე ისე დაიდგა კბილი, სისხლმა გამოჟონა, და სასოება ჩამწყდარ თვალებით მიაჩერდა მასპინძელს.

— თქვენ მოგწერათ რამე თქვენმა ვაჟმა? — ისევ იკითხა კატომ.

— ჰო, დიახ... ჩვენ... — დაიბნა ქალი.

— ჰო, მითხარით, მე ყველაფერს ავიტან... გეუბ... ნებით... მხოლოდ... ძალო ვარ მისი...

— დიახ მოგვწერა... ისე დავიხოცენით ჩემი ილოს ლხენამ... დადიოდა ჩვენთან ბიძინა... შვილივით გვიყვარდა. — სათქმელი არ დაათავებინა კატომ.

— მაჩვენეთ წერილი თუ შეიძლება.

მასპინძელმა გამოიტანა წერილი.

კატომ წაიკითხა. „N მიმართულებით, სასტიკ შეტევის დროს დაგვეღუპა ბიძინა ხირსელი, დედა მისს მივწერეთ, მაგრამ თქვენ მაინც შეგატყობინეთ...“ — კატომ დახუჭა თვალები. ჯოხს შუბლით დაეყრდნო და გაყრუვდა.

— შვილო! — ერთი ამოიკვნესა, თავი ასწია, პირდაპირ ფანჯრის მინებს მიაჩერდა, თვალები ამოეშრიტა, სახე გაუფითრდა, ნათალ ქვად იქცა, ერთი ნაკვთიც არ იძროდა ზედ.

მასპინძელს ელდა ეცა. „ეს რა ჩაიდინა, ასე მოურიდებლად, ასე გაუფრთხილებლად, დედას უთხრა, დედას, შვილის სიკვდილი!“. ქალმა სიმწრით ჩამოიკრა ხელი ლოყაზე.

კატომ თავს ძალა დაატანა, წამოიწია, დააპირა ადგომა, მაგრამ წელში ველარ გაიმართა და ისევ დაეშვა სკამზე მძიმედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

დაბალ ფლიგელებიან სახლთან გაჩერდა ეტლი. შიგ ბაბე იჯდა და გულზე ჰყავდა მისვენებული კატო. ჭიშკართან ქალები იდგნენ, ლაპარაკობდნენ და თან ელოდნენ, თუ რა ამბავს მოიტანდა კატო. ეტლი რომ გაჩერდა, ეს ქალები ირგვლივ შემოეხვივნენ, ყველა აიტაცა ცნობის მოყვარეობამ.

— რა ამბავია ბაბე? — ჰკითხა ერთმა.

— რაღა რაა? მიშველეთ გადმომაყვანინეთ... — მიმართა ბაბემ. ქალებმა აღარ დააყოვნეს, ფრთხილად გადმოიყვანეს, ხელით შეიყვანეს სახლში და ლოგინში ჩააწვინეს.

— რატომ პირდაპირ საავადმყოფოში არ წაიყვანე? — ჰკითხა ერთმა ბაბეს.

— რა ვიცი, დავიბენი... სახლში გამოვსწიე. ჯერ აქ ვნახოთ და თუ საჭირო დარჩა, წავიყვან.. — ლაპარაკობდა ბაბე, ჩუმათ, ფეხაკრეფით დადიოდა, აწესრიგებდა ყველაფერს. ორი ქალი დარჩა, სხვები გაიკრიფნენ ოთახიდან.

*
* *

კატო, როგორც ჩააწვინეს ლოგინში, იმავე მდგომარეობით იწვა უმოძრაოთ... გამომყურე თვალები ერთ წერტილს მისჩერებოდა...

სასწრაფოდ მოყვანილმა რაიონის ექიმმა საჭიროდ სცნო მოეწვიათ ნერვოპათოლოგი პროფესორი, რომელსაც, პოპულარული სახელი აქვს ქალაქში. საკმარისია ოჯახში ფეხი შესდგას, ავადმყოფის პატრონი იმედით აღივსება... რეცეპტებზე მეტად, სიტყვიერ დარიგებას აძლევს, ესაუბრება ავადმყოფს, სულიერად ამაგრებს, უადვილებს სატკივარს, დაარწმუნებს რომ არაფერი არ სტკივა და ეს მხოლოდ „მოჩვენებითი ამბავიაო“.. შთაგონება მეტად სწამს და ამ მეთოდით უფრო მკურნალობს, ვიდრე აფთიაქის წამლებით.

მოსვლისთანავე დაწვრილებით გამოჰკითხა ბაბეს მთელი ამბავი. ბაბემ ყველაფერი მოუთხრო და ისიც დაუმატა: „როცა დანამდვილებით გავიგეთ, ერთი სიტყვა არ დაუძრავს, ერთი ცრემლიც არ ჩამოუგდია, მხოლოდ გაფითრდა და თვალები მისი შუშებს დაემსგავსაო“. პროფესორმა გულდასმით მოისმინა ავადმყოფობის გამომწვევი მიზეზები, სკამი ახლოს მიიდგა ლოგინთან და კატოს მაჯა აიღო ხელში. დიდხანს უყურა სახეში, სცადა აელაპარაკებინა, ერთი სიტყვაც ვერ დააცდენინა, თვალიც ვერ დაახამხამებინა. გულის ცემა მოისმინა... ცოტა ხანს იჯდა და ჩაფიქრებული კიდევ ჩაჰყურებდა ავადმყოფს. საფეთქელი ცერით მოისრისა, თვალები მოხუჭა და ასე მიეცა საგონებელს, მერე სალოკი თითი გაიქნია, რაღაც გადასწყვიტა და წამოდგა.

ბაბე პროფესორს მისჩერებოდა, მერე რაიონის ექიმს გადახედავდა და შემდეგ კატოზე გადიტანდა მზერას. რაიონის ექიმიც გაფაციცებით ადევნებდა თვალს პროფესორს. „რა დიაგნოზს დაუსვამს და რით უმკურნალებსო“.

პროფესორი, ერთი წუთით მიაჩერდა რაიონის ექიმს.

— აჰ, ექიმო! რას იტყვით თქვენ, გვაქვს თუ არა საქმე წმინდა ფსიქო-გენიასთან?

ბაბეს თვალები გაუგანიერდა.

— ბატონო პროფესორო! მაგისთანა მაგარი ნერვების და დინჯი ხასიათის მქონე ადამიანს ვერ შეხვდებოდით.

— სწორედ ეგ არის საქმე... მისი მტკიცე ნებისყოფის გამო, ეს მტკიცე ნებისყოფამ გზა არ მისცა გრძნობას, გარეგნულად გამოემჟღავნებინა ის სულიერი ტანჯვა, რაც განიცადა შვილის დაღუპვის გაგებით... მართალია, ბოლმას მოერია და გულში ჩაიკლა, მაგრამ აქ რა მოხდა? რაც უნდა იყოს მაინც ხანში შესულია, ჯანმოკლებული, ორგანიზმმა ვერ აიტანა და დამბლა გამოიწვია...

— დამბლა? — აცახცახდა ბაბე...

— დიახ... დამბლა მხოლოდ შემდეგი ხასიათის — მეტყველების ნერვი აქვს დაკავებული. არც მხედველობის ნერვი აქვს თავისუფალი, მაგრამ ორგანიული ატროფია, ე. ი. სრული დაუქმება არც ერთს არ ახასიათებს. თუ ეს ასე მოხდა და მაცოცხლებელი ცენტრი არ დაზიანდა, რადგან პირდაპირ ნერვიულ მიზეზთან არის დამოკიდებული, მაშინ შესაძლებელია რამდენიმე ხანში ნერვი ისევ ამუშავდეს და თავის ფუნქციათა შესრულებას დაუბრუნდეს.

— რამდენ ხანს გასტანს ბატონო, ასეთი მდგომარეობა? — შეეკითხა ბაბე.

— რა მოგახსენოთ. შეიძლება ერთი დღე, ორი, შეიძლება თვე და წელიწადიც... ეს დამოკიდებულია თვით ავადმყოფზე, როგორ მოერევა... მედიცინის ლიტერატურაში ვხვდებით ასეთ შემთხვევებს...

— მაშ ექიმობა არ... — კიდევ დააპირა ბაბემ შეკითხვის მიცემა.

— წამალს ვერ მივცემთ, არც მიიღებს, ნემსები და სხვა რამ ასეთი არ უნდა, ეჭირება მხოლოდ სრული სიმშვიდე და ლოდინი...

— ბატონო პროფესორო... საავადმყოფოში რომ გადაგვეყვანა? — შეეკითხა რაიონის ექიმი.

— ახლა არ შეიძლება ადგილიდან დაძვრა, შესაძლებელია ცოტა რამ ხმაურზე განმეორდეს დამბლა, სისხლი ჩაექცეს და დაიღუპება. მხოლოდ ჩუმი საუბარი, იმედიანი საუბარი თუ უშველის... თქვენ ბგონიათ ჭკუაზე არ არის? არა, ყველაფერს გაიგონებს, მხოლოდ ისეა მიმართული მისი გონება ერთ წერტილზე, ერთ ფიქრზე, რომ დანარჩენს ვერაფერს ვერ ხედავს... მაშ ასე ექიმო, ხშირ-ხშირად ინახულეთ, დაუკვირდით, ჩასწერეთ ცვლილებები... მეც ვივლი როგორც დრო მექნება. — სთქვა პროფესორმა, დაემშვიდობა ბაბეს. ორივე ექიმი გამოვიდა გარეთ, ქუჩაში ისევ ცხელოდა, ჭადრების ჩრდილებს შეაფარეს თავი და წავიდნენ ლაპარაკით.

პირველ დღე-ღამის განმავლობაში, ყოველ ორ საათში მოდიოდა რაიონის ექიმი. მეოთხე დღეს ხელოვნურად მიაღებინეს საკვები, ოთახი ჩამოაბნელეს, „კაშკაშა შუქი ავნებს თვალებსო". სრული სიჩუმე იდგა ბინაში, ხშირად მოდიოდა პროფესორი, დაუჯდებოდა ლოგინთან და დაბალი ხმით ესაუბრებოდა. მეათე დღეს კიდევ მოვიდა, ბინდისას, დაუჯდა წინ, მაჯას შეეხო და სახე შეეცვალა ექიმს, რაღაც ცვლილება ნახა, დააკვირდა, თითქოს სახეზე აღბეჭდილი ხაზები წაშლია, გასწორებია, ფერიც უკეთესი ადგას.

— ქალბატონო კატო, ქალბატონო კატო... თქვენი შვილი კარგად არის, უვნებელი მოგივათ. გაზეთში ეწერა მის გმირობაზე, მან საარაკო საქმე ჩაიდინა... ძე ვნახე მისი ამხანაგი... ბიძინა ჩქარა ჩამოვა. თქვენი შვილი, თქვენი ბიძინა... მოვა... მსუბუქად იყო დაჭრილი ცოცხალია, ახლა, გზაში მოდის, სულ ჩქარა მოვა, გნახავს... თქვენც კარგად ხართ, მხოლოდ გეჩვენებათ ავადმყოფობა. აი, ნახავთ, მოვა ბიძინა და თქვენც ადგებით.

მთელი საათი ელაპარაკა. რას არ თხზავდა? რაც კი რამ ლამაზი ვაქციცური ეპიზოდები წაეკითხა სამამულო ომზე ამ ათ დღეში, ბიძინას ვაქციცობას დაუკავშირა, ცოტ-ცოტათ მოუთხრობდა, ისე რომ ავადმყოფის დაბეზარებაც არ გამოეწვია. ახლაც დაედო საზღვარი, ადგა, ქუდი აიღო და წავიდა. ბაბემ ექიმი გააცილა, შემობრუნდა. ფანჯრის სარკმელი გააღო, ჰაერი გასწმინდა, მაგიდასთან ჩამოჯდა და დიდხანს კითხულობდა გაზეთებს... ნელი ფშვინვა მოესმა. ფეხაკრეფით მიუახლოვდა ლოგინს: კატოს თვალები დაუხუჭავს, შვილზე მოსული ცნობის წერილი, რომელიც აქამდის მაგრად ჰქონდა ჩაბღუჯული და არავის არ ანებებდა, რომ შეხებოდნენ ჩამოსართმევად, თითებს მარწუხივით უჭერდა ქალალდს, ახლა ხელიდან დავარდნია, სახე გაშლია და სიმშვიდე სუფევს ზედ. ბაბე დაიხარა, ყური დაუგდო, გული სწორად უცემს, მაჯაც საიმედოა.

— აჰ!.. იქნებ გადარჩეს... — დაიჩურჩულა.... მართალია ამას წინად სთქვა: „რათ უნდა ბიძინას შემდეგ სიცოცხლეო". თვით ბაბესაც აღარ სურდა იმ წუთებში ეს ქვეყანა, მაგრამ მერე, ამ ათი დღის განმავლობაში, იმდენად გაიტანჯა, თავისი თავი შეეცოდა... „ბიძინა დაჰკარგა, ახლა ესეც რომ მოუკვდეს, მერე ბაბე როგორღა ჩამორჩეს ესოდენ საყვარელ მეგობარს? ან იქნებ, პროფესორის თქმის არ იყოს, ცოცხალი იყოს ბიძინა, ამათ კი ტყუილად დაიხოცონ თავი... მერე მოვა ბიძინა, გამარჯვებული, ომგადახდილი, არც დედა დახვდება, არც დიდედა, მერე ხომ დაობლდება ბიჭი? ვინ მიხედავს, ვინ მიეფერება?". შეეცოდა ბაბეს ბიძინა, შეეცოდა კატო და ყველაზე უფრო თავისი თავი, გული აუჩუყდა და მსხვილი ცრემლები გადმოჰყარა.

ლოგინთან სავარძელი იდგა, პროფესორი ჯდებოდა ხოლმე შიგ. ექიმის წასვლის შემდეგ ბაბე იჭერდა ამ ადგილს. ახლაც ჩაჯდა, ლოყებზე დაგორებული ცრემლები მოიწმინდა, მისჩერებია მძინარეს. კატო ნელა სუნთქავს. ბაბემ მაღლა აიხედა, ხელები აღაპყრო, რაღაც დაიჩურჩულა, თავათაც არ იცის რა, ხოლო ვიღაცას მადლობის მსგავსი ღაღადისი აღუვლინა... უეცრად, პირდაპირ დაკიდებულ კედლის სარკეში დაინახა თავი. ხელები რომ მაღლა აღუპყრია, თითქოს ქურდობაზე დაეჭიროს თავი, მყის გამოერკვა; სწრაფად ჩამოეცალა საუკუნოებრივი, ძველის ძველთაგან, ძვალსა და სისხლში შენივთებული სარწმუნოებრივი აღზნება, რომელმაც მხოლოდ დიდი გაჭირვების დროს იხელთა დრო და სოციალისტი ქალის გულში ოდნავ გაჩუჩუნდა. გამოფხიზლებულ ბაბეს შერცხვა და თავისი თავი, ხელები სწრაფად დაუცვივდა ძირს. თავი დაჰკიდა და რამდენიმე წუთში მასაც ჩაეძინა.

*
* *

— ბაბე, ბაბე! — ოდნავი ჩურჩული, ქარშოშინივით ჩაესმა მძინარე ბაბეს ყურებს. მან თვალები სჭყიტა.

— ბაბე! — კიდევ მოისმა სუსტი ხმა.

სავარძლიდან პირდაპირ მუხლებზე დაეცა ბაბე, ლოგინთან მიუჩოქა, ხელებზე წაეტანა და დაუკოცნა...

— სად არის? — იკითხა კატომ.

— ვინ, გეთაყვა?

— ჩემი ბიძინა!

— ბიძინა? — ბაბე გაცბა, არ იცის რა უპასუხოს. უნდა ტელეფონს ეცეს, პროფესორს დაურეკოს.

— რა დროა? — საათს შეხედა, ისარი მეხუთეს უჩვენებს. — ბიძინა? — გენაცვალოს ჩემი თავი... ჩვენი ბიძინა...

— ჰო, ახლა აქ იჯდა, მეფე... რებოდა. მეალერ...სე...ბოდა: ნათლად, ისე ცხადად ვხედავდი...

ლაპარაკში სახე შეეძრა კატოს, შუბლი შეუნაოჭდა, ტუჩები დაემანჭა. ახლა უფრო შეშინდა ბაბე, პროფესორმა უთხრა: „შიშის საწინააღმდეგოთ, გასახარელ ამბავზე იქნებ განუმეორდეს დამბლა და დაიღუპოსო. ალბად მოვიდა აღსასრული!“

— კატო გენაცვალე... დამშვიდდი, ბიძინა უთუოდ მოვა, ამბავი მოეტანათ, შეცდომა იყო თურმე...

კატო მიაჩერდა მეგობარ ქალს... და ცრემლები ღაპაღუპით გადმოცვივდა თვალთაგან. გული ამოუჯდა და წასკდა ხმამაღალი ქვითინი.

— ახლა მორჩი შენ, ყოველივე საშიშროებამ გაიარა. ჩვენი ბიძინაც მოვა, აი გათავდეს ომი, უთუოდ მოვა, იტირე, იტირე შენი ჭირიმე, ცრემლი გულის შვებაა. ვფიქრობდი, რა ამბავი დამეხვედრებია ბიძინასთვის, როცა დაბრუნდებოდა და შენ არ იქნებოდი. უნდა გამაგრდე აბა, დაგავიწყდა, რა გაუტეხელი იყავი?

— ჰო, მოვა, ჩემი ბიძინა. ფარდას გადასწი. რა ჩამოგიბნე... ლებია.

— ჯერ არ გათენებულა კატოჯან...

— მაინც... გადასწი... ცას დავინახავ. რა დამტვრეული ვარ... ხომ არავის ვუცემივარ?

— არა, გენაცვალე. ცოტა ავათ იყავი...

ბაბე მივიდა ფანჯარასთან, ფარდა გადასწია, გათენების წინ ჩამოწოლილი სიბნელე გამქრალა, მინებზე ლიბრი ფერი მიმდგარა, ღამე იცრიცება, სადაცაა მტრედის ფრთა შემოჰკრავს და ცისკარი განათდება...

— თენდება გენაცვალე, იქნებ შეჭამო რამე, შემწვარი ვაშლის წვენი გასინჯე, მადას გაგიხსნის, რამდენი დღეა ყბა არ გაგინძრევია. — ბაბემ ვაშლიანი თეფში აიღო, უნდა ლოგინთან ჩამოუჯდეს და შეაჭამოს.

ფრთხილი კაკუნი გაისმა. ბაბემ თეფში დადგა, კატოს მიუბრუნდა, მაგრამ მას ჩასვთლეშია. კაკუნი უფრო ღონივრად განმეორდა. ბაბე კარებთან მივიდა, საკეტავი გადასწია, გააღო და ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, ისევ წავიდა წინ.

— თავს შემოგევლე სიხარულო, — დაიძახა და წაავლო ხელი, კარებში იდგა ყავარჯნებზე დაყრდნობილი ბიძინა, დედამისივით მაღალი, ბრგე ვაჟკაცი.

ბაბემ ხელი გაუშვა, ძირს დაიხარა, ფარაჯა აუწია, ფეხები გაუსინჯა და ორივე რომ მთელი აღმოაჩნდა, აქ კი ნამდვილად აღმოხდა გულიდან ვიღაცისადმი სამადლობელი..

— ოჰ, მადლობა ღმერთს! — დაიძახა და აქვითინდა. ხელი მოხვია, შემოიყვანა.

— დეიდა, როგორა ხართ... დედა ავად არის? რათა ხარ შენ ამ დროს ფეხზე?

— ფეხზე რომ ვარ ეს მეც მიკვირს...

— ვიცი, თურმე თავზარი დაგცეს, რა ვუყოთ უნდა ვაპატიოთ, ამათ კი არა მთელ დივიზიას მკვდარი ვეგონე. მაგრამ ვძლიე მტერს. გადავრჩი. არც ისე ადვილი ყოფილა დედის ერთა ბიჭის დამარცხება! — ღიმილით თქვა ბიძინამ.

დაჰკოცნეს ერთმანეთი, ხელის ჩანთა ჩამოართვა ბაბემ... კატოზე თვალით ანიშნა — ნუ გააღვიძებ. გაჰხადა შინელი და უსიტყვოდ ეხვეწებოდა ამბავი განაგრძეო.

— გიამბობთ ყველაფერს. აგერ იმ ჩანთაში გაზეთია და ის გეტყვით!—მიუთითა ბიძინამ, მოჩერებულ ბაბეს და თვითონ ფრთხილად წაიწია ლოგინისაკენ...

კატომ გააღო თვალი. გამოიხედა, დედისერთა შვილი ადგას თავზე, ცოცხალი, მკვდრეთით აღმდგარი... შეცდნენ, მოატყუილეს.

— დედა! — უთხრა ბიძინამ.

კატოს გაეღიმა, სახელი არა აქვს ამ ღიმილს, ათასი მხატვარი ვერ დახატავს, ათასი მწერალი ვერ ასწერს. ეს რაღაც უსახელო ღიმილია. ღიმილი სიხარულის და გამარჯვების, ღიმილი ალიონის, თუ ღიმილი მხოლოდ განაწამები დედის გულის.

— მოდი?.. მოდი. — ხელები გაუწოდა. ბიძინა დაიხარა, მაგრამ ჯერ კიდევ განუკურნებელმა თეძომ არ მისცა ნება ჩამოჯდეს. კატო წამოიმართა, წამოჯდა და წელში მოხრილ შვილს შემოეჭდო ყელზე. დედა-შვილი ჩაეხვივნენ ერთმანეთს.

თავათ უშვილო, გაუთხოვარი, ყოველთვის სხვისთვის თავდადებული ბაბე, იდგა შუა ოთახში, ცრემლით იმდურებოდა და ბედნიერი იყო — დედა-შვილის შემყურე.

ალეკო შენგელია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ ი წ ა

კვლავ ღაღაქებენ ბაღში ვაშლები
და ტუჩდამსკდარი ბროწეულები.
ხეზე შემსხდარან ლაღად ბავშვები,
როგორც ზეიმზე მოწვეულები.
ჰეი, ვაჟებო და გოგონებო,
გადმოაფრინეთ აკიდოები,
იმხიარულეთ!..
მე მოგონებას
მხოლოდ ერთად-ერთს დაგიტოვებდით;
როცა გთავაზობთ დედა კეთილი
„იგემეთ, შვილო, მისი ყურძენი“.
მე მწველი ფიქრით გულდასეტყვილი,
სიტყვას უთქმელად ვერ გაუძელი.
როცა დაგათრობთ მიწის სურნელი
და პირნათელი დედის ალერსი,
მინდა გახსოვდეთ მისი სურვილი
ყველა გრძნობაზე უმხურვალესი.
ის მტერს შეება სხვა ვაჟკაცებთან,
განთიადს ჰედავს ელვის მახვილით
(სხვა რომ არ იყოს, მიწის ძახილი
მას გრიგალივით გაიტაცებდა).
იცით: ეს მიწა, ასე რომ ღელავს,
ასე რომ ფეთქენ ხეზე ატმები,
მისი გული აქვს ჩადგმული ყველას,
მისი სიმღერა და ჟრუანტელი.
როცა წავიდა, თან წარიტანა,
უბეში თბილი მიწა ეყარა,
გული გახსნა და გამოიდარა,
უბით მიჰქონდა მთელი ქვეყანა.
მინდა გახსოვდეთ!..
ჰეი, ბავშვებო,
ამ მოგონებას დაგიტოვებდით.
კვლავ ღაღაქებენ მზეზე ვაშლები,
კვლავ ირხევიან ბაღში რტოები.

გზაში ფრონტელ ქალიშვილთან

წინ ვრცელი გზა არის და სადღაც ხევია.
მგზავრები ისმენენ შავ ღამეს ფიქრიანს.
შორი მწვერვალები წყნარად ირხევიან.
შმაგი ორთქლმავალი მირბის და მიფრინავს.
მივდივართ, ალვები მიჰქრიან ქარდაქარ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანა მდევს ფოთლების ნაცნობი შრიალი.
ო, თეთრო ასულო, ასხმულო ქანდაკად,
მსურველმა სურვილი ვერ გაგიზიარე...
მივდივართ. თან ფრონტის მიგვყვება ფიქრები,
და შვენის ჭრილობა შენს ფაფუკ მარჯვენას.
ბრძოლაში მე შენი ვაჟკაცი ვიქნები,
გწამდეს, გამარჯვება სიყვარულს დარჩება.
მღელვარე გულისთქმას ავყევი ყრმობიდან,
მიყვარდა ლურჯი ცა, მზით აფეთქებული.
კვლავ ავთრთოლვებულვარ ჭაბუკი ტრფობითა
და გულში ელვარებს მზე გათენებული.
რა გაზაფხულია! რა დღენი წასულან!
შენ როდი გტკიოდა ლამაზი მარჯვენა,
ხვალე გათენდება, ვაჟთა ვაჟკაცურად,
რომ კვლავ მოვიპოვოთ ჩვენი გამარჯვება...
და ახლა ორნი ვართ, წინ გზა და ხევია.
მგზავრები სიზმრიან ღამეში მიჰქრიან.
შენი კულულები ასე ირხევიან
და მე-კი ერთხელაც ხელი არ მიხლია!..
მივდივართ. თან ფრონტის მიგვყვება ფიქრები,
და შვენის ჭრილობა შენს ფაფუკ მარჯვენას.
ბრძოლაში მე შენი ვაჟკაცი ვიქნები,
გწამდეს, გამარჯვება სიცოცხლეს დარჩება.

შუქისგება

ის მიდიოდა თავჩაქინდრული.
შორს, ტყის ნაპირად ჩანდა ბილიკი.
პირაქეთ იყო გზა ჩაბინდული,
ტყის მდუმარება დარჩა პირიქით.
ის მიდიოდა, გმირი ნაცადი,
ბრძოლის სურვილთან განუყოფელი.
ამ სოფლად ყოფნა არ დააცალეს,
როგორ უყვარდა წუთისოფელი...
წინ უბიძგებდნენ ვაჟკაცს მცველები,
გული დაეხშო იდუმალებით.
განა მუდარით, განა ცრემლებით, —
ნაპერწკლებივით ენთო თვალები...
აჰა, ფერდობი და სახრჩობელა,
რა ჟრუანტელი შეუდგა ღამეს!
რა ხმებმა შესძრეს გალმა სოფელი,
მოძმენო, იქნებ უშველოთ რამე!
წუთით მრისხანედ შედგნენ მგზავრები,
ღამეს უსმენდნენ გულგამეხებით;
ტყიდან მოჰქროდნენ პარტიზანები,
საბჭოთა მიწის გმირი გლეხები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზაზე თოფების ატყდა გრიალი.
ძილი გაუკრთა ბნელსა ღამესა,
გრიგალმა ფერდობს გადმოუარა
და ბნელი ცეცხლის ალში გალესა...
თუმცა დაეცა გმირი წამებით,
დარჩა ლეგენდა და სახსოვარი;
ქვემოთ მტარვალთა ეგდო გვამები
შურისმგებელთა დანატოვარი.
როცა სინათლის ფარდა გაიხსნა
და გაიღვიძა გალმა სოფელმა,
ვით მოგონება ბნელი ღამისა —
ფერდობზე იდგა კვლავ სახრჩობელა.

გრიგოლ სულუხია

ის ცეცხლში დაიწვა სამშობლოზე სიმღერით

გამარჯვებისთვის ღირს განსაცდელი,
და განსაცდელსაც აღარ დანებდი.
შენ სიკვდილის წინ დაგრჩა სათქმელი,
ზღვის ტალღებს ჩუმად რომ აბარებდი...
მოისწრაფვიან, მომღელვარებენ,
მოაქვთ სიმღერით სავსე გულები...
ზღვაზე დაისის დგას ელვარება,
დაისის ცეცხლში ფეთქავს ყულევი.
მომღელვარებენ...
სავსე გულებით
მოაქვთ სიმღერა, შენ რომ მღეროდი, —
კოცონის წინ რომ ჩასჩურჩულებდი,
ჩამოეტანათ სამეგრელომდი.
სხვა ჩვენს ვაჟკაცებს რა დავუბაროთ,
შენი სიკვდილიც მიზანში მოხვდა.
ასე იტყვიან შენზე უბრალოდ:
კარგი იყო და კარგადაც მოკვდა!
დაგწვეს, დაეცი როგორც ქართველი,
მოკვდი, გმირები როგორც კვდებიან.
შენ უკვდავების შუქი ნათელი,
შენ სიყვარული მოგკიდებია...
ძახილი იგი ჩვენ ახლაც გვესმის,
ცეცხლს რომ აკრთობდი, ცეცხლს რომ ჰფარავდი.
შენზე ათასჯერ იმღერებს ლექსი,
რადგან შენ ცოცხლობ ხალხში მარადის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი გეწაძე
წ/არმიელი. მომქმედი ხრმია

კ ა ღ ა მ ს

თუნდ ოქრო იყო, დიადი აზრებით განალესავი,
თუნდ რუსთაველურ ხელებში, გაიბრჭყვიალო მზესავით,
და შენი წვერი პატარა ჯადოქარ ძალად გახადო, —
არა მგონია, რომ ჩემი სამშობლო სრულად დახატო.
უსაყვარლესი მთები და ვაკე ხავერდად გაშლილი,
კლდეები ჭიუხიანი, ლურჯ ცის ბროლამდის აწვდილი,
მთიდან მომსკდარი მდინარე, ვეფხვივით გამძაფრებული,
ვით მეომარი, ტალღებით კლდეებთან შებრძოლებული.
ქვეყანა სიყვარულისა, გულის ხალისით მფერავი,
სიცოცხლე დაუშრობელი, სიმშვენე აუწერავი.
წალკოტზე უფრო ლამაზი, ედემზე უფრო ძლიერი,
ზამთარს და ზაფხულს გაშლილი ტურფა მაისის იერით.
ელვარებს, როგორც ბრძოლაში ხმალი მტრის ჩეხით ნალესი,
იგი დიდების კოშკია, მთა არის უმწვერვალესი.
ახალ-ახალი სიტურფე მოაქვს ყოველდღის თენებას,
თვით ჯადოსანიც ვერ ასწერს მის თვალისმპყრობელ მშვენებას.
სამშობლოს სიხარულისას არა სჩვევია ღონება,
გაშლილი მწვანე ხავერდად, შეკრული ვარდის კონებად,
მას ჰქვია ჩვენი აკვანი, ჩვენი აზრი და გონება.
ვინ არის რომ მის სიყვარულს მარად არ დაემონება.
ვინ არის, რომ მტერს დაუთმოს ასეთ სამშობლოს მთა-ბარი,
სისხლით ნაშობი შვება და მიწა მზის შუქით გამთბარი?!
არავინ! ფრონტზე იბრძვიან დედა-სამშობლოს გმირები,
იმის აკვანში გაზრდილი, თვით მასვე შევეწირებით.
ტურფაა ჩემი სამშობლო, ჩემი ქვეყანა ძლიერი,
ზამთარს და ზაფხულს გაშლილი ტურფა მაისის იერით!

24/V — 42.

იოანა ვაკელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი მოურავი

(ტრაგედია ოთხ მოქმედებად)

მოქმედნი პირნი:

ლუარსაბ მეორე — ქართლის მეფე
შადიმან ბარათაშვილი — ლუარსაბის აღმზრდელი და პირველი დიდებული სამეფო კარზე.
გიორგი სააკაძე — ქართლის მოურავი.
თეკლე — სააკაძის და, და ლუარსაბის მეუღლე
თეიმურაზ პირველი — ქართლ-კახეთის მეფე
შაჰაბაზი — ირანის შაჰი
ზურაბ ერისთავი — სააკაძის ცოლის ძმა
ანდუყაფარ ამილახვარი
სვიმონ ბაგრატიონი
ფარსაღან ციციშვილი
ქაიხოსრო ჯავახიშვილი
ედიშერ ვაჩნაძე
} ძლიერი ფეოდალები
ნუგზარ ერისთავი — სააკაძის სიმამრი.
ზაზა ციციშვილი
პაპუნა ვაშაყიშვილი
ელია დიასამიძე
ხოსიტა
კაპლო
ბაღდო
} სააკაძის დასის წევრები
ჯიხილო — უზბაში.
სარიდან — შაჰაბაზის ჯაშუში
ქეთევან — სააკაძის დედა
თამარ — სააკაძის მეუღლე
ყარჩიხან — მთავარსარდალი ირანის ჯარებისა.
სასულიერო პირნი, მფრინავი რაზმები, ვაჭრები, ხელოსან-ამქრები და სხვა.

მოქმედება პირველი

გიორგი სააკაძის სასახლე ნოსტეში. ეზოში დგას ტოტებ გადაშლილი ასწლოვანი კაკლის ხე. ფარდაგდაგებული დაკეცილი კიბე მიემართება მეორე სართულისაკენ, რომლის აივანი მორთულია ნოხებით და ხალიჩებით. სასახლეს თითქოს დარაჯად უდგას თეთრი ციხე-კოშკი, რომლის გალავანი თავდება საგვარეულო ეკლესიით. აქედან მოსჩანს ქართლის მიდამო. ეზოში დიდი მზადებაა. გამოდის სააკაძის დედა — ქეთევანი.

ქეთევან — ეგრე შვილო, ისემც ღმერთი შეგეწევათ, ცოტა კიდევ გაისარჯენით... ფარდაგები და ნოხები გამოიტანეთ, საცაა მეფე მობრძანდება.

ხოსიტა — არხეინად ბრძანდებოდეთ ქალბატონო, თუ დარი დაიჭირა, კაკლის ქვეშ ქეიფს რა სჯობია, თუ წამოწვიმა და არც ეს იქნება დიდი ბედენა... ზევით შენი კვნესამე, ზევით დარბაზში მოულხენთ მეფესა ხელმწიფურად.

ქ ე თ ე ვ ა ნ — ეგრე, ეგრე, შვილო, შენ იცი და შენმა კაცობამ... ტყვილა კი არ ამბობს ჩემი გიორგი: ელია და ხოსიტა მთელ სოფლად მიღირსო.

ხ ო ს ი ტ ა — ისემც შენ გაიხარე, შენი კვნესამე, მე თქვენ[illegible] არ დავზოგო... აბა, ბიჭებო, მოდით, ეს ლოდი გარეთ [illegible]... აბა, მოდით და მომეშველეთ...

ქ ე თ ე ვ ა ნ — დაეხსენ შვილო, უფრო საჩქარო საქმე მოვათავოთ. ეი, ბიჭო, რომელი დგეხარ მანდა?! წადი უთხარ ხაბაზსა: თონედან პურები ამოყაროს, მეღვინემ ღვინოები ჩააცივოს და მზარეული ბატკნების შეწვას შეუდგეს... (მსახური გადის) ე, ხოსიტა, ხომ არ დაიღალე შვილო?

ხ ო ს ი ტ ა — ე, დედიჯან, რა დროს დაღლაა, განა ჯავახიშვილისას ეგრე მეკითხებოდნენ დავიღალე თუ არა.

ქ ე თ ე ვ ა ნ — ო, მართლა შვილო, ნამდვილი ამბავი მითხარი, რაზედ გამოექეცი ჯავახიშვილსა?

ხ ო ს ი ტ ა — იყო მიზეზი, ქალბატონო!

ქ ე თ ე ვ ა ნ — რა, შვილო?

ხ ო ს ი ტ ა — ღვთის უნებურ საქმეს მიპირებდა, შენი კვნესამე; ერთ ძაღლში მცვლიდა, ჩერქეზთ ბატონის მწევარ ძაღლში.

ქ ე თ ე ვ ა ნ — უი, მეხი კი დავაყარე იმ გამოჩერჩეტებულ თავში იმასა!

ხ ო ს ი ტ ა — მეც ავდექი შენი კვნესამე, სახლკარი მივატოვე და გამოვიქერ..

ქ ე თ ე ვ ა ნ — ეგ კი სისულელე ჩაგიდენია შვილო, სახლკარი რომ მიგიტოვებია.

ხ ო ს ი ტ ა — სულელი, დედი, ერთ ადგილას ზის ხოხობივით... ჭკვიანი კი მუდამ უკეთესს დაეძებს: მეც ავდექ და თქვენთან შემოვაფარე ეგ უბედური ჩემი თავი... ვაი ჩემს დღეს, აქაც თუ მომაგნეს თავადის დამქაშებმა... (შემოდის თეკლე, ხელში ნაქარგი ალამი უჭირავს).

ქ ე თ ე ვ ა ნ — რა ჰქენ შვილო, ხელსაქმე მოათავე?

თ ე კ ლ ე — ცოტაღა დამრჩა... გასინჯე დედი. ურიგოთ ხომ არ არის ნაკერნაქარგი? ვაი თუ დამიწუნა!

ქ ე თ ე ვ ა ნ — კარგია შვილო... როცა გადასცემ, ხელზე ამბორიც დაგჭირდება!

თ ე კ ლ ე — ხელზე ამბორი, განა საძრახისი არ იქნება?

ქ ე თ ე ვ ა ნ — ზეცით ცხებულია შვილო, სხვანაირად არ შეიძლება...

ხ ო ს ი ტ ა — ნეტავი ცოლი თუ ჰყავს იმ სვებედნიერს?

ქ ე თ ე ვ ა ნ — ჯერ არა, შვილო... შადიმანზე ამბობენ, დადიანის ქალს ურიგებსო...

ხ ო ს ი ტ ა — ეხ, დედი, რა ბედნიერი იქნება ის ქალი, რომელსაც ვაჟკაცად ის შეხვდება!

ქ ე თ ე ვ ა ნ — წადი შვილო, წადი და ალამი დროზე დაასრულე. შენ კი ხოსიტა, წადი შვილო, გიორგი დააჩქარე, საცაა მეფე მობრძანდება.

ხ ო ს ი ტ ა — ეხლავე ქალბატონო... (მიდიან, თეკლე წასვლას აპირებს, მაგრამ ამ დროს შემოდის პაპუნა).

პ ა პ უ ნ ა — თეკლე!

თ ე კ ლ ე — ა, შენა ხარ? საიდან გაჩნდი, პაპუნა?

პ ა პ უ ნ ა — ქარმა გადმომაგდო.

თ ე კ ლ ე — რად იცი ეგეთი ლაპარაკი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაპუნა — ეგეთი გაუჩენივარ ღმერთსა.

თეკლე — გიორგი სად არი?

პაპუნა — ციხეში-ჯარები ჩააყენა და მალე დაბრუნდებაქარიელ

თეკლე — როგორ უგულოდ ლაპარაკობ?

პაპუნა — განა მეტყობა მწუხარება?

თეკლე — ყური მიგდე პაპუნა, შენ რალაც ნაღველი გაქვს და მიმალავ?

პაპუნა — შეიძლება.

თეკლე — რა მოხდა ასეთი, ცუდი ამბავი ხომ არ გაგიგია?

პაპუნა — ყურმახვილია ჩემო ყველავ — შეყვარებულის გული, შორს მჭვრეტელი... ასე ვგრძნობ: ჩემს სიყვარულს წინ რალაც მძიმე ეღობება... ის უკვე მოდის, მოალაჯებს... რად ჩაგიღუნავს ეგრე თავი? მეფის სტუმრობა ჩემი დალუპვის ნიშანია... წავიდეთ სადმე, ერთი ობოლი აზნაური ბიჭი ვარ, თავს ყველგან დავირჩენ... მითხარ, ხმა გამე, გამამხნევე!

თეკლე — განა ასე გიყვარვარ, პაპუნა?

პაპუნა — რას ამბობ თეკლე! განა არ ხედავ, როგორ ვილევი ზეზეურად, ღამეებს ვათენებ, როცა შენ გძინავს — აქ დავდივარ მთვარეულივით. ვუცქერ შენს ოთახს, მთვარით განათებულ სახურავს... პატარა ლამპარს, რომელიც შენს სახესავით კიაფობს სარკმელიდან... შენ კი, აზრადაც არ მოგდის, რომ შენს ეზოში, ასე ახლოს, აღვსილი სევდით — დგას ხოლმე ვიღაც უბედური...

თეკლე — რად საყვედურობ! განა მომიცია საბაბი წყენისათვის ჩემო პაპუნა?!

პაპუნა — ო, არა, ჩემო სასურველო, ენა ყოველთვის როდი იტყვის რაც ჭკუას არ სურს... სახე კი სულის სარკე არის... მე ვიცი, შენ მეფეს ელოდები! ჩემს ლექსსაც მისთვის იზეპირებ!

თეკლე — ღვთის გულისათვის, პაპუნა, ღვთის გულისათვის დამეხსენ... რა ცუდ გუნებაზე ამდგარხარ დღეს ადამიანო?

პაპუნა — მაშ ეგრე, რიგიანი პასუხის გაცემაც არ ინებე! ღმერთმა მშვიდობა მოგცეს ქალბატონო. ჭირი მე და ლხინი შენ... გზა მშვიდობისა დამილოცნია! (ხმა გარედან)

ქეთევან — შვილო თეკლე, სადა ხარ გენაცვალე!

თეკლე — მოვდივარ დედი, მოვდივარ! (თეკლე გადის).

პაპუნა — ღმერთო მაღალო, მხოლოდ შენ უწყი, რა დიდი ტანჯვაა თვალით ხედავდე ეგზომ დიდ ცდუნებას და ხელის შევლება არ შეგეძლოს... ვაი ჩემს დღეს, როგორ ვილევი ზეზეურად! (ისმის დიდი ხმაურობა, რომელიც თანდათან ახლოვდება. სასახლის ეზოში შემოირბენს რამდენიმე ყმა და ხოსიტა).

ხოსიტა — მიშველე პაპუნა, რამე იღონე შენი კურთხევის გულისათვის!

პაპუნა — რა ამბავია აღარ იტყვი?

ხოსიტა — რალა რა ამბავია შენი კვნესამე. ერთი ალალმართალი კაცი ვიღუპები, ბატონი თავს დამესხა... ნეტავი გიორგი სახლში მაინც დახვედროდა. საკადრის პასუხს ის გასცემდა... ოჰმე, ჩემი გაჩენის დღე დაიქცეს, ეს ოხერი!

პაპუნა — მოდი გენაცვა, მოდი შეძვერი ამ ფარდულში... (შემოდის ქაიხოსრო ჯავახიშვილი იასაულითა და შეიარაღებული ხალხით)

ქაიხოსრო — შეხეთ, სად მიძვრება! გამოათრიე დიანბეგო, ... ურტყი, ვიდრე ღმერთს სულს არ ჩააბარებს.

პაპუნა — არ გეკადრება თავადო ეგეთი მრისხანება!

ქაიხოსრო — შენ ჩუმად ვეჟო, ხელს ნუ მიშლი... ა, გამომექეცი რაღა, დამემალე! ძალიან შორს კი გაქცეულხარ!

ხოსიტა — შენი კვნესამე, ბატონო, ღმერთს შეხედე და მაპატიე!

ქაიხოსრო — აი, მე შენ ეხლა გაჩვენებ პატიებას... ვითომ და რაო, დიდ მოურავს რომ შეეფარე ამით დამაშინე? არ იცი შე ჩერჩეტო, თუ ჩემი ნება არ არის — ყმას თვით გვირგვინოსანი მეფე ლუარსაბიც ვერ წამართმევს?

ხოსიტა — მაშ რა მექნა შენი მუხლების ჭირიმე! მეზობელ თავადისათვის რომ მიგეყიდე, არაფერს ვიტყოდი, წელიწადში ერთხელ მაინც ვნახავდი ჯალაბობას; საურჯულოში რომ მკარგავდი იმან გამამწარა... იმან გამაბედვინა... ღვთის გულისათვის, ნუ ბატონო, ნუ გამიმეტებ დასალუპად!

ქაიხოსრო — დასცხეთ ბიჭებო! იმდენი სცემეთ, ვიდრე ენას არ წამოაგდებს!

ხოსიტა — შენი ჭირიმე, ბატონო... (იასაული მათრახით სცემს)

ქაიხოსრო — ეგრე ჰო, ეგრე, მაგ ტუტუცს ეგრე მოუხდება! (ამ დროს შემოდის გიორგი სააკაძე თავის რაზმით)

სააკაძე — ეგ რა ამბავი გაგიმართავთ! (იასაულს მოაგლეჯს ხოსიტას და კაკლისაკენ ისვრის) უი, შენი ჯიგარი კი დაიწვეს, შენი!

ხოსიტა — მცემეთ რაღა! გვერდები დამირბილეთ! არაფერია, სირცხვილი შენი თავადო, თორემ მე რა! მე ისევ ის ხოსიტა ვარ, რაც წეღან ვიყავი!

სააკაძე — ეგ როგორ მაკადრე თავადო? იცის ღმერთმა, ჩემს სახლში მე ძაღლსაც არა ვცემ, შენ კი შინა ყმა გამილახე?! მკვდარი გეგონე, თუ როგორ გამიბედე, გეკითხები?!

ქაიხოსრო — ჰერიჰა! მე ჩემს ყმას ვცემო, ან გავყიდო, ამის უფლება აღარა მაქვს?

სააკაძე — დიახ, გაიგე, აღარა გაქვს!

ქაიხოსრო — როგორ ვეჟო, ვინ წამართვა?

სააკაძე — ახლავ გაიგებ. მოდი პაპუნა, ეს სიგელი თავადს წაუკითხე.

პაპუნა — (კითხულობს) ნებითა და შეწევნითა ღვთისათა, ჩვენ ღვთაებრივ გვირგვინოსანმან მეფეთ-მეფემან — პატრონმა ლუარსაბ — წარჩინების სიგელი და ნიშანი ესე გიწყალობეთ თქვენ ჩვენსა ერთგულსა და თავდადებით ნამსახურს ყმასა: გიორგი შიოშისძე სააკაძე — მასსა ზედა, რომ ამიერიდან გენიჭებათ მფლობელი თავადის ხარისხი, ინიშნებით ქალაქის ამირთა-ამირად და ქართლის მოურავად. აწ გებრძანებათ კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო და სხვანო მოსაქმენო, ვინც გინდათ — ვინ იყოთ, ანუ ვინც გინდათ ვინ იქნებოდეთ, ამა ჩვენგან დადგენილ სიგელს ნურც შეცვლით და ნურც შეეცილებით. ღვთაებ-

რივ გვირგვინოსანი მეფე ქართლისა, ქრცხინვალისა და სხვათა ლუარსაბ მეორე.

ს ა ა კ ა ძ ე — ხომ მოისმინეთ თავადო! როგორც ხედავთ ქართველობა! ვიდრე ამ ნდობით მოსილი ვარ და ქართლის მოურავ-მეფეს, — სასტიკად ვკრძალავ, არვის ვაძლევ იმის ნებას, რომ ჩვენი ხალხი გროშებისთვის ბაზარზე ჰყიდონ! ეს ყველამ კარგად დაიხსომეთ!

ქ ა ი ხ ო ს რ ო — რას ამბობ, ვეჟო ვინ დაგვიდო ეგეთი წესი? ეგ უფლება მხოლოდ შენს ხმალზედ არის დამყარებული!

ს ა ა კ ა ძ ე — მერე რა უყოთ თავადო, ჩემი ხმალი, ჩემი სინდისის კარნახით მოქმედებს... ჯერ მას ქვეყნისთვის არაფერი წაუხდენია!

ქ ა ი ხ ო ს რ ო — დამცინი ვეჟო?

ს ა ა კ ა ძ ე — როდი დაგცინი... მე თქვენ კანონი მოგაგონეთ... ყმათა გაყიდვას მეფე კრძალავს და რაკი კრძალავს, მე ვარ თავდები, რომ ეს კანონი შესრულდება. აბა, თვითონ სთქვით თავადო, — ლამაზია ასეთი წესი? კაცი ცოლშვილით აყარო, მამაპაპეულს მოაშორო, საურჯულოში გადაკარგო, ქრისტიანული საქციელია? თუ თავადებს ქისაში ფული გაკლიათ, კეთილი ინებეთ და სხვა სახსრით შეივსეთ იგი, მაგრამ ყმებს თავი დაანებეთ, ხალხით ვაჭრობას არ დაუშვებ!

ქ ა ი ხ ო ს რ ო — კარგად ვერ იწყებ, აზნაურო, გადიდკაცებას!

ს ა ა კ ა ძ ე — რას მიქვიან კარგად ვერ ვიწყებ! შენ ხომ მწევარში ცვლიდი ყმასა? ხომ ეგრე იყო? პაპუნა, წადი ხოსიტას საბადლოდ — თავადს ორი კარგი მწევარი გამოუყვანე!

ქ ა ი ხ ო ს რ ო — მწევარიო? რას ამბობ ვეჟო! ფეხი არ დასძრა აზნაურო! რაკი ეგრეა, ეხლა მე ვიცი... მეფესთან წავალ, ამ შეურაცხყოფას არასდროს დაგივიწყებ... მომყევით ხალხო! (მიდის).

ს ა ა კ ა ძ ე — (მიაძახებს) სადაც გიჯობდეს თავადო, სადაც გიჯობდეს იქ გავსწორდეთ!

პ ა პ უ ნ ა — გიორგი, რაღაც იგვიანებს მეფე ბატონი!

ს ა ა კ ა ძ ე — არაფერია, სადილობისთვის აქ იქნება... აბა, ბიჭებო, დატრიალდით თქვენი ჭირიმე, სირცხვილს ნუ მაჭმევთ მეფის თვალში!

ე ლ ი ა — ეგ რა სათქმელია მოურავო. სადაც შენა ხარ, აზნაურებიც იქ გვიგულე!

ხ ო ს ი ტ ა — ჩვენცა შენი კვნესამე, ოღონდ შენ ბრძანე და სუყველანი შენი ჭირის სანაცვლოდ გიახლებით!

ს ა ა კ ა ძ ე — ჩემს ჭირს მე თვითონ მოვერევი... თქვენ თქვენსას მიხედეთ... ხოსიტა! ცხვარი დათვალე ცხირეთიდან რომ გამოგზავნეს?

ხ ო ს ი ტ ა — ოცი კრავი და ხუთმეტი ყოჩი მოიყვანეს შენი კვნესამე!

ს ა ა კ ა ძ ე — არა უშავს. მდიდრები ვყოფილვართ. აბა, დატრიალდით! ჩემთან არავის არაფერი დაგეკარგებათ... ვისაც მიწა არა გაქვთ — მიწას მიიღებთ სამეფო ნაკვეთიდან. ვისაც საქონელი გაკლიათ — ჩემი ჯოგიდან შეივსეთ... თუ ვინმე ძაბუნი გირევიათ — თქვით და მე თვითონ დავასახლებ... სხვა რაღა გინდათ თქვენ ციყვისა და თხუნელას თავფეხებო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმები — შენი სიცოცხლე!
— შენი სიკეთე!
— შენი კარგად ყოფნა ჩვენო მოამაგევ!

სააკაძე — რაკი ეგრეა, წადით და დატრიალდით! ხოსიტა!

ხოსიტა — მე რას მიბრძანებ ბატონო!

სააკაძე — ახლა მჭირდება ხოსიტა შენი შენდობა! უნდა გაფრინდე შენებურად!

ხოსიტა — სად ბატონო?

სააკაძე — ქალაქში... ისე წამოხტი ადრე დილით, რომ მზემ ადგომა ვერ მოგასწროს.

ხოსიტა — კი, ბატონო, მზე კი არა, ადგომას კურდღელიც ვერ მომასწრებს.

სააკაძე — ჩახვალ ქალაქში, მეტეხის ქვევით, — ხომ იცი ხიდის თავთან რომ დუქანია: „ნატვრის თვალი", — იქ შეხვალ, ამქრების უსტაბაშს იკითხავ; კაპლუა ფორაქიშვილს. ასე უთხარი იმ გიჟუას: მოურავი მოდის — და ამქარი შეკრიბე თქო... საქმე მაქვს მათთან სათათბირო.

ხოსიტა — ეხლავ ბატონო, ეხლავ ჩიტივით გავფრინდები.

სააკაძე — შენ კი ჩემო ელიავ, ვიცი დაღლილი ხარ, მაგრამ რა გაეწყობა, ერთი კეთილი საქმე შენც უნდა დაიკისრო.

ელია — მითხარი მოურავო, შენი გულისთვის თავს არ დავიშურებ!

ს�ააკაძე — უნდა სამცხეში გადაფრინდე. მანუჩარ ათაბეგი მატყობინებს, წალკაში აზრუმიდან ხუთი მელითონე ბერძენი ჩამოსულა, თოფზამბურაკთა კეთების დიდი ოსტატები. აბა, გასწი და ის ხუთი ბერძენი საჩქაროთ მომიყვანე!

ელია — გულმშვიდად იყავ მოურავო, ხუთი ბერძენი რა საქმეა, ბერძენთა მთელი ლაშქარი, რომ დამიხვდეს, სულ აქ ცხვრებივით მოგირეკავ!

სააკაძე — (მარტო) ღმერთო მაღალო, ეს ხალხი უკეთესი ხვედრის ღირსია, უკეთესი ცხოვრებისაც... მე კი ჯერ ვერაფრით დავაფასე, მაგრამ ეგ კიდევ არაფერი, მაგათ შავ იღბალს ეშველება, თუ რასმეს გავხდი... ოღონდ ეგ არი, მეფე როგორმე დავითანხმო! თუ ეს მოხერხდა, თუ ეს როგორმე მოვაგვარე, მაშინ მე ვიცი; პირველად თავგასულ თავადებს დავაჩუმებ, შემდეგ შაჰბაზს, შემდეგ კი, ო, შემდეგ თუ კიდევ ფრთები შევისხი — გათიშულ ტომებს, მთასა და ბარს ერთ რკალად შევკრი, რომ დროთა ბრუნვამ ვერ დაშალოს... ჰე, რა ადრე შევედი სანუკვარ ფიქრებში!.. (შემოდის სააკაძის მეუღლე — თამარ).

თამარ — რას შვები გიორგი, საკუთარ თავს ელაპარაკები?

სააკაძე — რა ვქნა გეთაყვანე, მიყვარს გონიერ კაცთან საუბარი.

თამარ — რა დროს ხუმრობაა! ლამის მეფე კარზე მოგვადგეს და ჯერ წესზე არაფერი გვაქვს მოგვარებული!

სააკაძე — ნუ სწუხარ ჩემო სიამაყევ! წესის მომცემად იმისთანა კაცები გვყვანან, რომ არაფერში შეგვარცხვენენ!

თამარ — ეგ მართალია, მაგრამ შენ რაღაც უგუნებოთ მეჩვენები, რატომ არ მეტყვი რასაც ფიქრობ, რატომ გაქვს ეგეთი ჩათხრობილი ხასიათი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა ა კ ა ძ ე — მაგის პასუხი აკი უთქვამს შადიმან ბარათაშვილს. ეგ შურიანმა კაცმა იცისო!

თ ა მ ა რ — ეგრე რატომ გმტრობს შადიმანი, შენი თავი კინაღამ მეფეს მეაძულა!

ს ა ა კ ა ძ ე — კითხე მორიელს, თუ რატომ იკბინება. ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა. სწორედ მართებულადა ბრძანებს რუსთველი. (შემოდის სარიდან). სად ხარ სარიდან, რა ამბავი მოიტანე, აღარ მოდიან არაგვის ერისთავები?

ს ა რ ი დ ა ნ — მოდიან ბატონო, წისქვილს აკეთებდნენ და იმიტომ შეუგვიანდათ!

ს ა ა კ ა ძ ე — დალახვროს ღმერთმა, რა დროს წისქვილი იყო! (შემოდიან ნუგზარ ერისთავი, ზურაბ მისი შვილი, ზაზა ციციშვილი და სხვები) სადა ხარ ჩემო სიმამრო, მე აქ მეფეს ველოდები და შენ იქ მეწისქვილობა გამომიწყე?

ნ უ გ ზ ა რ — რას იზამ, ჩემო სიძევ! ჩვენ, ნოსტეველები კი არა ვართ ხორბალი ვყლაპოთ, ჩვენ ვეჟო, დაფქვილსა გეახლებით... (საერთო სიცილი)...

ს ა ა კ ა ძ ე — ახლა საქმეზე მეგობრებო! დღეს მინდა თქვენი ერთგულება. მეფემ მასპინძლობა ვერ უნდა დამიწუნოს; რა წამს ფეხს შემოადგამს ზეციოთცხებული ჩემს ოჯახში, ჩემი სახლკარი იმ წუთიდან ციხედარბაზად უნდა იქცეს. განკარგულება შენი იქნება დღეს, ჩემო ზაზა. მე ვერ მოვიცლი, შენ და ზურაბ ჯარების უფროსად მიგულებიხართ. ისეთი წესი დაიცეთ, როგორც ომის დროს გვჩვევია.

ზ ა ზ ა — გასაგებია მოურავო!

ზ უ რ ა ბ — წესი და რიგი მე და ზაზას გვეკითხებოდეს.

ნ უ გ ზ ა რ — ეგ რა ამბავია ვეჟო? ომისათვის ვიკრიბებით შენსას, თუ მეფის შესახვედრად?

ს ა ა კ ა ძ ე — რაღა თქმა უნდა, მეფის შესახვედრად. განა არ იცნობ ჩემს ხასიათს ჩემო სიმამრო! ბრძოლის კაცი ვარ ჩემო ნუგზარ თვით ნადიმის დროს. სტუმართა შორის ხომ შეიძლება ჭირვეული გამოერიოს! როცა დარაზმულ მხედრობას დაინახავს — აბეზარს მყის ჩხუბის სურვილი წაუხდება. მაშ, ასე ნუგზარ, შენ დღეს თამადად მიგულებიხარ!

ნ უ გ ზ ა რ — რას ამბობ ვეჟო, მე და თამადობა!

თ ა მ ა რ — ჰი! გენაცვა, რაღა შენს სიმამრს ჩააცივდი, რა ესმის მამაჩემს თამადობის!

ნ უ გ ზ ა რ — ჩემმა მზემ, ეგეც მართალია...

ს ა ა კ ა ძ ე — თავი არ მომიკვდეს ნუგზარ, მე შენ ეგეები არ გიყაბულო... იმედი მაქვს, სურვილს შემისრულებ და ჩემი გამოჩენის დღეს — ღირსეულად გამომაჩენ!

ნ უ გ ზ ა რ — ვერა ჩემმა მზემ, ვერ ვიკისრებ. ვეჟო სიბერეში გარდავსულვარ, სად მე და სად თამადობა!

ს ა ა კ ა ძ ე — მაშ კარგი, მე ვიქნები. ოღონდ თქვენ კარგად შეექეცით ამალას. ჭაბუკი მეფის გული ნებიერია, მცირედი რამ და შეიძლება ნადიმი დაგვიწუნოს, თავადებმაც გაგვკილოს მეყვსეულად!... (შემოდის პაპუნა)

პ ა პ უ ნ ა — შეგებებაა საჭირო მოურავო, მეფე მობრძანდება თავის ამალით!

ს ა ა კ ა ძ ე — უხმეთ დედაჩემს, მეფეს შეეგებოს... (იწყებს ამბავს შეშფოთებულს. თვითონ გიორგი გადის მეფის შესაგებებლად. შემოდიან: შადიმან ბარათაშვილი, ანდუყაფარ ამილახვარი, სვიმონ ბაგრატიონი, ფარსადან ციციშვილი, მუხრანის ბატონები, ქაიხოსრო ჯავახიშვილი, სეფე ქალები, აზნაურები, შემოდის მეფე ლუარსაბ და მოურავი... ეზო გაივსება ხალხით).

ლ უ ა რ ს ა ბ — მშვიდობა და სიკეთე სახლსა ამასა უკუნითი უკუნისამდე!

ს ა ა კ ა ძ ე — (დაიჩოქებს და მეფეს ფეხქვეშ ხალიჩას დაუგებს) მეფეთ-მეფეო, შენი ერთგული მოურავი მუხლმოყრით ვდგავარ შენს წინაშე და გიგებ ფეხქვეშ ხალიჩას ფიანდაზად.

ლ უ ა რ ს ა ბ — აღსდეგ მასპინძელო, ჩემო დიდო და საიმედო მასპინძელო.

ქ ე თ ე ვ ა ნ — მოხველ მშვიდობით მეფეთ-მეფეო... ბედნიერია ის სახლკარი, სადაც ღვთის შვილი კარს შეაღებს!..

ლ უ ა რ ს ა ბ — იყავ მშვიდობით, დედაო ოჯახის! (ხელზე ჰკოცნის)

თ ა მ ა რ — დიდათ გაახარეთ მეფეო ჩვენი ოჯახი... ღმერთმა ბედნიერ ჰყოს თქვენი მობრძანება...

თ ე კ ლ ე — მიიღეთ მეფეთ-მეფეო ეს ალამი, ჩემის ხელით არის ნაკერნაქარგი, შიგ ჩავაქსოვე ჩემი კეთილი სურვილები... სიხარულს მოგიტანს ზეცით ცხებულს და ფასდაუდებელ გამარჯვებას (ალამს გადასცემს და ხელზე აკოცებს)

ლ უ ა რ ს ა ბ — კეთილი იყოს შენი გალობა ბულბულო გაზაფხულის. ეს ვგონებ შენი და არის მოურავო? (ალამს შადიმანს გადასცემს)

ს ა ა კ ა ძ ე — დიახ, და გახლავთ მეფეთ-მეფეო, ჩემი თეკლე... გთხოვთ დარბაზისაკენ დიდებულნო, სუფრა თქვენ გელისთ! (ქაიხოსრო) ა, ქაიხოსროც აქ ყოფილა! კარგი ჰქენ, თავადო, დიდათ გამახარე!

ქ ა ი ხ ო ს რ ო — მე არა, ვეჟო, ეს ჩვენ ბრძენ მეფეს დაუმადლე, გზაზე შემხვდა და დამაბრუნა...

ლ უ ა რ ს ა ბ — მეზობლები ხართ, არ გრცხვენიათ? რა გაქვთ საჩხუბარი?!

ს ა ა კ ა ძ ე — ჩვენ ისე, მეფევ, მეზობლურად წავიკიდენით, უკვე მოვასწარი კიდეც დავიწყება... აბა, მობრძანდით დიდებულნო! ნუგზარ გაუძეხ ძვირფას სტუმრებს!... (საკაძე და ნუგზარ ერისთავი წინ გაუძღვებიან სტუმრებს. რამდენიმე თავადი შეჩერდება შადიმანის ნიშნის მიცემაზე)

შ ა დ ი მ ა ნ — საქმე მაქვს თქვენთან, ცოტათი შეიცადეთ!

ა ნ დ უ ყ ა ფ ა რ — რა იყო შადიმან?

შ ა დ ი მ ა ნ — ვერა ვარ მარჯვეთ დიდებულნო!

ა ნ დ უ ყ ა ფ ა რ — რაო, რა მოხდა?

შ ა დ ი მ ა ნ — ჯერ არაფერი, მაგრამ მოხდება ისე ვატყობ!

ქ ა ი ხ ო ს რ ო — სწორია ვეჟო, მეც ასე ვგონებ... ხომ შენიშნეთ რამდენი ჯარი ერტყა ციხე-გალავანს. მოურავი აქაც არ იშლის თავის ოსტატობას.

შ ა დ ი მ ა ნ — მართალია დიდებულნო, ქაიხოსროს კარგად შეუნიშნავს, გარეგნულად, აქ თითქოს ნადიმია, მაგრამ სარჩულად სხვა რამ უდევს.

ხედავთ როგორის ხერხით არის ყოველივე მოწყობილი, სად უმიზნებს სააკაძე? გზა ვარდ-ყვავილებით მოგვიფინა, მეფეს თავისი და შეახვედრა, ალამიც უძღვნა იმის ხელით... ნახეთ რა მოყვეს ამ საჩუქარს.

ფ ა რ ს ა დ ა ნ — ეგ ღერთმა ნუ ქნას. ვეშაპი, თუ კიდევ ცოტათი წიხ გაიწია, ყველას დაღუპვა ეს იქნება.

ს ვ ი მ ო ნ — გაიწიოსო? რას ამბობ, რასა დალოცვილო! განა არ ხედავ, ეხლაც რომ უფროსად არავის სცნობს?! თავის ნებაზე მიყავს საქმე!

ა ნ დ უ ყ ა ფ ა რ — ჯარს ყრის უჩვენოდ, არხებს აჭრევინებს უჩვენოდ, ციხე-სიმაგრეებს აშენებს და არავის გვეკითხება... მითხარით დიდებულნო, როდის მოელება ბოლო ამ ერთი გუდამშიერი აზნაურის ქედმაღლობას?!

შ ა დ ი მ ა ნ — დღეს!..

ს ვ ი მ ო ნ — როგორ თუ დღეს?!

შ ა დ ი მ ა ნ — როდესაც სუფრას მოუსხდებით და ქეიფი გაიშლება — ნადიმი ჩაუშალოთ.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — ჩაუშალოთ, კარგი აზრია, ნადიმი ჩაუშალოთ... (შემოდის სარიდან)

ს ა რ ი დ ა ნ — მეფეცა და მასპინძელიც გხმობილობთ დიდებულნო. გთხოვთ რომ დარბაზში ეწვიოთ... (თავადები მიდიან. შადიმან შეჩერდება)

შ ა დ ი მ ა ნ — რა გაიგე!

ს ა რ ი დ ა ნ — ჯერ ვერაფერი ბატონო.

შ ა დ ი მ ა ნ — ხომ იცი სარიდან, ჩემი საჩუქარი როგორია?

ს ა რ ი დ ა ნ — ვფიცავ ბატონო, რაც შემიძლია თავს არ ვზოგავ.

შ ა დ ი მ ა ნ — მოურავის შემდეგ, საჭიროა პაპუნაზეც თვალი გეჭიროს; სად დადის, ვის ელაპარაკება... ისიც გაიგე, რად აჩქარებენ ტირიფონზე არხის გაჭრას; როგორც მე ვიცი, იქ ციხე შენდება და ჩვენგან გაქცეული ხალხის დასახლებას აპირებს მოურავი.

ს ა რ ი დ ა ნ — აპირებს კი არა, უკვე დაიწყო დასახლება!

შ ა დ ი მ ა ნ — დაიწყო კიდეც! ეგ არ ვიცოდი; რად არ მაცნობე ეგ ამბები, თუ იქ ხდებოდა?

ს ა რ ი დ ა ნ — რა ვქნა ბატონო, როგორ უნდა მეცნობებია, როცა მე თვითონ დღეს გავიგე.

შ ა დ ი მ ა ნ — ჩუმად, წავიდეთ დარბაზში... აქ არ ღირს ამაზე ლაპარაკი.

სურათი მეორე

დიდი დარბაზი მორთული სხვადასხვა მძიმე ქსოვილებით, სუფრის გარშემო სხედან: მეფე და დიდკაცობა. შეზარხოშებული თავადები მღერიან მრავალჟამიერს, მათ მოურავი ეხმარება მოძახილით. სიმღერა ფარდის ახდის შემდეგაც გრძელდება.

ს ა ა კ ა ძ ე — ეხლა ბატონებო, რაკი მეფის სადღეგრძელო ყველამ ინებეთ, იმედი მაქვს, ამ სადღეგრძელოსაც მომისმენთ მოკრძალებით... ბატონო შადიმან! მეფის შემდგომ, შენა ხარ ამ ჩემს სახლში სასურველი სტუმარი! შენა ხარ ჩვენი მეფის ლალა, გამზრდელი და სწორედ ეგ არი მიზეზი ყოველ ქართველს რომ ძვირად გვიღირს შენი თავი... ღმერთსა ვთხოვ, შენს მრავალ-ჟამიერს სიცოცხლეს მეფისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ. ალავერდი შენთან ვარ შემო მეფევ და მბრძანებელო!

ლუარსაბ — იახშიოლ! იახშიოლ მოურავო!
(მწე ღვინოს უსხამს ყანწში)

შადიმან — გმადლობ მოურავო. შენი პირიდან გადმოსული [illegible] ინექტარი ჩემს გულს მალამოდ ელხინება... შენც იცოცხლე [illegible] ალქამიერ.

ლუარსაბ — (წამოდგება) შადიმანს გაუმარჯოს! იმდენი იცოცხლე ჩემო შადიმან, იმდენი, ვიდრე ეგ თმა ისევ არ გაგიშავდეს... ისე კი საკვირველი კია ჩემმა მზემ, ეს ულვაშები რომ შავი გაქვს და თმა კი თეთრი! (სვამს)

შადიმან — ეგ რად გიკვირს მეფეო, ეგ თმა ოცი წლით უფრო ხნიერია ამ ულვაშებზე და აბა რა იქნება!

ნუგზარ — მოდი მეხონჩევ, ეგ შადიმანს მიმირთმია, გაამოს შადიმან, ბეჭია ვეჟო, დეკეულის ბეჭი!

შადიმან — ეგ რა არის ნუგზარ? როცა ყმაწვილი ვიყავ, მაშინ სულ ფაფას მიდუღებდი, ახლა კი სიბერემ როცა კბილები შემიმეჩხრა — დრო მიშოვნე და ცარიელა ძვლით გინდა პატივი მცე?!

ნუგზარ — არა უშავს შადიმან, შენი კბილების სიბასრე ცოტ-ცოტა სუყველას გვიგემნია... მიირთვი, არა უშავს... იქნებ მაგ ძვალზე ცოტათი მოიბლაგვოს. (ყველანი იცინიან)

სააკაძე — ეხლა დიდებულნო, დროა ის პირნიც გავიხსენოთ, ვინც თათარხანთან ბრძოლაში დაიღუპნენ... თევდორე მღვდელმა: თავი გასწირა მეფის სიცოცხლის გულისათვის; გორელმა ტერტერამ, ისაკამ — ხიდი აყარა და მტერს სათარეშო გზა მოუსპო... ხალხი, დიდებულნო, ეს ხალხი იყო, უცებ რომ აღსდგა და მოზღვავებული მტერი დაამარცხა... ვინც მამულისთვის თავი დასდო, ყველა მათ ხსოვნას გაუმარჯოს!

ლუარსაბ — გაუმარჯოს, გმირების ხსოვნას — გაუმარჯოს!

ყველანი — ამინ! (თეკლე შემოდის თავის დობილებით)

სააკაძე — ახლა ნება მიბოძეთ დიდებულნო მეფის შესაქცევი სიმღერა მოგასმინოთ. ჩემო ძვირფასო დაო თეკლე გთხოვთ შენი დობილებით, მეფეს უმღერო გასართობი!

ლუარსაბ — შენი თავი მიცოცხლოს ღმერთმა მოურავო, სწორედ ეგ იყო ჩემი ნატვრა. სთხოვე იმღეროს, შეასრულოს ჩემი სურვილი.

სააკაძე — აბა, დაიწყეთ დობილებო, უმღერეთ მეფეს თქვენი ჭირიმე.

თეკლე — დავიწყებ მეფევ თუ საძრახისი არ იქნება!

ლუარსაბ — პირიქით ჩემო სასურველო, მეფეთა სამსახური მოსაწონია ყველასათვის. გთხოვთ დაიწყოთ...

თეკლე — (აიღებს ფანდურს და მთრთოლვარე ხმით დაიწყებს, სეფე ქალები ეხმარებიან)

ვაჟკაცის სახელს უკვდავს ჰყოფს
მტერთან პირისპირ ომია,
მუხლი — რკინისრებ მაგარი,
ფეხი — კლდიდან კლდეს მხტომია,
თვალნი — ქორებულ მხედველნი,
გული — მხნე, როგორც ლომია,
ხმალი — მტრის სისხლში ნაწრთობი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსგავს ვაჟკაცების მხმობია,
სირცხვილ ნაჭამი ძაბუნი
თემთაგან დასაგმობია...

ლუარსაბ — შაბაშ! თქვენი ხმების ჭირიმე ქართლის ასულნო! თქვენი სიმღერის!.. დიდებულნო, მე ვსვამ მშვენიერ თეკლეს სადღეგრძელოს!..

სააკაძე — ეგრემც იდღეგრძელე მეფეთ-მეფეო. რაკი შენი სურვილია, არავინ დარჩეს მოულხენი. აბა, გამოდი პაპუნა, გამოდი და მეფეს შესამკობი შაირები მოახსენე კაფიად!

პაპუნა — თუ კი არ მიწყენ დიდო შეფეო!

ლუარსაბ — გიწყენ რას მიქვიან აზნაურო! დაიწყე შენს გახარებას, თუ ლხინი არის, ლხინი იყოს!

პაპუნა — (ფეხზე წამოდგება და მეფეს მიმართავს)
მე ვარ ამ ქვეყნად
შენი ნებით და ძლიერებით,
სავსე ვარ შენის
მადლითა და ლმობიერებით,
მაგრამ, თუ მაინც მე მთვრალი ვარ
ეშხის იერით,
წინ მიზის მეფე
რაინდი და გულისხმიერი,
აკურთხოს ღმერთმა
და ქნას იგი სვებედნიერი!..

ლუარსაბ — ყოჩაღ პაპუნა! მადლობელი ვარ შენი აზნაურო... აბა შადიმან, ახლა შენ იცი შეკაზმე ენა და აზნაურს შეეჯიბრე, ვნახოთ, რომელი გაიმარჯვებთ!

შადიმან — არ მეკადრება მეფეო აზნაურთან გაშაირება; ჩემი ტოლი გამომიყვანეთ და მერე ნახეთ ჩემი უნარი ლექსობაში.

ლუარსაბ — თავი არ მომიკვდეს შადიმან, შეშინებულხარ!.. თუ სამჯობინო პირი გიჩანს, მიდი და შეეჯიბრე!

შადიმან — ვასრულებ შენს სურვილს ჩემო მეფევ და ბრძანებელო: ვიწყებ, დამიხვდი აზნაურო!

პაპუნა — მოგიკვდეს პაპუნა! აი, აქ გახლავარ დიდებულო!

შადიმან — შენ მეფეს აქებ! ქების თქმა —
ბრძენს უფრო შეეფერება,
როცა ვარდთან ზის ბულბული,
ყვავს მაშინ რა ემღერება!
იჯექი შენთვის, აზნაურს
არ გშვენის ყელმოღერება.

პაპუნა — ეს რა ხმა მესმის! შადიმანს
სურს ქება გამიკილოს!
მაგრამ მოხუც კაცს, რათ უნდა
რომ ეძალების ღვინოს!
პური ჭამოს და წყალი სვას,
დაწვეს და დაიძინოს!

ლუარსაბ — აბა მიყე, მიყე შადიმან, არ გაჯობოს აზნაურმა, გამოუდექი მწევარივით!

შადიმან — კურდღელი იყოს მე ვიცი,
მყის გავხდებოდი მწევარი,
ერთი საწყალი თახვია,
მაგას რათ უნდა მდევარი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სააკაძე — ყოჩაღ შადიმან, ეს სწორედ რომ კარგად მოგივიდა! აბა, პაპუნა, მიდი, მიყევი, არ ჩამორჩე!

პაპუნა — დღემდე თუ იყო ზამთარი,
აწ გაზაფხულის პირია,
ტყემა მოისხა ფოთოლი,
ჭალას აღარ დგას რთვილია,
შადიმანს ხმელ პურს ნუ აჭმევთ,
მგონი აკლია კბილია!

ლუარსაბ — აბა, შადიმან! აბა, შადიმან, არ ჩამორჩე, არ შეგვარცხვინო, მიდი, მიყევი შენებურად!

შადიმან — რა ჭირად გადამეკიდე,
გირჩევ აიღო ხელია!

პაპუნა — ჭირი არ წავა უჭიროდ
თუ ჭირის დედა მრთელია...

შადიმან — რას ყბედობ? განა არ იცი,
უფლება რომ მაქვს დიდია?
ჩემს პაპას შენი პაპაი —
ერთ ძაღლზე გაუყიდია,
ახლაც შევიძლებ თუ მინდა,
აბა ვისი მაქვს რიდია,
ჩემი ძალა და უფლება
ხომ ხედავ გულზე მკიდია!

პაპუნა — რას ბრძანებ! ეგზომ შადიმან —
გული ირაზედ გაქვს დიდია!
თავს თუ იმითი მაწონებ
ყელზე რომ ჯაჭვი გკიდია, —
სახლში რკინები მეცა მაქვს —
ძაღლები ჯაჭვით მიბია!

აწდუყაფარ — ეს რას გავს, ბატონებო? მოსათმენია, ჩვენს პირველ დიდებულს რომ შეურაცყოფას აყენებდენ მეფის წინაშე?!

ფარსადან — მაშ, ფარსადან ცოცხალი ნურც ყოფილა, თუ ეს აზნაურს შეარჩინოს!

ქაიხოსრო — არც შერჩება.

სვიმონ — სიკვდილი თავხედ აბეზარსა...

ლუარსაბ — როგორა ბედავთ?! ჩააგეთ ხმლები თორემ ვფიცავ პირველ აბეზარს მე თვით შევმუსრავ ჩემის ხელით! (თავადები შესდგებიან. წყნარდება ჩოჩქოლი. თეკლე გარედ გაიქცევა, ლუარსაბ მოკრავს რა თვალს მიმავალ თეკლეს უკან გაედევნება).

სურათი მესამე

სასახლის ეზო. მოდის თეკლე აჩქარებით თალარისკენ და მოსდევს მეფე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ ე კ ლ ე — სად მეფეო, სად მომდევთ! ღვთის გულისათვის — ასეთ დამანებეთ, აღარ შემიძლია, სირცხვილისაგან ლამის თავბრუ დამეხვეს!

ლ უ ა რ ს ა ბ — აი, თალარი, აქ მაინც შესდექ ორი წუთით... ზენაარს ვფიცავ შემიყვარდი სულზე უტკბესო.. მომაჯადოვა შენმა სახემ, შენმა თვალებმა, შენი ხმა სულ-მთლად გულში ჩამწვდა.. ხედავ, მუხლმოყრით გევედრები, როგორც მწყურვალი, რომ შენს სიყვარულს დამაწაფო!

თ ე კ ლ ე — აბრძანდი მეფე, ღირსი არ ვარ, ნუ ფიქრობ ჩემზე!

ლ უ ა რ ს ა ბ — მაშ, მე ბედშავი არ გიყვარვარ? სთქვი, მითხარ ეს და მომკალ კიდეც!

თ ე კ ლ ე — ჩემო ხელმწიფევ, ჩემო მეფევ, ნუ მაღელვებ ეგეთი სიტყვებით! შემიბრალე, მეტი აღარ შემიძლია! გრიგალივით ძლიერია სიყვარულის სიმღერა... შენი სიტყვები გულს უფსკრულისაკენ მიაქანებს!.. არ მჯერა მეფეო, გულს არა სწამს ჩვენი შეერთება. რაოდენია დიდებულთა ასულნი ქართლში, რომლებიც შენზე ოცნებობენ, ფიქრით და ნდომით შენთვის ღამეებს ათენებენ! იმათში აირჩიე შენი საბედო ღირსეული!

ლ უ ა რ ს ა ბ — ო, არა, ვფიცავ სალოცავებს — არ მსურს ისინი... ან შენ, ან კიდევ სულ არავინ... დღე-ღამე ფიქრით შენთანა ვარ... წინ მიდგას მუდამ შენი სახე, სთქვი არ გიყვარვარ?!

თ ე კ ლ ე — რას ბრძანებთ მეფევ! ნუ თუ ვერ ამჩნევთ უბედურ თეკლესაც როგორ შეუყვარდით?! მაგრამ ჩემი სიყვარული — სურვილია, სინამდვილე კი საშიშარი. განა ნოსტეველ გოგოს საქმეა დედოფლობაზე ოცნებობდეს?

ლ უ ა რ ს ა ბ — მაშ, გყვარებივარ! ოი, შენ ბედო დიდებულო! ო, ჩემო თეკლე, ჩემო ძვირფასო საუნჯევ... მე მზად ვარ დღესვე შეჯვარებულ ხმლების წკრიალში შენი გვირგვინი გავატარო. არ გჯერა კიდევ? მაშ, ფიცი იყოს, წმინდა ფიცი ჩემი თავდები!

თ ე კ ლ ე — არა, მეფეო, არ არის საჭირო. მე შენი მჯერა და თუ განგებას სწადია, მე ბედნიერი ვიქნები.

ლ უ ა რ ს ა ბ — ო, ჩემო თეკლე, მე ქართლის მეფეს მეძახიან, შენ კი მეფე ხარ ჩემი გულის. მომეცი ნება დავეწაფო გაუშლელ კოკორს და დავსტკბე მისი სურნელებით! (მკერდზე ეამბორება)

თ ე კ ლ ე — კარგი, მეფეო... სული მეგუბება... ლამის გული მკერდიდან ამოვარდეს!..

შ ა დ ი მ ა ნ ი ს ხ მ ა — მეფევ, სად ხართ, სად ბრძანდებით? (თეკლე გაიქცევა)

ლ უ ა რ ს ა ბ — აი, წაგიღონ ეშმაკებმა! ო, რა ტანჯვა ყოფილა უზომო სიყვარული! (შემოდის შადიმან) შენა ხარ შადიმან, სხვა მეგონე! მოდი ძვირფასო, მოდი, საბედო მომილოცე...

შ ა დ ი მ ა ნ — რა გემართება ხელმწიფეო, უნდა როგორმე ძალ-ღონე მოიკრიბოთ.

ლუარსაბ — მეტი არ შემიძლია შადიმან, სულ მოვიშალე, ძარღვებში ცეცხლი მეკიდება. ან დღეს, ან არასოდეს...

შადიმან — ვინ არის მეფეო, რომ ეგრე გულში ჩაგიბეჭდავს!

ლუარსაბ — ის, ვინც ღირსია სადედოფლო გვირგვინისა, ვინც ფანოებით ღვთისმშობელს აღემატება, ჩემი ნუგეში, ჩემი თეკლე!

შადიმან — რას ბრძანებთ მეფევ! ცუდია, როცა სიჭაბუკე ეგრე თამაშობს.

ლუარსაბ — აღარ მაქვს ღონე, შადიმან, უმისოდ აღარ შემიძლია, უთხარ მოვიდეს, მოიყვანონ! (შემოდის გიორგი სააკაძე).

სააკაძე — ეს როგორ განმარტოებულხარ მეფევ და ბრძანებელო! თუ დარბაზში სიცხეა, გარეთაც მოვახერხებთ სუფრის გაშლას... წამობრძანდით მეფეთ-მეფეო!

ლუარსაბ — ჩემო გიორგი, ჩემო ძმაო და მეგობარო. თუ ცოტა აღელვება მეტყობა, ეს სრულიად არ მიშლის მახსოვდეს, რომ მე ახლა დიდი მოურავის სახლში ვიმყოფები, რომელმაც თათარხანი დაამარცხა, შეფე იხსნა და ქვეყანა თავის ძალაზედ დაამყარა.

სააკაძე — დარწმუნებული ბრძანდებოდეთ მეფეთ-მეფეო, რომ ჩემი ხმალი შემდეგშიაც მზად იქნება თქვენდა სამსახურად!

ლუარსაბ — ამინ! მომეცი ნება შუბლზე გეამბორო! (აკოცებს) შენა ხარ ჩემი ტახტის საძირკველი, ჩემი დასაყრდენი, რომელმაც გატეხა არ იცის და გადრეკის არ ეშინია! ჩემო ძმაო და მეგობარო, ქართლის ბურჯო და ხალხის მოამაგევ!

სააკაძე — ვფიცავ ხელმწიფეო, მეომრის სინდისს და ერთგულებას, რომ ჩემი სიცოცხლე იყო და ამიერით კვლავ იქნება ჩვენი ხალხის და შენი ტახტის ფხიზელი დარაჯი. ასი სიცოცხლე რომ ზეციერს ჩემთვის მოეცა — ყველა ასევეს უყოყმანოდ შემოგწირავდი.

ლუარსაბ — მჯერა მოურავო, მჯერა, მაგრამ სად არი, რად არ ვხედავ მშვენიერ თეკლეს, რომელიც ნადიმს ამშვენებდა.

შადიმან — ფრთხილად მეფეო, მღელვარე სისხლს ნუ აყოლიხარ.

ლუარსაბ — გიორგი მოურავო, უბრძანე, თეკლეს დაუძახონ!

სააკაძე — ეხლავე მეფეო... სარიდან! გაიქე და თეკლე მოიყვანე, დიდებულებსაც სთხოვე, აქეთ გამობრძანდნენ! (ამ დროს გარედან მოისმის ზურნა-საზანდარის ხმა... შემოდიან თბილისელი ასნაფები. ერთს თავზე თაფლის სანთლებით გაჩირაღდნებული გობი ადგია, რომელზედაც სხვადასხვა ხილი აწყვია. დანარჩენები ცეკვით მოყვებიან მთავარ უსტაბაშს)

ლუარსაბ — ასნაფებს გაუმარჯოს, ჩემს თბილისელ ხელოსნებს!

ასნაფები — ...(ცეკვით და სიმღერით მოდიან)

ადანდანი დანდანი,
ჩვენი ოქროს შანდალი,
ეს ჩვენ მეფეს გაუმარჯოს,
ქვეყნად არ ყავს ბადალი!
ადანდანი დანდანი!

ასნაფები — ჰაზარუუუმ!
— აზბანდარუუუმ!

კაპლო — მეფეო, თქვენს ნადიმს უკეთესი ფეშქაში ეკადრება! ეს საჩუქრები მაინც ანაზდად მოგიტანეთ... კეთილი გულით მოგიღვნილია ამქრისაგან!

ლუარსაბ — მადლობას გიძღვნით ასნაფებო, დადგით ბეგნარ ... ხინეთ.

ბაღდო — ება ბიჭებო, შაითნებო, ერთი დუდუკში ჩაუბერეთ.

ასნაფები — ჰაზარუუმ!

— აზბანდარუუუმ!

ლუარსაბ — აბა, დაუკარ საზანდარო, ასნაფებო, სათამაშო ჰანგები შეარჩიეთ, მეფეს სურს ცეკვა, სამაია! (შემოდის თეკლე და დიდებულნი. ხალხი აივნიდანაც გადმოჰყურებს ეზოს. ყველანი ტაშს უკრავენ, ლუარსაბი თეკლეს გამოიყვანს)

სააკაძე — გთხოვთ ხელმწიფეო, ნუ ინებებთ! ჩემი და ისე კარგად ვერ ითამაშებს როგორც შეფერის ეგ თქვენს სურვილს.

ლუარსაბ — ითამაშებს. მეფე სთხოვს და მეფის სურვილი კანონია.

სააკაძე — ნება თქვენია ხელმწიფეო... აბა, პაპუნა, გამოდი, წრეში დაუარე (პაპუნა იწყებს ცეკვას, შემდეგ თეკლეს თავს დაუკრავს, ისიც გაყვება. მეფე და დიდებულნი ტაშს უკრავენ)

შადიმან — შენ ნახავ, ფარსადან, თუ რითი გათავდეს ეს ამბავი!..

ფარსადან — ვაი ჩვენს მოსწრებას... მოურავი აქაც არ იშლის თავის ოსტატობას! (თეკლე ცეკვას რომ გაათავებს — მეფის წინ დაიჩოქებს, მეფე მას ააყენებს და მიმართავს დიდებულებს)

ლუარსაბ — რას შემომცქერით დიდებულნო ეგრე გაკვირვებით, განა თქვენ მეფე არ გინახავთ სვებედნიერი? დადგა ჟამი, ცოლის შერთვის სურვილი დამებადა; მომილოცეთ საბედო დიდებულნო!

ანდუყაფარ — კარგია მეფეო, ჩინებულ გადაწყვეტილებაზე დამდგარხართ, მაგრამ ვინ არის ღირსი ასეთი წარჩინების, ვინ აირჩიეთ სადედოფლოდ?

ლუარსაბ — ის, აი აქ დგას, თქვენს წინაშე. მორცხვად და კრძალვით, თუმც არა მეფურ სისხლისაა, მაგრამ რა უყოთ, ჭკუა და ლაღი სილამაზე მას ნებას აძლევს—ქართლის დედოფლად დაემკვიდროს. გთხოვთ თქვენს დასტურს და მოწონებას ერთგულნო ჩემნო! (საერთო სიჩუმე და დაბნეულობა) რას გაჩუმდით? შენ რას იტყვი ჩემო ანდუყაფარ?!

ანდუყაფარ — ჯერ კიდევ არ ვარ გარკვეული ჩემო ხელმწიფევ, სიზმარში ვარ თუ მომეყურა!

ლუარსაბ — იქნებ შენ მითხრა ჩემო სვიმონ იმის მიზეზი, თუ რატომ სდუმან დიდებულნი?!

სვიმონ — ცუდი არჩევანია ხელმწიფეო; ვინც უნდა იყოს ქართლის დედოფლად ვერ ვიგუებთ, თუ ის არ არის კეთილშობილი გვარისა და თვით დიდებული.

ლუარსაბ — და შენც ფარსადან, დაეინებით ამ აზრს ადგეხარ?

ფარსადან — გაუგონარი საქმე გახლავთ ხელმწიფეო, მეფეს სხვა ქალი ეკადრება, დიდებულთ წრიდან! ეს კი რა არი, ერთი უბრალო აზნაურის კეკელა გოგო, და სადედოფლოდ ემზადება!

ქაიხოსრო — ჯერ საქართველოს ტახტი ისე არ დამცრობილა, რომ მასზე მყვარი დედოფლობდეს!

ლუარსაბ — შადიმან, შენ ხმას რად არ იღებ? შენს ბრძოლა-ლოცვასა ვსაჭიროებ!

შადიმან — რა ვთქვა მეფეო მწყალობელო! იქ სიბრძნე ხშირად უძლურია, დიაღ უძლური, სადაც გონების მაგიერად სისხლი სწყვეტს საქმეს.

ლუარსაბ — როგორ? შენც ამათ უთანაგრძნობ?

შადიმან — არა მეფეო, მე შენთან ვარ სიკვდილის დღემდე, მაგრამ სჯობს სხვებსაც მოუსმინოთ... საკაძის და, მართალია ლამაზი არის, მაგრამ მეფეს და გვირგვინოსანს არ აქვს უფლება თავის სურვილებს დაემონოს, ჩვენ როგორც გვიჯობს შეგვიძლია ის გავაკეთოთ. შენ როგორც ჯერ არს საჭიროა ისე მოიქცე და ამიტომ გთხოვ გადაიფიქროთ ჩემი ხელმწიფევ! (დაიჩოქებს და ყველანი მასთან მეფის წინ დაემხობიან)

ყველანი — გთხოვთ ხელმწიფეო. უმორჩილესად გევედრებით!

ლუარსაბ — არასოდეს! ლუარსაბ შეირთავს იმას, ვისაც მეფური სიტყვა მისცა ერთგულებისა. ვისაც არ მოსწონს ჩემი ქცევა, ადგეს და წავიდეს: დაე, წავიდეს. მე მსურს ვიცოდე, რამდენი მყავს თქვენ შორის მეგობარი! (ლუარსაბ გადის)

ფარსადან — აი ესეც ჩვენ დიდებულნო, ყველაფერი ვნახეთ და ამასაც მოვესწარით!

ანდუყაფარ — არა დიდებულნო, მეფის მუქარა უპასუხოდ არ უნდა დარჩეს!

სვიმონ — არც დარჩება!

ქაიხოსრო — ეს, ვეჟო, ყველას დაწიხვლაა, მასხარად აგდება!

ნუგზარ — რას შვებით ხალხო, რას ჩადიხართ, არა გრცხვენიათ?

შადიმან — ჩუმად, დაწყნარდით დიდებულნო, მეფე მობრძანდება! (ლუარსაბ შემოდის და შემოყავს თეკლე)

ლუარსაბ — შენ მანდ რას დგეხარ მოურავო? რატომ საქმეში არ ერევი? ჩემი სურვილი ნათელია... მინდა დღეიდან შენი ოჯახის შვილი ვიყო.. და ვაი იმას, ვინც ჩვენ ორს შუა ჩამოდგება მზაკვრული გულით. ნუ გერიდება, თუ არ გინდა პირდაპირ მითხარ!

საკაძე — თუ არ მინდაო? რასა ბრძანებთ ხელმწიფეო! კაცსა რომ ნატვრა აუსრულდეს ეგ არის სწორედ. ღმერთია გულთამხილავი, ის პატივი და დიდება, რაც შენ მე ახლა მომანიჭე, ძნელია სიტყვით გამოვხატო, მას მოურავი როცა იქნება საჭირო დროზე გადაიხდის, მაგრამ აქ საქმე მარტო პირადულს არ ეხება, შადიმან სწორედ მოგახსენებთ... განა არ ხედავ სამეფოში როგორ აშლილობას დაბადებს ჩვენი დამოყვრება?!

ლუარსაბ — არავითარი დაყოვნება, ჯვარს ვიწერ დღესვე და ეგ არი...

საკაძე — არა მეფეო, არ ეგების ზეცით ცხებულის მეფისაგან ეგეთი აჩქარება.

ლუარსაბ — როგორ? შენც წინ მიდგები მოურავო?

სააკაძე — არა მეფეო, თქვენი სურვილის წინააღმდეგ არავინ არი... რაკი მაძალებთ, თანახმა ვარ... მხოლოდ ეს არი, ფიცის წიგნს თქვენგან ვსაჭიროებ... დასდეთ აქ ფიცი, რომ მე, ჩემს ოჯახს, თქვენ ჩემსას და მოკეთეებს — არა ევნება დიდებულთა ავი ენისაგან!

ლუარსაბ — ვფიცავ! სვეტიცხოველი იყოს ჩემი ფიცის თავდები.

სააკაძე — კარგი, მე მზად ვარ... აღსრულდეს მეფევ, ნება შენი.

ლუარსაბ — (გიორგის გადაეხვევა) ჩემო იმედო, ჩემო ძმაო! ო, მოდი თეკლე, მოდი ჩემთან.. უბრძანე ჯარებს მოურავო, დაჰკრან ნაღარას, აუშვან ყველგან შუშხუნები და მაშხალები. ქორწილის ხალხი ამაზე მეტი აღარ მინდა. მომყევით ყველა... დღეს, დიდების და ჯვარის წერის დღე არის ჩემი!.. (ლუარსაბ მოხვევს ხელს თეკლეს და მიყავს...)

ფარსადან — ოი, სირცხვილო, როგორ მოგვეჭრა თავი დიდებულებს!

ანდუყაფარ — მეფემ გასთელა ჩვენი უფლებები...

ქაიხოსრო — ხმლები ვეჟო, დასძარით ხმლები ქარქაშიდან!

სააკაძე — როგორ თუ ხმლები? ვის უბედავთ რისხვა-მუქარას? თქვენ გავიწყდებათ დიდებულნო სად იმყოფებით! ზაზა, სარიდან, ჩემო ზურაბ და შენც პაპუნა, გაყევით მეფეს, შემოერტყით ჯავშანის რკალად, რომ ღვთით გვირგვინოსანმა მეფემ საქართველოს — თავისი სიტყვა საქმით დაამტკიცოს! მეფის სურვილი — კანონია მთელს ქვეყანაზედ! (ზაზა, ზურაბ, პაპუნა, ნუგზარ და სხვები ხმლებს იშიშვლებენ და მეფეს გაჰყვებიან, ხოლო მოშუღლე დიდებულნი ხმაურით და ყვირილით აცილებენ).

ფარდა

მოქმედება მეოთხე

სურათი მეოთხე

თბილისი, მოედანი. სცენის სიღრმეში დუქანია: „ნატვრის თვალი". თათუხა ჯამებს ასუფთავებს.

ბაღდო — აბა, კაპლოჯან, ნუღარ ინაზები, ქეიფი არ მოშალო, შენი გულისა!

კაპლო — ვა, მოვშალო რომელია, ჯერ არც კი დამიწყია... იცოცხლეთ ძმებო, რაკი ქვეყანაზე ღმერთმა გაგვაჩინა, რაღას ვიზამთ, ისევ შრომითა და რუდუნებით უნდა ვისაზრდოვოთ. ნუ დაზოგავთ ჯან-ღონეს, პატიოსანი შრომა შეიყვარეთ... როცა გეყოლებათ თქვენს შეგირდებსაც ისე მოექეცით, როგორც მე თქვენ გექცეოდით, ახლა კი გაგიმარჯოთ, ძმებო, შეგირდები — ოსტატებად დამილოცნიხართ!

შეგირდები — ჯაან უსტაბაშო, საღოლ! ჯაან! ჰაზარუუუმ!

ყველანი — ჰაზბანდარუუუმ! (შემოდის ხოსიტა)

ხოსიტა — ე, რა იყიდება ძიაშვილებო აქა, ა?

ბაღდო — გიჟები გენაცვა!

ხოსიტა — ცუდი ვაჭრობა გქონიათ შვილოსა, ეგრე ბევრი რომ დარჩენილხართ გაუსაღებელი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაღდო — ბიჭოს! ეს ვინ ოხერი მოთრეულა!

კაპლო — ეს მაინც გვითხარი, ვისი კაცი ხარ მამაჯან!

ხოსიტა — ვისი ვიქნები? საკუთარი ჩემი თავისა გახლავარ.

კაპლო — კაი შენ დაგემართოს, კაი პატრონი შენა გყოლია!

ხოსიტა — შენ რა იცი შვილოსა, ჩემი ბატონი მეფის ტოლა კაცია, ღვთისაგან კურთხეული. ქვეყანას ახალი პერანგი გამოუჭრა, დღეს თუ არა, ხვალ უსათუოდ ჩააცმევს!

ბაღდო — ვა, თერძების უსტაბაში ყოფილა კურთხეული!

ხოსიტა — თერძების რათა! გეუბნებით მეფის ტოლა კაცია მეთქი, არ გეყურებათ? თქვენს შორის კაპლუა რომელია?

კაპლო — ვა, ეს ვინა ყოფილა? საიდან მიცნობ ძმაოჯან. ეს მე ვარ, კაპლო ვარ, ფორაქიშვილი!

ხოსიტა — შენ თუ კაპლო ხარ, მეც ხოსიტას მეძახიან... შენთან მოურავმა გამომგზავნა, ამქრებს და ვაჭრებს აცნობოს — დღესვე თავი შეიყარონ, საქმე მაქვს მათთვის სათქმელიო...

კაპლო — ვა, მოურავის კაცი ყოფილა ბიჭებო, ჩვენი გიორგისა! აბა, გოგილო, წადი, გაიქე, ამქარს ჩამოურბინე, ვაჭრებსაც აცნობე, უთხარ: მოურავი მოდის და ყველანი „ნატვრის თვალში“ მოირეკენით თქო... (გოგილო მიდის) მაშ, მოდის რაღა, მოურავი?!

ხოსიტა — მოდის მაშ, კიდევ პატარა ხანი და აქ გაჩნდება..!

ბაღდო — მერე და რაღა შენ გამოგგზავნა იმ კურთხეულმა შათირად, მოურავს კაცები დაელია?

ხოსიტა — კაცების მეტი რა არის შვილოსა, მაგრამ კაცები — კაცებს აახლეს და მე კიდევ თქვენთან გამომგზავნეს.

კაპლო — ვახ, ვახ, ეგ რა ყოფილა შაითნებო! მოდი გენაცვა, ეგ ერთი ჩალამი იხმიე ჩვენდა სადღეგრძელოთ!

ხოსიტა — ვერა ძმებო, ღვინოს თავისი დრო აქვს, ვერ დავლევ, უნდა წავიდე, მოურავმა რომ აქ მომისწროს, სირცხვილში ჩავარდები! (ხოსიტა გადის. ისმის სიმღერა, რომელიც თანდათან ახლოვდება)

კაპლო — აგერ ბიჭებო, ჯიხილო უზბაში მობრძანდება!

ბაღდო — ჰაი, ჰაი, როგორ უდარდელად მოიმღერის, ეგ ჯიგარ გასახეთქი!

(შემოდის ჯიხილო, მისი თანაშემწე და მათ მოყვება ხალხი)

ჯიხილო — ორჯერ თავსა ვერვინ იშობს
სანამა ხარ, იყავ ლხენით.
სვი და ჭამე, გაატარე
ეს ცხოვრება მოსაწყენი. ჰარი ალალეეე!

ბაღდო — ჯაან! საღოლ, უზბაშო! ისე ღიღინებ, როგორც სევდიანი ქედანი!

ჯიხილო — ერს და ჯამაათს გაუმარჯოს. როგორა ცხელა! უნამუსო ვიყო, თუ ამ სარდაფში ქეიფს რამე სჯობდეს! ძალიან კი გრილა აქა, აი! მამის სულის ცხონებამა, დრო რომ მქონდეს, ღვინოს მოვატანინებდი და ერთ რასმე ქეიფს გავსწევდი სანაქებოს! (შემოდის პაპუნა)

პაპუნა — ა, ჯიხილო უზბაშს გაუმარჯოს! რას შვები უზბაშო, ეს რა მთელი მილეთის ხალხი მოგიგროვებია მოედანზე?

ჯიხილო — მე, გეთაყვა მეფის უზბაში ვარ, მიტომ გამომგზავნეს, რომ საბეგრო ხალხი წავიყვანო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაპუნა — ო, ეს კარგია უზბაშო! თუ ინებებ მეც დაგეხმარები ხალხის გადარჩევაში?

ჯიხილო — ნუ სწუხდები გეთაყვა, მე თვითონ უშენოთ გადავარჩევ! თუ კარგები არ იქნენ, მეფეს ვერ უორგულებ!

პაპუნა — რა ბრძანებაა ბატონო, ხომ გასინჯე რა ბიჭებია! ფაფარი რომ ქონდეთ — პირდაპირ ლომები იქნებოდნენ!

ჯიხილო — სია უზბაშო, სია მომაწოდე! აბა, ვისაც გამოვიძახებ წინ გამოვიდეს... აბა, ვინ არის მანდ ქვლივიშვილი!

ქვლივიშვილი — მე გახლავარ, მე, შენი კვნესამე!

ჯიხილო — (ახედ-დახედავს) ოღონდაც არაუჭირს რა, გამოდგება. უზბაშო, ჯვარი მიაკერე!

ქვლივიშვილი — ჯვარიო? რათ მინდა ბატონო ჯვარი? მე ისედაც ქრისტიანი გახლავარ შენი მუხლების ჭირიმე!

ჯიხილო — შენ ვინ გეკითხება? ეს ჩვენ ვიცით. მიაკერე უზბაშო! შენი გვარი?

ბუღაძე — ბუღაძე შენი კვნესამე!

ჯიხილო — კარგია... მიაკერე უზბაშო მაგასაც....

ბუღაძე — ნუ ბატონო, ნუ ინებებთ ჩემი ოჯახის დაკნინებას... ხელმარტო კაცი ვარ, არავინ მყავს შემწე და დამხმარე!

ჯიხილო — ამ ბუღას არ უყურებთ! კარგად არც კი შემიხედავს და უკვე ბღავილი მორთო! მიაკერე უზბაშო! (კითხულობს) ჯავრი... ჯავრიშვილი! აბა, გამოდი რომელი ხარ ჯავრიშვილი! (გამოდის მაღალი და ხმელი კაცი)

ჯავრიშვილი — მე ვარ შენი კვნესამე, მე ვარ ჯავრიშვილი.

ჯიხილო — საწყალი როგორ ჩამომხმარა, ჯავრს სულ არ გაუთავებია კაცი!

ჯავრიშ. — შენი კვნესამე!

ჯიხილო — ხმა, კრინტი! არა გიშავს, შენ მეფის სამსახურში, გასუქდები. ჰე, დავიღალე კიდეც ამდენი ჩალიშობით. ყელი გამიშრა... ჯობია ისევ დუქანში დავისვენოთ... თანაშემწევ, ხალხი უჩემოთ გადაარჩიე, წასაყვანს ჯვარი მიაკერე, უვარგისებს კი ჭიტლაყი! აზნაურო, თაშბაქო გექნება და მომაწოდე!

პაპუნა — ეწევით, ბატონო?

ჯიხილო — ისე, ნაღველისა გამო...

პაპუნა — ერთი ბრძენი ამტკიცებს ბატონო, თითქოს, მსუქან ხალხს არ შეიძლება ნაღველი ჰქონდესო.

ჯიხილო — დიდი სულელი კი ყოფილა ის შენი ბრძენი, ჩემმა მზემ! მაგალითად, მე მაქვს ნაღველი!

პაპუნა — არა ბატონო, თქვენ რომ ნაღველი გაქვთ ის ღვიძლის გვერდით არის მოთავსებული. მე სულიერ ნაღველზე მოგახსენებთ!

ჯიხილო — კარგი ერთი, მამის სულის ცხონებამ, რა დროს ეგ არის! აბა, თანაშემწევ! დააწყე ხალხი და საქმეს შეუდექი. (პაპუნა და ჯიხილო მაგიდას მოუსხდებიან).

უზბაში — აბა, დაეწყვეთ, ჩხუბი და ლაპარაკი არ იყოს. ვინც ჯერ ... ხართ აქეთ გამოდით!

ქვლივიშვილი — შეხედე ღმერთს შენი ჭირიმე, ხომ ხედავ ერთი საწყალი კაცი ვარ... ეგ ხუთიოდე მარჩილი მიდევს ჯიბესა, ეგეც შენი ჭირის სანაცვალო ყოფილა, მიიღე ეს ფული და სახლისაკენ გამისტუმრე!

უზბაში — შე ოხერო შენა, ხუთი მარჩილი თუ ჯიბეს გქონდა, კრიჭა რამ შეგიკრა? შენ გქონია საჭირო საბუთები! მოიტა ეგ ფული და დაიკარგე აქედან!

ბუღაძე — მეც შენი კვნესამე, მეც გამაჩნია ეგეთი საბუთები!

უზბაში — როგორ? შენც იმედი გაქვს შეღავათისა?

ბუღაძე — მაქვს ბატონო. ეგ ოთხიოდე მარჩილი გამაჩნია... შენი ბედისა ყოფილა; მიიღე და სახლისაკენ ბარგი ამიკარი!

უზბაში — კარგი, მოიტა... თქვენ კი რას ფიქრობთ ვირის თავფეხებო? იქნებ თქვენც გაქვთ რაიმე სათხოვარი?

ჯავრიშვილი — ჩვენ რა ბატონო, ჩვენ ღარიბი ხალხი ვართ... ბოლოს და ბოლოს ჩვენთვის სულერთია, გინდ ყიზილბაშს მოუკლავართ ბრძოლის ველზე და გინდ სახლში ბატონსა! უმჯობესია ახლა მოვკვდე, რომ ყოველდღე სიკვდილი აღარ მაწუხებდეს...

უზბაში — აი, ეს მომწონს! შენ ვაჟკაცი ყოფილხარ! (სუფრიდან წამოდგებიან ჯიხილო და პაპუნა)

ჯიხილო — რა ქენი უზბაშო, ხალხი გადაარჩიე?

უზბაში — მზად გახლავთ ბატონო, მხოლოდ ეს არი, ბუღაძე და ქვლივიშვილი არ გამოდგნენ... (ჩუმად) თითომ სამ-სამი მარჩილი მოგართვათ საბედნიეროთ.

ჯიხილო — მამის სულის ცხონებამა, ძალიან ძუნწები ყოფილან! მაგრამ არა უშავს რა, რაკი არ ვარგან, ღმერთმა შეუნდოთ... ბუღაძე და ქვლივიშვილო, ახლავე თვალთაგან დამეკარგეთ! აბა, ეხლავე დანარჩენებს უბრძანე: დაეწყონ, წასასვლელად მოემზადონ!

პაპუნა — რას ბრძანებთ ბატონო! თავი მომიკვდეს, თუ თქვენ მეფის სასარგებლოდ მოქმედებდეთ! აბა, თვითონ ბრძანეთ, რა სჭირს ამ ბუღაძეს დასაწუნი? ხომ ხედავთ ნამდვილი ბუღაა!

ჯიხილო — ბუღა რათ მინდა, ძროხები კი არა მყავს დასამაკებელი!

პაპუნა — არა ბატონო. მე იმას მოგახსენებთ, ჯანმრთელი ვაჟკაცია მეთქი. ეგ თუ არ ვარგა, მაშინ ეგ ჯავრიშვილი რაღა წასაყვანია. ხომ ხედავთ, როგორ ქარქაშივითაა ჩამომხმარი.

ჯიხილო — რას ბრძანებთ გეთაყვა, სიმჭლევით კაცი ვის დაუწუნია! ასეთ კაცს ტყვიაც თავის დღეში ვერ მიახელთებს!

პაპუნა — ხომ ხედავთ, ბატონო, ძვლებია ცარიელი!

ჯიხილო — ოღონდაც! საქმე ძვლებია! არ უყურებ! ამას ყიზილბაშმა რომ მახვილი მოუქნიოს — ჩემმა მზემ, ხმალი სულ მაგ ძვლებზე მარილივით მიეფშვნება. მე თქვენ რას მასწავლით აზნაურო, მე ომის

კაცი ვარ გეთაყვა... აბა, უზბაშო! ხალხი გარეკე და გზას გაუდექი!... მე კი აქ დავრჩები და ცოტა ხანს ჩემს გუნებაზე ვიჩალიშები!

პაპუნა — მოდი ახლა და ამისთანა კაცებით მტერს და ბოროტებს ეპასუხე გაეცი... (შემოდის საკაძე) ერთი შეხედე გიორგი, რა ხალხი ბიყავს უზბაშს მეფის სამსახურში! (მოურავი მხრიდან ნაბადს მოიხდის და უზბაშს გადახედავს).

საკაძე — უზბაშო! რამდენჯერ მითქვამს მე შენთვის: როცა ხალხს მეფისთვის იბარებდე, ავ-კარგი გაიგე და უკეთესი ვაჟკაცები აარჩიე მეთქი! განა ეგ არის ჩემი დავალება? წადი, ამის მეტი ჩემმა თვალებმა აღარ გნახოს!

ჯიხილო — რას წყრები გეთაყვა! მეფის რწმუნებულს ეგრე ექცევიან?

საკაძე — წადი გამშორდი, თუ ქარს არ გინდა გაგატანო!

ჯიხილო — მაშ, აგრე რალა, ეგრე უპატრონოდ მარცხვენ და მერეკები? კარგი, ეგრე იყოს. უზბაში არ ვიყო, თუ ეს ოდესმე დაგივიწყო! (ჯიხილო გულმოსული მიდის)

საკაძე — აბა, პაპუნა, არჩეული ხალხი შეკრიბე და სასახლეში ზაზა ციციშვილს ჩააბარე... ეგრე უთხარი, მალე გიორგიც გეახლებათ თქო... გამარჯვება თქვენი ხელოსნებო!

ყველანი — გაუმარჯოს, ჩვენს თეთრ გიორგის, გაუმარჯოს!

კაპლო — შენი სულისა გიორგიჯან, ერთი ჩალამი მიირთვი, დედის რძესავით შეგერგება! (მიაწოდებს).

საკაძე — (ჩალამს ჩამოართმევს) კარგი, არ გაწყენინებთ. გაგიმარჯოთ ხელოსნებო! ხარაზებს — მუშტა გიკურთხოთ, დურგლებს თარაზო, სირაჯებს კიდევ ნუნუას სიტკბო და მოსავალი.

ყველანი — ჰაჯან-ჯან, ჰაჯან! აზარუუმ! აზბანდარუუუმ!

საკაძე — აბა, სიჩუმე მეგობრებო! მე თქვენ საქმისთვის დაგიბარეთ!

ბაღდო — გვიბრძანე შენი გულისა, შენი ხმალი და ჩვენი კისერი.

საკაძე — არა ძმებო, კისერი, ისევ თქვენს ხათუნებს შეუნახეთ საალერსოთ. ამჟამად თქვენი ქისაა საჭირო... ნებითა ღვთისა და სახელმწიფოს საჭიროების მიხედვით — ქვეყნის გამაგრებას შეუდექით. მძიმე საქმეა მეგობრებო, მეტად მძიმე, მაგრამ უიმედო კი არავის გეგონოთ? ციხეთა აშენება დიდძალ სახსარს თხოულობს, მფრინავ რაზმების ყოლასაც ფული სჭირდება... ახლა ოსმალეთიდან ბერძნები გადმომყავს, ლითონის კარგი ოსტატები, როგორ გგონიათ, მუქთათ იმუშავებენ?

1 ვაჭარი — მერე ჩვენ რა ვქნათ მოურავო, რას გვიბრძანებ, რით შეგვიძლია გემსახუროთ!..

საკაძე — ფულია საჭირო, — კარგად გატენილი ქისები.

2 ვაჭარი — ისე აღარა ვართ მოურავო, სარფი და მოგება აღარ არის....

3 ვაჭარი — ბაზარი სულს ღაფავს...

2 ვაჭარი — საქონელი აღარ საღდება.

3 ვაჭარი — ბარემ პერანგიც გაგვხადე და მოვისვენებთ!

საკაძე — რატომაც არა! თუ საჭიროება მოითხოვს, მაგასაც ჩავიდენთ! განა შენ კი დაუჭერ პერანგს შენს ქვეყანას, თუ კი იგი დაისაჭიროებს მას დახლიდარო?

1 ვაჭარი — ჩვენც გვიჭირს ბატონო, ძველებურად აღარ ვართ... ყველა ყელამდე ვალებში ვართ!..

სააკაძე — ვალებში ხართ? ეგ არ ვიცოდი? საწყალი ხალხი, ... მეცოდებით!.. ასეთ გამართულ ფარდულებში ვაჭრობთ და მაინც ზარალში ხართ! კარგი, ეგრე იყოს... თქვენი ზარალი მე რად მინდა! თუ სარფა არ გაქვთ, სჯობს ვაჭრობას თავი დაანებოთ... ამ დუქნებს ისევ სხვებს გადავცემ... ვინძლო ისინი არ დარჩენ წაგებაში!

1 ვაჭარი — ეგ არა, შენმა მზემ, ეგ არ ჩაიდინო...

2 ვაჭარი — რამეს ვიღონებთ....

3 ვაჭარი — გვითხარი, რამდენს გვახდევინებ!...

კაპლო — ო, სთქვი შენმა მზემ, სულ რამდენია ამჟამად საჭირო!

სააკაძე — ოცი ათასი მარჩილი.

ხმები — ჰუ, ასე ბევრი! ნამეტანია, ვერ ავიტანთ..

ბაღდო — ა, რას ჩამოგიყრიათ ხალხო ყურები? ხომ გაიგონეთ, ოცი ათას მარჩილსა თხოულობს მოურავი! ავიტანთ ამდენსა?!

ხმები — ცოტა დაუკლოს დალოცვილმა...

— ამდენი ფული თითონ ხონთქარსაც არ ექნება...

ბაღდო — რას შვები ხალხო, ვაჭრებს რას უყურებთ... ესენი ეგრე არიან ტირილს დაჩვეულნი, როცა ბევრი აქვთ — მაშინ უფრო მეტს წუწუნებენ... ამქარი კი სხვა არი. ქვეყნის სასარგებლო ხალხი ვართ ძმებო, ნუთუ ვერ შევძლებთ ოცი ათასი მარჩილის შეგროვებას?

ხმები — შევძლებთ...

— ავიტანთ...

სააკაძე — ვინც ქვეყნისათვის მზადაა წვლილის გასაღებად, სამშობლო ქვეყნისთვის გული ეწვის — ქუდები ზევით! მე მინდა ვიცოდე რამდენი ყავს ქვეყანას მეგობარი! (ამქრები და ვაჭრები ქუდს მოიხდიან და მიწაზე დაახეთქებენ).

კაპლო — ასე დაექცეს ოჯახი და საცხოვრებელი ქვეყნის ორგულს და მოღალატეს.

ხმები — მოურავს გაუმარჯოს!

— საქრისტიანოს გაუმარჯოს!

ს�ააკაძე — ეგ მომწონს ძმებო, გამოდის რომ ყველანი ერთგულები ყოფილხართ... დიდი მადლობა ასნაფებო, ქვეყნის სახელით მადლობა მომიხსენებია... ხვალ მეფის კაცი ჩამოივლის და ფულს შეაგროვებს... ეხლა კი მშვიდობით, მეფე მიბრძანებს, სასახლეში უნდა ვეახლო! (შემოდის ელია) რა ჰქენ ელია, ვერ შესძელ იმ მელითონე ბერძნების ჩამოყვანა?!

ელია — როგორ არა ბატონო, ხუთივე მოგიყვანე... აი, იქ გიცდიან, ხიდის გალმა, ზარაფხანასთან.

სააკაძე — კარგი, ახლავე ვინახულებ! (მიდის. ხალხი ჩოჩქოლით და ხმაურით აცილებს მოურავს. სცენაზე რჩებიან: სარიდან, თათუხა, კაპლო და სხვები)

სარიდან — ჩქარა თათუხ, ჩქარა, აქ ღვინო მომიტანე! (ჯიხილო თავს შემოყოფს)

ჯიხილო — წავიდა?

კაპლო — ჰო, წავიდა.

ჯიხილო — რაკი წასულა, ახლა კი შეიძლება რჯულზე ვიქადაგოთ —!

კაპლო — ეგ რა არი უზბაშო, ეგ რა ქაღალდი დამიტოვე? გუნებაში? განა ეს საკადრისია?!

ჯიხილო — რა იყო გეთაყვა, რაზე ხარ ნაწყენი?

კაპლო — აი, დახედე! ეგ რა ხელწერილია! თითქოს, ნახარჯების გასწორებას საიქიოში აპირებდე...

ჯიხილო — მერე და რამ შეგაშინა გენაცვა? ჩემი სიტყვა სიტყვაა, საიქიოში გაგისწორდები.

კაპლო — ვა! საიქიოში ფული რად მინდა მამაჯან! იქ ფულის ტრიალი არც კი არსებობს!

ჯიხილო — მაშ ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო, რომ ამბობენ, ტყუილია?ა, ტყუილია? ქრთამი თუ არსებობს, ფულის ტრიალიც ყოფილა. თათუხ! ე, თათუხ! მოდი ჩემთან, გენაცვა! მოდი, ჩაცივებული ღვინო მომიტანე!

თათუხ — რა იყო უზბაშო? რა გინდა ჩემგან?

ჯიხილო — შენი სიცოცხლე! მთვრალი არ გეგონო... რას მერიდები, გენაცვა... მოდი მითხარი თუ გიყვარვარ?

თათუხ — რად იცი უზბაშო ეგეთი ლაპარაკი, ჭაბუკი ხომ არა ხარ, დაბერდი, თმა გაგთეთრებია!

ჯიხილო — განა გრძნობა თამაშია ჩემო გუგულო? მაღლა თმას რას უყურებ, ერთი დაბლა გულშიაც ჩამოიხედე!

თათუხ — იცი უზბაშო, მაღლა მთაზე, რომ თოვლს დასდებს, შემდეგ დაბლა ბარშიაც აცივდება!

ჯიხილო — ო, ეგ კი კარგად მომიგე გენაცვა... ამის შემდეგ ცუდს აღარაფერს გაკადრებ... (კოცნის ხელზე) ეს იყოს ჩვენი შერიგების!

თათუხ — კარგი ეგრე იყოს...

ჯიხილო — მე გატყობ თათუხ, შენ უგულოთ მეკიდები...

თათუხ — უგულოდ გეკიდები. ეგ საყვედური მეორედ აღარ გამიბედო. ფეხს შემოდგამ თუ არა, სუყველა ფეხზე წამოვდგებით... დიდი მოურავი ხომ დიდია, მაგრამ კრძალვა და მორიდება შენ უფრო გაქვს ჩვენი ამქრისაგან!

ჯიხილო — ამ ჩემს ხიბერეს დაუდგეს თვალები, თორემ ახალგაზრდობაში მე ვჯობდი კიდეც მოურავსა. მაგრამ რა უყოთ, რაც კაცს ბუნებით ემართება, იმას სად გაექცევი შვილოსა... აბა, სირაჯო, ერთი ჩალამი კიდევ ჩამოდგი შენს გახარებას!

კაპლო — კარგი ერთი და, ამდენი სმა სად გაგონილა უზბაშო?

ჯიხილო — ეგ არაფერი გენაცვა! მეფის წყალობა იყოს და არ დავლიო?! ვითომ რატომაც არ უნდა დავლიო? ერთი წუთი ქეიფისა ორმოცდაათ წელიწად ლოცვასა ჯობია! ომში სიკვდილს ღვინოში სულის დალევა მირჩევნია. ჩემმა მზემ კაცმა რომ მართალი თქვას, ფული არც უნდა არსებობდეს... მე რომ მეფე ვიყო, — სახელმწიფოში ყველაფერი საერთო იქნებოდა, გარდა ქალებისა... რა გაცინებთ, განა მარტივი ცხოვრება არ ჯობია?

თათუხ — გაუმარჯოს, ჩვენს მეფეს, გაუმარჯოს!

ჯიხილო — რა გაღრიალებს? ჯერ ხომ არა ვარ თქვენი ბერეკეტებელი. უნდა გაიგო რასაც ვამბობ, როცა მეფე გავხდები, ფულის ტრიალიც მყისვე გაუქმდება... და როცა ფული აღარ იარსებებს, თქვენი პატივისცემა მე მკითხეთ: მაშინ თქვენ ყველას ჩემს ანგარიშზე დაგპატიჟებთ! აბა, ერთი ჩალამი კიდევ შენს გახარებას!

კაპლო — ვა, რად გიყვარს ეგეთი ლოთობა უზბაშო, თავი გაანებე; მე თუ დამიჯერებ, შენი თავი და თავი მტერი ეგ ღვინოა!

ჯიხილო — მერე და გენაცვა, სახარებაში ხომ ეგრე სწერია: გიყვარდეს მტერი შენიო!

კაპლო — ეს გიყვარდესო ეგრე უთქვამთ, თორემ ჩაყლაპე მტერი შენიო, ეგ არსად დაუწერიათ!

ჯიხილო — თათუხ, შენ ძმას უთხარი, კაკაბუას, ხვალ თავი ავად გაიხადოს, ნუ გამოცხადდება მეფის სამსახურში.

კაპლო — რად ამბობ მაგას უზბაშო!

ჯიხილო — რაკი ვამბობ, ალბად საქმეა!

თათუხ — თუ მიზეზს არ იტყვი, არაფერსაც არ გადავცემ და ის არი.

ჯიხილო — არ ეტყვი და ვაი მისი ბრალი, მე რა მენაღვლება.

თათუხ — ვითომ და რატომაო!

ჯიხილო — იმიტომაო რომ, მოკლავენ. შეთქმულება მზადდება მოურავის წინააღმდეგ. ხვალ ჩააძაღლონ უნდა თავადებმა... შადიმან, ფარსადან, ქაიხოსრო, აი მეცა, დიაღ მეც! ყველანი შეთქმულები ვართ, მაშა! ჯიხილო არ ვიყო, თუ პირველი მახვილი მე არ გაუტარო გულის პირში იმ ვერაგის ნაშიერს.

კაპლო — ვა, ვა, რა მრისხანე სიტყვებს ამბობ შენი ჭირიმე. ლამის გული მკერდიდან ამოვარდეს...

ჯიხილო — ღვინო სირაჯო, ღვინო ჩამოდგი, ეს ერთი ბეწო რა არის! ყლუპი ვქნა, ყლაპი აღარ დარჩება, ცოტა ხომ უნდა გავიმაგრო გული გენაცვა! იქნებ შენ არც კი იცი ვინა მყავს დასაჭერი? იმისთანა ვეშაპ კაცთან ულვინოდ რას გახდები! (წამოდგება და ბარბაცს დაიწყებს). ეი, მოურავო, გამოდი რაღა, სად იმალები შვილოსა, უსათუოდ ამაღამ უნდა ჩაგაძაღლო... თავს მეფეს მივართმევ, ფეხებს შადიმანსა! მე ასე მითქვამს და ახლა თქვენ იცით! (ჯიხილო სუფრასთან მიეგდება.)

კაპლო — ვა, ეს რა სთქვა უზბაშმა კაცებოჯან! ხომ გაიგონე სარიდან! თავადები შეთქმულანო მოურავის წინააღმდეგ! რაკი გავიგეთ, საქმეს ეშველება... უნდა ახლავე გავიქცე მოურავთან... იქნება გზაში დავეწიო... (წასვლას აპირებს, ამ დროს შემოდის პაპუნა) მოდი, რაღა, სწორედ რომ ბედზე მომისწარი... გაიქე, გაიქე შენი გუნების გახარებას, გასწი, იქნება გზაში მოურავს დაეწიო.

პაპუნა — რას ამბობ კაპლო, ხომ არაფერი ამბავი გაგიგია?

კაპლო — ვა, ხათაბალა ამბები მზადდება სასახლეში, გიორგის მოკვლას უპირებენ... ამისმა მადლმა, აგერ, უზბაშმა წამოროშა სიმთვრალეში.

პაპუნა — ოჰ, ღმერთო ჩემო, ეს რა საშინელი ამბავი გავიგონე... ო, რა მუხთალი და გაუტანელი ყოფილხარ წუთისოფელო!

კაპლო — ვა, ჩქარა კაცო, რა დროს წუთისოფელია... ბაშხადანუმ, გასწი, გაიქე შენებურად!

ბაბუნა — აჰა, მივდივარ კაპლოჯან, დიდი მადლობა. ... ...

ბით — მაშინ ცხადია, ტახტსაც იოლად დაიმკვიდრებს. დიახ, დაიმკვიდრებს, რადგან შენი ტახტი და ხელმწიფება წარმოუდგენელია, თუ ის დიდგვაროვანთა ნება-სურვილსა და თანხმობას არ ეყრდნობა. ჩვენ ვართ ხელმწიფეო და მხოლოდ ჩვენ მტკიცე ბერკეტი შენი ბრწყინვალე დიდებისა.

ლ უ ა რ ს ა ბ — შენ მართალს ამბობ შადიმან...

შ ა დ ი მ ა ნ — ასე ჩემს სულს ღმერთი გაახარებს, როგორც მე ამას გულახდილად მოგახსენებდე. აბა გაიხსენე დიდი დავითის და ბრძენი თამარის ბრწყინვალე საუკუნე! რა ძლიერებას და აყვავებას მიაღწია მაშინ ჩვენმა ქვეყანამ! ბიზანტიას არა თუ თვალი გაუსწორეთ, პირიქით — პონტოს ნაწილი გამოვსტაცეთ. ირანი მისხლეტილ იქნა და მიგდებული სამხრეთით, ხოლო ბაღდადის ხალიფა, ისე დააშინა ჩვენმა იარაღმა, რომ მთელი საქრისტიანოს მილეთი თამარის სულზე ლოცულობდა. დიაღ, ხელმწიფეო, ასე იჭედებოდა ძველად გონიერ მოქმედებით ქვეყნის ბედ-იღბალი... გურგანის ზღვიდან პონტოს ზღვამდე ქართველის ხმალი ბრძანებლობდა... ყვავოდა ვაჭრობა, იგებოდენ ციხე-სიმაგრენი, ტაძრები, სრასასახლენი... მგოსნები და მუტრიბნი დიდის შთაგონებით ქმნიდნენ საგალობელს მეფეთა სადიდებლად... და იფრქვევოდა უსაწყაოდ ბედნიერება, როგორც ბალზამი კედრის ხიდან გადმომდინარი.

ლ უ ა რ ს ა ბ — ნუ შადიმან, ნუღარ გამახსენებ... ის ბედნიერი დრო იყო ქართველთათვის...

შ ა დ ი მ ა ნ — დიაღ, ხელმწიფეო, ბედნიერი დრო იყო, და ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ტახტსა და დიდგვაროვანთა შორის მტკიცე მეგობრობა და ურთი-ერთ გაგება არსებობდა... ეხლაც შეიძლება რამე იმედი ვიქონიოთ, მაგრამ რათ გვინდა, მოურავის ხელში ქვეყანას რა უნდა უხაროდეს... ის მხოლოდ დროს ეძებს — სამეფო ტახტი წარიტაცოს!

ლ უ ა რ ს ა ბ — ღმერთო ჩემო! კიდევ ტახტი! კიდევ გიორგი მოურავი! აღარ მასვენებენ ამაზე ლაპარაკით...

შ ა დ ი მ ა ნ — ვწუხვარ რომ ეგრე თავს გაბეზრებ მეფეთ-მეფეო, მაგრამ ჩემი სახით თვით ქვეყანა ლაპარაკობს მრავალტანჯული. უნდა შეიცნოთ დიდი საფრთხე... თავადები გარეთ იცდიან... აგერ დასტური, აგერ ჩქარა ამ დასტურს ხელი მოაწერე!

ლ უ ა რ ს ა ბ — ღმერთო ჩემო, ეს რა გამოუვალ ღურღუმში გადამაგდე! აგერ, დარეკეს... წავიდეთ შადიმან, წავიდეთ სალოცავად, იქნება ღმერთმა უკეთეს აზრზე დაგვაყენოს! (მეფე და შადიმან გადის. შემოცვივიან მოშუღლე დიდებულნი ყვირილით და აურზაურით).

ა ნ დ უ ყ ა ფ ა რ — არ შეშინდეთ დიდებულნო, გული გაიმაგრეთ, მოურავიც მოვიდა და ახლა გამოგვიჩნდება ბიჭობა. არ უნდა გაგვისხლტეს ხელიდან, ქვეყნის მოღალატე.

ს ვ ი მ ო ნ — სად გაგვექცევა...

ფ ა რ ს ა დ ა ნ — ჩვენ ხელთ არ არის?..

ს ვ ი მ ო ნ — ქვესკნელს რომ ჩაძვრეს იქიდანაც ამოვიღებთ! (შემოდის ქაიხოსრო)

ყ ვ ე ლ ა ნ ი — (შესძახებენ) ვინც მოსულა გაუმარჯოს! ქაიხოსრო — გაუმარჯოს.

ქ ა ი ხ ო ს რ ო — თქვენც გაგიმარჯოს დიდებულნო! დამიბარეთ ... ჰა, მო

ანდუყაფარ — ყოჩაღ შადიმან! შენ, თავს კი არა — ზანდუკს ატარებ სიბრძნით სავსეს. (შემოდის ლუარსაბ) აგერ, მობრძანდა — კიდეც მეფე! გთხოვთ რომ გვაცნობოთ თქვენი გადაწყვეტილება ხელმწიფეო!

ლუარსაბ — მაშ, ეგრე თავადებო, დაიყენეთ და [illegible] — [illegible] სისხლს ითხოვთ მოურავის?!

ყველანი — უნდა მოკვდეს, უნდა განადგურდეს!

ლუარსაბ — კარგი, ვთქვათ მოკვდეს, მაგრამ გიორგის მაგიერობას ვინღა იზამს, ვინღა იქნება ქვეყნის მამა, ქვეყნის პატრონი!

ანდუყაფარ — როგორ თუ ვინ იქნება! მაშ შენის აზრით, ჩვენ არაფერი აღარა ვართ?

სვიმონ — თუკი ჩვენ შორის ერთ ღირსეულსაც ვერა ხედავ, მაშინ ჩვენ წავალთ და ხელს ავიღებთ სამსახურზე.

ქაიხოსრო — უნდა აირჩიოთ ხელმწიფეო, ან ჩვენ, ან ისა, ამ ორში ერთ-ერთი უნდა დაიღუპოს.

ლუარსაბ — ოხ, ღმერთო, სად არის შენი სამართალი! არა დიდებულნო, არ ვარ ყაბულს.. ისევ იმის დას გავუშვებ მონასტერში, სააკაძეს კი ვერ ვუმუხთლებ, ხელს ვერ გავისვრი იმის სისხლში!

ფარსადან — რას ბრძანებთ მეფეო, იმის დას მონასტერში გაუშვებ და მერე სააკაძე ცოცხალს გაგიშვებს ქვეყანაზე? ეგ არ იფიქროთ ღვთის გულისთვის ჩემო ხელმწიფეო...

ქაიხოსრო — ის უნდა მოკვდეს, თუ არ გინდა მთელი ქვეყანა იმის მზაკვრობას შეეწიროს...

ლუარსაბ — ეგრე სასტიკად ნუ მავალებთ დიდებულნო! გთხოვთ ჩაუფიქრდეთ მაგ თქვენს წუთიერ დაყენებას... იქნება სხვა გზა გამოვნახოთ ღვთისა შეწევნით.

ანდუყაფარ — გასაგებია დიდებულნო... მეფეს ჩვენი სამსახური აღარ ნდომებია და რაკი არ სურს, სხვა გზას დავადგეთ... სხვებიც არიან ბაგრატიონის გვარისანი.

ლუარსაბ — წადით ეძიეთ... აჰა, გვირგვინი ვისაც გენებოთ იმას ჩააბარეთ!

შადიმან — ვაი, სინდისო, სადღა არის შენი სიკეთე! რად არ გრცხვენიათ დიდებულნო, რა დღეში ჩააყენეთ თქვენი ხელმწიფე ბრძანებელი? როგორ გაბედეთ ზეცით ცხებულის წინაშე ეგეთი თავხედობა?! დასტური მეფევ, ჩქარა დასტური მოგვიბოძე... აი ხომ ხედავ, თავადების ყვირილისაგან კედლებიც, როგორ ირყევიან! განა მგლები კეთილ საქმესა ჩაიდენენ?... უკვე აქ არის მოურავიც... აგერ ქალალდი, აბა ჩქარა, ნუ გეშინია, აი, ყალამი გამომართვით... კედლებს იქით საიმედო რაზმები გვიდგას, შენი ერით სიტყვა და ქვეყნის ორგულს სიკვდილი წაიღებს ჯოჯოხეთში! (შადიმან, ლუარსაბს ყალამს გადასცემს)

ლუარსაბ — ო, რა მძიმეა... აღარ ძალმიძს, ხელი მიკანკალებს... (თავადები ყოველი მხრიდან შემოესევიან)

შადიმან — ჩქარა მეფეო, ტახტს დაკარგავ, ჩქარა დასტურზე ხელი მოაწერე!

ფარსადან — აიღე ხელში, სინჯე როგორი იოლია!

ანდუყაფარ — ამდენი ცდის დრო ჩვენ სადა გვაქვს... ჩქარა დასტური გადმოგვეცი.

ქაიხოსრო — აი, მანდ მეფევ, მანდ დაუსვით თქვენი ბეჭედი!

სვიმონ — და მით ზემოსრე მოდალატე შურისმგებელი.

ფარსადან — რის გეშინია? ქართლის დიდებულთ იმოდენა ძალა კი შეგვწევს, რომ დაგიფაროთ გახელებულ მოურავისგან.

ლუარსაბ — ოხ, ღმერთო ჩემო, მითხარ შადიმან, მითხარ, მირჩიე რა ვიღონო?

შადიმან — ხელი მეფეო, უნდა ამ დასტურს ხელი მოაწეროთ!

ლუარსაბ — ოი, შენ ღმერთო! აღსრულდეს რაც სწადს შენს გონებას და ჩემს უბედურ ბედისწერას (ხელს აწერს). პირველად ჩემი ცოლის ძმა დაეცემა... შემდეგ ნუგზარი... შემდეგ თეკლე... სად არის ახლა ჩემი თეკლე!

შადიმან — მორჩა დიდებულნო, დასტური ხელთ გვაქვს, დროა დავიწყოთ მოურავის გაწბილება!

ყველანი — სიკვდილი მტარვალს!

— მუსრი ორგულს!

— სიკვდილი მოღალატეს!

(შემოდის თეკლე)

თეკლე — სად ხარ მეფეო, სადა ხარ ჩემო ბრძანებელო! ეგ რა ხმებია ულმობელი? გიორგის მოკვლა გადასწყვიტეთ? სთქვი რატომ სდუმხარ, რად მიმალავ ჩემო სიცოცხლევ?

ლუარსაბ — რას ამბობ თეკლე, ტყუილი უთქვამთ ვფიცავ სალოცავებს!

თეკლე — არა მეფეო, მართალია, სთქვი რა დაგიშავა მოურავმა? (იჩოქებს) მუხლმოდრეკილი გევედრები, მიზეზი მაინც ნათელი ჰყავ! თუ ღირსი არ ვარ დედოფლობის, ისევ ჩემზე, შენს თეკლეზე გადმოიტანე შენი რისხვა და გულის ჯავრი... გამაგდე მონასტერში, წავალ, სენაკში ჩავიკეტები და შენთვის ვილოცებ გულმხურვალედ, მაგრამ გიორგიზე ხელი აიღე, მე მაპატიე მისი სისხლი, მისი სიცოცხლე!

ლუარსაბ — (ააყენებს) ჩემო თეკლე, ჩემო დედოფალო, ვის გაუხელებიხარ, ვის ჩაუგონებიხარ ეგრე უნდოდ და გულხენშად!

თეკლე — მაშ არ მოკლავ განა? განა არ მოკლავ ჩემო მეფეო, ჩემო გვირგვინო და სიამაყევ — ჩემს იმედს, ჩემს მამისოდენა ნაამაგდარ გიორგის, შენს ერთგულს და ქვეყნისთვის თავდადებულს?!

ლუარსაბ — აღარ შემიძლია... თავბრუ მეხვევა, მეტი ძალღონე აღარ მაქვს... ეგ რა ცეცხლში და ღურღუმში გადამაგდეთ დიდებულნო!

შადიმან — რას შვები ხელმწიფეო, რას სჩადიხარ! დიაცის ცრემლებს ყურს რად უგდებ, გული გაიმაგრე!

ლუარსაბ — ჩქარა, ფირმანი დიდებულნო, მყისვე ფირმანი დამიბრუნეთ!

თეკლე — ეგრე, ეგრე ხელმწიფეო, გააუქმე შენი დასტური, ნუ იდებ ცოდოს, შეიბრალე შენი გიორგი!

ლუარსაბ — ოხ, ღმერთო ჩემო! მითხარი თეკლე, მითხარ, მირჩიე რა ვიღონო... ამათ ხელში ვარ სულით და ხორცით წაწყმედილი!

თ ე კ ლ ე — მეფეო, შენი მწუხარების ჭირიმე... ნუ იდებ ცოდოს, გააუქმე მყისვე დასტური! რა დაუშავებია მოურავს შენთვის, ან ქვეყნთვის დიდებულნო, სიკეთის გარდა რა მიუძღვის ქვეყნის წინაშე. ეს მხოლოდ მსხვერპლს ითხოვთ, მაშინ ეს ჩემი ალალმართალი სისხლი მეიწირეთ... მაგრამ ხელმწიფეო, სისხლი არ მოგცემს სულის მშვიდობასა, ნუ დაიდებ მას, თორემ მისი ერთი წვეთი უბრალოდ დაქცეული არ მოგასვენებს არც ძილში, არც ღვიძილში და მუდამ მთელ სიცოცხლეში გექნება სანანებლად.

დ ი დ ე ბ უ ლ ნ ი — გაუშვი მეფეო, დღესვე მონასტერში განაწესე დედოფალი!

ლ უ ა რ ს ა ბ — კარგი, წაიყვათ მონასტერში... ახლა ხომ მაინც მომასვენებთ!

თ ე კ ლ ე — მაშ, ეგ არის მეფეო შენი ფიცი? ღმერთო სახიერო, შენ აპატიე ჩემს წამწყმედელს ჩემი დაღუპვა. მშვიდობით მეფეო, მშვიდობით სამუდამოთ!.. ეხლა მე ვიცი რაც უშველის უბედურ თეკლეს! (გარბის, უკან გამოეკიდება მეფე).

ლ უ ა რ ს ა ბ — თეკლე, თეკლე! დაიცა, სად გარბიხარ ჩემო სასურველო! (ლუარსაბ გადის)

ქ ა ი ხ ო ს რ ო — ფუი! დალახვროს ზეციერმა! ასეთ მეფესაც მეფე ჰქვია!

შ ა დ ი მ ა ნ — გავყვეთ დიდებულნო, მირონცხებულს ეხლავე უკან გაშოუდგეთ, თორემ ვინ იცის, ის გრძნეული ჯადოქარი მეფეს რა აზრზე დააყენებს! ჩქარა, მომყევით დიდებულნო! (დიდებულები აურზაურით გადიან. ზაზა მარტო რჩება)

ზ ა ზ ა — ო, რა ამბავი აქვთ დიდებულებს! ვაი სირცხვილო, ამას უნდა ემართლებოდეს ქვეყანა საკაძეს? ასე უნდა ჩაუყარონ ნაამაგდარ კაცს წყალში ქვეყნის სამსახური?! ფუჰ! ასეთ ნამუსს და გულმრუდობას! (შემოდის გიორგი საკაძე) ო, ღმერთო ჩემო, სადა მოხველ გიორგი? ამ ჯოჯოხეთში რა ბედისწერამ მოგიყვანა?

ს ა ა კ ა ძ ე — დამიბარეს და მეფეს ვეახელი. განა რა მოხდა, ხომ არაფერი ამბავია?

ზ ა ზ ა — ამბავი კი არა, ჯოჯოხეთია მოურავო. დიდებულნი შეითქვენ, მეფეს დედოფალი განაშორეს, შენი მოკვლის დასტურიც მიიღეს, და ეხლა ეს არი უკვე ზეიმობენ.

ს ა ა კ ა ძ ე — რაო?

ზ ა ზ ა — სად, სად მიდიხარ მეგობარო...

ს ა ა კ ა ძ ე — როგორ თუ სად? ეხლავე მეფეს წარუდგები, ვნახო რას მეტყვის, პირობისა და ფიცის გამტეხი რა პირით შემომხედავს?!

ზ ა ზ ა — (იჭერს) ფეხი არ დასძრა მეგობარო, ფეხის გადადგმა და სიკვდილი ერთი იქნება! (შემოვარდება პაპუნა)

პ ა პ უ ნ ა — ცოცხალი ხარ მოურავო? მადლობა ღმერთს!.. იმდენი ვირბინე ლამის მკერდიდან გული ამოვარდეს... ჩქარა თავს უშველოთ! სასახლეს ალყა აქვს შემორტყმული... ყველა კარებზე გუშაგი დგას...

ს ა ა კ ა ძ ე — ახ, ლუარსაბ, გამოუცდელო და გულუბრყვილო ლუარსაბ!

ზ ა ზ ა — გაიგე გიორგი, მეფე არაფერ შუაშია, დიდებულებმა მუქარით აიძულეს.

სააკაძე — ო, არა ზაზა ჩემო ერთგულო მეგობარო. თუ კაცი თვითონ ვარგისია, მაშინ მუქარა ვერასდროს უკარნახებს ქედმაღალ სიბდისს ყოველ უმზგავსო მოქმედებას. მაგრამ ჩემი უბედობაც ახლა! იმაშია, რომ დღეს ყველგან და ყველაფერში თავადებია... სიტყვაში და ფიცს — გატეხილს ჩემის მაღალის ხელმწიფისაგან დავივიწყებდი, ვფიცავ ზეცას: ვაპატიებდი კიდევ მეტსაც, ასჯერ მეტსაც, მაგრამ როგორ უნდა ვაპატიო ქართლის მეფეს, გვირგვინოსან ცხებულს, ზეცისგან: თავის გვირგვინის, თავის ქვეყნის, ხალხის ღალატი! აი, ეს არის გულს რომ კუმშავს ნუშის ოდენად, იმედს მიქარწყლებს დანდობისა მეგობრის მიმართ და მთელ სხეულში სისხლს მიციებს.

ზაზა — გაიგე გიორგი, ახლა ამის დრო აღარ არის...

პაპუნა — უნდა გავიქცეთ, თავს ვუშველოთ...

სააკაძე — ვის? მე დიდებულებს უნდა შევუშინდე?! კაცმა რომ თქვას რა დანაშაული მიმიძღვის ასეთი?! რად უნდა ვიდევნებოდე ცოფიან ძაღლივით სამშობლო ქვეყნიდან? ნუ თუ იმისთვის, რომ მართლაც ძაღლივით ერთგული ვიყავი მისი დიდებისა?!. რომ კაცმა არა, და ქვეყანამაც თვალი დახუჭოს — ღმერთი ხომ ხედავს ჩემს ამაგს და გულმოდგინებას! (შემოდის რამდენიმე რაზმელი დროშით).

ზაზა — აგერ გიორგი, ჩემი რაზმიც! მარჯვე ბიჭებია... გულში ტირიან, მაგრამ სახით ვერ ამჟღავნებენ თავიანთ ბოღმა-გულისტკივილს.

სააკაძე — მოლაშქრენო, ჩემო ერთგულო მეგობრებო იარაღში! გახსოვთ თქვენ, მე თქვენთან ერთად ბევრჯერ მივლია ქედ-უდრეკლად ღირსების გზაზე... მაგრამ ეხლა აღარ ღირს წარსულის მოგონება. დადგა დრო, როდესაც ერთი თქვენგანი უნდა გამოაკლდეს იმ მეგობრობას, რომელიც შექმნა სამშობლო ქვეყნის სიყვარულმა. მე შემეძლო, დავრჩენილიყავ კვლავ თქვენს შორის, შური მეძია დუშმანებზე, მაგრამ თავს ვანებებ, რადგან ამას მოყვება სასტიკი ბრძოლების გაგრძელება, მე კი არ მინდა ისევ ვფლითო უმოწყალოდ საქართველოს ისედაც მრავალგზით გაგლეჯილი გული... მივდივარ, იყავით ბედნიერი, ისარგებლეთ იმ მცირე მოსვენებით, რაც ჩემმა ხმალმა თქვენს ხმლებთან ერთად მოიპოვა... ნუ იცრემლებით. მე ისევ მალე აქ ვიქნები... სული ჩემი, როგორც ერთგული თავის მშობლიური მიწა-წყლისა აქ იტრიალებს, როგორც ფარვანა კანდელის შუქით მონუსხული... (ისმის ზარების რეკა) ეხლა კი, ნობათი რაკი მოუხშირეს, გალმა სიონმაც ხმა მისცა გამოღმა სასახლეს, მე მსურს განშორების ჟამს ყველა თქვენგანი ჩავიკრა გულში, მაგრამ რაკი ვეშურვი განშორებას, ნება შომეცით ვეამბორო მხოლოდ ამ დროშას, რომელიც ყველას სიყვარულით გვაერთიანებს. (ხელს მოხვევს მედროშეს, შემდეგ ეამბორება დროშას) მშვიდობით სამშობლოვ! მშვიდობით შვილივით ნაამაგდარო ქვეყანავ! ჩქარა ზაზა, ჩქარა, ცხენები გამიჩინე!

ზაზა — მზად შყავს ცხენები. ორი ნამდვილი ქარბუქი მყავს შენთვის შეკაზმული.

პაპუნა — ჩქარა გიორგი, კარიბჭე უკვე გადმოლახეს!.. (გიორგი და პაპუნა ერთად გაიქცევა. ზაზა თავისი რაზმით მეორე მხარეს მიიმალება,

ხმაური, ყვირილი, ზარების რეკა... შემოცვივიან თავადები გარდა შადიმანისა)

ანდუყაფარ — აი, ღალატი მეგობრებო! გაგვცა ვიღაცა წაყმეცილმა... მოურავი უტიფრად გააპარეს! (შემოდის ზაზა)

ზაზა — გაიქცა, აქეთ გაიქცა მოურავი!

ანდუყაფ. — ხმა, კრინტი! მე ვიცი შენ რაც გეკადრება, მაგრამ ეს შემდეგ, ახლა ამისთვის დრო არ არის. (შემოდის ჯიხილო)

ჯიხილო — მცხეთისკენ გეთაყვა, იქით მივეშუროთ, იქით გაიქცა მოურავი!

ანდუყაფ. — აბა უზბაშო, იშიშვლე ხმალი და გამოუდგეთ.

ჯიხილო — რას ამბობ გეთაყვა, სად ხმალია შიშველი, იქ ვერაფერს გიშველი.

ანდუყაფ. — ჩქარა გამომყე შე ოხრახო! (წინ გაიგდებს და მიიმალებიან... შემოდის შადიმან)

შადიმან — ვერა ვართ მარჯვეთ, ქაიხოსრო! მოურავმა ახლაც მოგვაღორა... გაიქცა წყეული მცხეთისაკენ...

ქაიხოსრო — სად ჯანდაბაში წაგვივა... მიწიდან ამოვიღებთ! აბა ფარსადან მომყე ჩქარა, სოფლებიდან ხალხი გამოვრეკოთ, გზა შეუკრათ, რომ შემდეგ მივცეთ ცეცხლს და მახვილს მთელი მისი საბადებელი! (ფარსადან და რამდენიმე შეიარაღებული უკან გამოუდგება ქაიხოსროს. შემოდის სარიდან)

სარიდან — მე რას მიბრძანებ შადიმან! როგორ მოვიქცე მომავალში?!

შადიმან — შეკაზმე ცხენი და ჩქარა, მოურავს გამოუდექ. მისი გზა ახლა ირანისკენ მიიმართება. სადაც წავიდეს თან გაყევი. მაგრამ ფრთხილად, ეჭვი არაფერში აიღოს. დანარჩენს, როცა საჭირო იქნება, შემოგითვლი. აბა, გასწი და გამოუდექ! (სარიდან მიდის. შადიმან მარტო) წავიდა მოურავი... მაგრამ როდემდე გამექცევი ჩემო დუშმანო! კიდევ შევხვდებით ჩვენ ერთმანეთს ცხოვრების გზაზე!

ფარდა

(გაგრძელება იქნება).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ივანე ნოვიკოვი

პუშკინი და რაევსკის ოჯახი

(რომანიდან „პუშკინი სამხრეთში“)

ნაწყვეტი პირველი

ყუბანში

კავკასიის მთების მიდამოებში ორი თვის ყოფნის შემდეგ პუშკინი რაევსკის ოჯახთან ერთად გზას გაუდგა. წინ იყო შავი ზღვა და ყირიმი.

ყუბანზე მგზავრობა არა ჰგავდა სამხრეთის მშვიდობიან ველებზე წყნარსა და უხიფათო გადავლას. კავკასიაში კვლავ გრძელდებოდა მთიელებთან შეტაკება და დაძაბული სამხედრო პირობები, რაც ჩვეული და ყოფაცხოვრებაში შესული მოვლენა იყო. ამ გამგზავრების სამზადისი ნამდვილ სალაშქრო შეკრებას გვაგონებდა. სამოცი კაზაკისაგან შემდგარ რაზმს უნდა დაეცვა გენერალი და მისი თანამგზავრები. კაზაკები ტანმორჩილ, მაგრამ ღონიერ, შესანიშნავ ცხენებზე ისხდნენ. გარდა ამისა, მათ უკან დინჯად და გრუხუნით მიდიოდა დატენილი და პატრუქანთებული პატარა ზარბაზანი. ყველაფერი მზად იყო იმისათვის, რომ საჭიროების დროს უცბად ბრძოლა გაემართათ. პუშკინს ოდნავ სწყინდა კიდეც, რომ გზაში არავითარი შეტაკება არა ხდებოდა.

დროდადრო შორს, განთიადის რიჟრაჟის ფონზე, ჩნდებოდა ცალკეული მხედრის ჩვეული მოხაზულობა ფართოდ გაწეული ნაბდიანი მხრებით, მოკლე აღვირისაგან ყელმოღერებული ცხენი, ირიბად გადაზნექილი წვეტიანი ქუდი, უკან ნიავქარზე წაწოლილი კუდი და ყველაფერი ეს მთლიანობაში ჩამოსხმული... აიღე ფანქარი და დახატე! თვალწინ წარმომდგარი ეს სანახაობა ერთი წამით ასე ჩერდება, მერე შემოტრიალდება წარმოდგენითი ღერძის ირგვლივ და ძლივს შესამჩნევ შავ წერტილად გადაიქცევა, შემდეგ პატარა მარცვლის სახეს მიიღებს და ეს პატარა მარცვალი კაბადონის იქით გადაგორდება.

უეცრად გაისმის და მთებს მქუხარედ გადაირბენს ცალკეული გასროლა. ეს რომელიმე კაზაკმა დასცალა იმდენად თოფი არა, რამდენადაც მოლოდინისაგან დაგროვილი თავისი მწუხარება. თუმცა ნაწილობრივ ეს გართობაც იყო, ამიტომ რაევსკიმ მაშინვე განკარგულება გასცა, სროლა აღარ განმეორებულიყო.

და მაინც ღამით, ჩარდახებში, როდესაც კოცონს ანთებდნენ და თოფებს შეაყენებდნენ, როდესაც ჩალისაგან ადენილ სუნს უერთდებოდა ჯარისკაცის ულუფის ტაფაზე შემწვარი ქონისა და წეკოს სუნი, როდესაც მრავალი ადამიანის ხმები ერთმანეთში ირევა, — აი მაშინ დგებოდა ის განსაკუთრებული შინაგანი განწყობილება, როდესაც მოლოდინი, სიფხიზლე, მზადყოფნა და დაძაბულება ურთიერთში ინასკვება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუშკინი ყველა ამ შთაბეჭდილებას იღებდა და ითვისებდა მთელი ამ სიახლით და სიმწვავით, როგორც მას სჩვეოდა.

პუშკინი ეტლით აღარ მიდიოდა, ის ცხენზე იჯდა. მისი პატარა და ოსტატად მოყვანილი ტანით გოგონებს შეეძლოთ გული გაერთოთ. გაჯანსაღების გრძნობა იპყრობდა პუშკინს. მას ავადმყოფობა შეუჩნდა და ის იძინებდა და იღვიძებდა ერთად-ერთი სასიხარულო ფიქრით: „ჯანმრთელად ვარ!"

პუშკინი რაევსკებს არ შორდებოდა, ალექსანდრე ახლა მათაც შორიდან უცქეროდა. ის უყურებდა მარიას და იგონებდა მის უფროს დებს. მარია ისეთი ლამაზი არ იყო, როგორიც იყვნენ მისი უფროსი დები. ვერასოდეს ვერ უწოდებდი მას ლამაზს, მაგრამ მგზავრობის თბილი და ალერსიანი ნიავქარის ქროლვაში ის უფრო მეტი იყო, ვიდრე კარგი,—მომხიბვლელი იყო ის.

მარია იმ ასაკში იყო, როდესაც გოგონები, სწორედ ისევე, როგორც ვაჟები, ხმას იცვლიან. ცოტა უფრო ადრე იცვლიან ისინი თავიანთ ქცევასა და გარეგნობას. მათი სახის ნაკვთები, მათი ხასიათი კანონზომიერად ვითარდებიან. ყოველდღიური ცოცხალი ურთიერთობის დროს ამის შენიშვნა გართობასა და სიმხიარულეს იწვევდა. მარია და პუშკინი ერთმანეთს ხანდახან ემდურებოდნენ კიდეც, ოღონდ თითქოს მხოლოდ იმისთვის, რომ მეორე წამში სიცილითა და ხუმრობით შერიგებულიყვნენ. ხანდახან სერიოზულადაც საუბრობდნენ. ეს შეუწყვეტელი მოძრაობა, სიცოცხლისა და ხასიათის შინაგანი ჩამოყალიბება სილამაზის მაგიერობას სწევდა. იყო ისეთი წუთებიც, როდესაც ეს გოგონა, მარია რაევსკაია, ნამდვილად მშვენიერი იყო, იმ შინაგანი განსაკუთრებული სილამაზით, რომელიც შიგნიდან ანათებს, გარდაჰქმნის სახეს და მის ჩვეულ ნაკვთებს უჩვეულოდ ნათელ და მომჯადოებლად ცოცხალ გამოხატულებას აძლევს. მისი ღრმა და შავი თვალები ისეთი პირდაპირობით და პატიოსნებით შესცქეროდნენ პუშკინს, რომ არ შეიძლებოდა ამით მხოლოდ უბრალო კმაყოფილების მიღება,—ეს თვალები ლაპარაკობდნენ იმ დიდსა და მნიშვნელოვან რამეზე, რაც ხანდახან ამ გოგონას მწუხარებითა და ტანჯვით სავსე ბედს უქადდა. მაგრამ მარია, რასაკვირველია, თავის სასიქადულო თანამგზავრს ყველაფერს არ ეუბნებოდა: თოთხმეტი წლის ასაკში არის ასეთი სერიოზული საიდუმლოება... საშინელებაა იმაზე ფიქრიც კი, რომ ეს საიდუმლოება შეიძლება ვინმეს გაუმჟღავნოს, ან ვინმე ჩასწვდეს მას.

პუშკინი ხვდებოდა ამას: ეს მიიყვანდა მას რომელიმე გაუმართლებელ გართულებამდე. იგი ახლა დიდად აფასებდა ამ ნათელსა და უბრალო დამოკიდებულებას. ასევე უბრალოდ და სუბუქად გრძნობდა თავს პუშკინი რაევსკების მამასთან, მიუხედავად იმისა, რომ მათ წლებში ვეება განსხვავება იყო. ძველ მებრძოლში, კორპუსის მეთაურში ამ მშვიდობიანობის წლებში თითქოს ისვენებდა სიმხნე და სიმამაცე. პირველი შთაბეჭდილებით მასში არეული იყო ბევრი ერთმანეთის საწინააღმდეგო და თავისებურად გარკვეული თვისებები, რაც სათითაოდაც კი საკმარისი იქნებოდა ცალკეული ადამიანისათვის დასრულებულ ხასიათად.

მართალია, იგი ხანდახან დამცინავი და ღვარძლიანი იყო, მაგრამ ის აგრეთვე კეთილიც იყო. მას ჰქონდა სიკეთით აღსავსე ძლიერი ადამიანის დიდი და უბრალო გული, რომელიც გაიკვირვებდა თუ თავის თავზე ასეთ მსჯელობას გაიგებდა. ერთსაც და მეორესაც მასში ერთი და იგივე ძირი ჰქონდა: ადამიანისადმი სამართლიანი და გულმართალი დამოკიდებულების გრძნობა. რაც უფრო რომელიშე წარჩინებული კაცი მდგომარეობით დიდი, გოროზი და მკვე-

ხარა იყო, მით უფრო მკაცრი იყო მასთან რაევსკი და მით უფრო გულთბილად უცქეროდა და პატივსა სცემდა იქ, სადაც ადამიანის დანახვა-ც იყო მიღებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის პირველყოვლისა მებრძოლად მოსჩანდა, მაგრამ იმავე დროს მეოჯახედაც: მტკიცე, მომთხოვნ და, ძველებური წესის მიხედვით, დესპოტ ადამიანადაც. მისი დესპოტიზმი სიყვარულიდან გამომდინარეობდა. ამიტომაც იყო, რომ მამის ეს მბრძანებლობა შვილებს არ უშლიდა ჰყვარებოდათ იგი. მასაც უყვარდა ისინი დიდის სინაზით. ისე, როგორც მუხა, რომელიც ურყევად ჩაკირულია თავის ქერქის მტკიცე ჯავშანში, დაღარულია წლების ღარებით, არაერთხელ გაკაწრულა მეხის დაცემისაგან, ფართოდ შლის თავის ძლიერ ტოტებს, რომლებიც სათითაოდ ცალკეულ ხეებად ვარგანან, და იმავე დროს თრთის ნორჩი, სახოვანი ფოთლების გამო, რომ შეამჭიდროვოს და შეინარჩუნოს ამ ნაზი ფოთლების ერთიანობა და მთლიანობა. ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე რაევსკი-მამა ასეთი მოსჩანდა შორიდან წლების მანძილზე და იმავე დროს არასწორად იყო იგი გაგებული თავისი თანამედროვეების მიერ. თვითეული თავისებურად მარტავდა მას: დესპოტი, უბრალო კაცი, უცნაური ადამიანი, მეოჯახე, სოფლის მეურნე.

პუშკინი უანალიზოდ გრძნობდა მთელ ამ სირთულეს, რომელიც გარეგნულად დიდ უბრალოებაში ისახებოდა. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც მისგან შეუმჩნეველად გამომდინარეობდა, მაგრამ საფუძვლიანად რჩებოდა გულში, იყო ისტორიის ცოცხალი სუნთქვა. მეთორმეტე წელი და ლეგენდარული გმირი, რომელსაც ჟუკოვსკიმ უმღერა:

„რაევსკის, ამ ჩვენ დღეთა დიდებას,
ქებათა ქება! მებრძოლ რიგებთან
პირველი მიდის ხმალთა პირისპირ
მამაც და მედგარ შვილებთან ერთად...“

და აი იგი გზის პირდაპირ: ცოცხალი და უბრალო ადამიანი, რომლისაგანაც მოჰქრის ადამიანური სითბო, რომლის მხრებიც ოდნავაც არ გაქვავებულან დიდების ეპოლეტების ქვეშ...

პოტიომკინი, რომლის მიმართაც რაევსკი გულთბილად იყო განწყობილი, გენერლის ბიძა იყო. ის თავის დროზე სწერდა მას რჩევა-დარიგებას. ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძემ როგორღაც გაიხსენა პირველი სტრიქონები: „პირველ ყოვლისა ეცადე გამოსცადო, გაიგო მხდალი ხომ არ ხარ; თუ არა ხარ მხდალი, მაშინ თანდათანობით უფრო მეტად განამტკიცე თანდაყოლილი სიმამაცე მტერთან ხშირი შეხვედრით“. ზოგჯერ პუშკინი ამ სიტყვებს თავის თავზედაც იღებდა. ომი და მტერი არა სჩანდა, მაგრამ იგი არ იყო მშიშარა და ისიც ანმტკიცებდა თანდაყოლილ სიმამაცეს მტერთან „დუელებში“ საკმაოდ ხშირი შეხვედრით. ცოტა ხნის წინად მას სამხედრო სამსახურიც იზიდავდა, მაგრამ ნამდვილ გატაცებას არ შეუპყრია. ომი რომ ყოფილიყო, მაშინ სხვა საქმე იქნებოდა.

ის ახლა ხანდახან მგზავრთა მთლიან ქარავანს ჩამორჩებოდა ხოლმე და ცხენს დეზებს წაჰკრავდა, გააგულიანებდა აღვირითაც, შეძახებითაც. გააქროლებდა ხოლმე ძალიან შორს და ძალიან დიდი ხნითაც, რითაც საკუთარ თავს ხიფათში აგდებდა. იმ წუთებში, რაც უნდა მარდათ გაქროლებულიყო მისი გულადი საბრძოლო ცხენი, მხედრის ოცნება მაინც უფრო შორს მიჰქროდა, სწორედ ისევე, როგორც სახლიდან გაპარული ყმაწვილის ნიავქარივით

უზრუნველი ფიქრები. პუშკინის ძიძის მიერ ბოვასა და ერუსლანზე ნაამბობი ზღაპრებივით უცნაური თავგადასავლით სავსე იყო ეს მისი განავარდება.

რაზმს წინ გაუსწრებდა და მერე ასვენებდა თავის ცხენს. შესვენების შემდეგ კვლავ გაემართებოდა წინ, თავზე წაადგებოდა ცხვრის ფარებს, გარს შემოუვლიდა კუზიან, გარეგნობით ზანტსა და დაუღალავ აქლემებს და დინჯად, ამაყად, ისე, როგორც მებრძოლი, რომელმაც დიდმნიშვნელოვანი ამოცანა შეასრულა, ბრუნდებოდა უკან თავისიანების შესახვედრად.

გოგონების დახურულ ეტლს რომ გაუსწორდებოდა, იღებდა სერიოზულსა და დინჯ სახეს და საქმიანად დაიხრებოდა ღია ფანჯრისკენ:

— მაქვს პატივი მოგახსენოთ: მტრისაგან გზა გაწმენდილია!

რაევსკი-მამას არ მოსწონდა პუშკინის ეს განმარტოებული წინ გასწრება, მაგრამ არაფრით არ გამოხატავდა თავის უკმაყოფილებას. გოგონები კი პუშკინით აღტაცებულნი იყვნენ. თვით სერიოზული მარიაც არა ფიქრობდა ამის აკრძალვას.

გენერალი, რომელმაც კარგად დაისვენა და თავიც საკმაოდ მოირჩინა, კმაყოფილი იყო მგზავრობის მიმდინარეობით. ეს მგზავრობა, განსაკუთრებით მისი ნახევრად სამხედრო გარემოება, აახალგაზრდავებდა მას, წელს წელზე სიამოვნებით იკლებდა თავის ასაკიდან. მასში ღვიძებდა ძველი მხედარი. ერთხელ, საღამო ხანს, ერთი კაზაკი, რომლის ცხენიც დიდი ხანია მოსწონდა, თავისთან მიიხმო.

— აბა!

კაზაკი სიტყვის უთქმელად მიხვდა გენერლის სურვილს და როგორც ხიდან ვაშლი, ისე რბილად ჩასრიალდა ძირს.

— მიბრძანებთ, თქვენი შავრა შევკაზმო, თქვენო მაღალიმატებულებავ? — ჰკითხა მან ისე, თითქოს ამით თავის თავს ამოწმებსო.

რაევსკიმ განიმეორა ძლივს შესამჩნევი თითის მოძრაობა კაზაკის ქურანა ცხენის მიმართ.

— ეს კაზაკების ცხენებს შორის საუკეთესოა,—წარმოსთქვა კაზაკმა, ძალზე გახარებულმა იმით, რომ თავიდანვე სწორად გაიგო გენერლის აზრი. თავისი ცხენით ის ამაყობდა. — ინებებთ შებრძანებას, თქვენო მაღალიმატებულებავ?

— ჩემთან ერთად წამოხვალ, — უპასუხა რაევსკიმ და უზანგში ფეხი გაჰყო.

კაზაკმა თვალით ანიშნა იქვე მდგომ მეგობარ კაზაკს და ვიდრე თვითონ მოწიწებით და სიყვარულით ეხმარებოდა გენერალს ცხენზე შეჯდომას, მეგობარ კაზაკს უკვე თავისი ცხენი მოჰყავდა მთხოვნელთან. ეტყობოდა, ეს ცხენიც გენერლის მხლებლის ღირსეული იყო. ყველაფერი ეს თითქმის თვალის დახამხამებაზე მოხდა. სულ ერთი წუთის წინათ მეგობარ კაზაკს მიეჩქარებოდა, ახლა კი ის თავისთვის ახალ ცხენს კაზმავდა სამარქაფო ცხენებიდან, რომელთა რიცხვიც ათზე ნაკლები არ იყო.

რაევსკი ცხენის მოსინჯვით დარბაისლურად გავიდა თავისი პატარა რაზმის წინ. ასე მიდიოდა ის ცოტა ხანს. თანდათან აგულიანებდა ცხენს, მაგრამ თავის ნებაზე მაინც არ უშვებდა, აღვირი მოკლედ ეჭირა. გზა მტვრიანი და სწორი იყო. დაბლა დასული მზე სითბოს აფრქვევდა ზაფხულის განმავლობაში მისი მცხუნვარებით მოღლილ მწვანე ბალახზე. დასავლეთით თბილად სუნთქავდნენ ოდნავ მოვარდისფერო ღრუბლები. მათ პირისპირ მოცურავდა მსუბუქი ნიავქარი. და უცბათ რაევსკიმ, მიაგნო რა თავის ახალგაზრდულ წუთს, ცხენს

დეზები ჰკრა და ქარივით გააქროლა წინ. ქალები უნებურად შეკრთნენ. რომელიღაც კაზაკმა თავისი აღტაცება მაგარი სიტყვითაც კი აღნიშნა, მაგრამ ადამ, მან თავისი წრფელი გული გამოჰხატა. პუშკინმა არც გაკვირვება და არც შეიგინა. ის მხოლოდ გაფითრდა და ტუჩი მოიკვნიტა, რომ თავი შეეკავებინა და უკან არ გაჰკიდებოდა მხლებელს, რომელიც წამის რომელიღაც ნაწილით მაინც იგვიანებდა. რამდენიმე წამის შემდეგ მის ანთებულ სახეს კვლავ სისხლი მოაწვა. ცხენი ნელი ნაბიჯით ეტლთან მიიყვანა და, მარიას აღფრთოვანებული მზერა რომ დაიჭირა, უთხრა:

— მარია, მიყვარს მამა თქვენი!

მარიას საპასუხოდ არაფერი უთქვამს, მაგრამ ტუჩები-კი აუთრთოლდნენ, რაევსკი არა ფიქრობდა არც იმ ეფექტზე, რომელიც მას შეეძლო მოეხდინა, არც იმაზე, საკმაოდ მორჩენილი იყო თუ არა ის მკლავში მიღებული ჭრილობის შემდეგ, ის მხოლოდ ისმენდა, თუ როგორი ძლიერებით იზრდებოდა მასში მხურვალე ახალგაზრდული სურვილი და მთლიანად ეძლეოდა მას. მაგრამ როდესაც მან მთელი თავისი ძალღონით გაჰქროლა წინ, მას უკვე ყოველგვარი ფიქრის გარეშე, ნამდვილი ახალგაზრდობა დაუბრუნდა. მას ახლა ესმოდა პუშკინი, ამ სურვილთა სწრაფვაში იმჟამად მისი თანასწორი იყო. და როდესაც თავისი თავიც და ცხენიც მოძრაობით აღავსო, ის დაბრუნდა უკან უკვე სწორი, გამოზომილი ნაბიჯით. ქუდიდან გამოვარდნილი თმა საფეთქელთან ოდნავ ულიტინებდა. მან დაივიწყა თავისი ხარისხი და წლები, დაივიწყა ისიც, რომ ხანდახან ასეთ რამეზე პუშკინის მიმართაც ბუზღუნებდა ხოლმე. ახლა გრძნობდა, რომ მას სიცელქე და ნებივრობა არ გამოუჩენია, არამედ სრულიად უბრალოდ და თავისთავად დაიბადა მასში ეს მოქმედება.

პუშკინი გოგონების ეტლის ახლოს მიდიოდა. გენერალმა თავისი ცხენი პირდაპირ მისკენ წარმართა.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ,—სთქვა მან ღიმილის შეკავებით, — გზა გაწმენდილია მტრისაგან!

როდესაც პუშკინმა გაიგონა თავის მიერ მოგონილი პატაკი, თვალები გაუბრწყინდა, ვერაფერის თქმა ვერ მოახერხა. სამაგიეროდ მარია, რომელიც ეტლში ფანჯარასთან იჯდა, დადარაჯებული ჩიტივით ტანში გასწორდა. მისი ნახევრად ბავშვური გული როგორღაც უცნაურად, უჩვეულოდ აძგერდა. ის სტკბებოდა მამით და ამის გამო განსაკუთრებით სასიქადულო მოეჩვენა პუშკინიც. შეიძლება უფრო მეტიც, ვიდრე სასიქადულო. მაგრამ მას არა სჭირდებოდა თვით მუნჯი სიტყვებიც კი. მისი ხელები მაღლა აიმართნენ, მაჯები ერთი მეორეზე დაეწყვნენ და ასე ოდნავი დაყოვნების შემდეგ კვლავ მუხლებზე დაეცნენ.

*
* *

გზაში ხვდებოდათ დაცარიელებული აულები, მიტოვებული ცალკეული ქოხები. კაზაკები, რომლებიც აქაურ ბრძოლებში მონაწილეობას იღებდნენ, უამბობდნენ ამ სოფლების მთელ ყოფა-ცხოვრებას, სადაც ნახევარ დღეს თავდასხმის მოლოდინში ცხენზე ამხედრებულნი ატარებენ, რომ მუდმივად მზად ყოფილიყვნენ საბრძოლველად, თავის დასაცავად, თავდასასხმელად; ისმენდნენ ლეგენდებს ოფიცრების შესახებ, რომლებიც ქამანდით დაუჭერიათ და

შორეულ მთებში წაუყვანიათ გამოსყიდვის მოლოდინში. ყველაფერი ეს დღევანდელი დღით სუნთქავდა და ცოცხალ ისტორიას წარმოადგენდა. ხედავდნენ ცალკეულ აკლდამებს, კურგანებს, — ყოველივე ეს ცხადჰყოფდა იმას, თუ რა ბრძოლები იმართებოდა აქ ძველადგანვე.

რაევსკი და პუშკინი, როგორც ორი სახელმწიფო კაცი — ერთი ჭაღარა და მეორე უულვაშო ჭაბუკი — ხშირად საუბრობდნენ რუსეთის ამოცანებზე აღმოსავლეთში, სპარსეთთან შესაძლებელ უხიფათო ვაჭრობაზე და სხვა მნიშვნელოვან საკითხზე.

ჯერ კიდევ „ცხელ წყლებზე“ პუშკინი ნიკოლოზ რაევსკისთან ერთად ესტუმრა ინგლისის თეირანული მისიის მოხელეს ვილოკს. პირველი მისალმება, რაც სტუმრებმა ჯერ კიდევ გზაში გაიზეპირეს, ინგლისურად იქნა წარმოთქმული. ასეთივე მისალმებით უპასუხა ვილოკმა, უპასუხა დამტვრეული რუსულით და სიმპატიური ღიმილით. ეს იყო დიდი პატივისცემა იმ ერის წარმომადგენლის მხრივ, რომელიც არც ერთი ერის ენას არა სცნობდა, გარდა საკუთარისა. შეიძლება მას არ უნდოდა გაეშვა შემთხვევა დამტკბარიყო ამ ახალი ბარბაროსული ენის ეგზოტიკით. მაშინვე სამივე მოსაუბრე ერთმანეთისთვის გასაგები ღიმილით გადავიდნენ ფრანგულ ენაზე, რადგან თავისუფალი ლაპარაკის შემდგომი შესაძლებლობა მთლიანად ამოწურული იყო. პუშკინი შემდეგ სიცილით ამბობდა, რომ მას კიდევ ჰქონდა მარაგად შემონახული სიტყვები: შეეძლო კარგად ეღმუვლა ინგლისურად, გაურკვევლად რაიმე დაეყეფა, „როგორც ამას შესანიშნავად ასრულებს მისს მიატენი“, — პუშკინი არ უშვებდა შემთხვევას ეხუმრა რაევსკის გოგონების აღმზრდელზე.

საუბარი საინტერესო იყო. ინგლისელის თავშეკავებულობის მიუხედავად, ახალგაზრდა რუსი სტუმრები მიხვდნენ, თუ რა უაღრესად დიდი ინტერესები აქვს ინგლისს აღმოსავლეთში. უნებურად საჭირო იყო პასუხი: — ჩვენ ხომ პირდაპირი მეზობლები ვართ, მაშ რატომ არის, რომ ჩვენ ასე მცირე მიღწევა გვაქვს. ინგლისის დიპლომატიური მოხელის ფრთხილ და ცნობისმოყვარე შეკითხვებზე პუშკინი და რაევსკი სწორედ ისე უპასუხებდნენ, როგორც დიპლომატები — დარბაისლური, არაფრისმთქმელი თავაზიანობით. და, ბოლოს, ინგლისელმა, როგორ სჩანდა, მოლოდინში მოტყუებულმა, ფართოდ გაალო თავისი ჯანიერი ყბები, გამოაჩინა თავისი ყვითელი კბილები და საკმაოდ აშკარად გაიზმორა. სტუმრებმა შეხედეს ამ სიმპატიურ სანახაობას, ერთმანეთს გადახედეს და საჩქაროდ დაემშვიდობნენ. პუშკინი გზაში მთელი სხეულით ირხეოდა, ისე ხარხარებდა.

როგორ გააკვირვებდა და გაანრისხებდა პუშკინს იმის გაგება, რომ რამდენიმე დღის შემდეგ ადგილობრივმა მოხელემ, მაიორმა, ამ მხარის მმართველს ამბავი მიუტანა ამ სტუმრობის შესახებ: როგორც ეტყობოდა, ხელისუფლების წარმომადგენელნი შეშფოთებულნი იყვნენ იმ გარემოებით, რომ ამ ახალგაზრდებს, განსაკუთრებით პუშკინს, არ გაემჟღავნებინათ ინგლისელისთვის ქვეყნის ინტერესები. მაგრამ პუშკინმა ეს ვერასოდეს ვერ გაიგო.

რაევსკი და პუშკინი საუბრის დროს რუსეთისა და აღმოსავლეთის საკითხს ხშირად ეხებოდნენ. თვენახევრის შემდეგ პუშკინი კიშინიოვიდან სწერდა თავის ძმას ლევს: „იქნებ აგვისრულდეს ნაპოლეონის ქიმერიული გეგმა ინდოეთის დაპყრობის საქმეში“.

ხდებოდა ისეც, რომ შუა საუბარში რაევსკი ჩერდებოდა და განცვიფრებით აღნიშნავდა, რომ ეს ახალგაზრდა ვაჟი სამშობლოს პირველხარისხოვან ინ-

ტერესებზე არა მარტო დარბაისლურად საუბრობდა, არამედ ამ ინტერესებში ღრმად დაინტერესებული იყო და ჭკვიანურ და ხშირად [illegible] აზრებსაც გამოსთქვამდა. გენერალი კარგად იცნობდა ოდას „თავისუფლება“-ს, იცნობდა პუშკინის უკმეხ ეპიგრამებსაც. თვითონ შორს იყო ასეთი ლიბერალური სახის აზრებთან, მაგრამ ის დიდად აფასებდა პუშკინის ამ თამამ გულღიაობას და იმას, რომ ის თავის თავს არ უარჰყოფდა. ახლა კი სიამოვნებას განიცდიდა, რომ ამ თავისუფლების მოყვარულ ყმაწვილში გულწრფელ და მხურვალე პატრიოტს ხედავდა. ხდებოდა ისეც, რომ პუშკინი მებრძოლური გატაცებით ძალიან შორსაც მიდიოდა, მაგრამ მალე დინჯ, წონასწორობაში ვარდებოდა. ბრძოლით დატკბობასთან ერთად, როგორც ამას ოცნებაში წარმოიდგენდა ხოლმე, ის კვლავ იზიარებდა იმის აზრსა და სახელმწიფოებრივ აუცილებლობას, რისთვისაც არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია.

მაგრამ არა საუბრის დროს, არამედ შემდეგ, ძილის წინ, თავის სალაშქრო საწოლში რაევსკი კვლავ განაგრძობდა ფიქრს თავის ახალგაზრდა მოსაუბრეზე. აი მან სთქვა: „აქ, სადაც ჩვენ მივემგზავრებით, ომი ყუჩდება და არსებითად, გენერალო, ჩვენი რაზმი შეიძლება მეტად მრავალრიცხოვანი იყოს. გაივლიან წლები და მთელს კავკასიაში მშვიდობიანი შრომის ხანა დადგება. ხომ იყვნენ ბათი და თათრები, და აი ხომ ვცხოვრობთ თათრებთან მშვიდობიანად“. დიაღ, ამ სიტყვებში შეუერთებელი შეერთდა. პუშკინის თავისუფლების მოყვარულობა და პატრიოტიზმი რაღაც განსაკუთრებული სახით შეხმატკბილდა. ომი ომია, მაგრამ თვით ხალხებს ერთმანეთთან მშვიდობიანად შეუძლიანთ იცხოვრონ.

გენერლისთვის აქ ყველაფერი ნათელი არ იყო და ისეთ ფიქრებს ეძლევოდა, როგორიც მას არ უყვარდა. ის ყოველთვის პატივსა სცემდა მებრძოლს — მოწინააღმდეგეს, მაგრამ თავის თავს ნებას არ აძლევდა ეფიქრა ყოველგვარი ომის ადამიანურ საშინელებაზე. ომში ასეთი ფიქრი სამხედრო ღალატს უდრიდა. მაგრამ რა უნდა ექნა? ასეთ ფიქრს არც სხვებს აპატიებდა. მაგრამ პუშკინი ამას სხვანაირად გამოსთქვამდა. ის არ ლაპარაკობდა ობლად დარჩენილ შავშვებზე ან მოხუც დედაზე. ასეთი ზედმეტი, გონების და აზრის შემასუსტებელი ფიქრი მისთვის უცხო იყო. ის ცხოვრებას და მის მიმდინარეობას ისეთად ხედავდა, როგორნიც იყვნენ ისინი. მაგრამ, როგორც სჩანს, ის ფიქრობდა და ამბობდა სიტყვას ხალხს. ხალხებს ის უსურვებდა არა მტრობას, არამედ მეგობრობას... მაგრამ კმარა, კმარა ამაზე ფიქრი!

რაევსკი ამბობდა „კმარა“ და იმავე დროს სიტყვა-სიტყვით იგონებდა პუშკინის ახალ ლექსს, რომელიც მან პუშკინისაგან კი არა, ნიკოლაისაგან გაიგონა, რომელმაც ის ზეპირად იცოდა.

„სიჭაბუკეში სიცოცხლით სავსემ თავისუფლების ერთგულმა გმირმა“...

აი, ეს სტრიქონი აწუხებდა მას. დასაწყისში ომია, მაგრამ ყოველგვარი თავისუფლების გარეშე და რა კარგია ასე, მოკლედ და მჭიდროდ:

„ნაცნობი არის ჩემთვის ბრძოლები, მიყვარს მახვილთა მძლავრი ჩხრიალი,
სიყმაწვილიდან თაყვანსა ვცემდი ბრძოლის ქარცეცხლში მიღებულ
სახელს,
მიყვარს მე ომის თავგანწირვაში დაღვრილი სისხლით გმირთა გართობა,
მაშინ სიკვდილის მწუხარე ფიქრი მეალერსება ამ ომის მნახველს“.

და საიდან იცის მან ყველაფერი ეს? როგორი იქნებოდა მაშინ, მართლაც რომ სცნობოდა მას ომი? აი ეს არის მეთორმეტე წელის, დიდ-განთავისუფლებელი ომის გამოძახილი... მაგრამ რიღასთვის არის შემდეგი სტრიქონები:

„სიჭაბუკეში სიცოცხლით სავსემ თავისუფლების ერთგულმა გმირმა,
ბედუკუღმართი შავი სიკვდილი თავის თვალთა წინ თუ ვერ იხილოს,
მას არ უგრძვნია სიმხიარულის სრული და წმინდა ბედნიერება
და არც ღირსია ლამაზ ასულებს სასიყვარულოდ გადაეხვიოს“.

აქაც ხომ პატრიოტული აღტყინება გადანასკვულია თავისუფლებისათვის ბრძოლასთან და სიკვდილის მზადყოფნასთან. მაგრამ რა კარგია ყველაფერი ეს მთლიანად! „და არც ღირსია ლამაზ ასულებს სასიყვარულოდ გადაეხვიოს“.

აქ რაევსკიმ ფიქრი სხვა საგანზე გადაიტანა. უცბათ გაეღიმა, მოაგონდა რაღაც სახუმარო: მანაც გაიგო მარიას მიერ პუშკინისათვის ხუმრობით დანარქმევი სახელი. გენერალი ოდნავ ყრუ იყო, მაგრამ რაც სჭირდებოდა, იმას იგებდა. „უცნაური ნარზანი“, — გაიფიქრა მან, მერე შებრუნდა და მოხერხებულად დაწვა მარჯვენა გვერდზე: — „უცნაური ნარზანია ეს პუშკინი, მისი გადამკიდე ვერასგზით ვერ დაიძინებ“.

და მერე უკვე სრულ ძილისპირზე დახურული ქუთუთოების ქვეშ ორივენი აღემართნენ წინ: პუშკინი მარიას რაღაცას მხიარულად ეუბნებოდა, ტუჩებზე კი ღიმილი დასთამაშებდა, ხოლო მარია უსმენდა უსიცილოდ, თავჩაღუნული. მაგრამ აი მანაც ამართა თვალები, შავი სასტიკი, მისი ბაგენიც ამოძრავდნენ... როგორი იქნება პასუხი?

— საჭირო არ არის, არ არის საჭირო! მე თქვენ მაგას გიკრძალავთ! — ხმამაღლა წამოიძახა რაევსკიმ, აღელდა და ერთი წუთით გაეღვიძა.

„ეს რა არის? რაზე ვფიქრობდი? იქნებ განგაში იყო? არა, სიწყნარეა.“

ყველაფერი გადაავიწყდა. თავი ბალიშზე ჩაუვარდა და იმავე წუთას ღრმა ძილს მიეცა.

ნაწყვეტი მეორე

სადილს შემდეგ გადასწყვიტეს მოშორებით მთებზე გასულიყვნენ. მართალია, ცა მოიღუშა და გენერალი ამას უშფოთველად არ უცქეროდა, მაგრამ უარს არ ეუბნებოდა: რა მოხდება, კიდევაც რომ დავსველდეთ, ლაშქრობებში ამისთანები გადაგვხვდომია? და გაკვრით გადაჰხედავდა ხოლმე უფროს ქალიშვილს, მაგრამ უფროსი ქალიშვილი ეკატერინე ყირიმში ნამდვილად ჯანსაღდებოდა.

ამ დღეების განმავლობაში რაევსკი-მამა შესანიშნავ გუნებაზე იყო. „ალექსანდრ სერგეის-ძე“ მან დიდი ხანია შესცვალა მეგობრულ და უბრალო „ალექსანდრედ“, მით უმეტეს, რომ მისი უმფროსი ვაჟი ჯერ არ ჩასულიყო და ეს ჩვეული სახელი არავითარ არევას არ იწვევდა. „მადლობა ღმერთს! — ხანდახან თავისთვის გაიფიქრებდა ხოლმე რაევსკი, — მგონია მარიასთან უბრალო დამოკიდებულება აქვს, თორემ გოგონა როდემდის უნდა ყოფილიყო მისით გატაცებული?“ რაევსკი ამ მხრივ ფხიზლად ადევნებდა თვალყურს ახალგაზრდა ვაჟს, და ერთხელ თავისი დაკვირვების შესახებ ცოლს სიცილით უთხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იცით, სოფი, თურმე ეს ჩვენი პოეტი ხამ ნაძვს შორის მოექცა... / გზაკვალი დაჰბნევია.

ლომონოსოვის შავთვალება შვილიშვილი, რომელიც მხოლოდ თავის ქმრის კეთილდღეობაზე ზრუნავდა, ვერ მიხვდა ქმრის ნათქვამს, არც მან განუმარტა და მხიარული გუნებით თამბაქოს წევას შეუდგა.

და მართლაც: პუშკინს მძიმე მდგომარეობა ჰქონდა. ის ახლაც ნაღვლობდა, რომ ელენე მათთან ერთად არ მიდიოდა. სუსტი აგებულობისა იყო და თავს უნდა გაფრთხილებოდა. შეჰყურებდა მას და ნამდვილი ნაღველი იპყრობდა მის გულს. ეგონა, რომ ელენე დიდხანს არ იცოცხლებდა და რომ უიმისოდ მთელი ეს ოჯახი, რომელსაც პუშკინი ასე მშობლიური სიყვარულით დაუკავშირდა, დაობლდებოდა.

„შევცქერი ყოველ მის მოძრაობას,
ვუსმენ მის ტკბილი საუბრის ბგერას,
და ერთი წამი განშორებისა
შიშის ზარსა სცემს ჩემს გულის ძგერას.“

იგი არ უკითხავდა მას ამ ლექსებს, მეტის-მეტად ნაღვლიანი სტრიქონები იყო.

სწორედ ამ დროს მისი ხმა შემოესმა:

— აბა, გამხიარულდით!

მთელი კამპანია გასამგზავრებლად მზად იყო.

პუშკინს არ შეეძლო დიდი ხნით დასევდიანება. ელენეს მოწოდებისთვის ყურადღების მიუქცევლად მან აასრულა მისი სურვილი. მისთვის უცხო იყო მოფიქრებული და იძულებითი დამორჩილება ერთი რომელიმე სულიერი განწყობილებისათვის. ეს ყოველ მის დღეს ავსებდა და ამდიდრებდა. ის არ ჰღალატობდა თავის ბუნებას და არც ატყუებდა ვინმეს, ის ყოველთვის პატიოსანი იყო თავისი თავის წინაშე. ეს სრულებით არა ნიშნავდა იმას, რომ ის მოკლებული იყო ღრმა და მტკიცე მეგობრულ გრძნობებს. მაგრამ სიცოცხლე ისე ენთო მის წინ, ისე ნათლად და ახალგაზრდულად იღებდა სიცოცხლეს, რომ ყველაფერი ცოცხალი ყველაზე უწინარეს გამოძახილს ჰბადებდა მასში. ერთად-ერთი, რასაც იგი უცხოდ მიიჩნევდ იყო სულის უიმედობა. დაღლილობის ხანმოკლე სტუმრობას, რაც იშვიათად ემართებოდა მას, ის უცქეროდა, როგორც ავადმყოფობას და გულნაკლულად ელოდა, თუ როდის მიატოვებდა ეს დაღლილობა.

ნიკოლაიც შინ რჩებოდა. მტკივანი ფეხი შორს გასეირნების ნებას არ აძლევდა. სამაგიეროდ ჩუმჩუმად იცინოდნენ, რომ ამ ექსპედიციაში მონაწილეობას იღებდა ორი გუვერნანტი ქალი: ქალბატონი მიატენი და მისი გამოხატულება — მოკრძალებული სონიჩკა. ის ყველაფერს ამჩნევდა და ყველას შენიშვნას აძლევდა. ძნელი იყო გაუცინებლად ცქერა იმისა, თუ ტუჩებაბზეკილი როგორ მიუთითებდა სონიჩკა თავის ალმზრდელს, რომ ეკატერინემ მდინარეზე გადასვლის დროს ჩულქები გამოიჩინა, რაც, რასაკვირველია, დიდი „შოკინგი“ იყო. მაგრამ აქ ქალბატონი მიატენიც უძლური იყო. ეკატერინე ნიკოლოზის ასულს ის მკაცრად ეპყრობოდა და თავს შორს იჭერდა მისგან.

პუშკინი ახლა მასთან ერთად მიდიოდა, ან ვისთან უნდა ყოფილიყო? ასე იშვიათად რჩებოდა ხოლმე მასთან ცალკე. მიდიოდა იგი ამაყი, პუშკინზე ტანმაღალი და ტანწერწეტა. საუბარი ბაირონზე ჩამოაგდეს. ამან პუშკინი

მთლად აამეტყველა, ლაპარაკობდა ისე, როგორც ნიკოლაისთან ილაპარაკებდა — მხურვალედ და გატაცებით, ყოველგვარი დათმობის გარეშე.

ეკატერინე ნიკოლოზის ასული ინტერესით შესცქეროდა, თავის მოსაუბრეს ქოლგის ქვეშიდან, რაც მის სახეზე და ღია მზით დამწვარ კისერზე თბილსა და სწორ ჩრდილს აფენდა. მას ნამდვილ სიამოვნებას ჰგვრიდა ამ გართულ-გატაცებული ახალგაზრდის გაჯავრება.

— თქვენ ამბობთ, ადამიანის უმაღლესი სიკეთე თავისუფლებაო, მაგრამ თუ თქვენ ასე კვლდაკვალ გაჰყვებით ბაირონს, საკუთარ თავისუფლებას დაჰკარგავთ.

პუშკინმა ეკატერინეს ქვევიდან ზევით ახედა: ეს მისი უმფროსი ძმის ხმა ხომ არ იყო?

მაგრამ თუ ალექსანდრე რაევსკის დემონიური თვალები ჰქონდა და შიგ ჩახედვა ძნელი იყო, ეკატერინე ნიკოლოზის ასულთან მით უფრო ძნელი იყო კამათი. მაგრამ განა მასთან კამათი შეიძლებოდა? განა შეიძლება კამათი ზღვასთან ან მზესთან? ან, თუ გინდათ, მდინარის პირას მდგარ პალმასთან? ყველაზე უფრო ის პალმას ენათესავებოდა, მასავით წყნარი და დასრულებული იყო თავის სილამაზეში. და პუშკინმა ბაირონის შესახებ კი არ უპასუხა,— უცბად მოესურვა დაენახა მისი უბრალო ღიმილი. გაჩუმდა, თითქოს რიღაცის მოფიქრება უნდაო და უპასუხა:

— ბაირონის დაცვა საკუთარი თავისუფლების დაკარგვასა და მის კვალ და კვალ სიარულს ნიშნავსო. მაგრამ თქვენ რომ დაგეთანხმოთ, ეს კიდევ იმის ნიშანი იქნება, რომ თქვენ გამოგყვეთ, ესეც ხომ თავისუფლების დაკარგვა იქნება! მე ორ წყალშუა ვარ, მირჩიეთ, რომელი თავისუფლება დავკარგო?

ეკატერინე ნიკოლოზის ასულმა მართლაც გაიცინა და უცბად არა თუ ლამაზი გახდა, არამედ სანდომიანიც.

— არჩევანის თავისუფლება შეინარჩუნეთ! — უპასუხა მან. და მათ ცოცხალი საუბარი დაიწყეს, ერთმანეთში ურევდნენ სერიოზულსაც და ყოველგვარ სისულელესაც, მაგრამ თვით ეს სისულელეც ხომ სასიყვარულოა, თუ კი მოსაუბრენი ერთმანეთისთვის საინტერესონი არიან, მაშინ ეს უაზრო ლაპარაკიც ი ისე ბრწყინავს, როგორც წვიმის წვეთები მზეზე.

„და სრულებითაც არა ჰგავს პალმას!“ — უსწორებდა პუშკინი თავის თავს: ეკატერინე ნიკოლოზის ასულის ჩალის ქუდს ქვემოდან ნორჩი ვარდი გამოიყურებოდა, მაგრამ არა წითელი, როგორიც დილით იყო, არამედ ნაზი. მისი სახის სილამაზესა და სრულყოფილ მოხაზულობას შორის ახლა სითბოც სუნთქავდა. როგორ... მოვიგონოთ... თათრული სიმღერაა ბულბულის შესახებ, რომელიც ვარდსა ჰყავს დამონებული...

მაგრამ მარიას დიდიხანია მობეზრდა უკან „ორ გუვერნანტ ქალს“ შორის სიარული. წინ გაიქცა, გაჩერდა და უფროსს დასა და პუშკინს რევერანსი გაუკეთა.

— დრო არ არის, ლორდებო, — უთხრა მან მხიარული თავაზით, რომ დაამთავროთ ეგ თქვენი უნივერსიტეტი? პუშკინ, აბა ვინ გაასწრებს!

და ალარ დაუყოვნებია, კაბა შემოიკრიბა და გაიქცა.

— აგერ იმ ხესთან, იმ ხესთან!..

ყვიროდა ქშენით და ხელებს ისე იქნევდა, როგორც ფრინველი ფრთებს. პუშკინმა მიივიწყა ჭკვიანი და ლამაზი ქალი და გოგონას გამოეკიდა. ხესთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგონას დაეწეოდა, მაგრამ გოგონა სხარტად გახტა გვერდზე და პუშკინი კინაღამ ხეს დაეჯახა.

— სულაც არ მეცოდებით! სულაც!

მაგრამ იმავე წუთას მიირბინა დაღლილმა, ნახშირივით შავმა გოგონამ და ხელები ერთმანეთს ჩააჭდო.

— იმიტომ რომ თქვენზე გაჯავრებული ვარ — ხომ არაფერი იტკინეთ?

— არაფერი. მაგრამ რატომა ხართ გაჯავრებული?

— თავისუფლებისა და ბაირონის გამო, — უპასუხა მან, და ძალიან უხაროდა, რომ ასე შესანიშნავად უპასუხა.

რა უნდა ექნა პუშკინს? ახლა ყველაზე სასიყვარულო ეს გოგონა იყო.

შორს, მთებში, მათთვის გამზადებული იყო შოკოლადი. ლაქია და მსახურიქალი დიდი ხანია ელოდნენ მათ. პატარა ფარდულის ქვეშ ცეცხლს ანთებდნენ. თეთრი სუფრა მწვანე ბალახზე იყო გაშლილი. პუშკინი ცოტა ჩამორჩა.

ხანდახან ემართებოდა ასე: მეტის-მეტად გამხიარულების დროს უცბად ებადებოდა სურვილი განმარტოებით ყოფნისა, ერთი წუთის მოპოვებისა. ხანდახან პეტერბურგში, ზამთარშიც კი, აივანზე სერთუკის ამარა გადიოდა. გადიოდა და ქალაქის თავზე გადაფარებულ ცას შესცქეროდა. ვარსკვლავები შესციმციმებდნენ, და თოვლი, მსუბუქ ფიფქებად რომ ეცემოდა სახეზე და მხრებზე, მისთვის უჩვეულოდ მახლობელი და სასიყვარულო იყო. აღგზნება და ცეცხლი მასში სწრაფად ცხრებოდა და ყველა გრძნობა თავის ადგილს უბრუნდებოდა.

ახლა მას არა სჭირდებოდა საკუთარი თავის დამშვიდება, მაგრამ სიწყნარეში ყოფნა ესიამოვნებოდა: ასე ღრმად შეიგრძნო მან სრული სულიერი სიმშვიდე, რომელიც ხშირად როდი ესტუმრებოდა ხოლმე. ეს არ იყო მხოლოდ დუმილი: ხმები მასში წკრიალებდნენ, ეს არ იყო უსიცოცხლობა, უმოძრაობა: სიცოცხლე არსად არ მიდიოდა, მაგრამ ის რიტმიულად, სრულყოფილი, როგორც მაჯისცემა, ძლიერდებოდა, ეცემოდა და კვლავ ძლიერდებოდა. რას ისურვებდა ახლა ის? არაფერს... ის სუნთქავდა...

აქ, მაღლა, მთაში, არც აქ იღვრებოდა ბუნება ნაპირებიდან. ყველაფერი უბრალოდ იყო, სიჩუმე და გამჭვირვალობა. თვით მზეც კი თითქოს სძოვდა ღრუბლებს შორის.

პატარა ლოკოკინები გამხმარი ბალახის ღეროებს ეკვროდნენ. პაწაწა თეთრი ვარდგვირილების მთელი გუნდი გაშლილიყო ფერდობებზე. მათ თავზე დაფრინავდა ძალზე ყვითელი პეპელა. დაფრენის დროს იალქნისებურად ჰკეცავდა ფრთებს და აჩენდა ყვითელ თვლიან მკრთალ-მომწვანო შიდაფერს. ფუტკრები ასრულებდნენ თავიანთ უკანასკნელ შემოფრენას. მუხის დაბალი ბუჩქები აქა-იქ ღობესავით გადაჰხვეოდნენ გზას. თვით გზა შიგადაშიგ ალმართოვან-დაქანებული იყო, ქვიანი, მთებიდან წამოსული წვიმის მდინარეებით ამოღრღნილი. ნაკადულების ფსკერი გვიჩვენებდა ნიადაგის ჯიშს, ფენოვანს, დაზოლილს, რომელიც მოგვაგონებდა უცნობი ხის ქერქს, ან უზარმაზარი ნიანგის ტყავს. და ეს უკვე ლაპარაკობდა დროის შესახებ—მრავალი საუკუნის შესახებ, რომელიც ჰქმნიდა ტავრიდას და დღე გვევლინებოდა არა უბრალოდ დღევანდელ დღედ, არამედ ისეთ დღედ, რომლებისგანაც საუკუნეები სდგება.

პუშკინი არ ფილოსოფოსობდა. ყველაფერი ეს ჩუმად და განზომილად მიცურავდა მის გულში. და რა უცნაური მდუმარება იყო! სდუმდა მიწა, გაყუ-

ჩებულიყვნენ ხეები, არ შრიალებდნენ, სდუმდა თვით უზარმაზარი ხეება, რომელიც მიდიოდა შორს და თითქოს მაღლაც.

და უცბად შორს, მთის დასაქანზე, უჩინარ ბილიკზე პუშკინმა ვირი შენიშნა, რომელიც ყურძნით სავსე გოდრებით იყო დატვირთული. უკან კაცი შიჰყვებოდა. ეს კაცი მღეროდა რომელიღაც საღამოს სიმღერას. ამ წმინდა და ადამიანურად გულითად ბგერებზე პუშკინი შებრუნდა. ვირი მიდიოდა თავისი ტვირთის ოდნავი შერხევით, ადამიანი მღეროდა თათრულად რაღაც საკუთარ, მასში გაღვიძებულზე, და უეცრად მარადიულობის ღღე შეიცვალა დღევანდელი დღით, სასიქადულო და სრული, შინაური დღით: ეს ის ცხოვრებაა, რომელიც ნაკადულივით თითებს შორის მიჩხრიალებს, მაგრამ ერთად-ერთი სინამდვილეა — არა ოცნება და მოგონება... რომელ სიხარულს შეუძლიან მისი შეგრძნობა?

მარია იდგა, ისიც ოდნავ მოშორებოდა საერთო კამპანიას. ის იცქირებოდა პირდაპირ, ყვითელ ქვიან გზისაკენ და რაღაცაზე ღრმად ჩაფიქრებულიყო.

— მარტო ხართ, მარია ნიკოლაევნა?—ტკბილად შეეკითხა პუშკინი და მიუახლოვდა.

მკლავში ხელს მოჰკიდებდა, მაგრამ მარიას ხანდახან არ უყვარდა ეს.

მან თავისი წარმტაცი, ღრმა თვალები შეანათა და თითქოს თვითონვე შეეკითხა თავის თავს: ვუთხრა თუ არაო. ამ შეხედვით შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მას რიღაცის თქმა უნდოდა მასთან დამოკიდებულების შესახებ. მაგრამ პუშკინმა ამ თვალებში ამოიკითხა სხვა უფრო ღრმა აზრი: აზრი მარტოობაზე. ამ წუთში როგორც სჩანდა, რაღაც საკუთარზე ფიქრობდა იგი.

— რაზე ფიქრობთ? — ჰკითხა პუშკინმა მეორედ, უკვე ძალიან ჩუმად.

მისი ხმის ტონმა გული აუთრთოლა მარის.

— მე მეგონა... ეს გზა, შეხედეთ როგორი ქვიანია იგი... ეს გზა ჩემი მეგონა...

მან მარისკენ ნაბიჯი გადასდგა, მაგრამ მარიმ უკან დაიხია, თითქოს უკან წასწია თავისი მოულოდნელი გულგახსნილობა. ასე სჩანდა, თითქოს მანაც შეიგრძნო ეს თითებს შორის მოჩხრიალე სწრაფი სიცოცხლე და დაუფიქრებლად, თითქოს ამით სიცოცხლის შენარჩუნებას ლამობსო, თავისი პატარა, მზით დამწვარი თითები მოკუმშა, პუშკინს კი თვალს არ აშორებდა. ის იდგა მარის წინ, ორი ნაბიჯის მანძილზე, სერიოზული და ლაღი. მისი სახე განათებული იყო ორმაგი სინათლით—მზისა და აზრის სინათლით. მარის, როგორც ბავშვს, ჯერ კიდევ არ ესმოდა, თუ ადამიანის ნათელი აზრი ფიზიკურად რამდენად ლამაზია და სასიქადულო. მაგრამ თუ მან ვერ შესძლო დაეფარა თავისი გულის ნადები, თვითონ მაინც სურდა მოსცილებოდა გულის ფიქრს, უცბათ ორივე ხელი გაშალა და პუშკინისაკენ წარმართა.

— აბა, გამოსწით თქვენი ხელები! — წკრიალა ხმით დაიყვირა მარიმ, მას უნდოდა, რომ ეს ხმა უდარდელიც ყოფილიყო.

— მაგრამ არა, ნები ქვევით. მე დაგარტყამთ. თქვენ ხომ უცბათ ვერაფერს მიხვდებით ხოლმე.

ოო, მას ყველაფერი ესმოდა, რაც მარის ეხებოდა, ისიც კი ესმოდა, რომ ამ თამაშით მარის სურდა საკუთარ თავს გაჰქცეოდა. მაგრამ პუშკინი გამგონი იყო და თამაში დაიწყო. თავისი ხელები ქვევიდან ამოუწყო, თბილ თითებს მხოლოდ ოდნავ ათამაშებდა და მარიმ, როგორც ყოველთვის, მოულოდნელად ამოიღო ერთი ხელთათმანი და პუშკინს ხელზე ხმიერად დაარტყა.

ამ ბავშვურ თამაშში, საყოველთაოდ ცნობილი იყო, რომ მარი ნამდვილ ოსტატობას იჩენდა და პუშკინი ყოველთვის ნაცემი რჩებოდა. არავის აზრად არ მოსდიოდა, რომ ეს დამარცხება მისი პირადი სურვილით ხდებოდა. მას ძალიან მოსწონდა მარიას სიხარული და ის განგებაც კი ბრაზობდა, რომ ვერაგზით ვერ შეეძლო მისი ჯობნა.

მაგრამ ახლა თამაში ვერ ეწყობოდა და მარი თავის ქნევით გაიქცა, მარტო დასტოვა პუშკინი.

მთის თხემზე დიდხანს არ უტარებიათ დრო: ჰქუხდა, ცა საწვიმრად ემზადებოდა. მარია კვლავ სერიოზული იყო, პუშკინი ყველაზე მეტად სხვებთან ხუმრობდა. მხოლოდ ხანდახან გადაკრულად გადახედავდა ხოლმე, ხომ არ იცინისო. ეკატერინე ნიკოლოზის ასული მამის რჩევით ვირის რძეს სვამდა და ალექსანდრე არწმუნებდა, რომ მან სპეციალურად მისთვის მოიწვია თათარი ვირით. ხუმრობაში გართულმა პუშკინმა დაიწყო ჩვენება იმისა, თუ როგორ გაეხარდა ვირს ამ მიწვევის დიდი პატივის გამო და რომ ეს ვირი სიხარულისაგან ოთხივე ფეხს აბაკუნებდა და მასთან ერთად ყროყინებდა, როგორც პუშკინი ირწმუნებოდა, ინგლისურ ყაიდაზე. რასაკვირველია, „აი ასე“, — და სასაცილოდ გამოჰხატა ქალბატონი მიატენი, თანაც ყროყინებდა. აქ მარიამმაც თავი ვერ შეიკავა, თვით ქალბატონი მიატენიც კი იძულებული იყო მრავალნაირად დაემანჭა სახე, რომ არ გასცინებოდა.

ჭექა-ქუხილი მთაში ხანმოკლეა, მაგრამ ძლიერი. პირველი ელვა წყალში დაინახეს. მან იქიდან იფეთქა, ისე, როგორც სველ ფსკერიდან. არც სილურჯე და არც სიმწვანე, არამედ ნამდვილად შავი ზღვა იყო. რაც კი ცაზე ჩნდებოდა, მაშინვე ქვევით ისახებოდა. შავი ღრუბლები გროვდებოდნენ და დულდნენ ზღვაზე. ამ ღრუბლებს ტეხილ ხაზებად სერავდნენ ოქროს სინათლეები, თითქოს თვით ჭექა-ქუხილიც სადღაც სიღრმეში ისახებაო.

თავდაპირველად ყველანი დაფაცურდნენ და გაიქცნენ, რომ წვიმისათვის თავი დაეღწიათ. მერე შეურიგდნენ მდგომარეობას და პირდაპირ ტალახში მიატოპებდნენ, — სწორედ ისე, როგორც ჯარისკაცები ლაშქრობაში. პუშკინს ცოტა ეშინოდა ეკატერინეს გამო, მაგრამ ის ყოჩაღად მიდიოდა, ქოლგასაც არა ხსნიდა.

პუშკინი მარის უცქეროდა და უხაროდა, რომ ის კვლავ გამხიარულდა.

პატარა მდინარე ავუნდა, რომელსაც თათრები, როგორც ყოველ თავიანთ მდინარეს, სალგორს უწოდებდნენ, უცბად მთის მქუხარე მდინარედ გადაიქცა. წვიმამ უკვე გადაიღო, მაგრამ შორს, ზღვაში, მაინც ფართო ზოლად ჩადიოდა მდინარის ყვითლად ამღვრეული წყალი.

ამ ამღელვარებულ მდინარეზე გადასვლა ადვილი არ იყო. ამის ხელმძღვანელობა მოუხდა ერთად-ერთ კავალერს პუშკინს. მან ყველაფერი ეს მუხლებამდე წყალში დგომით პატიოსნად შეასრულა.

ქალბატონმა მიატენმა, რომელიც უკანასკნელი გადიოდა, ისე მოხარა თავისი ქალიშვილური ტანი, რომ კორსეტი აჭრიალდა. აი უკვე დაეყრდნო „მუსიე ალექსანდრეს“ მხარს, მაგრამ გადახტომის გადამწყვეტ მომენტში მოეჩვენა, რომ მეტის-მეტად ახლო მიეკრა ახალგაზრდა ვაჟს, ხელი ჩაუცურდა და კავალერმა თავისი მანდილოსანი ვერ შეიკავა. ქალბატონი მიატენი წელამდე წყალში ჩავარდა, პუშკინი გაჰყვა მას. გაჰკივოდნენ: ერთი ჰგავდა ვაისა და ოხვრას, მეორე სიცილში შერეულ სახუმარო სალანძღავ სიტყვას.

ღრუბლები ნაცელქარი ბავშვებივით სწრაფად მირბოდნენ. და როდესაც სახლს მიუახლოვდნენ, მზე უკვე ისე მხიარულად ბრწყინავდა, [illegible] ციცინისო, რაღაც ძალზე სასაცილო, ახლახან მომხდარ ხუმრობაზე [illegible] ერთ-ერთ საგარეო შარავალზე, რომელმაც შოკოლადისფერი მიიღო, გაუცინებლად არ შეიძლებოდა ყურება. ქალბატონი მიატენი ამაყად მიაბიჯებდა, ამასთან ორივე მხარეს იხრებოდა, როგორც ჭაობიდან ამომძვრალი იხვი. დიაღ, ყველა დასველებული იყო. მაგრამ იმაზე სამხიარულო რა არის: იყო ახალგაზრდა, დასველდე წვიმაში და შრებოდე მზეზე? ასე შვრება ყველა ფრინველი, ცხოველი, ბალახი და ხე...

მშრალი და თბილი, ტანაწყობილი და ლაღი, მღიმარი სახით შეეგება მათ შესავალ კართან ელენე. ხელში ყურძნის მძიმე მტევანი ეჭირა. მოშორებით მართლაც იდგა სწორედ ის ვირი, რომელიც პუშკინმა მთაში დაინახა. ახალგაზრდა მომღერალი თათარი მზრუნველად აფარებდა ფოთლებს ყურძნით სავსე გოდორს.

მზის სინათლე ქალიშვილს ზურგიდან ეცემოდა, თავიდან გადმოვარდნილ ცალკეულ ბალნებს უოქროვებდა და მთელ მის აღნაგობას სინათლის სუბუქი ხაზით ჰქარგავდა. ხელი, რომელშიც ყურძნის მტევანი ეჭირა, განზე ჰქონდა გაწეული. ეს ყურძენი თითებს შორის ოდნავ ვარდისფრად გამოკრთოდა. თვით ყურძენიც მოგრძო და გამჭვირვალე იყო, სწორედ ისეთი, როგორც ქალიშვილის მზით განათებული თითები.

*
* *

შინ ყველანი ხელ-პირს იბანდნენ, ირთვებოდნენ. ქვედა სართულში ნიკოლაი როიალზე უკრავდა და საამო ბგერები ავსებდნენ სახლს. ხანდახან გარკვევით ისმოდა მამის დაურიდებელი ხმა, რომელიც ოჯახის უფროსის ბრძანებას ჰგავდა:

— ოლენა, შენ, ძმაო, რა უგულო ხარ! დაეხმარე კატერინას ფეხსაცმლის მოძებნაში, გოგონამ ის სადღაც მიაგდო.

მარია და სონია გასათბობად ლოგინში ჩაწვნენ.

პუშკინი თავისი მომვლელის ნიკიტას 'განკარგულებას მიეცა. მან ხელად გახადა ჩექმები, ტანსაცმელი, საცვალი, გაწმინდა ალექსანდრე სერგეის-ძე უხეში ზეწრით და მიართვა სუფთა საცვალი, რასაც იის სურნელება ასდიოდა. რაევსკების ოჯახში ეს ბოლო დროს ჩვეული აუცილებლობა იყო, ისინი საცვალში გამხმარ იას აწყობდნენ.

ჩაცმამ ცოტა დრო წაიღო, პუშკინმა ნიკიტა დაითხოვა. თვითონ არა ჩქარობდა ქვედა სართულში ჩასვლას. ნიკოლაი უკრავდა რაღაც ნაღვლიანს, თითქმის საოცნებოსაც კი, ისეთ რამეს, რაც სრულიად არ შეეფერებოდა ასეთ ჯანმრთელსა და ტანდიდ ვაჟკაცს. პუშკინი კარგად იცნობდა და ძლიერაც გრძნობდა ამ მისთვის მახლობელს, მის გვერდში მიმდინარე ცხოვრებას. ოდესღაც რაევსკებიდან მხოლოდ მას ერთს იცნობდა, ახლა კი რამდენს იცნობს! სცხოვრობს მათთან ერთად. ახლა ის აქედან, ამ სახურავიდან თითქოს მთელ ამ სახლს და სხვებთან ერთად თავის თავსაც დასცქერის. აქ კარგად სცხოვრობდა, ისე, როგორც მთელი სიცოცხლის განმავლობაში არსად და არასოდეს,

როგორც თავის მშობლიურ ოჯახშიაც არ უცხოვრია. მაგრამ რატომ არის ასე?

ბევრს ფიქრობდა ამაზე: „ოჯახი კი არა, მეგობრები არიან!“ შეიჩვია ამაზეც ფიქრს ასეთ ცხოვრებაზე. უცხო, მაგრამ მეგობრულ ოჯახში. აქ მისი თავისუფლება არავის შეულახავს, და იყო ის მათ შორის, როგორც თავიანთი, თუმცა მშობლიური არა ყოფილა: ამაში იყო თავისებურება, რაღაც მომხიბვლელობის სიახლე, განუმეორებელი სიმშვენიერე.

პუშკინი საღამომდე არ გასულა სახლიდან. ხან სწერდა, ხან აგდებდა კალამს, ორივე ხელს აყრდნობდა თავს და ღია ფანჯრიდან იცქირებოდა. სუფთა და სათუთ ფოთოლთა შორის აი უკვე გამოჩნდნენ პირველი წყნარი და ნათელი ვარსკვლავები, როგორც ნამით განბანილები. ამ დროს უყვარდა ზღვის ნაპირზე ხეტიალი ან შადრევანთან დგომა, სადამდეც წყნარ ბინდ-ბუნდში თათართა ქოხებიდან ცალკეული ხმები აღწევდნენ. უძილო ზღვა კი სულ ხმაურობს და ხმაურობს. შორეულმა მთებმაც თითქოს ახლოს მოიწიეს, ხოლო ხეხილზე სადაცაა საუბარს დაიწყებენ ფოთლები... განა ამის დავიწყება შეიძლება?

არაფერი არ უნდა იქნას დავიწყებული!..

ქვედა სართულიდან უკვე ეძახიან: ვახშამი და ჩაი, ისმის სიცილიც. აი ნიკოლაიმ რაღაცა მხიარული დაუკრა. სანთლებს მოუკიდეს. ახალგაზრდობა. საშხრეთი. ტავრიდის გული.

არა, არაფერი არასოდეს არ უნდა იქნას დავიწყებული.

ნაწყვეტი მესამე

კამენკაში

როდესაც პუშკინის უფროსი, კეთილი ივანე ნიკიტის-ძე ინზოვი პუშკინს კიშინიოვიდან ამ მგზავრობაში ისტუმრებდა, მან საჭიროდ ჩასთვალა ასეთი დარიგება მიეცა:

— გენერალ რაევსკისთან გაგიშვი ეკატერინოსლავიდან და გენერალ რაევსკისთან ხელახლა გიშვებ. ოღონდ მაშინ ავად იყავი და განიკურნე, ახლა კი უფრთხილდი ავად არ გახდე. კამენკაში სახიფათო ჰავაა.

ამასთან ერთად ინზოვმა მარცხენა თვალი მოჭუტა, რითაც ცდილობდა ხაზი გაესვა იმისათვის, რისთვის უნდოდა მიეხვედრებინა. პუშკინი ისედაც ადვილად ხვდებოდა, თუ რა ჰქონდა მას მხედველობაში, მაგრამ ისე მოიქცა, თითქოს სულ სხვას ფიქრობდა იგი. მან ხელი გულზე დაიდო და სიცილით უპასუხა:

— მაგის სიტყვას ვიძლევი. იყავით გულმშვიდად.

— გულს კი ნუ გამოიყენებ თავდებად, არამედ აი ეს, — და მოხუცმა მოყვითალო თითები შუბლზე დაირტყა.

ამ სახუმარო საუბარში რასაკვირველია, სერიოზულიც იფარებოდა. ყოველ შემთხვევაში პუშკინს იმედი ჰქონდა, რომ დავიდოვების ოჯახში მრავალ ახალ და საინტერესო ადამიანს შეხვდებოდა. უკანასკნელი დღეების განმავლობაში კიშინიოვამდე მივიდა ხმები, რომ პეტერბურგში სემიონოვის პოლკმა სამხედ-

რო აჯანყება მოაწყოო. რაღაც მზადდებოდა და მწიფდებოდა. „ნამდვილი ომი ჯერ კიდევ წინ არის“, — მოაგონდა პუშკინს ოხოტნიკოვის სიტყვები, რომელიც აგრეთვე კამენკაში მიემგზავრებოდა. პუშკინი თავისთავსაც ხშირად ეკითხებოდა: „სად არის ჩემი ადგილი? და როგორია ჩემი სიცოცხლის მიზანი?“

კამენკაში პუშკინმა პირველი დღიდანვე თავი იგრძნო ლაღადაც და ცოტაოდნად დაძაბულადაც. ის ორლოვთან ერთად ჩავიდა სადილობამდე, ტანისამოსის გამოცვლაც კი ძლივს მოასწრო, მაშინვე სუფრაზე მიიწვიეს.

ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე რაევსკი სასადილო ოთახში მოხუც დედასთან ერთად გამოვიდა, როდესაც უკვე ყველა შეკრებილიყო. ორლოვი მაშინვე მიუახლოვდა და იქვე ყველას თვალწინ ერთმანეთს გადაეხვივნენ. პუშკინმა ვერ გაბედა ასე შოქცევა, მიუხედავად იმისა, რომ გული უკარნახებდა ამას. გენერალი გულთბილად მიესალმა და იმედი გამოსთქვა, რომ მას კიევშიც შეხვდებოდა. პუშკინს გული აუძგერდა. ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძეს ქალიშვილები არ ჩამოუყვანია, მაგრამ ახლა უკვე იმედი და საშუალება ეძლეოდა ისინიც ენახა. ალექსანდრემ იცოდა, რომ ორლოვი ეკატერინე ნიკოლოზის ასულზე უნდა დანიშნულიყო, მაგრამ კიევში მისი უმცროსი დებიც იყვნენ. რაევსკიმ დედას პუშკინი გააცნო. ორლოვი კარგა ხანია იცნობდა მას.

სუფრაზე პუშკინი საზოგადოებას ათვალიერებდა. უცბად და ადვილად ერკვეოდა საერთო სურათში. აქ არ იყო პეტერბურგის სადილების მაღალწოდებრივობა, არც კიშინიოვისებური ქეიფების ზოგიერთი აღრეულობა. აქ ბატონობდა თავისუფლება და გულის უბრალოების, შინაურულობის ის განსაკუთრებული ელფერი, რომელიც პუშკინს ასე უყვარდა და აფასებდა და რომლითაც ასე სტკბებოდა ის, შეიძლება ითქვას, პირველად თავის სიცოცხლეში და ისიც რაევსკებთან.

მაგიდის ირგვლივ ბატონებსა და მანდილოსნებს შორის კარგა ბევრი მუნდირი ბრწყინავდა. ალექსანდრე შესცქეროდა ამ ჯერ კიდევ მთლად ახალგაზრდა ოფიცრებს და მათ ქცევასა და გამოხედვაში ცდილობდა ამოეკითხა დაფარული აზრები. და მართლაც ისინი რაღაც სულ სხვა ჯიშის ადამიანებად მოსჩანდნენ. რაევსკი ბევრად უფროსი იყო ყველა იქ მყოფზე. პუშკინი ამ ორ თაობას უნებლიედ ერთმანეთს ადარებდა.

პატივისცემის თბილი გრძნობით, რაც პუშკინისთვის უჩვეულო იყო, შესცქეროდა ის გენერალს, რომელიც მოხუცი დედის გვერდში იჯდა. მოაგონდა, თუ როგორ ნახა რაევსკი თავდაპირველად ფერად სურათზე, სადაც დახატული იყო მისი მამაცური ბრძოლა მეთორმეტე წლის სამამულო ომში. რაევსკიმ ხელი ჩასჭიდა თავის შვილებს ნიკოლაისა და ალექსანდრეს, რომლებიც ჯერ კიდევ მთლად ბავშვები იყვნენ, და გამოვიდა შვილებთან ერთად მტრის ცეცხლის ქვეშ და ჯარისკაცებს შესძახა:

— წინ, ყმაწვილებო, მეფისა და სამშობლოსათვის! მე და ჩემი შვილები, რომლებსაც მსხვერპლად ვწირავ სამშობლოს, გზას გაგიხსნით. — პუშკინს გარკვევით ახსოვდა, — მაშინ ის ჯერ კიდევ ბავშვი იყო, — ამ სურათებს რომ დასცქეროდა, მთელ ტანში აღტაცების ჟრუანტელი უვლიდა.

მართალია, ამ გმირულმა საქმეებმა დიდი ხანია გადაიარეს, ისიც მართალია, რომ პუშკინისა და მთელი ახალგაზრდობის დამოკიდებულება მეფისადმი ახლა ძირიან-ფესვიანად შეიცვალა, მაგრამ ამით რაევსკის გმირობა არ შეცვლილა.

და განა მან არ შეინარჩუნა იგივე სიმამაცე, პატივი და პირდაპირობა? მეფეს მისთვის გრაფობის მიცემა უნდოდა. რაევსკიმ მეფეს უპასუხა [illegible] ანდაზით, რომელიც საფრანგეთში ერთმა როგანმა განაცხადა: „მეფეს [illegible] შემიძლიან, ჰერცოგად ყოფნას გავურბივარ, — მე როგანი ვარ“.

ეს ახალგაზრდები იცნობდნენ ომს... მაგრამ მათი ნამდვილი ომი წინ იყო. აქაც იქნება თავისებური გამოცდა. როგორ აიტანენ ამ გამოცდას? პუშკინმა ორლოვს შეხედა. დღეს პირველად გარკვევით იგრძნო, თუ რა თავისებური ადგილი უჭირავს მას: ყველაზე უფროსი ახალგაზრდებს შორის, მაგრამ იმავე დროს ყველაზე უმცროსი უფროს თაობაში. რომლებთან უფრო ახლოა და რა უფრო დამახასიათებელია მისთვის?

ორლოვის გულმშვიდობით ოდნავ გაღიზიანებულმა პუშკინმა როგორღაც ჰკითხა მას:

— აი თქვენ ამბობთ: უნდა ვიცოცხლოთ სამშობლოსათვის სასარგებლოდ და მოვკვდეთ მეგობრების მიერ დატირებულნი, ეს არის ჭეშმარიტი მოქალაქის ღირსება. მაგრამ თვით სამშობლოსათვის სიკვდილს როგორ უცქერით?

— ჩემი სიცოცხლე მაგისათვის არა ერთხელ ყოფილა გამზადებული, — დიდის უბრალოებით უპასუხა ორლოვმა.

პუშკინი გაჩუმდა. ამაზე უფრო დამაჯერებელი პასუხი არ მოიპოვებოდა. მაგრამ ის ფიქრობდა სულ სხვას, რაზედაც მზად იყვნენ ახალგაზრდები.

სუფრა თანდათან გამოცოცხლდა.

სამოცდაათი წლის დიასახლისი ხელმძღვანელობდა სადილის წესრიგს. მისი შვილები, ორივე დავიდოვები, მოშორებით ისხდნენ, მის მარცხნივ კი იჯდა რაევსკი, მისი პირმშო და ერთად-ერთი შვილი პირველი ქმრისაგან.

— ხომ მართალია, დედიკო, — ღიმილით ეუბნებოდა ის და გრძელ თითებს უკოცნიდა, — რომ თქვენ უკვე დედა უნდა გამხდარიყავით და ტიკინებს კი ეთამაშებოდით?

— ოჰ, ჩემო ძვირფასო, — უპასუხა მან, — განა მთელი ჩვენი ცხოვრება ტიკინების თამაში არ არის? და განა ადამიანები ტიკინები არ არიან გამოცდილი მოთამაშის ხელში.

შვილმა თავაზიანი სიმხიარულით უპასუხა:

— რაც შემეხება მე, ისევე, როგორც ბავშვობის დროს, მთელი სიცოცხლე ჯარისკაცობანას ვთამაშობ.

— შენ ხუმრობ, მე კი სრულიად არ ვხუმრობ. დიდი ამბავია იმ თამაშის ცოდნა, რომლის შესახებაც მე ვამბობ, ჩვენ ეს ვიცოდით, შეგვეძლო კიდეც თამაში, თქვენ კი გავიწყდებათ, ახლა თქვენს თავში ი-დე-ები-ა! — და მან სწრაფად და დამცინავად გადაავლო თვალი ახალგაზრდა ოფიცრებს, რომლებიც პატარ-პატარა ჯგუფებად ისხდნენ.

— ნუ ნაღვლობ, დედიკო, — მხიარულად შესძახა მას უმცროსმა დავიდოვმა, ვასილი ლევის-ძემ, — თქვენ ალექსანდრე ლევის-ძეს გულისხმობთ. ჩემი უფროსი ძმა მამების ერთგულია, ის მხოლოდ სუფრას დასტრიალებს თავს. აი ახლაც, შეხედეთ როგორ განწყობილებაზეა, როგორ შრომობს!

ყველამ ალექსანდრე ლევის-ძეს გადაჰხედა და გადიხარხარა. ის დიდ საქმეში იყო გართული: ჩაჰკირკიტებდა სიმსუქნით აბრეჭყვიალებულ ინდოურს. მას არამც თუ არაფერი არ გაუგონია, არამედ, ინდოურის ჭამის გარდა, ამ წუთას სხვა არაფერზე არ შეეძლო ეფიქრა. ფრინველის ხორცს ისინი ხელით შეექცეოდნენ, დელიკატურად იღებდნენ ფრთას ან ბარკალს. ალექსანდრე ლე-

ვის-ძე კი უფრო მეტის ნებას აძლევდა თავის თავს, ტკბილ დაწვრილ ძალებს ხმამაღლა ახრამუნებდა, კვნეტდა, სწუწნიდა ტვინს, ნარჩენებს კი თეფშზე ჰყრიდა: ტუჩები და თითები სიმსუქნისაგან უპრიალებდნენ, ამ სიმსუქნეს მოურიდებლად ილოკავდა და მხოლოდ ამის შემდეგ იწმენდდა ხელსახოცით ნიკაპს. იდეა მისგან მართლაც, ძლიერ შორს იყო.

ბოლოს, როდესაც შენიშნა, რომ რაღაც მიზეზის გამო ყურადღების ცენტრად გადაიქცა, ეს მსუქანი და მსხვილი დავიდოვი სკამის ზურგზე გადაწვა, ერთხელ კიდევ მოიწმინდა ტუჩები და ხმამაღლა სთქვა:

— შინაურ ინდოურზე უკეთესი არაფერი არ არის. სულელია ის, ვინც პეტერბურგში სცხოვრობს. ასე არ არის?

თავის გონებამახვილობაზე თვითონვე გაიცინა და მოხუცი მსახური მიიხმო.

— ნახე, იქნებ კიდევ არის ინდოური სამზარეულოში!

როდესაც ოთახში ბინდ-ბუნდი ჩამოწვა, ლაქიებმა სანთლები აანთეს, მაგიდებზე კანდელიაბრებში, ხოლო კედლებზე ბრინჯაოს შანდლებში. ბროლი გაბრწყინდა, ჩრდილები ერთმანეთზე გადატყდნენ და სუფრასა და ფაიფურის ჭურჭელზე გაწვნენ. სანთლის შუქზე სახეები შეიცვალნენ: ქალების სახეებს იდუმალება მოეფინა, მამაკაცების სახეები მკვეთრად მოიხაზნენ. ახალგაზრდების ჯგუფში სასმისები წკრიალებდნენ, და პუშკინს ესმოდა ხმადაბალი, მაგრამ მხნე სადღეგრძელოები თავისუფლებისა და კარბონარიებისა, რომლებიც ნეაპოლში აჯანყდნენ. პუშკინს, სანთლების მოფარფატე სუსტ სინათლეში ოფიცრები შეთქმულებად ეჩვენებოდნენ. სვამდნენ სადღეგრძელოებს ქარაგმულად, არა აშკარად. იაკუშკინმა კი, რომელსაც პუშკინი დიდიხანია პეტერბურგიდან იცნობდა, ყველაფერი განმარტა.

საღამოთი სტუმრებით სავსე დარბაზში, ყველანი ცეკვავდნენ. პუშკინი ეპიგრამებს ამბობდა. ამ ეპიგრამებს აქ ყველა იცნობდა და ყველა აქებდა.

სასადილო ოთახში სუფრას არ ალაგებდნენ.

— მე და შენ არ დაგვილევია, — სთქვა ოდნავ შექეიფიანებულმა პუშკინმა და გენერალ ორლოვს მკლავში ხელი გაუყარა, — იქ ყველამ დალია მისი სადღეგრძელო, დავლიოთ ჩვენც...

— ვისი დღეობაც კიევში უნდა გადავიხადოთ, მისი სადღეგრძელო დავლიოთ! — მშვიდად და უბრალოდ წარმოსთქვა ორლოვმა, რომელიც მაშინვე მიხვდა პუშკინის სურვილს. — წავიდეთ.

პუშკინმა ამ ნდობით და პირდაპირობით მთლად ფარხმალი დაჰყარა. მათ შეგობრულად დააჯახუნეს ჭიქები. პუშკინს აღარ უნდოდა საცეკვაო დარბაზში გასვლა. ის თავის ოთახში ავიდა, პალტო გადაიცვა, შეუმჩნევლად ჩაიარა კიბეები და სახლიდან გავიდა.

ვარსკვლავებით მოჭედილი ღამე იყო. ოდნავი ყინვით შეჭირხლული მიწა ფეხებქვეშ მძიმედ გაწოლილიყო, თითქოს თვით ნატრობდა, ფეხი დამაბიჯეთო. ბალი გამჭვირვალედ გამოიცქირებოდა. ხეები ერთმანეთს არ ჩაჰკროდნენ, ოცნებისათვის მათ სიფართოვე და სილაღე ჰქონდათ მინიჭებული. შეუმჩნევლად მდინარესთან ჩავიდა. ვარსკვლავიანი ღამის ნახევარ წყვდიადში ტიასმინი დიდ მდინარედ მოეჩვენა. წყლის მდინარება უფრო იგრძნობოდა, ვიდრე თვალით დაინახვებოდა.

იჯდა ასე, საწუთრო-მივიწყებული და თავის ჩვეულ ფიქრებს მიცემული. ბოლოს, როდის იტყვიან ყველაფერს? მაგრამ მას ხომ უმალავდნენ, ორლოვი თან არც წაიყვანდა. იქნებ არ ენდობიან?

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ პუშკინმა იგრძნო, როგორ აენთო მისი სახე ბრაზისა და აღშფოთებისაგან. სწრაფად ფეხზე წამოდგა და მდინარეს გაჰყვა.

სიარულმა უცბად დაამშვიდა და დაღალა. ალბათ ვერსზე მეტი გაიარა. ნაპირი დაქანებული იყო, ქვიანი. მაგრამ იქ, სადაც მდინარე მარცხნივ უხვევდა, კლდე ჩაბნელებული იყო. ვიწრო კლდოვან ხეობას ემსგავსებოდა, უფრო ახლო ჩავიდა წყალთან. კლდით შევიწროვებული მდინარე ხმამაღლა ჩხრიალებდა... აი ასე, სწორედ ასე! იქ, კაშხალთან, ვერაფერს შეამჩნევ, თითქოს სრულებით არ იყოს მოძრაობა, ტბასა ჰგავს. აქ კი როგორ ღრიალებს. მაგრამ ნუ თუ ეს ძლიერი წყალვარდნილი სულ მის გვერდით, მის ახლოს უნდა მიჩხრიალებდეს? ნუ თუ ის სულ ასე უნდა იდგეს და უცქეროდეს?

— სად დაიკარგე? — ჰკითხა ალექსანდრე რაევსკიმ, როდესაც პუშკინი უკან დაბრუნდა.

— მდინარესთან ვსეირნობდი, — უპასუხა მან, — და შევცქეროდი თუ როგორ მირბოდა წყალი ჩემს ახლოს.

აქ ხალხი ხელახლა ახმაურდა და ხელახალი სადღეგრძელო შესვეს.

ორლოვმა გაიცინა.

— ტყუილად იცინი, კარგად იცი, რომ ისინი თავისუფლების სადღეგრძელოს სვამენ.

— იმიტომ ვიცინი, რომ ღვინისაგან ის არ აღსდგება.

— რა შუაშია აქ ღვინო? კარბონარიები...

— არასოდეს არ გინახავს, როგორ გარბიან კურდღლები?

— შენ, ალექსანდრე, ყოველთვის ყველაფერს უარჰყოფ, მხოლოდ რაღაც საშინელებას ამტკიცებ. მე მეძინება.

პუშკინი თითქმის სთვლემდა, როდესაც ლაპარაკი რაევსკი-მამაზე ჩამოაგდო. არ უნდოდა დაეძინა, ვიდრე არ შეურიგდებოდა მეგობარს, რომელზედაც გაჯავრდა.

მაგრამ რაევსკი აქაც უარჰყოფდა მამის სიმამაცეს, რომელიც სურათზე იყო გამოხატული.

— სცდები! — აღშფოთდა პუშკინი, — მაგაში ყველა დარწმუნებულია, ტყუილად არც დაბეჭდავდნენ სურათს.

— აბა, შენ უკეთესად გცოდნია! — მშვიდად უპასუხა ალექსანდრე ნიკოლოზის-ძემ.

— შენ დამცინი.

— მე, დიაღ, აქ ვიყავი, იმიტომაც ვიცინი. თუ გინდა, მამას ჰკითხე. ის ტყუილს არ იტყვის. ან ბატიუშკოვს შეეკითხე. ის ხომ პოეტია. მამას ადიუტანტად ჰყავდა. მამა-ჩემს ზღაპრები არა სჭირდება. ის ისედაც მამაცია.

ყველაფერი ეს პუშკინს ძალიან მოეწონა. აი, ბოლოს, ალექსანდრემაც ნამდვილი სიამაყით ახსენა მამა. მამაცი ხალხი ქვეყნად ცოტა არ არის. მაგრამ აი ასახელებენ და ცამდე აიყვანენ. ჰიმნსაც უმღერებენ, ცად აყვანილი გმირი კი მოულოდნელად იტყვის: ეს მართალი არ არის, მე უამისოდაც ოლად წავალ! ეს სიმამაცე აღარ არის, ეს სიდიადეა.

ამ დროს პუშკინმა თვლემა დაიწყო და უცბათ ყველაფერი, რაც აწუხებდა და აღელვებდა, გაჰქრა, გასცილდა. მის ნაცვლად, თითქოს სასთუმალთან ელოდაო, წარმოიშვა და აღისახა სულ სხვა რამ, პუშკინმა იურზუფი ნახა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

დავიდოვები ძალიან მდიდრები იყვნენ. „სულელია ის, ვინც პეტერბურგში სცხოვრობს". და მართლაც, აქ იყო ყველაფერი ან თითქმის ყველაფერი, რითაც მდიდარი და სახელგანთქმული იყო ჩრდილოეთის პალმირა, მაგრამ აქ შემზღუდავი არაფერი იყო: ჰქონდათ საკუთარი სახლ-კარი, სადაც ყოფაქცევის მძიმე ეტიკეტი და სასახლისებური სადარბაზო წესები არ ამძიმებდნენ მათ. ცხოვრება ფართოდ მიმდინარეობდა: სოფლური სილაღე სახნავებში, ტყეებში, მდინარეებზე, ტრამალებზე. ნადირობა, მეზობლებთან სიარული და მახლობელ ქალაქებისაკენ — კიევის, კიშინიოვისაკენ გამგზავრება, ბაზრობა, არჩევნები, დარბაზობა, პარაკლისები, ქორწილები, ნათლობები, გასვენებები... ცხენები უსაქმოდ არ იდგნენ თავლებში...

დავიდოვები სიხარულით და სტუმართმოყვარეობით იღებდნენ მახლობელ და შორეულ მეზობლებს. თუმცა უსტუმრებოდაც სავსე იყო სახლი ძმისწულებით — ვაჟებით და ქალებით, შორეული ნათესავებით. უკანა კარიდანაც მრავლად დადიოდა მოხეტიალე ხალხი, დადიოდნენ ხატზე გადაცემულები, ბერები, მოლოზნები და ღვთისგლახები.

და ყველა ეს ხალხი სჭამდა და სვამდა, ტანზე და ფეხზე იცვამდა, საჩუქრებს იღებდა. ყველას ჰყოფნიდა: მოხუცი ქალის დავიდოვის სიმდიდრე იმდენად დიდი იყო, რომ ერთხელ თამაშობის დროს მისმა მეორე ქმარმა ლევ დენისეს-ძემ დავიდოვმა მისი კუთვნილი სოფლების სახელების პირველ ასოებისაგან მთელი წინადადება შეადგინა: „ლევს უყვარს ეკატერინე".

პარაკლისს თორმეტი მღვდელი იხდიდა, სტუმარი ას კაცზე მეტი იყო. სუფრა სავსე იყო საჭმელ-სასმელით. მისალოცად ზარბაზნებს ისროდნენ, საღამოთი კი ჩირაღდნებით გაბრწყინებულ ეზოში რამდენიმე კასრი ღვინო გამოაგორეს. დღეობის მიზეზმა, ეკატერინემ, ამ სადარბაზო მხიარულებაში და დროსტარებაში მონაწილეობა მიიღო მთელი თავისი დიდებული მრავალფეროვნებით, როგორც შეეფერებოდა ბრწყინვალე თავადის გრიგოლ ალექსანდრეს-ძე პოტიომკინის დისწულს.

ხმაურობდა ამ უზარმაზარი სახლის ყოველი დარბაზი და დერეფანი, სწორედ ისე, როგორც სკა. მთელი ეს დღე სავსე იყო სასიამოვნო ბგერებით და ბრწყინვალებით; კამათი და სიცილი, ჭიქების წკრიალი და საბილიარდო ბურთების ყრუ ხმები; დეზების ჩხრიალი და ქალიშვილების სწრაფი, ტიტველი ფეხების ტყაპუნი იატაკზე; სურნელოვანი წყლები და თამბაქოები; სამზარეულოსი და დარბაზში გადახდილი პარაკლისის საკმევლის დამათრობელი სურნელება. სადილობის დროს წარმოთქმული სადღეგრძელოები და საღამოთი გამართული ცეკვა შინაური ორკესტრით და დირიჟორით. უფროსთა ბანქოს თამაში და ახალგაზრდების მხიარული გართობა. სანთლების სინათლე კარგად გამთბარ ოთახებში და მთვარის შუქი შეყინულ უკაცურ ბაღში, — ასეთი იყო დღეობა და ქეიფი წმინდა ეკატერინეს დღეს.

პუშკინი, რომელიც ყველასთან ერთად ატარებდა დროს და ძლივს ასწრებდა თავისი ქალების ადგილებზე მიყვანას, თავს მაინც არა ჰკარგავდა. პირველ სამ დღეს ხან ჰპირდებოდნენ, ხან ატყუებდნენ. ის უცბადვე ვერ იცნობდა იმ ადამიანებს, რომლებიც მას აინტერესებდნენ.

განსაკუთრებულის გატაცებით და თავდავიწყებით ლაპარაკობდნენ ახალგაზრდა ოფიცრები. ზოგიერთი მათგანი ჯერ კიდევ ატარებდა [illegible] იერს და ხშირად გოგონასავით წითლდებოდა, თუმცა ცდილობდა — [illegible] ეჩვენებინა თავი. პუშკინი დიდის ინტერესით უსმენდა საუბარს სახელმწიფოებრივი წყობის შესახებ ჩვენში და ევროპაში. აღელვებდა მეტადრე მთავარი შინაური საკითხი — რუსი გლეხის მდგომარეობა, ბატონყმობის განთავისუფლების საკითხი.

სადილობისას ყოველთვის მოხუც დიასახლისთან, ეკატერინე ნიკოლოზის ასულთან, იკრიბებოდნენ, მერმე გადადიოდნენ სასტუმრო ოთახში, სადაც მეფობდა ახალგაზრდა დავიდოვა, ჰერცოგ გრამონის ასული. მას პუშკინთან ისეთივე დამოკიდებულება ჰქონდა, როგორც გაცნობის პირველ ხანებში. ის აღტაცებული იყო იმით, რომ ახალგაზრდა პოეტი თაყვანისცემაში და ქათინაურების თქმაში ოდნავადაც არ ჩამორჩებოდა მის დანარჩენ პატივისმცემლებს და მისი თხოვნით ლექსებიც კი წაიკითხა.

საღამოს ღამე მოსდევდა.

უმცროსი დავიდოვი, ვასილი ლევის-ძე, რომელიც უფროს ძმას სრულიად არა ჰგავდა, ცდილობდა დაახლოვებოდა პუშკინს. ვასილი ლევის-ძემ პირველსავე დღეს პუშკინთან ბრუდერშაფტით ღვინო დალია.

ალექსანდრეს განსაკუთრებით უყვარდა ეს დრო. ეთხოვებოდნენ ქალებს და გადადიოდნენ სახლის მეორე ნახევარში, ვასილი ლევის-ძესთან. შენობის ერთი ნახევრიდან მეორე ნახევარში გადასახლება რაღაც საიდუმლოებით იყო მოცული, რადგან იქ ყველას არ ეპატიჟებოდნენ, იქ იკრიბებოდნენ მხოლოდ მამაკაცები, რომლებიც მხიარულებდნენ კიდეც და სერიოზულ სჯა-ბაასშიც იყვნენ.

უზარმაზარი ოთახი მოფენილი იყო ერთი მთლიანი ხალიჩით, კედლებთან ჩამწკრივებული იყო დივნები, კედლებზე ეკიდა წინაპართა პორტრეტები, საგვარეულო იარაღი და ფაიფურის ნივთები. იყო ოთახში წიგნებით სავსე კარადებიც. ყველაფერი ეს განსაკუთრებულ სილამაზეს აძლევდა ოთახს, ენთო უზარმაზარი ბუხარი, რომელიც უხვად აფრქვევდა სითბოს. ოთახში წინასწარ გამზადებული ჰქონდათ შამპანიურით სავსე კალათა.

ოთახი უცბად არ ივსებოდა. თავდაპირველად ლაპარაკობდნენ ცოტას და ხმადაბლა: იყო დიდი ფართობი და ცოტა ხალხი. აქა-იქ უკიდებდნენ ყალიონს, შიგადაშიგ გაისმოდა თავშეუკავებელი აღტაცების შეძახილი. ხალხი თანდათან შედიოდა, კვამლი ბურავდა სახეებს, ერთმანეთში ირეოდა ბოთლის საცობის ტკაცუნი, სადღეგრძელოების თქმა და მწვავე კამათი. იხსნიდნენ მუნდირებს. ბოლოს ჭიქები ივსებოდა ღვინით და ივიწყებდნენ დროს. საათის რეკვაც აღარ ესმოდათ, აღარავინ არა ფიქრობდა ძილზე.

პუშკინი თავს ლაღად გრძნობდა. სწევდა, სვამდა, ხმაურობდა. მისი მახვილსიტყვაობა და პოლიტიკური თავდასხმა ყველა იქ მყოფში გამოძახილს პოულობდა. შეიძლებოდა ყური მოგეკრათ მისი ეპიგრამებისათვის ფოტიზე, არაკჩეევზე, რომლებსაც ხან ერთნი ამბობდნენ, ხან მეორენი. პუშკინი საერთო მდინარებაში იყო. თავს თავისუფლად გრძნობდა: ნამდვილი სიცოცხლე ხორციელდებოდა.

მაგრამ აი უახლოვდება ის ფანჯარას. ჩამოფარებულ ფარდებიდან სიცივე შემოდის. თვალი ვერა ხედავს, მაგრამ მან იცის: ბაღს დასცქერის მთვარე,

ხეები შეთეთრებულან და განმარტოვებულად სუნთქავს მიწა. თვალწინ ეხატება მდინარეში წყლის ჩქეფა და ამ მდინარის ჩუმი, უტყვი ნაპირები, თვითონაც ჩუმი და უსიტყვო ხდება. მისი მჭევრმეტყველება ჭრელ-ფერადს სხვას მოვუსმინო, ფიქრობს და შორდება ფანჯარას, მოშორებით ჯდება დივანზე. უკვე ნახევარი წელიწადია, რაც პუშკინი მოიკას და ნევის პროსპექტს ვეღარა ხედავს: მის წინ გადაშლილია მთელი რუსეთი. იქ, პეტერბურგში, ჰფარავდა იმპერატორი, აქ კი, მის თვალწინ თვით ქვეყანა გადაიშალა, უზარმაზარი, მრავალენიანი, რომელიც აჯადოებს გულს და აღვიძებს ფიქრებს საკუთარ თავზედაც და ამ ქვეყანაზედაც. და ეს არ იყო ორი სხვადასხვა ფიქრი, გულის სიღრმეში ისინი ერთიანდებოდნენ.

რუსეთი—ეს უზარმაზარი სიტყვა აღარ იყო მისთვის განყენებული ცნება, ისე უკვე შეიცავდა ჭაობებსაც, ულრან ტყეებსაც, ვრცელ დაუსრულებელ ტრამალებსაც, მიუკარებელ მთებსაც და ლაღად გადაშლილ ზღვებსაც, მინდორველების უსაზღვროებას. ამას გარდა, ის წარმოადგენდა სხვადასხვა წოდებისა და სიმდიდრის მქონე უამრავ ხალხს. პუშკინი ხედავდა მათ, ესმოდა მათი ლაპარაკი და სიმღერა. ხან ველური, ხორხისმიერი ბგერებით აღსავსე, ხან კი სრულხმოვანებით მოუბარი ჩივილსა და მწუხარებაზე, თავგამეტებასა და გამარჯვებაზე... სიტყვები მიწის, ბატონყმობის და ხალხის თავისუფლების შესახებ რეალურ სახეს იღებდნენ.

თვით დღეობა დღეს კიშინიოვიდან ჩამოვიდა ოხოტნიკოვი, გენერალ ორლოვის ადიუტანტი. მგზავრობისა თუ უკვე კარგა ხანია განვლილი სერიოზული ავადმყოფობის გამო ის ხშირად ახველებდა და ყრუდ ლაპარაკობდა. ორლოვი და ის რაღაცის შესახებ განცალკევებულად ლაპარაკობდნენ.

პუშკინმა, რასაკვირველია, არ იცოდა, რომ ორლოვი საიდუმლო საზოგადოებაში შევიდა, მისი ადიუტანტი კი, რომელიც კეთილმყოფელთა კავშირის თავგადადებული წევრი იყო, ყრილობაზე მიდიოდა და თავის გენერალსაც მოსკოვს წასვლას მოუწოდებდა.

ეს პოლიტიკური და საქმიანი მოლაპარაკება კეთილად დამთავრდა: მიხეილ ორლოვმა გადასწყვიტა ყრილობაზე წასვლა.

თავიანთ ორგანიზაციაში ასეთი დიდი პიროვნების ჩაბმის შემდეგ იაკუშკინი, ოხოტნიკოვი და ვასილი ლევის-ძე დავიდოვი ოცნებობდნენ უფრო მეტს: ისინი იმედით და ამავე დროს იჭვნეულად შესცქეროდნენ თვით ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძეს, რომელიც თავის მხრივ დაინტერესებული უყურებდა მის ირგვლივ მყოფ ახალგაზრდობას. საიდუმლო საზოგადოების წევრთათვის მეტად ძვირფასი იყო ასეთი დიდი ფიგურის ყოლა, ისინი მას თავიანთ მეთაურად გახდიდნენ; მაგრამ ვერც ორლოვს, ვერც რაევსკის ძმას დედიდან, დავიდოვს, ვერ გადაეწყვიტათ ამის თქმა. გარდა ამისა, მაინც და მაინც დიდი იმედი არა ჰქონდათ, რომ თანხმობას მიიღებდნენ. ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძეს ძალიან ფართო შეხედულებები ჰქონდა და კერძო საუბარში არ იჩენდა არავითარ სიფრთხილეს, პირიქით, აშკარად ჰკიცხავდა არაკჩევს და ყოველმხრივ დამოუკიდებელ ფიგურას წარმოადგენდა. სწორედ ეს მისი თვისებები: პირდაპირობა, შეხედულებათა დამოუკიდებლობა და ის, რომ არავის გავლენის ქვეშ არასოდეს არ ექცეოდა, წარმოადგენდა დიდ წინააღმდეგობას... ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძეს რომ ყოველ წუთში შეეძლო სამშობლოსათვის თავის განწირვა, ამაში ეჭვი არავის ეპარებოდა, მაგრამ იყო თუ არა ის „თავისუფლების ერთგული მებრძოლიც“?

მეგობრებმა გადაწყვიტეს მისი გამოცდა და ლაპარაკი ჩამოაგდეს შესაძლებელ საიდუმლო საზოგადოებაზე, მის მიზნებსა და იმაზე, რა სარგებლობას მოუტანდა რუსეთს, თუ რაევსკიც იქნებოდა მისი წევრი. მაგრამ ამავე დროს გადაწყვეტილი იყო არ გაემხილათ რაევსკისთვის, რომ ასეთი საზოგადოება უკვე არსებობდა და რომ ისინი მისი წევრები იყვნენ, რადგან ამ საუბარს დაესწრებოდნენ ზოგიერთი სტუმრებიც, რომელთა მიზიდვასაც სრულებით არ ფიქრობდნენ. აქ მხედველობაში ჰყავდათ პუშკინი და ალექსანდრე რაევსკი. ალექსანდრე რაევსკი თავის სკეპტიციზმს ოდნავადაც არა მალავდა, პუშკინი კი სიამოვნებით შევიდოდა ამ საიდუმლო საზოგადოებაში. ისინი ხედავდნენ და აფასებდნენ კიდეც პუშკინის გულწრფელობას, მაგრამ თუ იგი რამეს სცოდავდა, ამის მიზეზი მისი სიფიცხე და პირდაპირობა იყო. სწორედ ეს იყო სახიფათო. პუშკინი კიშინიოვში ნახევრად გადასახლებულის მდგომარეობაში იყო, პოლიციაც ადევნებდა თვალყურს. გარდა ამისა არა სამხედრო პირები ნაკლებად აინტერესებდათ.

ეს საღამო პუშკინს დიდხანს დარჩა მეხსიერებაში, შემდეგ ხშირად ესიზმრებოდა ხოლმე, თუ როგორ მიატოვა მეგობრები, ტანჩაუცმელმა ყინვაში ჩაირბინა ბაღში... და, მართლაც, იმ დღეს დილიდანვე უთოვლო ყინვა დაიწყო და ხეთა ტოტები, ბალახი და მიწა ვერცხლივით გაბრწყინდა.

ხვალ რაევსკები კიევს მიემგზავრებიან, ორლოვი კი ამხანაგებთან ერთად მოსკოვს მიემართება. პუშკინი ჯერჯერობით აქ დარჩება, ვასილი ლევის-ძემ კამენკაშიც მიიპატიჟა. დღევანდელი შეკრებულობა არა ჰგავდა წინა დღეების კრებებს, როდესაც სტუმრები მრავლად იყვნენ. დღეს ყველას სერიოზული და ოდნავ მოზეიმე სახე ჰქონდა.

— მეგობრებო, თქვენ ხვალ მიემგზავრებით,— წარმოთქვა ვასილი ლევის-ძემ, — ოდესმე შევხვდებით ერთმანეთს, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ნეტა რა მოხდება ჩვენს საყვარელ სამშობლოში?

— რა უნდა მოხდეს ისეთ სახელმწიფოში, რომელიც არაკჩეევის სათარეშოა? — თუთუნის წევით გამოეპასუხა ორლოვი.

თავდაპირველად საუბარი ჩვეულებრივი იყო, მაგრამ პუშკინი დიდმა ინტერესმა შეიპყრო, როდესაც ორლოვმა ჩაფიქრებულად იკითხა:

— სასარგებლო არ იქნებოდა, რუსეთში საიდუმლო საზოგადოება რომ დაარსებულიყო?

„აი, ახლა იწყება“— გაიფიქრა მღელვარედ პუშკინმა და სკამქვეშ ფეხები შემოიკრიბა, — ეს იყო მისი ძველი, ბავშვობის დროის ჩვეულება: როდესაც ზღაპარს ისმენდა, ყველაზე საშინელ ან ყველაზე იდუმალ ადგილზე მთელი ტანით შეიკუმშებოდა ხოლმე, თითქოს მზად იყო ხიფათის დროს ნახტომი გაეკეთებინა.

— განვიხილოთ, განვიხილოთ ეს საკითხი! — ერთდროულად გამოეპასუხნენ იაკუშკინიც და უმცროსი დავიდოვიც.

— განვიხილოთ, მაგრამ წინადადებას შემოვიტანდი წესრიგისათვის პრეზიდენტიც აგვერჩია, — და მიხეილ თედორეს-ძემ რაევსკის მიმართა.

ამ წინადადებას სხვებმაც მხარი დაუჭირეს.

— რას იზამ, — თქვა ნახევრად ხუმრობით და ნახევრად სერიოზულად ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძემ, რომელიც კვლავ განცალკევებით იჯდა თავის საყვარელ სავარძელში. — ვიმსჯელოთ, ვნახოთ, ვინ რა აზრისაა, ვინ არის მომხრე და ვინ წინააღმდეგი. იქნებ სწორედ თქვენვე გახსნათ ჩვენი კამათი?

ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე დააშტერდა მამას, მის ტუჩებზე პატარა ღიმილმა გადაირბინა. ალექსანდრე ლევის-ძე დავიდოვმა უკმაყოფილოდ შუბლი შეიჭმუხნა და წაიბუზღუნა:

— ეს რა კომედიაა, არ მიყვარს!

მაგრამ მას ყურადღება არ მიაქციეს.

— მაშ, ვის უნდა პირველი სიტყვის აღება?

— თუ ნებას მომცემთ, — დაბალი ხმით თქვა ორლოვმა, — მე დავიწყებ.

პუშკინმა შეამჩნია, რომ ახალგაზრდა გენერალი ცოტაოდენად ღელავდა. და, მართლაც, მისთვის ყველაფერს, რაც ხდებოდა, საერთოს გარდა პირადი მნიშვნელობაც ჰქონდა. მან უკვე მტკიცედ გადაწყვიტა ეკატერინე ნიკოლოზის-ასულის ხელი ეთხოვა, რის გამოც ალექსანდრე ნიკოლოზის-ძეს სთხოვა ამ საქმეში შუამავლობა ეკისრა. ამიტომაც მან წინასწარვე სთქვა, რომ ობიექტური იქნებოდა, მომხრეც და წინააღმდეგიც. და მაინც ის, წინააღმდეგ თავისი ჩვეულებისა, იძულებული იყო მცირე ხანს გაჩუმებულიყო, თითქოს შიშობდა არ ეღალატა მის ჩვეულებრივ გულმშვიდობას. ამ ხანმოკლე სიჩუმემ მის სიტყვას განსაკუთრებული მნიშვნელობა მისცა.

— თვითონაც იცით, ეს მე არასოდეს არც დამიფარავს, რომ ომის შემდეგ უცხო ქვეყნებიდან ჩამოსვლის შემდეგ მე თვითონ გავუგზავნე მეფეს უქვეშევრდომილესი წერილი რუსეთში ბატონყმობის მოსპობის შესახებ. მას ხელი მოაწერა მრავალმა დიდმა მოხელემ. მაგრამ რა ბედი ეწია ამ წერილს? ან როგორია ჩვენი პოლიტიკის მიმართულება უკანასკნელ წლებში?. — თავისუფლება მიენიჭათ ესტონელებსა და ლატვიელებს, — შენიშნა ვასილ ლევის-ძემ, — მაგრამ ამავე დროს თვით რუსეთი...

— აგრეთვე პოლონელებსაც მიენიჭათ თავისუფლება, — აღტაცებით წარმოსთქვა იაკუშკინმა, რომელსაც პოლონეთის საკითხი ყოველთვის აღელვებდა.

— პოლონელებს! — ლაპარაკში ჩაერია მიხეილ თედორეს-ძე და საერთო განწყობილება უცბათ ამაღლდა. — მე ასე გეტყვით. დროთა განმავლობაში მე შევადგინე მეორე საპროტესტო წერილი პოლონეთის შესახებ. მაშინ, როდესაც რუსი ჯარისკაცი, რუსი გლეხი... როდესაც ჩვენი გლეხი ომში სისხლს ღვრიდა...

ორლოვი ყოველთვის კარგად ლაპარაკობდა, შეიძლება ცოტა გაჭიანურებულად, მაგრამ თანმიმდევრობით და მჭევრმეტყველურად. მაგრამ მისი დღევანდელი სიტყვა არ იყო ისეთი. ლაპარაკი თავშეკავებულად და ზოგადად დაიწყო, მაგრამ თანდათან დაავიწყდა საფრთხილო მოსაზრებები, გაიტაცა თავისმა ნამდვილმა ფიქრებმა და, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, როცა სიტყვები ჭეშმარიტი გრძნობის გამომხატველია, ყველა იქ მყოფი ააღელვა და საპასუხო ფიქრებიც აღძრა მათში.

ლაპარაკობდა ის აშკარად გამოსვლების იმედის გაცრუებაზე, მთავრობასთან შეთანხმების შეუძლებლობაზე. ის შეჩერდა აგრეთვე თავის ფარულ ეჭვზე: საკმაოდ მომწიფდა თუ არა რუსი საზოგადოება საფუძვლიანი ცვლილებების ასათვისებლად?.

ვასილი ლევის-ძე დავიდოვი, აღნიშნავდა რა კრების მიზანს, თავის გამოსავალში სკეპტიციზმის გამოჩენას ცდილობდა. ასევე იქცეოდა იაკუშკინიც, რითაც აცვიფრებდა და გულს უკლავდა პუშკინს. მხოლოდ პირდაპირი და თავისი სიტყვა-სურვილის პატრონი კონსტანტინე ალექსის-ძე ოხოტნიკოვი,

რომელსაც სწყინდა ორლოვის მერყეობა, ბრაზიანად და უხეშად თავს დაესხა ორატორის შენიშვნებს.

ლაპარაკის დროს ის დადგა ფანჯარასთან, რომელზეც ფარდა დაფენილი არ იყო. სანთლების ორმხრივი სინათლე და სავსე მთვარის შუქი მის მაღალ და ხმელ ფიგურას ცეცხლოვანების თავისებურ იერს აძლევდა, თითქოს მის ზურგს უკან იდგა რუსეთი.

პუშკინი ისმენდა მის მოკლე, წყვეტილ სიტყვას და გრძნობდა, რომ შეუყვარდა ეს განსაკუთრებული პიროვნება, რადგან, როდესაც მას უსმენ, სისხლი გამამხნევებლად დუღს, ბრძოლის წყურვილი იბადება.

„მართალია, მართალი... ყველაფერი მართალია!“ — ჩურჩულებდა პუშკინი და უხაროდა, რომ დაბოლოს ნახტომისათვის მზად იყო.

— შენ რამის თქმა გინდა? — მიმართა მას ალექსანდრე ნიკოლოზის-ძემ, როდესაც ოხოტნიკოვმა დაამთავრა.

— დიაღ, მე მინდა ვთქვა, ბატონებო! — წამოიძახა პუშკინმა, და არც კი დაუცადა თავმჯდომარის ნებართვას.

ის სწრაფად წამოხტა დივანიდან და შუაგულ ოთახში გაჩერდა. ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძეს ის არ შეუჩერებია, ყურადღებით და ოდნავ ჩაფიქრებულად შესცქეროდა მას.

— მე მინდა ვთქვა, რომ ჩვენი ხსნა ის არის, რომ ყველა... რომ ყველა პატიოსანი ადამიანი გაერთიანდეს მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად. საიდუმლო საზოგადოება აუცილებელია! რა შეგვიძლია ჩვენ აშკარად გავაკეთოთ? აქ იყო ნათქვამი, რომ მალე ყველა საიდუმლო საზოგადოება აიკრძალებაო, — მით უმეტეს, განა ეს იმას არ ნიშნავს, რომ უნდა ვიჩქაროთ და ჩვენი საქმე აღარ გადავდოთ?

აქ თავმჯდომარემ ჰკითხა:

— რომელი საქმე?

— რომელი საქმე? რომელსაც ჩვენ დავადგენთ რუსეთის საკეთილდღეოდ! და პირველყოვლისა გლეხთა განთავისუფლება, ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძევ! ექვსი თვის წინათ მე და თქვენ ეკატერინოსლავში ვიყავით, იქ ხომ საყოველთაო აჯანყება იყო, მიწის მუშებსაც თავისუფლება სწყურიათ. იაკუშკინმა გაათავისუფლა თავის მუსიკოსები, ეს კარგია: მუსიკოსს მიწა არ სჭირდება, მაგრამ რა ჰქნას მიწის მუშამ?

თავმჯდომარე მას სიტყვას არ აწყვეტინებდა. პუშკინი თანდათანობით ენთებოდა და ავითარებდა თავის შეხედულებებს, ერთმანეთს უპირისპირებდა დასავლეთისა და ჩვენი ქვეყნის მოაზროვნეებს, ერთმანეთს უპირისპირებდა აგრეთვე ხალხსა და მათ მმართველებს. იქ მყოფთ პუშკინს უკვე სულ სხვა თვალით დაუწყეს ცქერა. ახლა უკვე სულ მასზე ფიქრობდნენ, მასში აღარ ხედავდნენ მხოლოდ პოეზიის მცოდნე პიროვნებას.

— და თუ დასავლეთში ხალხები მეფეებს ებრძვიან, განა საიდუმლო საზოგადოებებმა არ მოამზადეს ეს მოძრაობა, კარბონარების საბრძოლო მოწოდებამ: „შურისძიება მგლებს ცხვრების ჩაგვრისათვის!“

— მეფეებსა და მგლებზე ლაპარაკი ცოტა ჩუმად შეიძლება, — წაიბუზღუნა აქამდე განცალკევებით სავარძელში მთვლემარე უფროსმა დავიდოვმა.

— თქვენ გამოიცანით, ალექსანდრე ლევის-ძევ, როდესაც მგლებზეც იზრუნეთ, — სწრაფად უპასუხა პუშკინმა. — მაგრამ ერთი გახსოვდეთ, რომ თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწის მუშების განთავისუფლება დაყოვნდება, მგლებს კარგი დღე არ დაადგებათ! მე თვითონაც კი...

ამ დროს თავმჯდომარემ ხელი ასწია.

— მე თვითონაც კი, — გაიმეორა თავმჯდომარემ პუშკინის სიტყვები, მერე თავი გააქნია და გაუღიმა. — მეც მინდოდა რამდენიმე სიტყვა მეთქვა. მეც გეთანხმებით, საიდუმლო საზოგადოება სასარგებლო იქნებოდა.

და მან კიდევ ერთხელ ჩამოთვალა ყველა ის გარემოება, რომელშიც ფარული საზოგადოება სარგებლობას მოიტანდა, მაგრამ რასაკვირველია, ყველაფერი ეს ის არ იყო, რის შესახებაც შეთქმულები ოცნებობდნენ.

მოულოდნელად იაკუშკინმა რაევსკის მიმართა:

— საიდუმლო საზოგადოება რომ უკვე არსებობდეს, თქვენ, ალბათ, მას არც კი შეუერთდებოდით.

— რატომაც არა, — მშრალად უპასუხა ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძემ, — პირიქით.

იაკუშკინი აიბნა, არ იცოდა როგორ მოქცეულიყო, დაეჭვებულად უპასუხა:

— მაშ, მომეცით ხელი!

— ხუმრობა თუა, ბოლომდე ვიხუმროთ, აი ჩემი ხელი, — უპასუხა რაევსკიმ.

აქ ყველა უცბათ მიხვდა, რომ უნდა დაემთავრებინათ და ყველაფერი ხუმრობად ჩაეთვალათ. უხერხული მდგომარეობისაგან მთლად შეწითლებულმა იაკუშკინმა ხმამაღლა განაცხადა:

— თქვენ მართალი ხართ, რასაკვირველია, ყველაფერი ეს მხოლოდ ხუმრობა იყო.

— შენ რას იტყვი, — ხმადაბლა შეეკითხა ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე პუშკინს, — მამა ხომ ყველაზე ჭკვიანი აღმოჩნდა?

მაგრამ პუშკინს აღარაფერი არ ესმოდა. მას ამ წუთას ის აღარ აინტერესებდა, თუ ვინ იყო ჭკვიანი და ვინ უგნური... დამყარდა სრული სიმშვიდე. ყოველივე ეს სერიოზულსაც და ხუმრობასაც წარმოადგენდა. ეს ხუმრობა შეიძლება ცოტა უხერხული გამოვიდა, მაგრამ მან რაღაცა მაინც გამოააშკარავა.

ასე წავიდ-წამოვიდნენ ისინი და საღამო შამპანურის სმით დამთავრდებოდა, მაგრამ ოთახის შუაგულში კიდევ ერთხელ გამოვიდა პუშკინი.

როდესაც იაკუშკინი რაევსკის შეეკითხა: რომ არსებობდეს საიდუმლო საზოგადოება, თქვენ მას, ალბათ, არც კი შეუერთდებოდით, პუშკინი აღფრთოვანდა. ეს წუთი მისთვის იყო რაღაც განსაკუთრებული სიხარულის წუთი. თითქოს უნდა გახსნილიყო ის დიდი ხნის ნანატრი მისი სიცოცხლის მიზანი, რომელიც ყველაფერს გაანათებდა და რომელსაც სწორედ აქ და ახლა ელოდა. დაბოლოს, ის მარტო არ იყო. და ეს იაკუშკინიც... ის ცდიდა მათ, სიმართლესა და ჭეშმარიტებას ამზეურებდა... მაგრამ სრულიად მოულოდნელად ყველაფერი შეირყა. და აღარაფერი არ გამოვიდა, სრულიად არაფერი... ნუთუ ყველაფერი ამაო იყო?!

პუშკინს თვალთ დაუბნელდა. უნებურად თითები თითებს შეახო. ისინი გაყინულიყვნენ.

გულნაკლულობამ და ვარამმა, აზრის აღრევამ და რისხვამ შეიპყრო ის. მას ჯერ კიდევ არ უნდოდა დაეჯერებინა, მაგრამ არ შეიძლებოდა არ დაეჯერა. რა ბოროტი და სასტიკი ხუმრობა იყო!

მის ხმაზე ყველანი შებრუნდნენ. მათ წინ იდგა ყველასთვის კარგად ცნობილი, მუდამ მხიარული, შმაგი და ანჩხლი, სიტყვამახვილი და ჯასიყვარულო ამხანაგი, და ნამდვილად ჭკვიანი, როგორც ახლა მან გამოხატა [illegible], ტანმორჩილი, მაგრამ მოხდენილი. მაგრამ ის იყო თუ არა? მას ველარ იცნობდით: მთრთოლვარე, ფერმკრთალი, თითქოს ჩაფერფლილი, წამწამებზე ცრემლებიც კი უბრწყინავდნენ.

ის გამოვიდა ოთახის შუაგულში და რამდენიმე სიტყვა წარმოსთქვა. მაგრამ ეს სიტყვები ისეთ დუმილში იყო ნათქვამი, რომ ყოველი ინტონაცია გულამდე აღწევდა.

— მე არასოდეს ასე უბედური არა ვყოფილვარ: მე უკვე ვნახე, თუ ჩემი სიცოცხლე... როგორი კეთილშობილური შეიძლებოდა გამხდარიყო. მე დავინახე მაღალი მიზანი ჩემ თვალწინ. და ყველაფერი ეს... ყველაფერი ეს. მაგრამ რა ბოროტი იყო თქვენი ხუმრობა!

და ის გავარდა გარეთ. მან თავისი უფროსი მეგობრები საოცარ დუმილში დატოვა.

თარგმნა **ე. პოლუმორდვინოვამ.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რამაიანი[1]

ინდიური ეპოსი

V

მზის ამოსვლისას შეკრბნენ
თავადნი,
მეფის მრჩეველნი, სარდლები ჯართა.
მოქალაქეთა წინამძღოლებიც
მსწრაფლ შეიყარნენ სასახლის
კართან,
რათა ზეიმით ტახტზე დაესვათ
რამა, მომფენი სიამის ქართა.

მზე აღმობრწყინდა. ოქროს
ჭურჭლებით
მოიღეს ზღვისა და განგის წყალი,
თაფლი, რძე, ზეთი, ბრინჯი და ხილი.
ქორფა ვარდები თეთრი, ფიქალი.
ხელმწიფის ტახტთან უბრწყინვალესი
დადგა რვა ტურფა ქალწული ქალი.

აღმართეს ქოლგა. ორი მარაოც,
ტარმოოჭვილი სპეტაკი ქვებით.
შემოიყვანეს მებრძოლი სპილო
და ბებუ-ხარი მაღალი რქებით;
მესაკრავენი; მეფუნდრუკენი
და მომღერალნი რაქუს ძის ქებით.

ლოდინის შემდეგ დარბაზი ასკვნის:
„ვაახლოთ მეფეს რჩეული სეფე,
რომ მოახსენოს, შევიკრიბენით,
მზეც მაღლა არი შუქმოიფე.
ზეიმისათვის მზადაა ყველა,
მაგრამ არა სჩანს ჯერ თვითონ მეფე“.

მეფის მეეტლემ ყრილობას უთხრა:
„მე მოვახსენებ პატრონს თქვენს
გუმანს.
ის პატივსა გცემთ. მოძმეთა ყადრი
რამამაც იცის, წალკოტში რგულმა.“
და გაეშურა მყისვე სუმანტრა,
დაუწყო ძგერა სიამით გულმა.

მისთვის კარღია სრა-სასახლეში
შევიდა იგი, თავი დახარა
და მეფეს ჰკადრა: „როგორც მზე
დილით
ქვეყანას პირველ სხივით ახარებს,
ეგრეევ შენი სხივები, მეფევ,
ადამიანებს გადააყარე.

ო, გაიღვიძე, ჩემო ხელმწიფევ,
უკვე დრო არი, შეუდგე გარჯას.
როგორც მატილი,[2]) დიდებულ
ინდრას
მოგიძღვნი გულით ხოტბას და აჯას.
ჰყოს კურთხეული და უძლეველი
შენი გვირგვინი და შენი მაჯა!

ცეცხლმა და წყალმა, მზემ და
მთოვარემ
გიძღოდეს ინდრას წყალობის თვალი!
ღამე გავიდა. დგება ნეტარი
დღე და ედება მიწას მზის ალი.
ადექ, ხელმწიფევ, დიადი საქმის
შესასრულებლად გეძახის ვალი.

დარბაზს შეყრილან სხვადასხვა
მხრიდან
ქალი და კაცი, ყრმა და ხნიერი.
ყველა იქაა, შენს სამეფოში
ვინც არის ბრძენი, მკლავით ძლიერი
დიდებულ რაქუს შთამომავალო,
რათა იხილონ შენი იერი.“

მეფე სუმანტრას, ვისი ეტლითაც
მან ბედნიერად დიდხანს იარა,
ეტყვის მწუხარედ: „არა ვარ ღირსი,
დღეს ლხინში შხამი შემეზიარა,
ახლა მაგ ქებით, ჩემო მეეტლევ,
უფრო მიწყლულებ მტკივან იარას.“

---

[1]) გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 9, 1940 წ.

[2]) მატილი — ინდრას მეეტლე.

მეფის დამნახველ მონის თვალებმა
ლამის ცრემლები არ გადმოღვარეს.
კეიკეიმ სთქვა: „რამაზე ფიქრით
ძილი გაუტყდა შვილის მოყვარეს,
ამიტომაა ასე დაღლილი,
წადი და სწრაფად რამა მოგვარე.“

მეეტლე ამბობს: „ნუთუ თვით მეფე
არას მიბრძანებს ღონე მიხდილი?“
მაშინ ხელმწიფემ წამოიძახა:
„დიაღ, მსურს ვნახო რამა ამ დილით!“
სუმანტრამ წამსვე თავი დახარა
და სასახლიდან გაჰქრა, ვით ჩრდილი.

VI

ოქროს ეტლში მდგომს მეფისწულს
რამას
სასახლისაკენ გეზი აეღო.
ხალხი ხვდებოდა მას აღტაცებით,
ჭრელი ნოხები გზებზე გაეგოთ.
მისი ხელმწიფედ კურთხევის ცნობა
მთელ სამეფოში ყველას გაეგო.

ხალხი ამბობდა: „რამა, გახსოვდეს
მამა-პაპათა მუდამ გზა-კვალი.
გვექმენი ბურჯად. არ მოადუნო
ქვეყნის დარაჯმა გმირული მკლავი,
და ბრძნული ქცევით ტახტის
მპყრობელმა
უფრო აბრწყინე ჩვენი ვარსკვლავი.

ვართ ბედნიერნი, რადგან დღეს
ტახტზე
მეფედ გნახავენ ჩვენი თვალები!“
ყველგან ბანებზე თუ სარკმელებთან
უცხოდ მორთულნი იდგნენ ქალები.
და აწვიმებდნენ ყვავილებს რამას,
ეტყოდნენ ქებას თან მოკრძალებით:

„ო, კავზოლიას, კეთილ დედა-შენს,
ბოროტი საქმის ყოველთვის
მძრახველს,
ვით შეიძლება არ უხაროდეს
ამ საზეიმო გზაზე შენს მნახველს.
შენი იერი, მეფედ კურთხევა,
სამარადისოდ გაუქრობს ნაღველს.

მაგრამ ქალებში დღეს უფრო ხიტა
ბედნიერია, შენს გვერდით რგული.
სათნო და ტურფა ის ლირსი ანი
შენი დიდებით იყოს მემკული.
ყვაოდეს მუდამ თქვენი ცოლქმრობა
როგორც როჰინის და სომას[1]) გული.“

ქალი და კაცი ხარბად უჰვრეტდნენ
რჩეულთა შორის რჩეულ ფალავანს.
ვინც ვერ იხილა, გული წყდებოდა,
თავს აფარებდა მწუხრის ტალავარს.
ასე, ამგვარად ვიდოდა რამა
და მიაღწია მთავარ გალავანს.

მან ეტლით განვლო სამი ჭიშკარი,
შემდეგ იარა ფეხით თამამად.
ბოლოს შევიდა ჰარამხანაში,
გარეთ დასტოვა მთელი ამალა.
იქ დახვდა მამა და კეიკეი,
მათ წინ თაყვანით სახე დამალა.

მწუხარებისგან სახე ფერმკრთალმა
იყვირა მეფემ: „ო, რამა, რამა!“
და მყის დადუმდა, დამუნჯდა
სრულად.
რა ასეთ დღეში იხილა მამა,
თავადმა, თითქოს გველს ჰკრა ფეხიო,
თვალები შიშით დაახამხამა.

და გაიფიქრა: „ნეტავ ხელმწიფემ
რატომ მიჩვენა სახე უხეში?
ჩემთან შეცვლიდა რისხვას წყალობად
დღემდე მე ვიყავ მისი ნუგეში,
ახლა არც მიცქერს, ალბათ, აღარ
სურს
შემაბას თავის მეფურ უღელში.“

მერმე მიმართა მან კეიკეის:
„ო, დიდოფალო, გთხოვ, დამსდო
ვალი,
და მითხრა — მეფეს თუ რით
შევსცოდე,
ან რით აღვუნთე გულს რისხვის ალი?
მამცნე მიზეზი, თან მომეხმარე,
მომაპყრას მეფემ წყალობის თვალი.

[1]) სომა — მთვარეა, ღამის მეფე, რომელსაც ოცდაშვიდი ცოლი ჰყავს, ხოლო მათ შორის მისი უსაყვარელესი როჰინია.

მეფე ყოველთვის იყო ჩემდამი
ალერსიანი, ნაზი, კეთილი.
ახლა რატომ ზის აგრე დაღრეჯით,
უძრავად, ვით ქვა გამოკვეთილი?
რამ დაამუნჯა ენაწყლიანი,
რათა აქვს გული გამოკეტილი?

ო, მიმახვედრე ჩემს დანაშაულს,
მე მას სიკვდილით გამოვისყიდი.
იქნება მეფეს სხვა რამ აწუხებს,
ბედნიერების ჩაუტყდა ხიდი?"
და კეიკეიმ, შფოთის მოთავემ,
დაიწყო სიტყვა ურცხვი და ფლიდი:

„ხელმწიფეს მხოლოდ ერთი აწუხებს,
შენთვის იგია მიუწვდომელი.
ოდესღაც მომცა მან აღთქმის სიტყვა:
რისიც ვიქნები ქვეყნად მდომელი,
მყის ამისრულებს. ახლა კი ნანობს.
ამიტომ გახდა ბედის მგმობელი.

თუ წინ ხელმწიფეს არ აღუდგები,
მე გეტყვი, რაც მას ვერ უთქვამს
ენით."
„როგორ იფიქრეთ, ეგ რა
მითხარით? —
დედოფალს რამამ მიუგო წყენით. —
მეფემ მიბრძანოს და უყოყმანოდ
მოსაკვდინებელ შხამს შევსვამ
ლხენით;

შევხვდები სიკვდილს თვალგახელილი
კოცონზე ანდა მღელვარე ზღვაში,
ოღონდ მაუწყე მეფის სურვილი.
ამისთვის მამას არ გავცვლი სხვაში
და ავასრულებ მე იმის წადილს,
ამ სიტყვას ვამბობ ფიცის
საზღვარში".

კეიკეიმ სთქვა: „სისხლისმღვრელ
ომში
მეფე დაიჭრა და გულით ურვილს
მე დავუბრუნე ჯანი და ძალა,
თან ვუღვიძებდი სიცოცხლის
წყურვილს.
ამის სანაცვლოდ მეფე დამპირდა
ამისრულებდა ორად ორ სურვილს.

ახლა მოვითხოვ: ჩემს შვილს
გადასცეს
სამეფო ტახტი გაუხუნარი,
შენ გაგაძეოს დანდაკას ტყეში
ხუთი და ცხრა წლით. თუ გაქვს
უნარი,
ეს შეასრულო, მაშინ მამაშენს
სვე არ ექნება დასაწუნარი".

მას უშფოთველად რამამ ეს უთხრა:
„ეჰ, დედოფალო, კარგად იცოდე,
რომ მე მიწიერ სარფას არ ვეძებ.
მინდა ძველ ბრძენთა ცეცხლით
ვიწოდე,
ბავშვობიდანვე მათ კვალს მივყვები.
ამიტომ ხალხიც სათნოს მიწოდებს.

შვილის ვალია იყოს ყოველთვის
მშობლებისათვის მსხვერპლის
მწირველად.
არ გადავუხვევ მე მამის სურვილს,
გინდ ეს ბევრს დარჩეს
გასაკვირველად,
მე წავიდოდი დანდაკას ტყეში,
თვით შენც რომ გეთქვა ადრე,
პირველად.

რად არ მაუწყე? ალბათ, გეგონა,
რომ ჩავაგდებდი შენს ხმას არადა.
გაგზავნე ელჩი შენს სამშობლოში,
მოაყვანინე მალე ფარატა,
ეკურთხოს მეფედ, მაგრამ ურჩიე,
მოხუც ხელმწიფეს ექმნეს ფარადა.

მე კი დედაჩემს და სიტას მინდა
გადავეხვიო უკანასკნელად."
სთქვა და მტირალე მამას შეხედა,
წამს განშორება ეჩვენა ძნელად,
შემდეგ ორთავეს კვლავ თაყვანი სცა
და დარბაზიდან გავიდა ნელა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გი დე მოპასანი

ჯ ყ ვ ე ე ბ ი

ტყეში სიჩუმეა. ისმის მხოლოდ ხეებზე დაცემული თოვლის მსუბუქი შრიალი. თოვლი შუადღისას მოვიდა. ჯერ ნამის ციცინათელები დააყარა ტოტებს. ვერცხლისფრად დაფიფქა გამხმარი ფოთლები და ბოლოს უზარმაზარი თეთრი და რბილი ფარდაგები გაფინა გზებზე და მინდვრებზე. ხეებიც თოვლის ბაბუებს დაემსგავსნენ.

ტყის საყარაულოს კართან ქალი, ცულით შეშას აპობს. ქალი მაღალია, ტანმკვრივი და ლონიერი. ტყის ნამდვილი ასული. მისი მამაც ტყის მცველია, ქმარიც. ხელის ყოველ მოქნევაზე ქალის მკერდი მაღლა იწევს და ღელავს. ვიღაც ქოხიდან ეძახის:

— ჩვენ მარტონი ვართ, ბერტინა. ამოდი სახლში. უკვე ღამდება. ტყეში კი იქნებ მგლები ან პრუსიელები დაძრწიან.

— ეხლავე მოვრჩები, დედა. მოვდივარ. მოვდივარ. რაა საშიში? ჯერ კიდევ სინათლეა.

შემდეგ მან შეშა შეზიდა სახლში, ბუხრის გვერდით დააწყო და ისევ გარეთ გავიდა ფანჯრის დარაბების დასახურად. დაბრუნებისას კარი მაგრა ჩაკეტა.

ბუხართან დედა ზის და ართავს. იგი ბოლოდროს მშიშარა გახდა.

— არ მიყვარს, — სთქვა მან, — როცა მამაკაცები შინ არ არიან. ორი ქალი უმნიშვნელო ძალაა.

ახალგაზრდამ უპასუხა:

— ასეა თუ ისე, ერთ მგელს ან პრუსიელს როგორმე მოვერევი, — და ხელი გაიშვირა ბუხარზე ჩამოკიდებულ რევოლვერისაკენ.

მისი ქმარი პრუსიელთა შემოსევის დღიდან ჯარში გაიწვიეს, და ორი დედაკაცი დარჩა მოხუცი მამის, ტყის მცველის ნიკოლია პიშონის (მას ზედმეტ სახელად ხეტიალას ეძახდნენ) ამარა, რომელმაც არაფრის გულისთვის თავისი სახლკარი არ მიატოვა და ქალაქში არ გაიხიზნა.

მახლობელი ქალაქი რეტელი იყო, ძველთა-ძველი სიმაგრე, კლდეზე აგებული. იქაური მკვიდრნი პატრიოტები იყვნენ: მათ გადასწყვიტეს, მედგარი წინააღმდეგობა გაუწიონ შემოსეულ მტერს და გაუძლონ ალყას, თანახმად ქალაქის ძველი ტრადიციისა.

რეტელის მცხოვრებლებმა მტრის გმირული მოგერიებით სახელი გაითქვეს ჯერ ჰენრიხ მეოთხის, ხოლო შემდეგ ლუდოვიკო მეთოთხმეტის დროს. ახლაც ასე მოიქცევიან, ცეცხლიც რომ წაუკიდონ და შიგ ჩასწვან ციხის კედლებში. მათ შეიძინეს ქვემეხები, შეაიარაღეს მილიცია, შექმნეს ბატალიონები და ყოველ დღეს წრთვნიდნენ მათ სამხედრო მოედანზე.

ქალაქის ყველა მკვიდრი — მეფუნთუშე, ბაყალი, ყასაბი, ნატარიუსი, დურგალი, წიგნის გამყიდველი, მეაფთიაქე რიგრიგობით გადიოდა სამხედრო სწავ-

ლებას განსაზღვრულ საათებში დრაგუნის ყოფილ უნტერ-ოფიცრის, ბ-ნ ლიავინის მეთაურობით, რომელიც ამჟამად საწვრილმანო ვაჭრობას ეწეოდა ქალაქში: მან ცოლად ბ-ნ როდოვანის ქალიშვილი შეირთო, და ეს საქმეც მემკვიდრეობით მიიღო მისგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ-ნ ლიავინს დააკისრეს ციხე-სიმაგრის კომენდანტობა, და, რადგან თითქმის მთელი ახალგაზრდობა ჯარში იყო გაწვეული, მან თავი მოუყარა დანარჩენ მოქალაქეებს და თავდაცვის მზადებას შეუდგა. ჩასუქებული მამაკაცები ცდილობდნენ რაც შეიძლება ბევრი ერბინათ, რომ ზედმეტი ქონი ჩამოეცილებინათ და ქშინვა-ქოშინი დაეძლიათ, ტანსუსტები კი მძიმე-მძიმეებს ეწეოდნენ კუნთების მოსაღონიერებლად.

ელოდნენ პრუსიელებს, მაგრამ პრუსიელები არა სჩანდნენ, თუმცა ისინი ახლოს იყვნენ: მათი მზვერავები უკვე ორჯერ შენიშნეს ტყეში ხეტიალად წოდებულის ნიკოლია პიშონის სადარაჯო ქოხთან.

ძველი ტყისმცველი მელასავით დაძვრებოდა და მოქალაქეებს აფრთხილებდა. ქვემეხები გატენილი ჰქონოდათ, მაგრამ მტერი მაინც არა სჩანდა.

ხეტიალას სახლი მთავარ სადარაჯოდ ითვლებოდა აველინის ტყეში. კვირაში ორჯერ — მოხუცი სოფელში მიდიოდა სანოვაგის შესაძენად და ქალაქებისთვის ცნობის მისაწოდებლად.

დღესაც ქალაქში წავიდა, რათა აცნობოს, რომ გუშინწინ, დაახლოებით დღის ორ საათზე, გერმანელთა მცირე რაზმი მის სახლთან გაჩერდა, მერე სწრაფად დაიძრა. რაზმის მეთაური, უნტეროფიცერი, ფრანგულად ლაპარაკობდა. როდესაც მოხუცი თავისი მოვალეობის შესასრულებლად მიდიოდა, ყოველთვის თან ორი ძაღლი მიჰყავდა, ორი მგელზე მონადირე ძაღლი, რადგან ბოლო დროს ძალიან გახშირდა მგლების თავდასხმა ტყეში.

წასვლის წინ მან ქალებს დაუბარა — ღამის მოახლოვებისას მაგრა ჩაკეტონ სახლის კარები. ახალგაზრდა ქალს არაფრისა არ ეშინოდა, მაგრამ დედაბერი მუდამ კანკალებდა შიშისაგან და იმეორებდა:

— ყველაფერი ეს ცუდად გათავდება, აი ნახავ ცუდად გათავდება.

ამ საღამოს იგი ჩვეულებრივზე უფრო ნერვიულობდა:

— თუ იცი, როდის დაბრუნდება მამაშენი?

— ალბათ, არა უადრეს თორმეტი საათისა, — უპასუხა ქალმა. — როდესაც იგი კომენდანტთან სადილობს, ყოველთვის გვიან ბრუნდება.

ის იყო ქალმა წვნიანის კარდალი დაჰკიდა ცეცხლზე, რომ უეცრად გაქვავდა. რაღაც ხმაური შემოესმა. დედაბერს ჩასჩურჩულა:

— ჩვენსკენ მოდიან!

დედას შიშისაგან ხელები გაუშეშდა.

— ღმერთო ჩემო, მამაკაცი კი სახლში არ არის! — ძლივს წაილუღლუღა მან.

ამ დროს კარი შეინძრა მძიმე რახუნისაგან.

ქალები გაინაბნენ. გარედან ხმა მოისმა. ვიღაც ყვიროდა დამტვრეული ფრანგულით:

— გააღეთ!

მცირე დუმილის შემდეგ კვლავ გაისმა იგივე ხმა:

— გააღეთ, თორემ კარებს შემოვამტვრევთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ ბერტინამ ბუხრიდან რევოლვერი ჩამოიღო, კაბის ჯიბეში ჩაიდვა, კარს მიაყურა და ჰკითხა:

— ვინა ხართ თქვენ?

— მე აქაური რაზმელი ვარ.

ქალმა კვლავ ჰკითხა:

— რა გნებავთ?

— ტყეში გზა დაგვებნა, გააღეთ, თორემ შემოვამტვრევთ.

სხვა გზა არ იყო: ქალმა ურდულს გასწია, კარი ოდნავ გააღო და თოვლის მკრთალ ნისლში ექვსამდე ჯარისკაცი შენიშნა, სწორედ ის ჯარისკაცები, რომლებიც გუშინწინ იყვნენ იქ.

— ასე გვიან რად მოსულხართ? — მიახალა ქალმა გაბედულად.

— ტყეში დავიბენი, სულმთლად დავიბენი. ეს სახლი ვიცოდი. დილიდან არაფერი მიჭამია. ჩემი რაზმიც მშიერია.

— საქმე ის არის რომ მე და დედაჩემი დღეს მარტონი ვართ, — უთხრა ბერტინამ.

ჯარისკაცი კეთილშობილი აღმოჩნდა:

— არაფერია. არაფერ ცუდს არ ჩავიდენთ. მხოლოდ გვაჭამეთ რამე. შიმშილისა და სიარულისაგან ფეხზე ძლივსღა ვდგევართ.

ქალმა გზა მისცა,

— შემოდით! — უთხრა მან.

თოვლით დაფიფქულნი იყვნენ. მართლაც, დაღლილობა ეტყობოდათ.

ქალმა მაგიდის გრძელ საჯდომისაკენ მიუთითა:

— დასხედით, ეხლავე წვენს მოგიმზადებთ. გეტყობათ, ძალზე გშიანთ. შემდეგ კარი ისევ ჩაკეტა და საჭმლის მზადებას შეუდგა. მის ყოველ მოძრაობისკენ იყო მიპყრობილი ექვსი კაცის მშიერი თვალები. მათ კუთხეში მიაყუდეს თავიანთი თოფები და მაგიდას შემოუსხდნენ, როგორც ზნეკეთილი მოწაფეები.

დედა კვლავ შეუდგა რთვას, თან შეშინებული თვალებით დამპყრობელებს გაჰყურებს. ქოხში სრული სიწყნარეა. ისმის მხოლოდ თითისტრის ღუღუნი, ცეცხლის ტკაცუნი და ადუღებული წყლის თუხთუხი.

უცებ არაჩვეულებრივმა ხმაურმა შეაკრთო ყველა: კართან გაისმა ყრუ ქლოშინი.

გერმანელი უნტერ-ოფიცერი იარაღს მივარდა. ქალს გაეღიმა და შეაჩერა იგი:

— მგლები არიან. ისინი თქვენსავით დაძრწიან ტყეში და საჭმელს დაეძებენ.

უნტერ-ოფიცერმა არ დაიჯერა. ნახვა მოისურვა. და როგორც კი დარაბა გამოაღო, დაინახა ორი დიდი რუხი მგელი, რომლებმაც სინათლის დანახვისთანავე ტყისაკენ მოუსვეს.

უნტერ-ოფიცერი თავის ალაგას დაუბრუნდა და ჩაილუღლუღა:

— არასგზით არ დავიჯერებდი! — და კვლავ გაჩუმდა საჭმლის მოლოდინში.

ქალმა მაგიდაზე ვახშამი გააწყო. ჯარისკაცები ისე ხარბად შეუდგნენ ჭამას, რომ უზარმაზარ ლუკმებისაგან პირი ყურებამდე ეხსნებოდათ. ქალები სდუმდნენ და თვალს არ აცილებდნენ ჯარისკაცთა ფართო, წითური წვერე-

ბის რხევას. ბოლოს ყელის ჩასველებაც მოუნდათ. ქალი სარდაფში ჩავიდა ვაშლის ბურახის ამოსატანად. ერთხანს დარჩა იქ. სარდაფი სამზარეულოს ქვეშ მდებარეობდა. შიგ ჩადიოდნენ წვრილი, ხრახნისებური კიბით. რევოლუციის დროს მას დილეგად იყენებდნენ. როდესაც ბერტინა დაბრუნდა, ჩაიღიმა, ეშმაკურად ჩაიღიმა თავისთვის და გერმანელებს ბურახით სავსე ჭურჭელი დაუდგა მაგიდაზე.

საუზმის შემდეგ ჯარისკაცებმა იქვე, მაგიდასთან ჩაქინდრეს თავები. ბერტინამ უნტერ-ოფიცერს მიმართა:

— აგერ დაწექით ცეცხლთან. ყველანი მოთავსდებით. ჩვენ ზევით ავალთ ოთახში.

ჯარისკაცები დასთანხმდნენ. ქალები საწოლ ოთახში ავიდნენ. ჯარისკაცებმა კარი ჩაკეტეს ურდულით. ერთხანს ოთახში დადიოდნენ, შემდეგ მიყუჩნდნენ. პრუსიელები იატაკზე გაიშხლართნენ, ფეხები ცეცხლს მიუშვიერეს, თავქვეშ დაკეცილი მაზარები ამოიდვეს. მალე ხვრინვა ამოუშვეს სხვადასხვა ხმაზე: ზოგმა წვრილი წამოიწყო, ზოგმა — ბანი და ასე შესდგა ექვსი ხმისაგან ჰარმონია ძილისა.

ღრმა ძილში იყვნენ, როდესაც ზემო ოთახიდან სროლის ხმა მოისმა. ჯარისკაცები ზეზე წამოცვივდნენ. გაისმა კიდევ ორი გასროლა. მალე მესამეც მოჰყვა.

უცებ ზემო სართულის კარი გაიღო. იქიდან ბერტინა გამოვარდა პერანგის ამარა, სანთლით ხელში და ჯარისკაცებს ჩასძახა ცახცახით:

— ფრანგები არიან, არანაკლებ ორასი კაცისა. თუ შეგნიშნესთ, ცოცხალს არ გაგიშვებენ. ჩქარა ჩაირბინეთ სარდაფში. ნუ იხმაურებთ, თორემ დავიღუპებით.

დაბნეულმა უნტერ-ოფიცერმა წაილუღლუღა:

— კარგი, კარგი — გზა გვიჩვენეთ!

ახალგაზრდა ქალმა სწრაფად ახადა იატაკს და ექვსი ჯარისკაცი ვიწრო, ხრახნისებური კიბით დიდის ვაი-ვაგლახით ჩაუშვა სარდაფში. როგორც კი უკანასკნელი ჯარისკაცის ჩაჩქანი ჩაიმალა, ბერტინამ სწრაფად დახურა კიბის კარი და უზარმაზარი ბოქლომი დაადვა ზედ. მერე სიცილი, ყრუ, მაგრამ მხიარული სიცილი აუტყდა. ბერტინას გიჟური სურვილი დაებადა, უნდოდა ცეკვა ტყვე ჯარისკაცების თავზე.

ისინი ჩაკეტილი იყვნენ ბნელ სარდაფში, როგორც ქვის ჭურში, სადაც ჰაერი შედიოდა მხოლოდ ვიწრო, და ისიც რკინის ბადით დახლართულ სარკმლიდან. ბერტინამ ისევ გაიჩალა ცეცხლი, ისევ ჩამოჰკიდა კარდალი და წვენის გაცხელებას შეუდგა.

— მამა, ალბათ, დაღლილი მოვა.

სიჩუმეა. ისმის მხოლოდ კედლის საათის მონოტონური ტიკტიკი. დროდადრო ქალი საათს შეხედავს და მოთმინებიდან გამოდის:

— სად არის ამდენხანს?

მალე სარდაფიდან ყრუ ძახილი მოესმა. პრუსიელები უკვე მიმხვდარიყვნენ ქალის ეშმაკობას. უნტერ-ოფიცერი კიბეზე ამოსულიყო და იატაკის ლოდს უკაკუნებდა, თან ყვიროდა ხმაჩახლეჩილი:

— გააღე!

ბერტინა ადგა, ახლოს მივიდა და ოფიცერს ჩიქორთულად ჩასძახა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა გინდათ?

— გააღეთ!

— არ გავაღებ!

გერმანელი გაბრაზდა:

— გააღეთ, თორემ იატაკს ამოვამტვრევ.

ქალმა გადიკისკისა:

— ამოამტვრიე, გეთაყვა, ამოამტვრიე.

ოფიცერმა თოფის კონდახით ცემა დაუწყო კიბის სახურავს. მაგრამ ამაოდ, სახურავი მაგარი აღმოჩნდა.

ქალმა გაიგონა, როგორ ჩავიდა ოფიცერი ძირს ბურდღუნით. შემდეგ ჯარისკაცებმა დაიწყეს კიბეზე ამოსვლა, სინჯავდნენ თავიანთ ღონეს სახურავის ასაგლეჯად და როცა საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ ცდა ამაოა, ჩავიდნენ და თათბირი დაიწყეს.

ქალი ერთხანს ყურს უგდებდა მათ. შემდეგ ფანჯრის დარაბა გამოაღო. და ღამეს მიაყურა.

შორს სადღაც ძაღლი აყეფდა. ქალმა დაუსტვინა და ელვის უსწრაფესად ორი ბამბურა ძაღლი სიბნელიდან გამოვარდა. ქალმა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაიყვირა:

— მამა, აუ, მამა!

— აუ, ბერტინა! — მოესმა პასუხად.

— აუ, მამა! — კვლავ გამოეხმაურა ქალი.

— აუ, ბერტინა! — უფრო ახლოს მოისმა ძახილი.

— სარდაფის სარკმელთან ნუ გამოივლი. იქ პრუსიელები სხედან, — გააფრთხილა ქალმა.

უეცრად მარცხნივ, ორხეს შუა გამოჩნდა მამაკაცის მაღალი ლანდი.

— პრუსიელები სარდაფში? იქ რას აკეთებენ? — გაკვირვებით იკითხა მან.

ახალგაზრდა ქალს გაეცინა:

— ტყეში დაბნეულან. მე მათ სარდაფში მიუჩინე ადგილი... სიგრილეში.

და ბერტინამ მამას ყველაფერი უამბო, თუ როგორ დააშინა ისინი რევოლვერის გასროლით და ჩაკეტა სარდაფში.

მამა, კვლავ შეშფოთებული, ეკითხება:

— ეხლა, შენის აზრით, რა უნდა ვუყო მაგათ მე?

ქალმა უპასუხა:

— წადი, მოიყვანე ბ-ნი ლიავინი თავისი რაზმითურთ. ის მათ ტყვედ წაიყვანს. კმაყოფილიც დარჩება.

აქ ბიძია პიშონსაც ჩაეცინა გუნებაში.

— მართალია. კმაყოფილი დარჩება.

ქალმა განაგრძო:

— წვენი მზადაა, შესჭამ და წახვალ.

ტყის მცველი მაგიდას მიუჯდა და ჭამას შეუდგა. ორი ღრმა ჯამი წვნით გავსებული, ძაღლებსაც დაუდგა იატაკზე.

ლაპარაკის გაგონებაზე პრუსიელები მიჩუმდნენ. თუთხმეტი წუთის შემდეგ ხეტიალა კვლავ გაუდგა გზას. ბერტინა კი მაგიდაზე იდაყვ-დაყრდნობილი უცდიდა.

ტყვეები ისევ აღელდნენ. ყვიროდნენ, კარის გაღებას მოითხოვდნენ და კონდახების გააფთრებული ცემით ებრძოდნენ სარდაფის ურყევ სახურავს.

შემდეგ მათ სარდაფის სარკმლიდან სროლა ასტეხეს, იქნებ ტყეში შემთხვევით გამვლელმა გერმანელმა რაზმმა გაიგონოსო.

ტყის მცველის ქალი თავსაც არ იწუხებდა. მხოლოდ ნერვებს ეძლოდა ეს განუწყვეტელი ხმაური. ბრაზი და გულისწყრომა იპყრობდა მას.

მზად იყო სათითაოდ ამოეხოცა არამზადები.

ხშირხშირად აცქერდებოდა საათს და ნერვიულად ითვლიდა წუთებს.

— ნახევარი საათია, რაც მამა წავიდა. უკვე ჩასული იქნება ქალაქში. ქალმა წარმოიდგინა: აი მამა შევიდა ბ-ნ ლიავინის კაბინეტში, ყველაფერი გადასცა. ლიავინს ფერი ეცვალა შეტის-მეტი აღელვებისაგან. იგი მოსამსახურე ქალს ეძახის და ამ უკანასკნელს შეაქვს მუნდირი და თოფ-საჭურველი. ისმის დაფდაფის ხმა. ფანჯრებში შეშინებული თავები გამოჩნდებიან. ქალაქის მოლაშქრენი გამორბიან სახლებიდან ნახევრად ჩაცმულნი, გზადაგზა იკრავენ ქამრებს და მიეშურებიან კომენდანტის სახლისაკენ. შემდეგ მთელი რაზმი, ხეტიალას მეთაურობით, თოვლში მოდის აველინის ტყისაკენ...

ქალმა ერთხელ კიდევ დახედა საათს.

— ერთ საათში შეიძლება აქ გაჩნდნენ.

მოუთმენელი ნერვიული აღელვება იპყრობდა მას. წუთი საუკუნედ ეჩვენებოდა. რა ნელა გადის დრო! ბოლოს საათის ისარმა დანიშნულ ვადას მიაღწია. ქალმა კვლავ გააღო ოთახის კარი, რომ მისულთ შეგებებოდა. მან რაღაც შენიშნა; ლანდი მისკენ მიდიოდა ფრთხილად. ქალს შეეშინდა და იკივლა. მამის ლანდი იყო:

— მე წინ გამომგზავნეს, გავიგო, ხომ არაფერი ცვლილება მომხდარა.

— არაფერი.

მაშინ პიშონმა გრძელი, გამგმირავი სტვენით დაარღვია ღამის სამარისებური სიჩუმე. და მალე ტყიდან გამოჩნდა შავი მასა. ეს იყო ათი კაცისაგან შემდგარი ავანგარდი.

ხეტიალა — აფრთხილებდა მათ:

— არ გაიაროთ სარდაფის სარკმლის წინ!

ბოლოს გამოჩნდა მთავარი რაზმი, ორასი კაცისაგან შემდგარი. ყველა მათგანს ორას-ორასი ვაზნა ჰქონდა.

ბ-მა ლიავინმა, მოუთმენლობისაგან მთლად აცახცახებულმა, ბრძანება გასცა, ალყა შემოერტყათ სახლისათვის და თავისუფლად დაეტოვებინათ ის ადგილი, სადაც სარდაფის ვიწრო სარკმელი გამოდიოდა.

შემდეგ ბ-ნი ლიავინი ოთახში შევიდა რომ გაეგო მტრის შესაძლებლობა და გაეცნო ადგილი; მან ქუსლი დაჰკრა კიბის სახურავს:

— ბ-ნო პრუსიის ოფიცერო!

გერმანელმა პასუხი არ გასცა.

— ბ-ნო პრუსიის ოფიცერო! — განუმეორა კომენდანტმა.

მაგრამ ამაოდ. ოცი წუთის განმავლობაში ბ-ნი ლიავინი არწმუნებდა პრუსიელ ოფიცერს—დანებებოდა თავისი იარაღით. სამაგიეროდ მას და მის ჯარისკაცებს სიცოცხლის შენარჩუნებას და სამხედრო პატივს ჰპირდებოდა. მიუხედავად ყველა ამისა, მან ვერავითარი პასუხი ვერ მიიღო ან თანხმობის ან სამტრო მოქმედების შესახებ. მძიმე მდგომარეობა შეიქმნა.

სახალხო მოლაშქრენი ამასობაში თოვლს სტკეპნიდნენ და პირის ორთქლით თითებს ითბობდნენ. თან სარდაფის სარკმლისაკენ იხედებოდნენ, ბავშვურად ერთმანეთს აქეზებდნენ—აბა თუ გაბედავ და სარკმლის წინ გაივლიო.

ბოლოს ერთმა მათგანმა, ძალზე ცოცხალმა ჭაბუკმა, სახელად ბორდენენმა, გაბედა. მოსხლტა ადგილს და ირმის სისწრაფით სარკმელს ჩაუქროლა. ტყვეები თითქოს გამქრალიყვნენ. გაისმა ხმა: შიგ არავინ არისო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე მოლაშქრემაც უვნებლად ჩაუარა სახიფათო ხვრელს. ეს ალბერ ჯიში სხვებმაც გაიმეორეს. ზოგი, გასწრებაზე მოთამაშე ბავშვივით თავგადაგლეჯილი გაირბენდა ხოლმე ერთი მწყობრიდან მეორემდე და ფეხებით თოვლის გუნდებს ისროდა.

ბოლოს ფირჩხებისაგან დიდი ცეცხლი გააჩაღეს და გარს შემოეხვივნენ.

ვიღაცამ დაიძახა:

— შენი ჯერია, მალუაზონ!

მალუაზონი იყო ვეება, ჩასუქებული მეფუნთუშე, მისი მუცელი ამხანაგების განუწყვეტელ სიცილს იწვევდა.

იგი მერყეობდა. ამხანაგებმა სასაცილოდ აიგდეს. ბოლოს მალუაზონმა გამბედაობა მოიკრიბა და ფრთხილი ძუნძულით ხვრელისაკენ გასწია. მას მთელი სხეული უქოთქოთებდა. მელაშქრენი სიცილით სკდებოდნენ. ისმოდა გამამხნევებელი ძახილი:

— ყოჩაღ, მალუაზონ, ყოჩაღ!

ის იყო გზის მესამედი გაიარა, რომ უეცრად სარდაფის ხვრელიდან ცეცხლმა იფეთქა. გაისმა გრგვინვა და ვეება მეფუნთუშე საშინელი ღრიალით პირქვე ჩაეფლო თოვლში.

ვერავინ გაბედა მასთან მისვლა. მაშინ თვითონ მან კვნესით და ფორთხვით განვლო მოკლე მანძილი სახიფათო ადგილიდან და გრძნობა დაკარგა.

ტყვია ბარძაყის რბილში მოხვედროდა.

ამ დროს კარის ზღურბლთან კომენდანტი ლიავინი გამოჩნდა. მას უკვე გამოემუშავებინა შეტევის გეგმა. აკანკალებული ხმით ბრძანა:

— მკალავი პლანშიუ და მისი მუშები გამოვიდნენ წინ!

სამი კაცი გამოვიდა.

— ახსენით სახურავს წყალსადენი მილები!

არ გასულა საათის მეოთხედი, რომ ოცი მეტრის სიგრძის მილი უკვე მოხსნილი იყო.

მაშინ კომენდანტმა ბრძანა, ფრთხილად გაეხვრიტათ სარდაფის კედელი, მიედგათ ზედ წყალსადენის ღარი, ტუმბოთი ამოექაჩათ ჭიდან წყალი და სარდაფში ჩაეშვათ.

როცა ყველაფერი მოთავდა, კმაყოფილმა განაცხადა:

— ეხლა წყლით გავუმასპინძლდებით ბატონ გერმანელებს.

გაისმა აღტაცებული „ურა“, შემდეგ მას მოჰყვა მხიარული ღრიალი და ხორხოცი.

კომენდანტმა ტუმბოსთან მუშათა რაზმი დააყენა და უბრძანა ამოექაჩათ წყალი.

მუშებმა იწყეს რიგ-რიგად ჭიდან წყლის ამოქაჩვა. წყალი თქრიალით წავიდა ღარი-ღარ სარდაფისაკენ.

ყველა სეირის მოლოდინში იყო. დიდი ხანი გავიდა.. ერთი საათი, ორი, სამი... სარდაფში ჩოჩქოლი გაისმა. ბოლოს, დილის რვა საათზე, ხვრელიდან ძახილი მოისმა:

— მსურს მოველაპარაკო ბატონ ფრანგ ოფიცერს.

ლიავინმა შორიდან დაუძახა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გვნებდებით თუ არა?

— დიაღ.

— თუ აგრეა ხვრელიდან თოფები გადმოგვეცით!

და მაშინვე ხვრელიდან თოფები გადმოცვივდა.

— მეტი არა გვაქვს... ჩქარა, თორემ ვიხრჩობით — გაისმა გერმანელი უნტერ-ოფიცრის მიმქრალი ხმა.

— შეაჩერეთ! — ბრძანა კომენდანტმა.

წყლის დენა შესწყდა.

ოთახი შეიარაღებული მოლაშქრეებით გაივსო. კომენდანტმა კიბის სახურავი ასწია და სარდაფიდან რიგ-რიგად ამოვიდნენ წყლით გაწუმპულნი გერმანელები; ისინი შიშისაგან ცახცახებდნენ.

ექვსივე შეჰკრეს. შემდეგ, უეცარი თავდასხმის თავიდან ასაცილებლად, რაზმი ორად გაყოფილი დაიძრა: ერთი ტყვეებს მიჰყვებოდა, მეორე კი ახლდა მალუაზონს, რომელიც საკაცით მიჰქონდათ.

ისინი დიდის ზეიმით შევიდნენ რეტელში.

ბ-ნ ლიავინს პრუსიელების ავანგარდის ტყვედ ჩაგდებისათვის ორდენი უბოძეს, ჩასუქებული მეფუნთუშე კი მტერთან ბრძოლაში მიღებულ ჭრილობისათვის სამხედრო მედალით დააჯილდოვეს.

ექვსი ნელი გორკის გარდაცვალებიდან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერ. ასტვაცატუროვი

დიდი მებრძოლი პატრიოტი

„... თუ იფეთქებს ომი, მეც წავალ რიგით მებრძოლად... იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირის უდიდესი სამართლიანი საქმე — ჩემი კანონიერი საქმეა“...

მაქსიმ გორკი.

I.

დიდმა პროლეტარულმა მწერალმა მაქსიმ გორკიმ ცხოვრებისა და შემოქმედების უაღრესად თავისებური გზა გაიარა. ცარიზმის შავ-ბნელი რეჟიმის სუსხიან პირობებში, ბნელსა და მიყრუებულ ქოხში დაიბადა იგი. ცხოვრებამ ვერაგი დედინაცვლობა გაუწია. საშინელი ბედისანაბარად დარჩენილი ბავშვი იძულებული გახდა დამოუკიდებლად გაეკაფა გზა. მიდიოდა იგი შეუცნობლად, უგზოუკვლოდ, ცხოვრების ხევებსა და ყრუ, დაბრკოლებებით სავსე მიმართულებებით... მაგრამ, ახალგაზრდა არწივს რთული ცხოვრების პირობებში ფრთები ადრევე გაუმაგრდა. წინააღმდეგობათა სიმრავლემ, გაჭირვებულმა ცხოვრებამ და დაღუპვის შიშის გრძნობამ გორკში გამოიმუშავა მაგარი ნებისყოფა, დაბრკოლებათა გადალახვის უნარი, შრომისადმი სიყვარული და დაუცხრომელი მისწრაფება უკეთესისაკენ.

ლტოლვა წინ — უკეთესისაკენ, გახდა ახალგაზრდა გორკის ინსტიქტიური მოთხოვნილება, მისი ცხოვრების მიზანი.

მეფის რუსეთში მაქსიმ გორკის დაკეტილი ჰქონდა საპარადო შესავლის კარები, მუდმივი „სტუმარი“ იყო იგი ბნელი და ბინძური სარდაფებისა, სადაც შრომის მოყვარე რუსი ხალხი თავის მძიმე ცხოვრებას ატარებდა. აქ, ამ „სარდაფებში“ დაუკავშირდა გორკი თავიდანვე ხალხის ნამდვილ წარმომადგენლებს, ადამიანებს, რომლებშიც აღმოაჩინა მან თავისი შემოქმედების **მთავარი გმირი, თავისი შემოქმედებითი წვის** მუდმივი საგანი.

მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე, — ამბობს გორკი, — მე ვხედავდი ნამდვილ გმირებს მხოლოდ ისეთ ადამიანებში, რომელთაც უყვარდათ და შეეძლოთ შრომა, რომელნიც **მიზნად** ისახავდნენ პიროვნების ყველა ძალის განთავისუფლებას შემოქმედებისათვის, ჩვენი დედამიწის გალამაზებისა და ღირსეული ცხოვრების შექმნისათვის.

სარდაფებიდან და ბნელი ქოხებიდან ხელისგულივით მოსჩანდა რევოლუციამდელი რუსეთის სინამდვილე. აქ იგრძნო გორკიმ პირველად, თუ რა მძიმე და საშინელი იყო რუსი ხალხის ხვედრი თვით რუსეთში, როგორ დამცირებას განიცდიდა ადამიანი ბურჟუაზიულ-ფეოდალური ხელისუფლებისაგან, თვითმპყრობელობისაგან, რანაირად იყო შერყვნილი სამშობლოს ჭეშმარიტი გაგება და სიყვარული. აქვე გამოიმუშავა მან ადამიანის ძალისადმი, რუსი ხალხისადმი რწმენა და მივიდა სოციალისტური რევოლუციის აუცილებლობის შეგნებამდე კაცობრიობის გადარჩენისათვის.

სამართლიანად ამბობდა მოლოტოვი: „ჩვენი ქვეყნის, და არც სხვა ქვეყნის არცერთი მსხვილი მწერალი არ იცნობდა ასე ახლო ხალხის „ქვედა ფენების“ ცხოვრებას კაპიტალიზმის დროს, არც ერთ მათგანს არ განუცდია თავის თავზე იმდენი სისასტიკე და სისაზიზღრე ბატონ ექსპლოატატორთა მხრივ, არც ერთ მათგანს საკუთარი თვალით არც კი უნახავს მონური შრომით იმდენი განაწამები და კაპიტალის ჩაგვრით დაბეჩავებული, როგორც ჩვენს გორკის, რომელშიც ყოველივე ამან გამოსჭედა კაპიტალისტური წყობილებისადმი შეურიგებლობა და რევოლუციური სიძულვილი და კომუნიზმის გამათავისუფლებელი ძალის ურყევი რწმენა“.

II

„ადამიანი—აი სიმართლე“.—ასე წააწერა მაქსიმ გორკიმ თავის შემოქმედების დროშას. ადამიანი იყო ის „ფოკუსი“, რომელშიაც იფარებოდა მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატის მთელი შემოქმედებითი საიდუმლოება. მის კალმის ქვეშ სიტყვა „ადამიანი“ ამაყად ელერდა. მწერალი თავისუფალ ადამიანში ხედავდა ცხოვრების გრანდიოზულ შემომქმედ ძალას. ამიტომ შეუპოვრად იბრძოდა იგი ადამიანის თავისუფლებისათვის; მან, როგორც არავინ მსოფლიო ლიტერატურაში, გვიჩვენა ადამიანის გულმართალი სიყვარული, სიყვარული ჭეშმარიტი საკაცობრიო სულისა, რომელიც შარავანდათ ადგია თავს ისტორიის მთელ საუკეთესო კულტურულ მონაპოვარს. მაშინ, როცა მეფის რუსეთში ადამიანი უაღრესად დამცირებული იყო, მხოლოდ გორკის შეეძლო ხმამაღლა ეთქვა: „სიხარული ადამიანის გამო ეს უდიდესი სიხარულია დედამიწაზეო“. მაგრამ, მგზნებარე სიყვარულით აღსავსე ამ უზარმაზარმა გულმა იცოდა აგრეთვე არაჩვეულებრივად დიდი სიძულვილი. მას სძულდა ადამიანისა და თავისუფლების მტრები, იგი თავგანწირულებამდე მისული პირდაპირობითა და შეუპოვრობით ებრძოდა ველურობასა და ბარბაროსობას, ადამიანის მიერ ადამიანის ყვლეფასა და ჩაგვრას. გორკი ასწავლიდა რუს ხალხს, რომ „სიძულვილის გარეშე არ არსებობს გულწრფელი სიყვარული!“, თუ გულწრფელად გიყვარს ადამიანი, უნდა გძულდეს ის, ვინც ადამიანს სჩაგრავს, ვინც მის თავისუფლებას ემუქრება.

მაქსიმ გორკისათვის ადამიანი ყველაფერია. მაგრამ ადამიანი მას განყენებულად არ ესმის. ადამიანთან იგი აკავშირებს შ რ ო მ ა ს, თვით ადამიანს კი — სამშობლოსთან. მაშასადამე, გორკისათვის მთავარი იყო მხოლოდ მშრომელი ადამიანი, მშრომელი ხალხი, რომელიც წარმოადგენს სამშობლოს საფუძველს. უფრო მეტიც, — გორკისათვის სამშობლო, — ეს იყო ხალხი.

ადამიანისა, შრომისა და სამშობლოს თავისუფლებას გორკი განიხილავდა როგორც ერთ მთლიან მოვლენას. თუ შრომა არ ფასობს, თუ მახინჯდება მისი მაღალი საკაცობრიო არსება, ამბობდა იგი, მაშინ არ ფასდება ადამიანიც, და იმ ქვეყანაში სადაც ადამიანი არ ფასდება — უაზრობა იქნება ხალხის თავისუფლებაზე ლაპარაკი. მაქსიმ გორკის სძულდა მეფის რუსეთი, სწორედ იმიტომ, რომ იქ „ადამიანი არავის ესაჭიროებოდა". მისი გმირები გულისტკივილით ამბობდნენ: „ადამიანი იაფია ჩვენთან, რუსეთში".

მაქსიმ გორკის სძულდა მეფის რუსეთი, რომელიც იყო ყველაზე ბარბაროსული და რეაქციონური თავისი რეჟიმით ევროპაში, მაგრამ მას უყვარდა რუსი ხალხი, მისი წარსული. გორკის სწამდა, რომ რუსი ხალხი არ მოკვდება, რომ მასში ცოცხლობს შინაგანი შემოქმედებითი ენერგია, რომელიც მას მსოფლიოში მოწინავე პოზიციებზე გამოიყვანს. „რუსი ადამიანი... ამბობდა იგი, ჯანსაღი და ახალგაზრდაა". ახალგაზრდა გორკის სჯეროდა რომ ძველი რუსეთის ყოფის ჩამორჩენილობა და ველურობა დამარცხდებოდა და მის ადგილს დაიჭერდა კულტურა. 1905 წლის რევოლუციის დამარცხების წლებში, როცა რეაქცია თავის გამარჯვებას ზეიმობდა, გორკის გმირები ამაყად აცხადებდნენ: „რუსეთი იქნება ყველაზე დემოკრატიული მსოფლიოში".

მაქსიმ გორკიმ შესანიშნავად იცოდა რუსეთისა და რუსი ხალხის თავისებურება. ის იყო გამომხატველი და განსახიერება ამ თავისებურებისა. არც ერთ მწერალს არ დაუხატია რუსეთი თავისი მრავალფეროვანებით ისე ცოცხლად, როგორც დაგვიხატა ის გორკიმ. გ ო რ კ ი — ე ს ა რ ი ს უ ზ ა რ მ ა ზ ა რ ი რ უ ს ე თ ი თ ა ვ ი ს ც ო ც ხ ა ლ ი ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ი თ, დ ი დ ი შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი პ ო ტ ე ნ ც ი ი თ ა დ ა პ ე რ ს პ ე ქ ტ ი ვ ე ბ ი თ.

სამართლიანად ამბობს ფეიხტვანგერი:

„კითხულობთ გორკის და წარმოგიდგებათ რუსეთი; არა ცალკეული, არამედ უდიდესი ერთობლიობა რუსი ადამიანებისა; თითოეულს აქვს თავისი განსაკუთრებული სახე, მაგრამ ერთად იძლევა მასის სახეს". „მე არ ვიცი,— დასძენს იქვე ფეიხტვანგერი, — მეორე მწერალი მსოფლიოში, რომელიც ასე სრულყოფილად გამოხატავდეს ხალხს".

ეს გასაგებია. გორკი ერთადერთი მწერალი იყო რევოლუციამდელ მსოფლიოში, რომელმაც ნათელი გარკვეულობა და კონკრეტულობა შეიტანა სამშობლოს გაგებაში. ხალხი გორკისათვის იგივე იყო, რაც ძველი პატრიოტი პოეტისათვის აბსტრაქტული სამშობლო. ამიტომ დიდი რუსი ხალხის ცხოვრება და მისი შრომითი პოტენცია წარმოადგენდა გორკის შემოქმედების დაუშრეტელ თემას. მან პირველმა გამოხატა მხატვრულ ლიტერატურაში ამ ხალხის მიერ ახალი ცხოვრების შექმნის უნარი და პირველმა გამოსთქვა ნათელი აზრი იმის შესახებ, რომ ყველაფერი რაც არსებობს ხალხის მიერ არის შექმნილი. ხალხი ყველაფერია, იგი ჰქმნის ერის მატერიალურ და ინტელექტუალურ სიმდიდრეს; ამ იდეების მხატვრულ ილუსტრაციას ვხვდებით მწერლის ყველა ადრინდელ ნაწარმოებში.

მისი ერთერთი ნაწარმოების გმირი ამბობს:

„რა იცი შენ ხალხის შესახებ? შენ... ისტორია იცი? შენ, აი, დაუკვირდი ცხოვრებას... მაშინ, შეიძლება, შენდა საბედნიეროდ, გაიგო ვინ სდგას შენს წინ, როგორი ძალა იზრდება შენს გარშემო... იცი შენ რა არის რუსეთი?.. იცი ვისი ნებითა და სულით შენდება ყველა სახელმწიფო? ვის ძვლებზეა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალმართული ტაძრები? ვისი ენით ლაპარაკობს ყველა ბრძენი? ყველაფერი რაც არსებობს დედამიწაზე და შენს მეხსიერებაში, ხალხისაგან არის შექმნილი...“

გორკის მეორე ნაწარმოებში მოხუცი გლეხი ამბობს:

„რუსი ხალხი არ გაჰქრება... შენ ხალხი იცი — როგორია ის? ის — უდიდესია... რამდენი სოფელია დედამიწაზე? მთელი ხალხი იქ ცხოვრობს — ნამდვილი, დიდი ხალხი“.

ამ სიტყვებს ეხმაურება მესამე ნაწარმოების გმირიც:

„კარგია დედამიწაზე რუსი ხალხი!.. კეთილი, ნიჭიერი ხალხი!“

ამ მგრძნობიარე სიტყვებში ჩაქსოვილია მწერლის უსაზღვრო სიყვარული თავისი ხალხისადმი, თავისი სამშობლოსადმი. გორკი ყოველთვის ამაყობდა იმით, რომ ის დიდი რუსი ხალხის შვილი იყო. იგი იწვოდა ამ ხალხის ბედნიერებისათვის. გორკის გარდუვალად სწამდა, რომ რუს ხალხს შეეძლო მოეწყო ცხოვრება ჩაგვრის, უსამართლობის, ჭუჭყის, სიცრუის, ფარისევლობისა და ველური ეგოიზმის გარეშე. რუსი ხალხის ყოველი ტკივილი, ყოველი განცდა მწერლის სულთან იყო დაკავშირებული, მის გულისცემასთან იყო შეერთებული. ამიტომ ამბობდა იგი: „მე ვლაპარაკობ... როგორც ადამიანი, რომლისათვისაც ბედნიერება და სიხარული მშობლიური ხალხისა — საკუთარი ბედნიერება და სიხარულია“.

III

მაქსიმ გორკიმ, როგორც უკვე ვსთქვით, ისეთივე ძლიერი სიძულვილი იცოდა, როგორიც იცოდა მან სიყვარული. შეუპოვარი იყო იგი ხალხის, სამშობლოს ყველა ჯურის მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. გორკი რევოლუციონერის შეურიგებლობით ამხელდა ყოველგვარ სისაძაგლეს, საიდანაც და ვისგანაც არ უნდა წარმომდგარიყო ის. გორკიმ თავისი ეპოქის მწერლებიდან პირველმა ჩასცა სასიკვდილოდ ლახვარი რუსეთის თვითმპყრობელობას და გამოიყვანა მკითხველი მასთან, როგორც უსაზიზღრეს ბოროტებასთან შეურიგებლობის გზაზე. მან გაბედულად გადააფასა ბურჟუაზიული ჰუმანიზმის გატკეპნილი გზა, დასცინა დოსტოევსკის მოთმინების ფილოსოფიას (!), რომელსაც მაშინ დიდი გავლენა ჰქონდა ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენციაში, და ბრძოლა ახალი ტიპის — პროლეტარული ჰუმანიზმის წყაროდ გამოაცხადა. მაქსიმ გორკის არ შეეძლო დოსტოევსკის მსგავსად ეთქვა „ცხოვრება ამ სამყაროში—საშინელია“, მაგრამ, „უნდა შეურიგდეო“. გორკი ახალი, აღმავალი კლასის წარმომადგენელი იყო, მასში ძლიერი იყო ცხოვრების დაუფლების სურვილი, რწმენა ბნელ ძალებზე გამარჯვების გარდაუვალობისა. იგი გაბედულად ეუბნებოდა მშრომელ მასებს: თვითმპყრობელობა, ფეოდალურ-ბურჟუაზიული წყობილება საშინელებაა, ეს საშინელება უნდა დაიმსხვრეს, ის უნდა დაიმსხვრეს ადამიანთა გაერთიანებული ძალით, თავგანწირული აქტიური წინააღმდეგობით, „ნუ გენანებათ თავი“, როცა თქვენს მიერ გაღებულ მსხვერპლს შეუძლიან მოუტანოს ბედნიერება სამშობლოსა და თაობებს. „გაუმარჯოს სულით ძლიერ, ვაჟკაცურ ადამიანებს“. „ნუ გენანებათ თავი, — ამბობდა გორკი, — ეს არის ყველაზე

საამაყო, ყველაზე ლამაზი სიბრძნე დედამიწაზე". ამასვე გვასწავლიან მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები: სიკვდილის არარად ჩაგდება ბრძოლაში, ამბობს ლენინი, გამარჯვების თავდებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაქსიმ გორკი შემოქმედებითა და საქმით ყოველთვის ხალხის მხარეზე იყო. ყოველ მოვლენას იგი დროულად ეხმაურებოდა. განსაკუთრებული აქტიური შემოქმედებითი ცხოვრებით ცხოვრობდა გორკი ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. რევოლუციამ გაანთავისუფლა ადამიანი, არარაობიდან ის უძვირფასეს კაპიტალად აქცია. ამ რევოლუციაში დაინახა მწერალმა აგრეთვე ყველა თავისი ადრინდელი ოცნების განხორციელება, საბჭოთა სინამდვილეში დაინახა მან რუსი და მოძმე ხალხთა თავისუფალი კავშირი, „მეგობრული შრომა ქვეყნის ყველა ძალისა", შრომის სრული განთავისუფლება და დაფასება. ამიერიდან შთაენერგა მას ღრმა რწმენა, რომ „რუსი ხალხი იცხოვრებდა ზღაპრულ-გმირული ცხოვრებით".

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, კიდევ უფრო გაფართოვდა გორკის მოღვაწეობის რეზონანსი. მისი ხმა მსოფლიოს ყველა კუთხეს სწვდებოდა. გორკი გამოდიოდა, როგორც აქტიური მებრძოლი საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის, იგი მსოფლიო ინტელიგენციიდან ზრდიდა საბჭოთა კავშირის მეგობართა ახალ-ახალ კადრებს. გორკი ჰფლობდა თავისი ეპოქის ხმას. როცა მსოფლიოს ამა თუ იმ მხარეში შავი ღრუბლები ჩამოწვებოდა და ადამიანისა და დემოკრატიის ინტერესებს საშიშროება ემუქრებოდა, გორკი პირველი გამოდიოდა ბრძოლის ველზე, მჭექარედ გაისმოდა მისი ამაყი ხმა ადამიანის თავისუფლებისა და კულტურის დასაცავად. დიდი მწერლის ამ ხმას სიამოვნებით უსმენდნენ და თანაუგრძნობდნენ პროგრესიული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები.

მაქსიმ გორკი განსაკუთრებული აღშფოთებით დაესხა თავს ხალხის მტრებს — ტროცკისტ-ბუხარინელებს, რომლებმაც გაჰყიდეს სამშობლოს ინტერესები და ღალატითა და გამცემლობით განიზრახეს წარსულის უკუღმართი დროის დაბრუნება. დიდმა მწერალმა მოუხმო ხალხს ამ საზიზღარი არამზადების სრული განადგურებისაკენ და მათთან ბრძოლაში წამოაყენა მგზნებარე ლოზუნგი: „მტერი როცა არ გნებდება — უნდა გაანადგურო". ეს ლოზუნგი დღესაც ცოცხლობს და წინ მიუძღვის ის საბჭოთა ხალხს სამართლიან ბრძოლაში გერმანელ ფაშისტ დამპყრობელთა წინააღმდეგ.

განსაკუთრებით სძულდა მაქსიმ გორკის ფაშიზმი. იგი ფაშიზმის შეურიგებელი მტერი იყო და სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე ვაჟკაცურად ებრძოდა მას. გორკიმ თავის წერილებში სავსებით გააშიშვლა ფაშიზმის მთელი რაობა: „ფაშიზმი, — ამბობდა გორკი, — არის ლპობისა და დაცემის ახალი, სამარცხვინო პროდუქტი, კიბოს სიმსივნე, რომელიც უნდა ამოსჭრა ისე, რომ არაფერი დარჩეს".

ომამდე რამდენიმე წლით ადრე მაქსიმ გორკიმ შესანიშნავად გამოააშკარავა ფაშისტთა მისწრაფება ომისაკენ, მათი ველური მიზნები — მოსპონ სლავი ხალხები და თავიანთ მუდმივ მონებად აქციონ საბჭოთა თავისუფალი ადამიანები:

„ფაშისტებს არ შეუძლიათ ცხოვრება ისე, თუ არ მოაწყეს მასიური ჟლეტა ხალხებისა, ისინი მუშათა მასების პროფესიული მკვლელები არიან.

ცნობილია, რომ ჩვენ, საბჭოთა სოციალისტური კავშირის ადამიანები ხელ-ვუშლით მსოფლიო მტაცებელთა და მკვლელთა ჯგუფს იცხოვრონ და რომ მათ ძალიან უნდათ ნაწილობრივ მოგვსპონ, ნაწილობრივ მონებად გადაგვაქ-ციონ".

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ფაშისტები დღეს ებრაელებს არბევენ, წინასწარმეტყველურად ამბობ-და გორკი, ხვალ უარს არ იტყვიან დაარბიონ რუსი და სხვა სლავი ხალხე-ბი, დაივიწყებენ რა იმას, თუ რამდენი შესანიშნავი ნიჭის ადამიანი მისცეს გერმანულ კულტურას პოლონელებმა, ჩეხებმა და სხვა.

გორკი დასცინოდა ფაშისტთა რასიულ თეორიას, მას უწოდებდა „მათხოვ-რულ სიბილწეს":

„იტალიის ფაშიზმი ომობს რომის ბატონობისათვის მთელ ქვეყანაზე. ჰიტლერი ქადაგებს, რომ ფაშიზმი აამაღლებს გერმანიის ხალხს მთელს კა-ცობრიობაზე... არ მოიპოვება სიტყვები იმის გამოსახატავად, თუ სადამდის მიდის ეს მათხოვრული სიბილწე, თუ როგორ უაზროა და საზიზღარი იგი".

ფაშისტთა ხროვას გორკი ბოროტმოქმედთა ბრბოს უწოდებდა. არ არის ბოროტმოქმედება, ამბობდა იგი, რომლის ჩადენა მათ არ შეეძლოთ, არ არსებობს იმდენი სისხლი, რომლის დაქცევისაც შეეშინდებოდათ. ამიტომ, ეს სისხლის მსმელი მხეცი უნდა მოისპოს: „საქმე, რასაკვირველია, იმაში კი არ არის, რომ დაარწმუნო მხეცი მოიქცეს კეთილად ადამიანის მიმართ, რო-მელიც ჩავარდნია მას ტორებში, არამედ იმაში, რომ მხეცს მოვწყვიტოთ ტორები თავთან ერთად". გორკი ჩვენგან წავიდა იმ რწმენით, რომ ეს მხეცი მოსპობილ იქნება. იგი სწერდა: „საშინელია როცა აღვირახსნილი ცხოველი ძალადობს და ანადგურებს ადამიანს", მაგრამ „აღვირახსნილი მხეცი ბოლოს და ბოლოს მოსპობილ იქნება".

გერმანიის ფაშიზმი არის ნაირსახეობა მეფის რუსეთის თვითმპყრობელუ-რი რეაქციისა. „ჰიტლერული რეჟიმი ის პირწავარდნილი რეაქციული რე-ჟიმია, ამბობს ამხ. სტალინი, რომელიც ცარიზმის დროს არსებობდა რუსეთში". და გორკის სიტყვები, რომლითაც იგი ახასიათებდა მეფის რუსე-თის მხეცურ მოქმედებას, პირდაპირ სახეში ურტყამს თანამედროვე ფა-შიზმს:

„დაუჯელობით გათახსირებულ ადამიანთათვის დამახასიათებელი ცინიზ-მით, იმ პირუტყვის მკაცრი გულახდილობით, რომელიც გრძნობს თავის ძა-ლას, ისინი ყოველგვარ ღონისძიებას მიმართავდნენ, რომ ჩაეკლათ ხალხის შემოქმედებითი სული. მაგრამ ისინი, ეს საცოდავი ადამიანები, რომელნიც თავისთავს... ქვეყნის ბატონპატრონად სთვლიან — უვიცნი და გონება-ჩლუნგი არიან; მათ არ ესმით, რომ ხალხის გადაქცევა ბრმა, მექანიკურ ძა-ლად შეუძლებელია ისევე, როგორც შეუძლებელია გადავამუშაოთ თიხის გროვად კავკასიის კლდოვანი მთები"...

„პარაზიტები გრძნობენ, რომ იწყება მათი აგონია და ახლოვდება მათი აღსასრულის ჟამი, მაგრამ მათ სიცოცხლე უნდათ და იბრძვიან შეძლები-სამებრ ხალხის ნებასურვილის წინააღმდეგ, იბრძვიან უსინდისოდ, მხდალად და სამარცხვინოდ. ცხოვრების ფსკერიდან მათ ამოატივტივეს ყოველივე ბნელი და ბინძური, ყველაფერი, რაც დასახიჩრებულია მათი ჩაგვრით ადა-მიანური სახის დაკარგვამდე, ყველა ანგარებიანი, გამყიდველი, საზიზღარი; და ამ მტაცებელთა და პირუტყვთა გონებაჩლუნგ მასას ისინი უსევენ ქვეყ-

ნის საუკეთესო ადამიანებს, რომ გასრისონ ისინი და კიდევ ერთი წლით შეინარჩუნონ ხელისუფლება თავიანთ უძლურ ხელში“.

ასეთია მიხაილოვერ ყაჩაღთა უკანასკნელი გაბრძოლება ძალი ადგენის ყამს. ამ ბრძოლაში ფაშიზმი დაეცემა. იგი განწირულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორკი, რომელიც პირველი მსხვერპლი შეიქნა ფაშიზმთან ბრძოლისა, საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში აქტიურ მონაწილეობას იღებს.

დიად სამამულო ომის დღეებში მისი პატრიოტული სიტყვები ჩირაღდნად ანთია ყოველ საბჭოთა მეომრის გულში, მისი ხმა კვლავ გაისმის კიდითკიდემდე, ამხედრებს და რაზმავს მასებს ფაშიზმის წინააღმდეგ. გორკი კვლავ რჩება მსოფლიო პროგრესიული ინტელიგენციის დროშად ველურობასთან ბრძოლაში, ადამიანის თავისუფლებისა და ჰუმარიტი დემოკრატიისათვის ბრძოლაში. თავისი უკვდავი მხატვრული ნაწარმოებითა და პუბლიცისტური წერილებით კვლავ ანთებს ის მილიონ ადამიანთა გულებს სოციალისტური სამშობლოს სიყვარულით.

მაქსიმ გორკი ცოცხლობს და იცოცხლებს საბჭოთა ხალხთან ერთად.

სამამულო ომის ერთი წლის პოლიტიკური და სამხედრო შედეგები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წელიწადი გავიდა, რაც საბჭოთა კავშირის ხალხები სამამულო განმათავისუფლებელ ომს ეწევიან ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ, რომელიც ვერაგულად დაესხა თავს სსრ კავშირს 1941 წლის 22 ივნისს. როგორია ომის ერთი წლის პოლიტიკური და სამხედრო შედეგები?

ჰიტლერელი მესვეურნი რომ ჩვენს ქვეყანაზე ყაჩაღურ თავდასხმას ამზადებდნენ, მათ სერიოზულად ჰქონდათ იმის იმედი, რომ ისინი შესძლებდნენ სსრ კავშირის წინააღმდეგ საყოველთაო კოალიციის შეკოწიწებას, ამ კოალიციაში დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ჩაბმას და, ამრიგად, მოახდენდნენ სსრ კავშირის სრულ იზოლაციას მსოფლიოს სხვა სახელმწიფოებისაგან.

საბჭოთა ქვეყანაზე გერმანიის არმიის ვერაგული თავდასხმის ცოტა ხნით ადრე ჰიტლერელებმა, რომელნიც სულ უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდნენ რადიოთი თუ პრესაში ინგლისელ და ამერიკელ „პლუტოკრატებს“, საკმაოდ ცნობილი ჰესი მიუგზავნეს სწორედ ამ „პლუტოკრატებს“. ჰესის ამოცანა იყო დაეშინებინა დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკოსები „წითელი საფრთხის“ ზღაპრით და დაეყოლიებინა ამ ქვეყნების მმართველი წრეები, რომ მიმხრობოდნენ „ჯვაროსნულ ლაშქრობას“ სსრ კავშირის წინააღმდეგ. რა მოჰყვა ჰიტლერელთა ხროვის ამ ცდას? ჰიტლერელთა ვარაუდი — მოეხდინათ ჩვენი ქვეყნის იზოლაცია მსოფლიოს სხვა სახელმწიფოებისაგან ქვიშაზე აგებული აღმოჩნდა. ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები არ მიემხრნენ ლაშქრობას სსრ კავშირის წინააღმდეგ. უფრო მეტიც. დიდ ბრიტანეთთან კავშირის ნაცვლად, ჰიტლერულმა გერმანიამ მიიღო დიდ ბრიტანეთთან ომის გამწვავება და ომი ამერიკის შეერთებულ შტატებთან. დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და სსრ კავშირი თავისუფლების მოყვარე ხალხთა ერთ ბანაკში აღმოჩნდნენ ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ. სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების საბრძოლო თანამეგობრობა ომის პროცესში განმტკიცდა და მძლავრ ძალად გადაიქცა. ლონდონში 26 მაისს სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ხელშეკრულების დადება და ვაშინგტონში 11 ივნისს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების შეთანხმების ხელმოწერა აახლოებს ჰიტლერული გერმანიის საბოლოო განადგურების ჟამს. როგორც ახლა ცნობილია, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ უ. ჩერჩილსა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ რუზველტთან ვ. მ. მოლოტოვის მოლაპარაკების დროს მიღწეულ იქნა სრული შეთანხმება 1942 წელს ევროპაში მეორე ფრონტის შექმნის გადაუდებელ ამოცანათა შესახებ.

ვერაგი ჰიტლერული პოლიტიკა, რომლითაც ვარაუდობდნენ, რომ ცალ-ცალკე დაერტყათ თავისუფლებისმოყვარე ხალხებისათვის, საბოლოოდ და

სამუდამოდ ჩაიშალა. ჰიტლერის ამ პოლიტიკამ წარმოშვა ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ კოალიცია იმ ქვეყნებისა, რომელთაც მოეპოვებათ ადამიანთა, საწარმოო, ნედლეულისა და სურსათის ისეთი მძლავრი რესურსები, რომ უძლეველს ხდიან ამ კოალიციას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არანაკლებ სერიოზული მარცხი განიცადა ჰიტლერის ვარაუდმა და გეგმებმა წითელი არმიის ზურგის შესახებ. როდესაც ერთი წლის წინათ დანაშაულებრივ სამხედრო ავანტიურას იწყებდნენ, ჰიტლერელებს იმის იმედი ჰქონდათ, რომ საბჭოთა ზურგი მტკიცე არ იქნებოდა და ფიქრობდნენ, რომ, როგორც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მოხდა, მოახერხებდნენ დემორალიზაცია შეეტანათ ჩვენს არმიაში, გაეხრწნათ შიგნიდან მისი ზურგი და ამით გაეტეხათ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგობა.

მაგრამ ჰიტლერელი მესვეურნი კვლავ მოტყუვდნენ ანგარიშში. ომის პირველ პერიოდში წითელი არმიის დროებითმა წარუმატებლობამ, აგრეთვე გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ მთელმა შემდგომმა ბრძოლამ კიდევ უფრო განამტკიცა სსრ კავშირის მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის კავშირი და მის ხალხთა მეგობრობა.

გერმანელმა ფაშისტმა ოკუპანტებმა სსრ კავშირის ვერცერთ ხალხში ვერა ჰპოვეს და არც შეეძლოთ ეპოვნათ რაიმე მხარდაჭერა. საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი თავისი სამშობლოს ერთგული დარჩა.

ჰიტლერელ ავანტიურისტებს ეგონათ, რომ, როგორც კი ომი ასტყდებოდა, საკოლმეურნეო წყობილების დაშლა დაიწყებოდა და გლეხები მუშათა კლასისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოვიდოდნენ. ახლა მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ჰიტლერის ამ წამოწყებისაგან არაფერი გამოვიდა. გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ წარმოებული ომის ერთი წელი უცილობლად მოწმობს, რომ მეურნეობის ჩვენმა სოციალისტურმა ორგანიზაციამ, ისევე როგორც მთელმა ჩვენმა საბჭოთა წყობილებამ, და მისმა პოლიტიკურმა და სამხედრო ორგანიზაციამ ღირსეულად გადაიტანეს მძიმე განსაცდელი, რაც მათ წილად ჰხვდათ ომის ერთი წლის განმავლობაში და ამ განსაცდელის ბრძმედიდან კიდევ უფრო მტკიცე და გამაგრებული გამოვიდნენ.

ომის ერთი წელი მოწმობს აგრეთვე, რომ უდავოდ სწორია პოლიტიკა საბჭოთა სახელმწიფოსი, რომელსაც არასოდეს არ დავიწყებია ჩვენს ქვეყანაზე ფაშისტური თავდასხმის შესაძლებლობა, და ამიტომ განუხრელად იბრძოდა, რათა შეექმნა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა ერთიანი ფრონტი აგრესიისა და რეაქციის ძალების წინააღმდეგ, მთელი ძალებითა და საშუალებებით ანვითარებდა საბჭოთა კავშირის მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას, მეცნიერებასა და კულტურას და ამით განამტკიცებდა ჩვენი სამშობლოს თავდაცვითს ძლიერებას.

ამრიგად, საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ერთი წლის საომარმა მოქმედებამ გამოააშკარავა, რომ სავსებით ჩაიშალა გერმანიის იმპერიალიზმის პოლიტიკური გეგმები — სსრ კავშირის სამხედრო-პოლიტიკური იზოლაციისა და საბჭოთა ზურგის მერყეობაზე იმედის დამყარების გეგმები. ომის ერთი წლის შედეგად განმტკიცდა სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების საბრძოლო მეგობრობა, განმტკიცდა წითელი არმიის ზურგი, განმტკიცდა სსრ კავშირის მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის კავშირი, განმტკიცდა სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა.

ასეთია ომის ერთი წლის პოლიტიკური შედეგები.

ასევე სავალალო აღმოჩნდა გერმანელთათვის ომის ერთი წლის სამხედრო შედეგებიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დაპყრობითს ომს რომ იწყებდნენ, გერმანელი იმპერიალისტები ფიქრობდნენ, რომ ისინი 1½ — 2 თვეში „მოუღებდნენ ბოლოს“ წითელ არმიას. მაგრამ ისინი ამაშიც მოტყუვდნენ. ომი ხანგრძლივი, გაჭიანურებული აღმოჩნდა.

სსრ კავშირის წინააღმდეგ ფაშისტური გერმანიის ომი გერმანელთა ჯარებისათვის ხელსაყრელ და საბჭოთა ჯარებისათვის არახელსაყრელ პირობებში დაიწყო. ომის პირველ ეტაპზე ჰიტლერის არმიას სსრ კავშირზე უეცარი და ვერაგული თავდასხმის გამო, ერთგვარი დროებითი უპირატესობა ჰქონდა წითელი არმიის წინაშე. ეს უპირატესობა იმაში მდგომარეობდა, რომ ფაშისტურმა გერმანიამ, რომელიც თანდათან ემზადებოდა ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ომისათვის, წინასწარ გადაიყვანა მთელი მეურნეობა ფრონტის მომსახურებაზე, შეჰქმნა რიცხვობრივი სიჭარბე ტანკებისა და ავიაციის მხრივ. გერმანიის არმია სავსებით მობილიზებული იყოს სსრ კავშირის წინააღმდეგ ომის დაწყებისას. ამასთან მას ჰქონდა ერთგვარი გამოცდილება ომის თანამედროვე წარმოებისა ტანკების, ავიაციის, ავტომატური იარაღის დიდი მასების გამოყენებით; ეს გამოცდილება მან პოლონეთთან, ბელგიასთან, საფრანგეთთან, საბერძნეთთან და იუგოსლავიასთან ომში შეიძინა. ამიტომ გასაგებია, რომ ომის პირველ თვეებში წითელი არმია იძულებული იყო უკან დაეხია და საბჭოთა ტერიტორიის ნაწილი დაეტოვებინა. მაგრამ უკანდახევისას წითელი არმია მტრის ძალებს ჰქანცავდა, სასტიკად ურტყამდა მას. ბრძოლების მსვლელობაში წითელი არმიის მეთაურები, რიგითი მებრძოლნი იწრთობოდნენ, გამოცდილებას იძენდნენ, მტრის ტაქტიკას სწავლობდნენ, მისი ტექნიკის წინააღმდეგ ბრძოლის ხერხებს იმუშავებდნენ.

ასე გრძელდებოდა 1941 წლის ნოემბრამდე.

ნოემბერში გააფთრებული ბრძოლები გაიშალა მოსკოვის ახლო მისადგომებზე. ჰიტლერმა ათობით რჩეული დივიზია მოაყარა მოსკოვს, რომელთა შორის ბევრი იყო სატანკო დივიზია. წითელი არმიის ჯარები აქტიურ თავდაცვას ეწეოდნენ, ჰქანცავდნენ, სისხლისაგან სცლიდნენ მტერს, უდიდეს ზარალს აყენებდნენ მას, დეკემბრის დასაწყისში კი თვითონ გადავიდნენ კონტრშეტევაზე. ეს მომენტი გარდატეხის მომენტი აღმოჩნდა ომის მიმდინარეობაში. ჰიტლერელებმა მოსკოვისათვის ბრძოლა წააგეს. საბჭოთა ჯარებმა ჰიტლერის ათობით დივიზია გაანადგურეს, დასავლეთისაკენ უკუაგდეს გერმანელი დამპყრობნი, მრავალი ათასი დასახლებული პუნქტი გაათავისუფლეს.

ჰიტლერელთა სარდლობას იმედი ჰქონდა რომ ზამთრის თვეებში სამხედრო მოქმედებისაგან შესვენების შესაძლებლობა მიეცემოდა პოზიციური, სასანგრო ომის სახით. ჰიტლერელთა სარდლობას იმედი ჰქონდა, რომ ზამთრის თვეების განმავლობაში წესრიგში მოიყვანდა თავის შებერტყილ ჯარებს, გადაახალისებდა მათ, შეავსებდა ადამიანებითა და ტექნიკით და, დასასრულ, დაასვენებდა იმისათვის, რომ გაზაფხულზე ახალი ძალ-ღონით დაეწყო დიდი შეტევა. წითელმა არმიამ გერმანიის სარდლობის ეს სტრატეგიული გეგმები ჩაშალა. ინიციატივა ხელთ რომ იგდო, დეკემბრიდან მოკიდებული მარტამდე წითელმა არმიამ თავს მოახვია ჰიტლერელებს მათთვის მომქანცველი ზამთ-

რის ბრძოლები, ამ ხნის განმავლობაში მან დიდძალი გერმანელი ჯარისკაცი და ტექნიკა მოსპო, ნაადრევად დაახარჯვინა გერმანელებს ღრმა ზურგში მყოფი რეზერვები, რომლებიც განკუთვნილი იყო საგაზაფხულო-საზაფხულო ოპერაციებისათვის. წითელმა არმიამ ზამთრის უძნელეს პირობებში ისეთი ძალის დარტყმები აგემა გერმანელ ფაშისტთა ჯარებს, რომ საძირკველი შეურყია გერმანელთა სამხედრო მანქანას და ნიადაგი მოამზადა იმისათვის, რომ ჰიტლერის არმია განადგურებულ იქნას 1942 წელს.

გერმანიის სარდლობამ, რასაკვირველია, შეაახლა თავისი არმია საგაზაფხულო-საზაფხულო ოპერაციებისათვის, მიუმატა არმიას ადამიანთა მატერიალური რეზერვების ერთგვარი რაოდენობა. მაგრამ ამისათვის ჰიტლერელი მესვეურები იძულებული გახდნენ ცოცხით მოეხვეტათ იმ ადამიანთა მთელი ნაშთები, რომელთაც იარაღის ხელში დაჭერა შეუძლიათ, მათ შორის არასავსებით ვარგისნი, დიდ ფიზიკურ ნაკლთა მქონენიც. ზამთრის განმავლობაში ჰიტლერელთა სარდლობა არაერთხელ შეჰპირდა გერმანიის მოსახლეობას რომ გაზაფხულზე „გადამწყვეტ“ შეტევას დაიწყებდა წითელი არმიის წინააღმდეგ. გაზაფხული გავიდა, მაგრამ გერმანიის არმიის არავითარი გადამწყვეტი შეტევა არ დაწყებულა.

რასაკვირველია ასეთი სიგრძის ფრონტზე, როგორიც საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტია, ჰიტლერის სარდლობას ჯერ კიდევ შეუძლია ცალკეულ უბნებზე თავი მოუყაროს ჯარების, ტანკებისა და ავიაციის მნიშვნელოვან ძალებს და ერთგვარი წარმატების მიღწევას ეცადოს. ასე მოხდა, მაგალითად, ქერჩის ყელზე, სადაც გერმანელებმა უპირატესობა მოიპოვეს ტანკებისა და განსაკუთრებით ავიაციის მხრივ, წარმატებას მიაღწიეს და უკან დაახევინეს ჩვენს ჯარებს. ასეთი წარმატება ფრონტის ცალკეულ უბნებზე გერმანელებისათვის გამორიცხული არ არის არც უახლოეს მომავალში. მაგრამ ერთი რამ სავსებით აშკარაა, რომ ქერჩის ყელზე მოპოვებული წარმატებისთანა წარმატება სრულიადაც არ სწყვეტს ომის ბედს. ეს წარმატება დროებითი და წარმავალია. გერმანელთა არმია 1942 წელს ის არმია აღარ არის, რაც ომის დასაწყისში იყო. გერმანელთა რჩეული ჯარების ძირითადი მასა წითელმა არმიამ დახოცა. კადრის ოფიცერთა შემადგენლობა ნაწილობრივ წითელმა არმიამ გაჟლიტა, ნაწილობრივ ოკუპირებული რაიონების სამოქალაქო მოსახლეობის ძარცვასა და მის მიმართ ძალადობაში გაიხრწნა. უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, როგორც წესი, დახოცილია და ახლა გაუწრთვნელ ჯარისკაცთაგან ინიშნება მასობრივად. ამჟამად გერმანიის არმიას აღარ შეუძლია აწარმოოს შეტევითი ოპერაციები შარშანდელი მასშტაბით. ამას ყველაზე უფრო დამაჯერებლად მოწმობს ცნობები გერმანელთა არმიის დანაკლისის შესახებ. აი ეს ცნობები:

		გერმანია	**სსრ კავშირი**
ადამიანთა დანაკლისი მოკლულთა, დაჭრილთა და ტყვედ წაყვანილთა სახით	ომის ერთი წლის განმავლობაში	10.000.000-მდე	4,5 მილ. კაცი
ქვემეხთა დანაკლისი	„	30.500-ზე მეტი	22.000
ტანკების დანაკლისი	„	24.000-ზე მეტი	15.000
თვითმფრინავთა დანაკლისი	„	20.000-ზე მეტი	9.000

გერმანიის არმიის ადამიანთა მთელი დანაკლისიდან სულ ცოტა სამ მილიონ ნახევარს მოკლულნი შეადგენენ. გარდა ამისა, საკითხის ზედმიწევნითმა შესწავლამ ცხადჰყო, რომ წითელი არმიის კარგად დაყენებული სანიტარული სამსახურის მეოხებით მწყობრში დაბრუნებულ დაჭრილ მებრძოლთა რიცხვი დაჭრილთა რაოდენობის 70 პროცენტს შეადგენს, ხოლო გერმანიის არმიაში სრულიად უვარგისი სანიტარული სამსახურის გამო, რომელიც აგრეთვე „ელვისებური“ ომისათვის იყო ნავარაუდევი, — მწყობრში დაბრუნდა გერმანელ დაჭრილ ჯარისკაცთა მთელი რაოდენობის სულ ბევრი 40 პროცენტი.

ამრიგად, საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ომის ერთმა წელმა გამოაშკარავა, რომ სავსებით ჩაიშალა გერმანიის იმპერიალიზმის სამხედრო გეგმები.

ასეთია ომის ერთი წლის სამხედრო შედეგები.

აუნაზღაურებელმა ზარალმა, რომელიც წითელმა არმიამ მიაყენა გერმანელ ფაშისტთა ჯარებს, გამარჯვების რწმენის უქონლობა დაბადა გერმანელ ჯარისკაცში და განსაკუთრებით გერმანელ ხალხში, შეარყია რწმენა ჰიტლერისადმი და ფაშისტური სარდლობისადმი. გერმანელ ჯარისკაცებსა და მოსახლეობას ახსოვთ, რომ ჰიტლერი შეჰპირდა მათ საბოლოო გამარჯვებასა და ომის დამთავრებას 1941 წელს. 1941 წელს ომი არ დამთავრდა, გამარჯვება მოპოვებული არ არის. მაშასადამე, ჰიტლერმა მოგვატყუაო — აი რას უფიქრდება სულ უფრო და უფრო ხშირად გერმანელი.

გერმანელ ჯარისკაცებსა და მოსახლეობას ახსოვთ, რომ ჰიტლერმა და მისმა დამქაშებმა 1941 წლის ოქტომბერს განაცხადეს: წითელი არმია განადგურებულია, იგი უკვე ვეღარასოდეს ვერ აღადგენს თავის ძალებს და აღმოსავლეთის ლაშქრობის საკითხი გადაწყვეტილიაო. აღმოჩნდა, რომ წითელ არმიას მთელი თავისი ძალები შეუნარჩუნებია და აღმოსავლეთის ლაშქრობა **არ დამთავრებულა. მაშასადამე, ჰიტლერმა** მოგვატყუაო — აი რას უფიქრდება სულ უფრო და უფრო ხშირად გერმანელი. ჰიტლერი უკანასკნელი მკვეხარას და მატყუარას სახით წარსდგა მთელი მსოფლიოს და მასთან ერთად გერმანელი ხალხის წინაშე. გერმანელებს ახლა არ შეუძლიანთ არ დაინახონ, რომ ფაშისტური პროპაგანდა თავიდან ბოლომდე მოტყუებაა, რომ ჰიტლერის არც ერთ სიტყვას, არც ერთ დაპირებას არ დაეჯერება.

ჰიტლერელი ხროვის ავანტიურისტული პოლიტიკა გერმანელებს მილიონობით მოკლულის ფასად დაუჯდათ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. გერმანელ ხალხში სულ უფრო და უფრო მეტად იკიდებს ფეხს გერმანიის დამარცხების გარდუვალობის შეგნება. გერმანიის არმიის ზურგი თანდათანობით იშლება. ის დღე, როდესაც იმპერიალისტური გერმანია ვერაგულად დაესხა თავს საბჭოთა კავშირს იმ მიზნით, რომ დაემონებინა და გაექლიტა ჩვენი ხალხები, დაეპყრო და გაეძარცვა ჩვენი სამშობლო, ჰიტლერული გერმანიის დასასრულის დასაწყის დღედ გადაიქცა.

ამას მოწმობს ომის ერთი წლის **პოლიტიკური შედეგები,** ვინაიდან ომის მიმდინარეობაში სავსებით ჩაიშალა ჰიტლერელთა ხროვის მთელი გეგმები და ვარაუდები, საბჭოთა კავშირმა კი ყველა განსაცდელი გადაიტანა, კიდევ უფრო მეტად განამტკიცა თავისი თავდაცვითი ძლიერება და ჰიტლერის **არმიის** საბოლოო განადგურების პირობები შეჰქმნა მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე სხვა ხალხებთან ერთად.

ამას ულმობელი სიმტკიცით მოწმობს ომის ერთი წლის **სამხედრო შედეგები,** ვინაიდან საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის მსვლელობაში, გერმანიის ძალები განუწყვეტლივ კლებულობს, საბჭოთა კავშირისა და მეგობრულ სახელმწიფოთა ძალები კი განუწყვეტლივ მატულობს.

ამას მოწმობს **იმპერიალისტური ჰიტლერული იდეოლოგიის, დემაგოგიისა და ცრუ პროპაგანდის** სრული ჩაშლა. სრული მარცხი განიცადა ჰიტლერელთა მონაჩმახმა ევროპაში „ახალი წესრიგის" შესახებ, იმის შესახებ, ვითომდა „არიულ რასას" განსაკუთრებული მისია ჰქონდეს დაკისრებული ფაშისტების, როგორც კულტურის მესვეურთა შესახებ. ფაშისტები მსოფლიოს ყველა ხალხთა წინაშე წარსდგნენ როგორც გერმანელ იმპერიალისტთა ნაგაზები, როგორც რეაქციონერები და ბნელეთის მოციქულები, მშრომელი ხალხის მტრები, შუასაუკუნეთა ბარბაროსობის მატარებელნი, პროგრესის მტრები და კულტურის გამანადგურებლები. ჰიტლერული გერმანია დედამიწის მოსახლეობის უმრავლესობის მოსისხლე მტრად გადაიქცა.

ამას მოწმობს აგრეთვე **გერმანიის არმიის შიდა და ევროპის ზურგის დაწყებული გახრწნა,** ვინაიდან გერმანიის იმპერიალიზმის მიერ დამონებულ ხალხებში, რომელთაც ომის წარმოუდგენელი სიმძიმე გადაიტანეს, იზრდება მათთვის უცხო ინტერესებისათვის — გერმანელ ბანკირთა და პლუტოკრატთა ინტერესებისათვის დაწყებული ომის წინააღმდეგ აღშფოთებისა და პროტესტის სულისკვეთება.

დასასრულ, ამას მოწმობს **ომის პერსპექტივები,** რომლებიც სულ უფრო და უფრო ხელსაყრელი ხდება საბჭოთა კავშირისათვის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატებისათვის და არახელსაყრელი ხდება გერმანიისათვის, მის „მოკავშირეთა" და ვასალებისათვის.

ასეთია გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ომის ერთი წლის პოლიტიკური და სამხედრო შედეგები.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო.

უცხოეთის ჰრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისალმებანი საბჭოთა კავშირისადმი ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ სამამულო ომის წლისთავთან დაკავშირებით

ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ სამამულო ომის წლისთავთან დაკავშირებით, მთელმა რიგმა გამოჩენილმა საზოგადო მოღვაწეებმა, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლებმა მისალმებანი გამოგზავნეს საბჭოთა ხალხისა და გმირი წითელი არმიის სახელზე.

ცნობილი ამერიკელი მწერალი ტეოდორ დრაიზერი თავის მისალმებაში სწერს:

„პატივად მიმაჩნია ჩემი მადლობა გამოვთქვა რუსი ხალხისადმი, მისი გიგანტური შრომისათვის მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ, მისი გასაოცარი სოციალური მიღწევებისათვის, მის მიერ სამშობლოს გმირული თავდაცვისათვის გიჟი ჰიტლერის თავდასხმისაგან“.

ცნობილი ამერიკელი მწერალი ეპტონ სინკლერი სწერს:

„ჩემს სიცოცხლეში ყველაზე ბედნიერ ცნობებს წარმოადგენენ ცნობები იმის შესახებ, რომ ჩემი ქვეყანა და ინგლისი საბჭოთა კავშირთან გაერთიანდნენ და ვალდებულება იკისრეს მიაღწიონ გამარჯვებას ფაშისტ აგრესორებზე, აგრეთვე მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფად და რეკონსტრუქციის განსახორციელებლად ითანამშრომლონ ამ საშინელი ომის შემდეგ. ვულოცავ საბჭოთა კავშირის ხალხებს მათს გმირულ თავდაცვას“.

ცნობილი გერმანელი მწერლის ტომას მანის მისალმებაში ნათქვამია:

„1941 წლის 22 ივნისის დღე, როდესაც საბჭოთა კავშირი ხალხთა თავისუფლებისათვის ამ ომში ჩაება, ყველაზე ღირსსახსოვარ დღედ დარჩება სამუდამოდ მთელი კაცობრიობისათვის. მე მთელი სულითა და გულით ვიზიარებ ყველა თავისუფლებისმოყვარე ადამიანის აღტაცებას რუსეთის არმიის და მთელი რუსი ერის უდიდესი და წარმატებითი წინააღმდეგობით ულმობელი აგრესორისადმი. მე — ამჟამად უკვე ხნიერ კაცს — არაფერი ისე მგზნებარედ არა მსურს და არაფერს ისე თავმდაბლად არა ვთხოვ ბუნებას, როგორც იმას, რომ მოვესწრო იმ დღეს, როცა ყველა ზარი დარეკს და როცა ხალხები ერთმანეთს გადაეხვევიან სიტყვებით: „ურჩხული მოსპობილია, მსოფლიო თავისუფალია, იწყება ახალი ცხოვრება და ახალი ბედნიერება“.

ცნობილი გერმანელი მწერალი ლიონ ფოიხტვანგერი სწერს:

„წითელი არმიის ყოველი გამარჯვება, ყოველი დიდი გმირობა არა მარტო ანგრევს ბარბაროსთა საომარი მანქანის ნაწილს, არამედ ანადგურებს ცრუმორწმუნეთა შესაზარ სიმაგრეს, რომელიც ბრაზმა და შურმა შექმნეს მთელ მსოფლიოში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. იმან, რასაც წითელმა არმიამ მიაღწია ამ წლის განმავლობაში, არა მარტო დაიცვა საბჭოთა კავშირი ბარბაროსთა არმიისაგან, რომელიც მას შეესია, არამედ ამასთანავე მთელ მსოფლიოში მრავალ მილიონ ადამიანს თვალი აუხილა და დაანახვა საბჭოთა კავშირის ძლიერება და ჭეშმარიტი რაობა. ამ წლისთავის დღეს მთელი ცივილიზებული მსოფლიო აღტაცებითა და სიყვარულით მოიგონებს საბჭოთა კავშირს“.

ჩეხო-სლოვაკია

ფაშისტებმა სიკვდილით დასაჯეს ცნობილი ჩეხი მწერალი ვ. ვანჩურა

ჩეხო-სლოვაკიის ხალხის სისხლისმსმელ ჯალათზე ჰაიდრიხზე თავდასხმასთან დაკავშირებით ფაშისტმა დამპყრობლებმა მრავალი ჩეხი პატრიოტი დასაჯეს სიკვდილით. ფაშისტური ტერორის ახალ მსხვერპლთა შორის არის ჩეხო-სლოვაკიის ცნობილი მწერალი ვლადისლავ ვანჩურა.

უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში გამოვიდა ვანჩურას მთელი რიგი პოპულარული ნაწარმოებებისა: „სახნავი და ომის ველები“, „პურისმცხობელი იან მარგოული“, „მასწავლებელი და მოსწავლე“ და სხვა.

ვანჩურა არ კმაყოფილდებოდა მარტო ლიტერატურული მოღვაწეობით. ის იმავე დროს ჩეხო-სლოვაკიის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწეც იყო. ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ ცეცხლოვანი მებრძოლი, ვანჩურა აქტიურ მონაწილეობას იღებდა ჩეხ-ინტელიგენციის ცნობილი ანტიფაშისტური ორგანიზაციის „გონებრივი შრომის მუშაკთა [illegible] ხელმძღვანელობაში, ბეჭდავდა წერილებს ფაშიზმისა და ომის საფრთხის წინააღმდეგ.

ჩეხო-სლოვაკიის ინტელიგენცია ემიგრაციაში

ფაშისტური ყაჩაღების მიერ ჩეხო-სლოვაკიის დაპყრობის შემდეგ ჩეხო-სლოვაკიის მწერლების, მხატვრების, მსახიობების და ჩეხო-სლოვაკიის ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლების უმრავლესობა, რომელსაც მტრული პოზიცია ეკავა გერმანელ ოკუპანტების მიმართ, იძულებული გახდა სამშობლოდან გადახვეწილიყო. ამჟამად თავისუფალი ჩეხო-სლოვაკიის მთავარი კულტურული ცენტრი იმყოფება ლონდონში, სადაც მუშაობს ემიგრაციაში მყოფი ჩეხი ინტელიგენციის ლიტერატურული და არტისტული ორგანიზაციების უმრავლესობა. ხელმძღვანელ როლს ამ ორგანიზაციებს შორის თამაშობს ჩეხო-სლოვაკური სექცია პენ-კლუბისა — მწერალთა საერთაშორისო გაერთიანებისა, რომელსაც სათავეში უდგანან მსოფლიო ლიტერატურის გამოჩენილი წარმომადგენლები. პენ-კლუბის ჩეხო-სლოვაკური სექცია მიზნად ისახავს — გააერთიანოს ჩეხო-სლოვაკიის კულტურის ყველა წარმომადგენელი, ვინც სიტყვით და საქმით იბრძვის სამშობლოს დამპყრობელების წინააღმდეგ, კულტურული მომსახურება გაუწიოს ინგლისის არმიისა და ფლოტის რიგებში მყოფ ჩეხო-სლოვაკელ ჯარისკაცებს, მრავალრიცხოვან ლტოლვილებს და სხვ.

სექციის პირველი ღონისძიება იყო ჩეხო-სლოვაკელი მწერლების კლუბის გახსნა ლონდონში. ჩეხო-სლოვაკელ მწერლებს ლონდონში აქვთ თავიანთი გამომცემლობა სახელწოდებით „ჩეხო-სლოვაკური წიგნის მოყვარულთა საზოგადოება". საზოგადოება ჩეხურ და ინგლისურ ენაზე უშვებს წიგნებსა და ბროშურებს. პრაღის უნივერსიტეტის პროფესორმა ტრავნიჩეკმა ამ საზოგადოების დახმარებით გამოუშვა თავისი მონუმენტალური შრომა „ჩეხური ლიტერატურული ენის გრამატიკა", რომელსაც იგი მრავალი წლის განმავლობაში ამზადებდა და მხოლოდ ლონდონში დაამთავრა. საზოგადოებამ გამოსცა აგრეთვე საფრანგეთის კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების დიდი მცოდნის, ცნობილი ჩეხი მწერლის გუსტავ ვინტერის წიგნი „ეს კიდევ არ არის საფრანგეთის დასასრული". ვინტერის წიგნში ლაპარაკია საფრანგეთის ტრაგედიაზე, იმ მიზეზებზე, რომლებმაც ეს დიდი სახელმწიფო ასე იოლად აქცია ფაშისტური ყაჩაღების ნადავლად. საფრანგეთის ახლანდელი ბატონ-პატრონები—სწერს ვინტერი,—უცხონი არიან საფრანგეთის ხალხისათვის, გარეშენი არიან მისი ინტერესებისათვის. ის, რაც საფრანგეთში ხდება, მოგვაგონებს ვულკანს ამოხეთქის წინ. საფრანგეთის ხალხის გულში ღვივდება სიძულვილისა და შურისძიების თესლი, რომელიც ჩქარა ღრმა ფესვებს გაიდგამს. ვინტერი ლაპარაკობს საფრანგეთის საზოგადოებრივ და ეკონომიურ დეგრადაციაზე გერმანელ-ფაშისტური დამპყრობების უღელქვეშ, ჰიტლერელი ბანდიტებისა და მათი ფრანგი ლაქიების მიერ გათელილი კულტურის დეგრადაციაზე და თავისუფალი აზრის გამარჯვებაზე, რადგან იგი ვერ მოჰკლა ფაშისტური დამპყრობელების ტერორმა და დევნამ.

დიდი ინტერესი გამოიწვია წიგნმა „ჩეხო-სლოვაკიის ოკუპაციის ორი წელი", რომელიც ინგლისურ ენაზე გამოსცა ჩეხო-სლოვაკიის საელჩოს საინფორმაციო განყოფილებამ. ეს არის კრებული დოკუმენტებით ილუსტრირებული ფაქტებისა, რომლებიც ხატავენ ჰიტლერელი ყაჩაღების სისხლიან თარეშს ჩეხო-სლოვაკიაში. გაზეთი „ტაიმს" ამ წიგნის შესახებ სწერდა: „ეს საშინელი წიგნია. მისი ფურცლები სისხლითაა შეღებილი".

ინგლისურ და ჩეხურ ენაზე გამოვიდა მეორე წიგნი ჩეხო-სლოვაკიის შესახებ — „განდევნილის წერილი", რომლის ავტორია ამჟამად ამერიკაში მყოფი ახალგაზრდა მწერალი ეგონ გოსტოვსკი. წიგნის ავტორი თავის ნარკვევებში მოგვითხრობს მთელ იმ გაჭირვებას, რაც მას გადახდა ფაშისტური ბარბაროსების მიერ მისი სამშობლოს დაპყრობის დღიდან ერთი ქვეყნიდან მეორეში გადასვლისა და ცხოვრების დროს, ვიდრე იგი ამერიკამდე მიაღწევდა.

საზოგადოების მიერ გამოცემულ წიგნებზე, როგორც „ნიუ-იორკ ტაიმს" იუწყება,—დიდი მოთხოვნილებაა ინგლისში და ამერიკაში მცხოვრებ მრავალრიცხოვან ემიგრანტებს შორის,

ჩეხო-სლოვაკიაში ყველა სკოლა დახურეს

ჩეხო-სლოვაკიის საინფორმაციო ბიულეტენი, რომელიც ნიუ-იორკში გამოდის, ეუწყება, რომ ჰიტლერელებს გამოუციათ ახალი განკარგულება, რომლის თანახმადაც ჩეხო-სლოვაკიის მთელმა მოწაფეობამ სკოლის დამთავრების შემდეგ უნდა გაიაროს სავალდებულო რეგისტრაცია, რის შემდეგ ფაშისტურ ხელისუფალთა მოწაფეებს იძულებითი სამუშაოებზე გზავნიან.

ყველა სკოლა ჩეხო-სლოვაკიაში დახურეს.

ავსტრიის ლიტერატურის განადგურება

ამერიკულ ჟურნალში „ბუკს ებროდ" დაბეჭდილია სტატია ფაშისტური ბარბაროსების მიერ ავსტრიის ლიტერატურის განადგურების შესახებ. ჟურნალს მოჰყავს კაციჭამია ჰიტლერის განცხადება იმის შესახებ, რომ „ავსტრიის ლიტერატურა — ეს ებრაელების, კათოლიკებისა და ფრანკმასონების გამოგონებაა" და სწერს: „ნიჭიერ ავსტრიელი მწერლების უმრავლესობა ან დაიღუპა ან ემიგრაციაში იმყოფება, მათი ნაწარმოებნი კი დასწვეს მიხაკისფერმა სავონაროლებმა". თავი მოიკლეს მწერლებმა კურტ ზონეფელდმა და ეგონ ფრიდელმა. მოკვდა ვასერმანი, რადგან „ვერ აიტანა სასოწარკვეთილება, რომელიც მას დაეუფლა მისი წიგნების დაწვის დანახვისას". სტეფან ცვაიგი, ლოტარი, ვერფელი და სხვები იძულებული გახდნენ გაქცეულიყვნენ ფაშისტური „სამოთხიდან"; რაულ აუერიხეიმერი და მრავალი სხვა საკონცენტრაციო ბანაკებში დაამწყვდიეს. „ასეთია ხვედრი ავსტრიის ლიტერატურისა, რომელიც მხეცურად გაანადგურეს ჰიტლერელებმა" — სწერს დასასრულ ჟურნალი.

ინგლისი და ამერიკა

ინგლისი ომის დღეებში

ინგლისის ხალხის დაუცხრომელმა ბრძოლამ ფაშისტური ბარბაროსების წინააღმდეგ ასახვა ჰპოვა მთელ რიგ წიგნებში, რომლებიც გამოვიდნენ წარსულ წელს და მიმდინარე წლის დასაწყისში.

მათ რიცხვს ეკუთვნის ინგლისელი ქალის ვ. სეკვილ-უესტის „შენიშვნები სოფლიდან ომიანობის დროს", სადაც აწერილია ინგლისის სოფლის ცხოვრება ომის დროს. „ინგლისელი გლეხები, — აღნიშნავს ავტორი, — საჰაერო განგაშის დროს პანიკას არ ეძლევიან: ისინი მუშაობენ დამშვიდებით და ენერგიულად და თავიანთი შრომის ნაყოფს, როცა საჭიროა, ომის მოთხოვნილებას ახმარებენ".

ინგლის-ამერიკულმა პრესამ დიდად შეაფასა ამ წიგნის მხატვრული ღირსება.

ნიუ-იორკში გამოვიდა ამერიკელი ჟურნალისტის კვენტინ რეინოლდსის წიგნი „ლონდონის დღიური". ავტორმა თავისი წიგნი უმთავრესად მიუძღვნა ლონდონის ცხოვრებას გერმანიის ავიაციის მძლავრი თავდასხმის დღეებში. რეინოლდსი ლონდონში სცხოვრობდა გერმანიის ავიაციის ამ ყაჩაღური თავდასხმების დროს, როცა ბერლინელი ავაზაკები იმედოვნებდნენ, რომ მოსპობდნენ ჰაერიდან ლონდონს და გასტეხდნენ ინგლისის ხალხის ნებისყოფას. როგორც ვიცით, ფაშისტური ყაჩაღური ხროვის ეს იმედი ისევე ჩაიფუშა, როგორც საბჭოთა კავშირზე „ელვისებური" გამარჯვების იმედი. რეინოლდსი მოწამე იყო იმისა, თუ როგორ უპასუხებდა ინგლისის ავიაცია ლონდონზე და ინგლისის სხვა ქალაქებზე თავდასხმას: მან მონაწილეობა მიიღო ინგლისის ავიაციის ერთ-ერთ თავდასხმაში ბერლინზე.

ა. მიჩისა და ვ. გრეებნერის წიგნში „მათი საუკეთესო საათი", მოყვანილია ფაშისტური ბარბაროსებისაგან ინგლისის თავდაცვის 16 პირადი მონაწილისა და მოწმის ნაამბობი.

ამერიკელი ჟურნალისტის ბენ რობერტსონის წიგნში „მე ვნახე ინგლისი", მოცემულია ინგლისის ომიანობის დროის ცხოვრების მთელი რიგი ცოცხალი სურათები.

ინგლისელი ლიტერატორების ფ. გენისონისა და ხ. მ. ჰარვუდის წიგნი „ლონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლონის ფრონტი", შეიცავს მეგობრებთან გაგზავნილ ავტორების წერილებს. ამ წერილებში უძთავრესად აღწერილია ინგლისელთა სულისკვეთება, რასაც ყველაზე უკეთესად ახასიათებს თვით ჰარვუდის სიტყვები: „მირჩევნია მოვკვდე, ვიდრე დავუშვა გერმანიის გამარჯვება ინგლისზე".

ახალი წიგნები შექსპირზე

ნიუ-იორკში გამოვიდა ფრეინ ვილიამსის წიგნი „მისტერ შექსპირი გლობუსიდან". როგორც ამერიკული გაზეთები იუწყებიან, წიგნი შეიცავს ბევრ ახალ საინტერესო ცნობას შექსპირის თეატრზე „გლობუსზე", შექსპირზე, როგორც მუსიკოსზე, შექსპირის პიესების საუკეთესო შემსრულებლებზე და სხვ. წიგნის ცალკე თავები ავტორს მიუძღვნია შექსპირის ოჯახისთვის, კერძოდ მისი დედისთვის, რომელიც, ვილიამსის სიტყვით, შექსპირს პროტოტიპად გამოუყენებია კორიოლანოსის დედის ვოლუმნიის სახის შექმნის დროს, დრამატურგის მამის ჯონ შექსპირისთვის და დრამატურგის სხვა მახლობელ პირთათვის.

მაიკლ ჰოლდი საბჭოთა სიმღერების შესახებ

გაზ. „დეილი უორკერში" დაიბეჭდა ცნობილი ამერიკელი მწერლის მაიკლ ჰოლდის სტატია საბჭოთა სიმღერის შესახებ. ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სიმღერად ჰოლდს მიაჩნია „სიმღერა სამშობლოზე". საბჭოთა სიმღერებს მაიკლ ჰოლდი უპირისპირებს ფაშისტური გერმანიის ყაჩაღურ „ჰიმნებს". „ხალხები, პოლიტიკური მოძრაობანი, — სწერს მაიკლ ჰოლდი, — ხშირად სიმღერებით შეიცნობიან. სიმღერები, რომლებიც გერმანიაში შემოიღო ფაშისტურმა რეჟიმმა, პირდაპირ საშინელებას წარმოადგენენ. მხოლოდ მეკობრეებს შეიძლება ჰქონდეს ამდენი სიმღერები სისხლისა და მკვლელობის შესახებ. ეგრეთწოდებული „ხორსტ ვესელის ჰიმნი" აღსავსეა მხეცობითა და სისასტიკით, რომლითაც გამსჭვალული არიან ბერლინელი ნაძირალები. ჩვენ ვიცნობთ მეორე ცნობილ ფაშისტურ სიმღერასაც, რომლის მისამღერი ასეთია: „ძლიერ კარგია, როცა დანას ებრაული სისხლი ჩამოსდის". დღევანდელ გერმანიაში პატარა ბავშვებს ასეთ სიმღერებს ასწავლიან.

ამ სიმღერების მიხედვით შეიძლება მსჯელობა, თუ როგორია მორალი ფაშისტური ჯარებისა, რომლებიც საბჭოთა კავშირში შეიჭრენ. ადრე თუ გვიან ისინი დამარცხებული იქნებიან. ასეთი სიმღერები ვერ შეაჩვევენ ადამიანებს წარუმატებლობის, დამარცხების ატანას, გამძლეობას. ეს სიმღერები სწავლის შემადგენელ ნაწილს შეადგენენ".

დასასრულ მაიკლ ჰოლდი სწერს: „ომში ჯარისკაცების საბრძოლო სულისკვეთება თითქმის ისეთივე მნიშვნელოვანი ფაქტორია, როგორც თანამედროვე სამხედრო ტექნიკის ძალა. ადამიანები ისევე მნიშვნელოვანი არიან, როგორც მანქანები, რომლებსაც ისინი მართავენ.. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საბჭოთა ჯარისკაცები იბრძვიან და იბრძოლებენ ლომებივით. რატომ ვართ ჩვენ ამაში დარწმუნებული? იმიტომ, რომ ჩვენ გაცნობილი ვართ იმ ფილოსოფიასთან, რომელსაც შეიცავს „სიმღერა სამშობლოზე". იგი მოწმობს ხალხის შესანიშნავ მორალურ მდგომარეობას — და ტანკებთან, თვითმფრინავებთან და თანამედროვე სტრატეგიის მეცნიერებასთან ერთად იგი უზრუნველჰყოფს წითელი არმიის საბოლოო გამარჯვებას".

წიგნი ჰიტლერის ტაკი-მასხარის მუსოლინის შესახებ

შეერთ. შტატებში გამოვიდა ამერიკელი ჟურნალისტის ტომას მორგანის წიგნი „დეზები ჩექმებზე", რომელშიც მოცემულია ჰიტლერის სისხლიანი ტაკი-მასხარის მუსოლინის სატირიკული პორტრეტი. მორგანი, რომელმაც მრავალი წელი გაატარა იტალიაში, აცნობს მკითხველებს მრავალ სასაცილო მომენტს ამ ყბადაღებული იტალიელი ვაი-მეომრის ცხოვრებიდან და მოღვაწეობიდან. როგორც წიგნის რეცენზენტები აღნიშნავენ, მეტად საინტერესოა წიგნის ის ნაწილი, სადაც მორგანი იგონებს მუსოლინის ძველს უთანხმოებას მის დღევანდელ ბატონ-პატრონთან — ჰიტლერთან.

წიგნი ანტონ რუბინშტეინისა და მისი ძმის შესახებ

ამერიკელმა მწერალმა კეტრინ ბოუენმა შეადგინა ცნობილი რუსი პიანისტისა და კომპოზიტორის ანტონ რუბინშტეინისა და მისი ძმის ნიკოლოზ რუბინშტეინის — მოსკოვის კონსერვატორიის დამაარსებლის ბიოგრაფია. წიგნი გამოსცა რენდომ-ჰაუზის გამომცემლობამ.

სტეფან ცვაიგის თვითმკვლელობა

წარსული წლის 28 ნოემბერს ბრაზილიაში თავი მოიკლა შესანიშნავმა გერმანელმა ანტიფაშისტმა მწერალმა სტეფან ცვაიგმა.

ჟურნალ „ინტერნაციონალური ლიტერატურის“ უკანასკნელ ნომერში მოთავსებულია დ. გორბოვის წერილი სტ. ცვაიგის შესახებ. როგორც ამხ. გორბოვი იუწყება, სტეფან ცვაიგს, რომელიც უკანასკნელ ხანებში ბრაზილიის მთავრობის სტუმართმოყვარეობით სარგებლობდა და რიო დე-ჟანეიროში ცხოვრობდა, თვითმკვლელობის წინ წერილი დაუტოვებია ბრაზილიის მთავრობის სახელზე. ამ წერილში მოხუცი მწერალი თავის თვითმკვლელობას მოქანცულობით ხსნის, მაგრამ როგორც სამართლიანად აღნიშნავს ამხ. გორბოვი, აქ საქმე გვაქვს არა თვითმკვლელობასთან, არამედ მკვლელობასთან, ვინაიდან სტ. ცვაიგმა ვერ გაუძლო მწერალთა და საერთოდ მთელი ანტიფაშისტური ინტელიგენციის დევნას ფაშისტური ბარბაროსების მიერ, ამ ინტელიგენციის უკანასკნელი წლების აუტანელი გაჭირვების ატმოსფეროს და სანახაობას. ამ მკვლელობისათვის ფაშისტურმა ჯალათებმა ისევე უნდა აგონ პასუხი, როგორც სხვა მრავალი მწერლისა და მოღვაწის მოკვლისათვის.

გამოფენა — „სსრკ ცხოვრება“

ლონდონში მოეწყო ფოტო-გამოფენა სახელწოდებით „სსრკ ცხოვრება“, რომელმაც პრესისა და ფართო საზოგადოებრივობის ყურადღება მიიპყრო. გამოფენის შესახებ ვრცელი, საბჭოთა კავშირისადმი სიმპატიებით გამსჭვალული წერილები მოათავსეს „დეილი ექსპრესმა“, „დეილი ჰერალდმა“, „დეილი ექსპრეს ენდ მორნინგ პოსტმა“, „მანჩესტერ გარდიანმა“ და სხვ. ინგლისის ინფორმაციის სამინისტრომ გამოფენაზე მოაწყო ვიტრინა ფოტოგრაფიებისა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის შესახებ.

გამოფენა ფოტოგრაფიებისა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტიდან მოეწყო ბელფასტშიც (ჩრდ. ირლანდია). ეს გამოფენა ინგლისის ინფორმაციის სამინისტრომ მოაწყო საბჭოთა საელჩოსთან ერთად. გამოფენა გახსნა ჩრდილოეთ ირლანდიის პრემიერ-მინისტრმა. გახსნისას წაკითხულ იქნა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ანტონი იდენის მისალმების წერილი.

ლოუ ომის შესახებ

ინგლისის ცნობილმა მხატვარმა დეივიდ ლოუმ, რომელიც პოლიტიკური კარიკატურის პირველხარისხოვან ოსტატად ითვლება არა მარტო ინგლისში, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც, ამ რამდენიმე ხნის წინ გამოუშვა კრებული თავისი კარიკატურებისა სახელწოდებით „ლოუ ომის შესახებ“. კრებულში მოთავსებული იყო 150-ზე მეტი კარიკატურა უკანასკნელი წლების პოლიტიკური ამბების შესახებ. ამერიკული გაზეთის „პოსტ მერიდიემის“ რეცენზენტი ლოუს კრებულის შესახებ სწერდა: „ეს არის ლოუს ომი ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ და კერძოდ ჰიტლერის წინააღმდეგ, ულმობელი, გონებამახვილი, გამანადგურებელი ომი“.

ლოუს კარიკატურების კრებული გაიყიდა პირველსავე კვირეებში და ამჟამად გამოვიდა მეორე გამოცემა.

ახალი შრომა ბაირონის შესახებ

ამერიკის კრიტიკა აღნიშნავს ცნობილი ინგლისელი ლიტერატურის მცოდნის პიტერ კენელის ახალ წიგნს ბაირონის შესახებ, — „ბაირონი იტალიაში“, რომელიც წარმოადგენს გაგრძელებას ამავე ავტორის წიგნისას ბაირონზე „დიდების წლები“. წიგნი ეხება ბაირონის

ცხოვრებასა და შემოქმედებას იმის შემდეგ, როცა ის ინგლისიდან წავიდა. მთელი რიგი თავები მიძღვნილი აქვს ბაირონის შეხვედრებს შელისთან, მის ცხოვრებას ვენეციაში, „დონ-ჟუანს და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამერიკული კინო ომის დღეებში

მის შემდეგ, რაც იაპონელები თავს დაესხნენ ამერიკას, ჰოლივუდში (შეერთებული შტატების კინო-მრეწველობის უდიდეს ცენტრში) მოეწყო სამხედრო კინო-კომიტეტი, რომელშიც შედიან სხვადასხვა სტუდიების წარმომადგენლები. კომიტეტი საერთო ხელმძღვანელობას უწევს სამხედრო-თავდაცვითი ფილმების გადაღებას. ათზე მეტი სტუდია დაჩქარებული ტემპით იღებს მოკლე-მეტრაჟიან ფილმებს, რომლებსაც სერიებათ უშვებენ. ეს ფილმები სამხედრო ნაწილებისა და მოსახლეობის ინსტრუქტაჟისთვისაა დანიშნული. სამოქალაქო მოსახლობისთვის, მაგალითად, გამოშვებულია ფილმები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნეს დაცული სამხედრო საიდუმლოება, როგორ უნდა ჩატარდეს შუქშენიღბვა, როგორ უნდა დაეხმაროს მოსახლეობა სამხედრო ხელისუფლებას საჰაერო განგაშის დროს და სხვ.

სამხედრო-საზღვაო სამინისტროს დავალებით იღებენ მოკლე ფილმებს, რომელთა დანიშნულებაა — შეასწავლონ მეზღვაურებს მტრის სამხედრო გემებისა და თვითმფრინავების გამოცნობა მათი სილუეტების მიხედვით, კინოს საშუალებით სწავლების ახალი მეთოდი საველდებულო წესით იქნება შემოღებული მთელს ამერიკულ ფლოტში.

ომის პირველივე დღიდან არმიის რიგებში ნებაყოფლობით შევიდა ორასზე მეტი ოპერატორი და სხვა სპეციალობის კინო-მუშაკი. მათგან შეერთ. შტატების სამხედრო-საზღვაო უწყებასთან შექმნილია „ჰოლივუდის ფოტოგრაფიული კორპუსი საზღვაო ფლოტთან". რაზმის მეთაურია ცნობილი კინო-რეჟისორი ჯონ ფორდი. ოპერატორების უმრავლესობა უკვე განაწილებულია სამხედრო გემებზე და მონაწილეობას იღებს საომარ ოპერაციებში.

ჰოლივუდის კინო-სტუდიები ამჟამად უმთავრესად ომთან დაკავშირებულ ფილმებს იღებენ. ამ ფილმების თემატიკაზე წარმოდგენას იძლევა მათი სახელწოდებები: „ფხიზელი კუნძული" — წყნარ ოკეანეში ამერიკის ფლოტის ბრძოლაზე, „მისაყურადებელი პოსტი" — ფარულ რადიოსადგურებზე, რომლებიც მტრის რადიოგადაცემებს იჭერენ, „გახსოვდეს პირლ ჰარბორი", „ამერიკელები ბირმის გზაზე", „ფრთები ალიასკაზე", „ჰონოლულუს დაბომბვა", „პირლ ჰარბორის მარგალიტები", „ექვსი ქალიშვილი ფორმაში" და სხვ.

კინო-რეჟისორებმა ლუის მაილსტონმა და იორის ივენსმა ჰოლივუდში დაამთავრეს მონტაჟი 45-წუთიანი დოკუმენტალური ფილმისა წითელი არმიის გმირული ბრძოლის შესახებ გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ — სახელწოდებით „რეპორტაჟი რუსეთიდან". ფილმი შედგენილია საბჭოთა კინო-ოპერატორების მიერ გადაღებული კინო-ქრონიკის მასალებიდან, იხსნება ე. ჰარიმანის შესავალი სიტყვით.

სსრკ დახმარების კომიტეტი ჰოლივუდში

ჰოლივუდში, შეერთ. შტატების კინო-მრეწველობის ცენტრში, მოეწყო კომიტეტი საბჭოთა კავშირისათვის დახმარების აღმოსაჩენად მის ბრძოლაში გერმანელ-ფაშისტური დამპყრობების წინააღმდეგ. კომიტეტი სამხრეთ-კალიფორნიის სექციის სახით შედის სსრკ დახმარების სრულიად ამერიკულ კომიტეტში. კომიტეტში შედიან მწერლები ჯემს ხილტონი, ლუის ბრომფილდი, ლიონ ფოიხტვანგერი, ცნობილი კინო-რეჟისორი ლუის მაილსტონი, ჩარლი ჩაპლინი, კინო-მსახიობები მიშა აუერი, მირიამ ჰოპკინსი და სხვ. კომიტეტი კრეფს თანხებს, აწყობს კონცერტებს, აუქციონებს, გამოფენებსა და სხვ. და მთელ შემოსავალს რიცხავს საბჭოთა კავშირის დახმარების ფონდში.

„ჩვენ საბჭოთა კავშირთან და ინგლისთან ერთად ვართ"

ნიუ-იორკის მსახიობების გილდიამ — პროფკავშირულმა ორგანიზაციამ, რომელიც ნიუ-იორკის თეატრების მსახიობთა უმრავლესობას აერთიანებს, თავისი წევრების საერთო კრებაზე ერთსულოვნად გამოიტანა რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია: „ჩვენ მხურვალედ ვუჭერთ მხარს ჩვენი პრეზიდენტის პოლიტიკას, ინგლისისა და საბჭოთა კავშირისათვის, აგრეთვე ყველა იმ ქვეყნისათვის გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის პოლიტიკას, რომლებიც ჰიტლერის წინააღმდეგ იბრძვიან ჰიტლერიზმზე სრულ გამარჯვებამდე".

ჩინეთი

ჩინეთის ხალხის პატრიოტული სიმღერები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჩენილი ჩინელი მწერალი ლინ-იუ-ტანი წერილში ჩინეთის ხალხის სიმღერების შესახებ, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალში „ჩაინა ეტ უორ“, სწერს, რომ ჩინეთის ხალხის შეიარაღებულმა ბრძოლამ მრავალი მასობრივი პატრიოტული და სამხედრო სიმღერა წარმოშვა. ყველაზე პოპულარული მათ შორის არის: „პარტიზანული მარში“, „ჩვენი ხალხი არ მოკვდება“, „სიმღერა ალყაშემორტყმული ბატალიონისა“ და სხვ. ბევრი სიმღერა შეიდა კრებულში „ჩინელი პატრიოტები მღერიან“.

წიგნი გამოჩენილი ჩინელი ქალების შესახებ

ამერიკაში გამოვიდა მწერალი ქალის ელოიზა გიბერტის წიგნი „ქალებზე, რომლებიც დიდ როლს თამაშობდნენ ჩინეთის ისტორიაში“. წიგნში, როგორც ერთ-ერთი ამერიკული გაზეთი სწერს, მოცემულია მთელი გალერეა „ბრძენი და მამაცი ქალებისა, რომლებმაც ბევრი გააკეთეს თავისი ქვეყნისა და ხალხისთვის“. წიგნის უკანასკნელ ნაწილში აღწერილია ის მონაწილეობა, რომელსაც ჩინელი პატრიოტი ქალები იღებენ ჩინეთის ხალხის ახლანდელ გამათავისუფლებელ ომში.

ნორვეგია

იერიშები ნორვეგიის კულტურის წინააღმდეგ

ოსლოს პოლიციის სამმართველოს განკარგულებით შემოღებულია სასტიკი ცენზურა ყველა წარმოდგენაზე და საჯარო გამოსვლაზე. ყველაფერი, რაც შეიცავს კვისლინგის, მისი პარტიისა და მისი მიმდევრების კრიტიკას ან დაცინვას, დაუყოვნებლივ უნდა აიკრძალოს. პოლიცია კრძალავს თვით ნორვეგიულ კლასიკურ პიესებს, თუ მათ რაიმე ანალოგია აქვთ თანამედროვეობასთან. სრულიად აკრძალულია ყველა ებრაელი, ყველა თანამედროვე ინგლისელი და საბჭოთა დრამატურგების ნაწარმოებნი.

ოსლოში ფაშისტებმა მოაწყვეს „კულტურისა და სახალხო განათლების დეპარტამენტი“, რომელსაც ნორვეგიელები „კულტურისა და სახალხო განათლების ლიკვიდაციის დეპარტამენტს“ უწოდებენ. ამ დეპარტამენტმა გამოსცა ახალი პოლიციური განკარგულება, რომლითაც იკრძალება ყველა წიგნი, ჟურნალი და გაზეთი, რომლებსაც „ზიანი მოაქვს ნორვეგიის ხალხის ნაციონალური და საზოგადოებრივი აყვავებისათვის“. აკრძალვა შეიძლება გავრცელდეს თვით ბიბლიოთეკებზე, მუზეუმებზე და კერძო პირთა კუთვნილებაზე.

ნორვეგიელ მეცნიერთა დევნა

ამ რამდენიმე ხნის წინ გრინის საკონცენტრაციო ბანაკში ჩააგდეს ოსლოს უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი სეიპი, აგრეთვე პროფესორები ბრეგერი, შრეინერი, მორი, ფრენსის ბული, ფრედე კასტბერგი და სხვ. როგორც გაზეთი „დაგენს ნიუხტერი“ იუწყება, მოხუცი პროფესორი სეიპი ფაშისტმა ბარბაროსებმა ერთი თვით ჩააგდეს ნესტიან კარცერში და მხოლოდ წყალსა და პურს აძლევდნენ. გერმანელი ფაშისტების მიერ ნორვეგიელი მეცნიერების ასეთმა დევნამ შვეიცის საზოგადოებრივობის უდიდესი აღშფოთება გამოიწვია. შვეიცის მთელმა რიგმა გამოჩენილმა მეცნიერებმა სთხოვეს შვეიცის მთავრობას მიიღოს ზომები ნორვეგიის მეცნიერთა დასაცავად.

საშიში რეპლიკა

ერთ-ერთ პიესაში, რომელიც ოსლოს ქალაქის თეატრში მიდიოდა და რომელმაც, ცხადია, სასტიკი ცენზურა გაიარა, იყო რეპლიკა „პირდაპირ თავი მოგვაბეზრა ამ ადოლფმა“. ეს ადგილი ყოველთვის მაყურებლების მხურვალე ტაშს იწვევდა. ასეთი აშკარა ანტიჰიტლერული დემონსტრაციით შეშფოთებულმა კვისლინგელებმა წინადადება მისცეს თეატრს ადოლფის სახელი ალფრედით შეეცვალათ. მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. საზოგადოება, რომელმაც გაიგო ეს ამბავი, კვლავ მხურვალე ტაშით ხვდებოდა „შესწორებულ“ რეპლიკას.

დრამატურგ მუნკის „დაკარგვა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაი მუნკი ითვლება დანიის ერთერთ ნიჭიერ დრამატურგად. მისი პიესები ოთხი-ოთხი წლების განმავლობაში არ მოხსნილა კოპენჰაგენის თეატრების სცენიდან. მას ეკუთვნის ორი ანტიფაშისტური პიესა, ერთ პიესაში მას გამასხარავებული ჰყავს მუსოლინი და მისი ბოდვითი ოცნებანი აფრიკის დაპყრობის შესახებ, მეორე პიესაში მოცემულია ჰიტლერული ბანდის გესლიანი სატირიკული პორტრეტები. ამერიკული ჟურნალი „ბუკს ებროდ“ იუწყება: „იმ მომენტიდან, რაც ჰიტლერული ჯარები შეიჭრენ დანიაში, ჩვენ არავითარი ცნობები არა გვაქვს ნიჭიერი დრამატურგის შესახებ. ალბად მას ეწია იმ მრავალი ანტიფაშისტის ბედი, რომლებიც გესტაპოს ჩაუვარდნენ ბრჭყალებში“.

საფრანგეთი
პროფესორ ჰოლბეკის მოკვლა

გერმანელებმა ამ რამდენიმე ხნის წინათ პარიზში სიკვდილით დასაჯეს გამოჩენილი ფრანგი მეცნიერი პროფ. ჰოლბეკი.

საფრანგეთის მუზეუმების გაძარცვა

გერმანელი ფაშისტების წარმომადგენლებმა საფრანგეთის ოკუპირებული ზონის მუზეუმებში მოახდინეს ლითონის ყველა ორნამენტისა და სამკაულის კონფისკაცია. ამგვარად თავმოყრილი ლითონი ფაშისტებმა გერმანიის სამხედრო ქარხნებში გაგზავნეს. ლითონის კონფისკაციასთან დაკავშირებით ფაშისტებმა „ინახულეს“ ქ. ტურის მუზეუმის ხელმძღვანელი სიმონი, რომელმაც უარი სთქვა მუზეუმში მყოფი ლითონის საგნების გადაცემაზე ოკუპანტებისათვის. რამდენიმე ხნის შემდეგ გესტაპოს სამმართველომ ტურში გამოაცხადა, რომ სიმონი მძიმედ დაიჭრა, რადგან „თავის მოკვლა უნდოდაო“.

საბერძნეთი
მიკენის განძეულობის ქურდი

ათენის მუზეუმიდან იმის შემდეგ, რაც ქალაქი გერმანელ-ფაშისტურმა დამპყრობებმა აიღეს, გაქრა მიკენის სიძველეთა ძვირფასი კოლექცია. გერმანელ-ფაშისტურმა გუბერნატორმა ძლიერ იწყინა, როცა ერთერთმა ბერძენმა ლაქიამ გაუბედავად გამოსთქვა აზრი, რომ კოლექცია ალბად გერმანულ-ფაშისტური საოკუპაციო არმიის ჯარისკაცებმა წაიღესო. ზევრი „ეძებეს“, მაგრამ კოლექციის გზა-კვალს ვერ მიაგნეს.

ამ უცნაურ კრიმინოლოგიურ გამოცანას ამ რამდენიმე ხნის წინ ფარდა ახადა ათენის ყოფილმა მერმა, რომელიც ამჟამად შეერთ. შტატებში იმყოფება. „მე ვიცი, თუ ვინ მოიპარა მიკენის კოლექცია, — განუცხადა მან რეპორტიორებს, — მე თვითონ ვუჩვენე იგი ქურდს, როცა მან ათენი ინახულა. ის ძლიერ აღტაცებული დარჩა ძვირფასი ნივთებით და მუზეუმის დათვალიერებისას რამდენჯერმე დაბრუნდა მიკენის კოლექციების დარბაზში. „თქვენ ასე მოგეწონათ ეს კოლექცია?“ — შეეკითხე მას. — „არაფერს დავიშურებდი მისთვის,—მიპასუხა მან, — იგი ხომ მილიონები ღირს!“ თხოვნაზე — დაესახელებია ქურდის სახელი, მერმა უპასუხა:

„დიდის კმაყოფილებით. ეს არის გერმან ჰერინგიო“.

ინტელიგენციის მოსპობის მუქარა

ფაშისტური გაზეთი „ნაციონალ ცაიტუნგ“ მორიგი ლანძღვა-გინებითა და მუქარით გაუმასპინძლდა გერმანიის ინტელიგენციას. „სიტყვა „ინტელიგენტს“ ჩვენთვის გერმანიაში არასასიამოვნო ელფერი აქვს, — სწერს გაზეთი, — მას ჩვენ ხშირად ვხმარობთ როგორც გინებას და სრული საფუძველიც გვაქვს. მცირერიცხოვან ვიწროშუბლიან ინტელიგენტებს, რომლებიც ჯერ კიდევ დარჩნენ იმ ტერიტორიაზე, რომლებსაც ჩვენ ომის შემდეგ ვმართავთ, ან ჩვენებურ ყაიდაზე აღვზრდით ან მოვსპობთ“.

ესპანელი ანტიფაშისტების მიმართვა

ესპანელმა ლტოლვილებმა, რომლებიც ჩილეში ცხოვრობენ, გამოაქვეყნეს წერილი, რომელშიც მოუწოდებენ ყველას უყოყმანოდ და ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ საბჭოთა კავშირს, რომელიც ფაშისტური ვანდალიზმის წინააღმდეგ იბრძვის და მოაგონებს იმ დახმარებას, რომელიც საბჭოთა კავშირმა აღმოუჩინა ესპანეთის რესპუბლიკას. წერილში გამოთქმულია ღრმა რწმენა, რომ წითელი არმია გაიმარჯვებს ფაშისტურ დამპყრობლებზე. იმ პირთა შორის, რომლებიც ხელს აწერენ წერილს, არის მწერლები სალას ვიუ, ხაიმე ვალიე-ინკლანი, ელენა გომეს დე-ლასერნა, პოეტები სერანო პლახა და აპარისიო, ცნობილი მსახიობი უბრიანი, პროფმოძრაობის ერთერთი ხელმძღვანელი პიეტელი და სხვ.

მსოფლიო ლიტერატურის ანტიფაშისტური ფრონტი

ეკვადორის მწერალი ხორხე იკასა

საფრთხემ, რომელიც ფაშისტურმა აგრესიამ შეუქმნა მთელს მსოფლიოს, ფაშიზმის წინააღმდეგ დარაზმა კაცობრიობის მთელი პროგრესიული ძალები. კულტურის მუშაკები ქვეყნიერების ყველა კუთხეში ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა მოწინავე რიგებში იმყოფებიან.

მძლავრად გაიშალა ანტიფაშისტური მოძრაობა, იქმნება მძლავრი ანტიფაშისტური ლიტერატურა ლათინური ქვეყნის სახელმწიფოებში, რომლებსაც, მთელი რიგი სპეციფიური პირობების გამო, თვალსაჩინო ადგილი ეჭირათ აგრესიის გეგმებში. კერძოთ ლათინურ ამერიკის პატარა რესპუბლიკის ეკვადორის ლიტერატურამ წამოაყენა სიტყვის გამოჩენილი ოსტატები, რომლებიც იბრძვიან ანტიფაშისტური ფრონტის მოწინავე რიგებში. მათ რიცხვს პირველ ყოვლისა ეკუთვნის ახალგაზრდა ეკვადორელი მწერალი ხ ო რ ხ ე ი კ ა ს ა.

1933 წ. გამოვიდა ხორხე იკასას მოთხრობების პირველი კრებული „მთის თიხა", რომელშიც არაჩვეულებრივად მკაფიოდ არის აღწერილი ინდიელების ცხოვრება. 1935 წელს ქვეყნდება მისი დიდი მოთხრობა „უაისიპუნგო" — მხურვალე პროტესტი სამღვდელოების, ადგილობრივი ხელისუფლებისა და ლატიფუნდიების პატრონების მიერ ინდიელების ჩაგვრის წინააღმდეგ. ამავე თემაზეა დაწერილი იკასას შემდგომი რომანები „ქუჩებში" (1937) და „ჩოლო" (1938).

იმ დიდ ბრძოლაში, რომელსაც მთელი პროგრესიული კაცობრიობა აწარმოებს ფაშიზმის წინააღმდეგ, იკასამ უყოყმანოდ დაიკავა თავისი ადგილი ანტიფაშისტური ძალების მოწინავე რიგებში. ამას მჭერმეტყველურად ადასტურებს მთელი მისი მოღვაწეობა და წერილი, რომლითაც მან საბჭოთა მწერლების კავშირს მიმართა: „... ჩემმა ხალხმა, ინდიელების, ჩოლოს, მულატებისა და ზანგების ხალხმა — კარგად იცის, რომ იმას, ვინც საჭიროების მომენტში არ შეასრულებს თავის მისიას, ვინც გამარჯვებას არ მოიპოვებს თავისი შვილებისათვის, ვინც დაჰკარგა იდეის რწმენა, ვინც დიდსულოვნად არ სწირავს თავის სისხლს, არა აქვს უფლება რაიმეს იმედი ჰქონდეს მომავალში. ჩემი ხალხი მთელი გულით, მთელი თავისი არსებით გრძნობს ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად მთელი კაცობრიობის გაერთიანების აუცილებლობას"...

არაჩვეულებრივის თბილი გრძნობითაა გამსჭვალული სიტყვები, რომლითაც ხორხე იკასამ, საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ნიუიორკელი კორესპონდენტის საშუალებით, მიმართა საბჭოთა ხალხს: „საბჭოთა კავშირის ადამიანებო! მხოლოდ თქვენი ხალხის გმირობამ შესძლო ხსნის იმედი მიეცა სასოწარკვეთილი კაცობრიობისათვის, რომელსაც დახრჩობას უპირებს ფაშისტური ურჩხული, ფაშისტების სისხლის მსმელობას საზღვარი დაედვა.

საბჭოთა კავშირის მშრომელებო, წითელარმიელებო, ინტელიგენტებო, მოხუცებო, ბავშვებო, ქალებო! კაცობრიობა იმედით შემოგცქერით თქვენ. ჩვენ ქედს ვიხრით თქვენს წინაშე".

კ. გამსახურდია — „დავით აღმაშენებელი“

თბილისი, „ფედერაცია“, 1942 წელი.

უამრავი ომი გადაუხდია ქართველ ხალხს თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე. ქართველი ხალხი მოწამებრივი სიმტკიცით იცავდა თავის ენას, თავის კაცობას, თავის მიწა-წყალს.

ხოლო ის, რაც ხალხს ზღვა სისხლისა და უამრავი მსხვერპლის ფასად შეუქმნია და დაუცავს, წმინდათაწმინდა რამ არის. ამ წმინდათაწმინდას ხალხი სიცოცხლეს შეალევს, მოკვდება და არავის წააბილწვინებს. აბა, რა ძალამ უნდა ჩააცხროს სული უდრეკი და უკვდავქმნილი უამრავ მტერთა — თურქთა, მონღოლთა და მრავალთა სხვათა შემოსევების ვითარებაში, სული, რომელიც ვერ ჩაჭკლა ვერც ჩინგიზ-ყაენის, ვერც ჯალალედინის, ვერც თემურლენგის, ვერც შაჰაბასისა და ვერც აღა-მაჰმად-ხანის ცეცხლმა და მახვილმა, სული, რომლის წიალში წარმოიშვა დიდი შოთა... დიდი სტალინი.

მეოცე საუკუნის მხეცკაცები — ჰიტლერელები, აღჭურვილნი ტანკებითა და ბომბდამშენებით, ჯოჯოხეთის მანქანებითა და მომწამლავი გაზებით, ლამობენ მსოფლიოს ხალხთა ეროვნული მეობის მოსპობას, ერთა დამონებას, დამცირებას, დაჩაგვრას, განადგურებას და მათი წმინდათაწმინდის წაბილწვას.

მაგრამ დაუძლეველია მსოფლიოს ხალხთა წმინდა, მაღალი და ჰუმანური პატრიოტიზმის ნიადაგზე აღმოცენებული თავისუფლებისმოყვარულობა და ნებისყოფა ვერაგი მტრის შემუსვრისა.

დღეს ჩვენ ათკეც უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, გვესაჭიროება ჩვენი ისტორიული კაცობის, ჩვენი ისტორიული ვინაობის შეგნება და გამძაფრება. ხალხისათვის თავისი ისტორია იგივეა, რაც ბუმბერაზი მუხისათვის ნიადაგში ღრმად ჩარგული ფესვები. წინაპართა აჩრდილი სიბასრეს მატებს მტერზე აღმაროულ მახვილს.

მდიდარია ქართველი ხალხის ისტორია. მაგრამ არც თუ ისე მდიდარი ვართ ისტორიული, განსაკუთრებით მხატვრული ისტორიული ლიტერატურით. თითქოს ერთობ მცირედი მოგვეპოება ისეთი ლიტერატურა, რომელიც ძირდამდგარად, მრავალნაკადოვნად და ფერმრავლად გამოსახავდეს ჩვენი ხალხის ეროვნულ-ისტორიულ ყოფას.

ამავე დროს ემოციური ფენომენის თვალსაზრისითაც გარდასულ დროთა და ადამიანთა ჩვენება მწერალს ერთგვარ ხელსაყრელობას უქმნის. ძველი ღვინის ერთი თვისება აქვს გარდასულ ამბებს, როგორც იტყოდა ხოლმე ამ შემთხვევაში კონსტანტინე გამსახურდია, სახელდობრ: ერთგვარად ისიც ათრობს მძაფრი სურნელით.

კონსტანტინე გამსახურდია იყენებს ამ ხელსაყრელობას. ყოველ შემთხვევაში, ამ თვალსაჩინო და ნიჭიერი მწერლის შემოქმედების ყველაზე ხორცსავსე ძარღვიანი ნაწარმოებნი, ჩვენის აზრით, ჯერჯერობით მაინც ისტორიული რომანებია. მან უეჭველად შექმნა დიდი მხატვრული ტილოები, რომლებზედაც გაბედულად შეგვიძლია მივუთითოთ და ვსთქვათ: — აი ჩვენცა გვაქვს ჩვენი სახელმწიფოებრივობის, ჩვენი კულტურისა და ჩვენი ეროვნული სულის მდიდარი ისტორია. და თუ აქამდის მხატვრული შესრულების თვალსაზრისით „დიდოსტატ კონსტანტინეს მარჯვენა“ შეიძლებოდა მიჩნეულიყო მწერლის მედროშე ნაწარმოებად, ახლა მას „დავით აღმაშენებელი“ გაეჯიბრა. თუ რომელს დარჩება აღმადარობა, ამას „დავით აღმაშენებელის“ შემდეგი წიგნები დაგვანახვებს საბოლოოდ. მცირედი პარალელი ახლაც შეიძლება გავატაროთ. ორთავე ქართველი ხალხის ეროვნულ-ისტორიული მეობის მხატვრული ასახვაა. მაგრამ არის მათ შორის არსებითი სხვაობაც. „დიდოსტატის“ ფაბულად კერძო ისტორიული, ნახევრად ლეგენდარული ფაქტია აღებული. ეს ფაბულა თითქმის ძლივს ჰყოფნის რომანის მოცულობასა და სივრცეს. იგი თითქოს უფრო ნოველისთვის არის მორგებული, უფრო შეკრულიც არის. „დავით აღმაშენებელის“ ფაბულას კი დიდი ისტორიული პიროვნების ცხოვრება და მოღვაწეობა წარმოადგენს. „დიდოსტატში“ მწერლის მხატვრულ განზრახვას შეადგენს ხელოვანისა და სახელმწიფოებრივი ძალაუფლების ურთიერთობის საკითხის გა-

დაწყვეტა. „დავით აღმაშენებელი“ კი ჩვენი ისტორიის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ხანის ასახვით ქართველი ხალხის ვინაობისა და კაცობის ჩვენებას ისახავს მიზნად. სხვადასხვაა ნაწარმოებთა სიუჟეტური და კომპოზიციური აღნაგობაც. „დავით აღმაშენებელი“ — სიუჟეტური ხაზი, ბუნებრივია, თვით დავითის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორიულ გზას მიჰყვება, შენაკადები ერთგან განტოტდებიან და კვლავ შეერთვიან რკალურად. და მართლაც რომანის კომპოზიცია ძველ ქართულ ორნამენტალურ ხვეულებს გვაგონებს. და ისე, როგორც ამ ხვეულების გაგნება და ერთ ძეწკვად შეკვრა ო

ლი არ არის, რომანის სიუჟეტური ნაწილებიც მკითხველის შემეცნებაში ოლად არ იკვრის ერთ მთლიან ამბავად. ამას ისიც უწყობს ხელს, რომ რომანი რამდენიმედ დატვირთულია აღწერებით. თუმცა ამ აღწერებსაც ამავე დროს დამოუკიდებელი მხატვრული ღირსება და მნიშვნელობა აქვთ.

მწერალს ფერთა ერთობ მძაფრი აღქმა ახასიათებს. რომანის ხასიათები და ცალკე თავების ყოველი არაკი დახატულია ბუნებისა და ნივთიერი გარემყარის ფერმრავალი სურათებით. თვალწარმტაც ლანდშაფტთა, ციხე-კოშკთა, იარაღ-საჭურველთა, განძეულობათა, ტანსაცმელთა, ნადირობათა და ნადიმთა სურათები თითქოს რომანის არქიტექტურის გარეგნული სამშვენებია.

რომანის მთელს მანძილზე გრძნობთ ადრინდელი საქართველოს მრავალფეროვანი ბუნების სურნელებად აღკმეულ სუნთქვას. თვალწინ გეხატებათ მდინარეთა ატეხილი ჭალები, მწვერვალები, კორტოხები და ზეგნები, ულრანი ტყეები, სასახლეთა ბაღები, სუროთი და ხვიარებით დაბურდული ციხე-კოშკები; ფუსფუსებს ცხოველთა და ფრინველთა სამეფო: ირმები, შველები, ეშვები და სხვა ტყიურნი, ხოხბები, კაკბები და გნოლები, წყალნი თევზრავალნი. ცხენები. ცხენები ხომ მწერლის სანუკვარი ცხოველებია. დავითის ქუჯაი და სკვითია თითქმის ისეთივე სიყვარულითა და გულმოდგინებით არის შესრულებული, როგორც ერთ-ერთი ადამიანური ხასიათი რომანისა.

... და მწერალს აქვს ერთი საგულისხმო შემოქმედებითი ხერხი. ხშირად ადამიანთა ხასიათის ზოგიერთ თვისებებს ბუნების სტიქიონთა გაგრძელებად წარმოგვიდგენს. ხეთა შორის უმტკიცესი ძელქვა უყვარს დავითს და ძელქვასავით მტკიცეა მისი სული. თითქოს თრიალეთის ზეგანთა სტიქიონის პორტრეტული გაგრძელებაა ბუხრისპირად, ავაზების ტყავებით მოფენილ საწოლზე გაშოთილი, მწვანე ქირმანული შალით წელგაკრული და სპილენძისფრად წვერშეღებილი ვაუკაცი — ლიპარიტ.

ასეთი ბუნებისა და ნივთიერი მასალის ფონზე იშლებიან საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი შესანიშნავი ხანის ცხოვრების სურათები, დგებიან ადამიანთა ღირსსახსოვარი ხასიათები, შუქდება ისტორიული განვითარების მთავარი ძალები და ტენდენციები.

ადრეული ფეოდალიზმი. ამ საზოგადოებრივი ფორმაციის მოქიშპე და მტრული სოციალური ძალის მომწიფებამდის, საზოგადოებრივი განვითარებისათვის აუცილებელი წინაალმდეგობრივი საწყისი თვით გაბატონებული კლასის ცხოვრებასა და მოქმედებაშიც იყო ჩასახული. ბრძოლა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური ცენტრალიზაციისათვის — ეს ის პროგრესიული ტენდენცია იყო, რომელიც ქვეყნის აღორძინებისა და ხალხის ერად ქცევის შესაძლებლობას იძლეოდა და ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის ერთწილ დვრიტად იდებოდა ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობის წიაღში. ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური დაქუცმაცების რეაქციულ ტენდენციას ასაზრდოებდა მსხვილ ფეოდალთა და მთავართა დიდი ნაწილი. ოდითგანვე ატეხილი ბრძოლა ამ ორ მიმართულებას შორის ფეოდალიზმის უკანასკნელ ამოსუნთქვამდის გრძელდებოდა. ბრძოლის საკითხი არსებითად ახალმა საზოგადოებრივმა ფორმაციამ გადასჭრა. ამ ბრძოლაში, რასაკვირველია, ეკლესიაც აქტიურად ერეოდა. მაგრამ თუ გარეშე მტრებთან ბრძოლის საქმეში ეკლესიამ თავის დროზე ერთგვარი დადებითი როლი შეასრულა, ქვეყნის შიგნით ის უეჭველად რეაქციულ ძალას წარმოადგენდა და ქვეყნის პოლიტიკურ დაქუცმაცებას უწყობდა ხელს. გარდა ამისა, რასაკვირველია, ფეოდალური ეპოქის ყოველი მეფე ცდილობდა მორჩილებაში ჰყოლოდა თავისი საბრძანებლის ხელქვეითნი და თვითონ ქვეყნის უზენაესი გამგე ყოფილიყო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მეფეთა უმრავლესობა ქვეყნის მთლიანობას ვერ ქმნიდა. იყვნენ იშვიათი რჩეულნი და გამონაკლისნი. მათ შორის ერთი უპირველესთაგანი დავით აღმაშენებელი იყო, თავის დროის დიდი სახელმწიფოებრივი გენია. მას კარგად ესმოდა საქართველოს აღორძინების ისტორიული გზა. დავით აღმაშენებელი — ქართული სახელმწიფოებრივობის ერთ-ერთი ფუძემდებელი და მამამთავარი—მტკიცედ ანხორციელებდა საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური მთლიანობის გამოჭედვის პროგრესიულ ამოცანას. მის შორსმჭვრეტელობასა და პროგრესიულობას მოწმობს თუნდაც ის, რომ მან შექმნა საქართველოს სახელ-

მწიფო მუდმივი ჯარი, განახორციელა ეკლესიის ისეთი რეფორმა, რომ ამიერიდან ეკლესიის მესვეურებად ხდებოდნენ არა დიდგვაროვანთა მემკვიდრეობითით წარმომადგენლები, არამედ პირადი ღირსებით, ნიჭით და ცოდნით აღჭურვილი პირები. ცნობილია, რომ დავითის ამ პროგრესიული ღონისძიების ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენდა საერო ცხოვრებაში, უფრო გვიან, თამარის დროს განხორციელებული რეფორმა — ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამის მიხედვით, რაც იმაში გამოიხატა, რომ ქვეყნის მართვა-გამგეობა მეფესთან ერთად დაეკისრა ერთგვარ სახელმწიფო საბჭოს — განათლებულ და პირადი ღირსებით გამორჩეულ პირთაგან შემდგარს.

ისტორიული ვითარების სწორი გაგებით ანსახიერებს კონსტანტინე გამსახურდია დავით აღმაშენებელს. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ თითქოს მწერალი ყველგან და ყველაფერში იცავდეს ისტორიის ფაქტიურ სიზუსტეს. ჩვენის აზრით, მწერალს ვერც მოვთხოვთ მხატვრული სახის ფოტოგრაფიულ დამთხვევას ისტორიული საბუთების მონაცემებთან, მით უმეტეს, როცა მოვლენა ამდენი საუკუნეებით არის დაშორებული ჩვენგან.

დინჯი, სიტყვაძვირი, ხშირად თავის შინაგან სამყაროში განმარტოებული, ძუნწი ღიმილზედაც კი, მაგრამ მუდამ ქმედითი და აზავთებული, როგორც ჩანჩქერშერთული მორევი — ასეთია დავითი ჯერ კიდევ ჭაბუკი და საქმეში უწრთობი. შავნაღვლიანობა ხშირად ეუფლება თითქოს, თვალებში მუდამ სევდა აქვს დავანებული, მაგრამ მთელი მისი ხასიათი მთლიანად დიდი პოლიტიკური ოპტიმიზმის, მომავლის რწმენის, სიცოცხლის დაფუძნების მეტყველია. ქართული სახელმწიფოებრივი ნებისყოფის სიმტკიცისა და სახელმწიფოებრივი სიბრძნის გაცხადებას ისახავს მიზნად მწერალი ამ სახეში. ამ მხრივ ჭყონდიდელი დაუთანაზიარა მას, ვაზირთა უპირველესი, დაუცხრომელი მოამაგე საქართველოს სახელმწიფოებრივი აღზევებისა. და ჭყონდიდელი, ჯერჯერობით, თითქოს უკეთაც დახატა, თითქოს ამ სახეში მწერალმა ჯერჯერობით, უფრო მკაფიოდ შესძლო თავისი მხატვრული განზრახვის ტანხორციელება. ჭაბუკი მეფისა და მისი მამის გიორგი მეფის მხატვრული გაკამათებით მწერალმა შესძლო მოეცა არა მარტო მათი ხასიათების, არამედ მათი მსოფლგაგების დაპირისპირებაც... და მართლაც, ისტორიულ მოვლენათა არსი იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ნადირობის მოტრფიალე გიორგი მეფეს ღორზე ნადირობა მოენატრა, ვეეინს ალყა მოხსნა და უკან მოიქცა, რათა აჯამეთის ტყეში ნადირობით გაერთო თავი. ეს ანეგდოტური ისტორიული ფაქტია, იქნებ უშუალოდ მართლაც მეფის ყინით გამოწვეული. მაგრამ ქვეყნის მმართველების ხასიათთა ყოველი კაპრიზიც კი საბოლოო ანგარიშით სრულდება ან ვერ სრულდება სოციალურ და პოლიტიკურ ძალთა ვითარების კარნახით. სამწუხაროდ, ზოგიერთი ისტორიკოსიც კი, ზოგჯერ, ქვეყნის ისტორიული განვითარების ვითარებას მეფეთა ხასიათის სათამაშო ბურთად წარმოგვიდგენს. რომანში გაბნეული ზოგიერთი ზოგადი მოსაზრებებით, თითქოს კ. გამსახურდიაც აზვიადებს სუბიექტური ფაქტორის როლს. მაგრამ, როგორც ყოველთვის, აქაც „დავით აღმაშენებელის“ მხატვრულ მასალაში მართალი მხატვარი სჭარბობს მოაზროვნეს. დავითის, გიორგი მეფის, ჭყონდიდელის და სხვათა ხასიათები და რომანის მხატვრული კვანძები სწორ ისტორიულ ჩარჩოს ქმნიან. დავითი დიდი სახელმწიფოებრივი ნიჭის ადამიანია, ერთობ განათლებული მეფე, არისტოტელეს კითხულობს ოფლდაღვრილად. თითქოს მას სხვაზე მეტად შესწევს ღონე, გავლენა მოახდინოს მოვლენათა ბუნებრივ მსვლელობაზე. და კიდევაც ახდენს თავის გავლენას. მაგრამ რომანის მთელი მასალიდან ნათლად გამოსჭვივის ის, რომ დავითი აკეთებს იმას, რასაც თავის დრო უკარნახებს დიდი შთამაგონებელი ძალით, რის შესაძლებლობა შთასახულია ეპოქის წიაღში.

თითქოს ეს დავითსაც კარგად ესმის. მისთვის გარდუვალია დროისა და სივრცის ფაქტორი. ამიტომაც არის, რომ ყოველ თავის ნაბიჯს, მოქმედების ტემპს, დასახული მიზნის განხორციელებას უფარდებს დროისა და გარემოს მოთხოვნილებებს. ამ მხრივ კარგი მხატვრული ოსტატობით არის შესრულებული დავითისა და მარიამ დედოფლის მხატვრული გაპაექრება. ბაგრატოვანთა და ორბელიანთა შორის ოდითგანვე ატეხილი შუღლი მარიამ დედოფალს თითქოს რაღაც საბედისწერო და შემთხვევით გაუგებრობად მიაჩნია. მის დაძლევას ეს მრავალნაცადი და გულმეცნიერი ქალიც კი სატრფიალო და საქორწინო ძაფების გაბმით ცდილობს. დავითს კი, ჯერ კიდევ ჭაბუკსა და ჯეროვნად უწრთობს, კარგად ესმის ამ შუღლის არსი. კარგად ესმის, რომ ამ შუღლისა და ქვეყნის დაქუცმაცების ტენდენციის აღმოსაფხვრელად საჭიროა რადიკალური სახელმწიფოებრივი ღონისძიებანი, სახელდობრ: ცენტრგამსრბოლი ძალების ალაგმვა. დავითიც მეფური ხელით იწყებს ამ ძალთა დაოკებასა და შებორკვას. მაგრამ მწერალი ამ პირველ წიგნში ჯერ კიდევ არ შესდგომია საფუძვლიანად დავითის სახელმწიფოებრივი ნიჭისა და მისი იდეალების სამყაროს მხატვრულ გახსნას,

ის ჯერ კიდევ უმთავრესად ახალგაზრდა დავითის ადამიანური ვნებების ფსიქოლოგიურ ნაკადებს დასტრიალებს (უფლისწულის უიღბლო ქორწინება, გამიჯნურება დედისიმედთან, ჭაბუკური აშიკობანი და სხ.).

საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკურ აღორძინებას ორი უმთავრესი მტერი ებრძოდა: შინაური ფეოდალები, რომლებიც ქვეყნის ცოცხალი ორგანიზმის დაშლასა და დაქუცმაცებას ელტოდნენ, და გარეშე დამპყრობლები. შინაური მტრის მოქმედება ხელს უწყობდა გარეშე მტრების წარმატებას. კონსტანტინე გამსახურდიამ ცოცხლად განასახიერა მსხვილ ფეოდალთა და ეკლესიის მესვეურთა სახეები. ლიპარიტი და მისი ძე რატი მოქიშპე და ორგულ ერისთავთა ღირსსახსოვარი სახეებია. მამა და შვილი ერთი მოვლენის სხვადასხვა სახეს აცნაურებენ. ორჭოფი, ორგული, მაგრამ მოხერხებული ნიღაბოსანი ლიპარიტი თავისი პირადი განდიდებისათვის არ ერიდება სამშობლოს ღალატს, სჯულის გამოცვლას. მას თავზარს სცემს ყოველი ნაბიჯი გადადგმული საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის აღდგენისა და განმტკიცებისაკენ. ის მიკიბულ-მოკიბულად, აწრიალებული სულით ილაშქრებს სამეფო როქის სპის შექმნის წინააღმდეგ. მწერალი ყოველგვარი რიტორიკის გარეშე ხატავს სოციალ-პოლიტიკურ ძალთა შეჯახების საყოველთაოდ ცნობილ გამოცდილებას, რომ მტერი ყოველთვის მოპირდაპირის მთლიანობას, ქვეყნის, სახელმწიფოს ერთიანობას უმიზნებს მახვილს. საქართველოს მთლიანობის ასეთი მტერია ლიპარიტი, ასეთია მისი ძე რატი. მაგრამ მწერალს აქვს ზომიერება, რაც ასე საჭიროა დამაჯერებელი მხატვრული სახის გამოსაკვეთად. ლიპარიტი ვაუკაციც არის, მის ხასიათში არის ერთგვარი ცხოველმყოფელობაცა და ჯავარიც.

მაგრამ რომანის ამ პირველ წიგნში არ ჩანს გარეშე მტრის მხატვრული სახე. გარეშე მტრის მხატვრული ჩვენების ნაცვლად მწერალი ერთობ დამძიმებულ და ძნელად თავმოსაყრელ ქრონიკებს ყვება. ცხადია, მწერლისათვის სავალდებულო არ არის ნაწარმოების ყოველი მოტივი მხატვრულ სახეში მოგვცეს. მაგრამ ნაწარმოების მხატვრული სტრუქტურის ისეთი მთავარი მოტივი, როგორც „დავით აღმაშენებელისათვის" არის გარეშე მტრის მოტივი, უეჭველად მხატვრულ სახეს მოითხოვს და, შეიძლება, არა ერთსაც. დღეს ამას სხვა დადებითი მნიშვნელობაც ექნებოდა, რადგან, როგორც ჩანს, სელჯუკიანთა ველური ურდოები — თანამედროვე ბარბაროსების — ფაშისტების წინაპრებად გამოდგებიან ალბათ.

რომანის სხვა საგულისხმო ხასიათთა შორის, მოხდენილად არის გამოკვეთილი მახარაის — ამ მახვილგონიერი ქოსა ბნედიანის და საჭურისის სახე. მაგრამ მოულოდნელი ამ სახეში არაფერია. ანალოგიური ტიპები ანუ, უკეთ ვთქვათ, მსგავსი მასალისაგან გაკეთებული სახეები მრავლად მოიპოვება თითქმის ყველა ქვეყნის ლიტერატურაში. მარტო დოსტოევსკის სმერდიაკოვი კმაროდა სანიშნოდ... და არა მარტო მსოფლიო ლიტერატურაში, არამედ თვით კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში მახარაის ჰყავს თავისი ერთგვარი ორეულები: თუნდაც ფარსმან სპარსი და ლუკაია ლაბახუა. საგულისხმოა მწერლის ერთი მხატვრული ხერხი: მან თითქოს ამ გონებამახვილ ქოსას დავით აღმაშენებელის შეხედულებათა და მიზანთა მქადაგებლობა დააკისრა. „ომის დაწყებამდის მეფეს შეუძლია ყოველი კაცის თათბირს ათხოვოს ყური, მაგრამ ხმალი როდის უნდა გააშიშვლოს, ეს ამბავი საკუთარ გულს უნდა ჰკითხოს მხოლოდ. უპირველესი საწინდარი ომში გამარჯვებისა, მოულოდნელი ზემოქმედებაა მაინც" — ეუბნება მახარაი დავითს. ცნობილია, რომ სწორედ მოულოდნელი ზემოქმედება იყო დავით აღმაშენებელის სამხედრო ტაქტიკის ქვაკუთხედი. ამ ტაქტიკის წყალობით მან არა ერთი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა.

კიდევ მეტი: როგორც ჩანს, მწერალს მახარაისათვის თავის საკუთარ შეხედულებათა საჭურველთმტვირთველობაც უნდა ჰქონდეს დაკისრებული. ასეთი ხერხი ბევრ დიდ მწერალთა ნაკადია მრავალგზის.

მცხუნვარე შუქისფერი საღებავებით ხატავს მწერალი ქალთა სახეებს. ქართველი ქალის გულმომტაცი სილამაზისა და გამომწვევი სიკეკლუცის ხოტბაა თქმული მარიამ დედოფლის სახით. ამავე სახეში გაცხადებულია ის, თუ რა აქტიურ როლს ასრულებდა ქართველი ქალი ქვეყნის მართვა-გამგეობისა და პოლიტიკური ცხოვრების მდინარეობაში. კონსტანტინე გამსახურდიას მარიამ დედოფალი უეჭველად იმ ქართველ ქალთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა მთელი პლეადა უნდა სცნობოდა საქართველოს ადრინდელ ისტორიას, რომ შოთას გენიალურ აფორიზმად შეეკრა მე-12 საუკუნეში: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია". მარიამ დედოფლის იგავმიუწვდომელი სილამაზე ქვეყნის მმართველთა ცილობის საგანი ყოფილა. მაგრამ არა მარტო სილამაზით, არამედ თავისი საკმაოდ მახვილი ჭკუითაც ერევა მარიამი პოლიტიკური ცხოვრების ორომტრიალში.

სხვა არის დედისიმედი.

ქვეყნის მმართველისა და წინამძღოლისათვის ესოდენ საჭირო ცივი გონების, მიუკარებელი სიმტკიცის, უშიშროებისა და გაბედულ განზრახულებათა შესაზავებლად [illegible] მწერალი თითქოს სათნოების, სიყვარულისა და სინაზის ადამიანურ ნაკადებს. [illegible] ყოველგვარი ტყიურის ეშინია, ეშინია შავი პეპლების. მაგრამ ეშმაკისა და გველის მწვრთნელი კაცის, რკინის ჩაფხუტიანი დეკაცის სულის ზიარობას ელტვის უსაზღვროდ. ამ სუსტ არსებაში ჩაღვრილმა სიყვარულმა დიდი კაცისამ, მას მამის გარდუვალი ნება-სურვილიც გაატეხინა, თითქოს გიჟი სკვითიაც მოათვინიერებინა; ამ გრძნობის გამოა დედისიმედი ასე მტკიცე გაშმაგებული რატის წინაშეც. თითქოს ადამიანური სითბოს წყაროდ შეყუჟულა ეს ბვრიტის მართვე დიდი სახელმწიფოებრივი ვნებების ფრთეთა ქვეშ. თუ დავით აღმაშენებელში მწერალი დიდი ქართველი სახელმწიფო კაცის ბუნების მთლიანობას გამოხატავს, დედისიმედი ქართველი ქალიშვილის სათნო ბუნების მთლიანობის სარკეა. მწერლისათვის დამახასიათებელი მასალითა და საღებავებით არის შესრულებული დედისიმედი. თითქმის ამავე საღებავებით აქვს დაწერილი მას შორენა „დიდოსტატში", თამარი „მთვარის მოტაცებაში" და გვანცა თვით „დავით აღმაშენებელში". რასაკვირველია სხვა პალიტრის მომარჯვებაც ეხერხება მწერალს. ამას მოწმობს ოსტატურად შესრულებული ტრაგიკული ფიგურა ღვთისმმოსავ რუსუდან დედოფლისა. ამასვე მოწმობს სათნო ქართველი დედის ელენე დედოფლის სახეც. მაგრამ ფართო და ცხოვრებისმიერი მრავალსახეობის მოცემას ქალთა ხასიათებში მაინც ვერ აღწევს მწერალი. იქნებ ამაში მწერლის რაიმე გარკვეული შეხედულება ასრულებდეს საბედისწერო ნასკვის როლს.

მწერალი იძლევა მრავალ საყურადღებო და საგულისხმო სახეს ერისთავთა, ეკლესიის მსვეურთა და სხვათა. მაგრამ რომანის ამ პირველ წიგნში ალბათ არცერთი სახე არ შეიძლება დასრულებულად მივიჩნიოთ. ამიტომ მათ შესახებ არც საბოლოო სიტყვა ითქმის. მაგრამ ერთი რამ მაინც შეიძლება შევნიშნოთ, სახელდობრ, ის, რომ რომანი მხატვრულადაც და სოციალურის არეს სიფართოვითაც ბევრს მოიგებდა, რომ მის სიუჟეტში ქვეყნის მმართველთა და დიდგვაროვანთა გვერდით ერთი მთავარი გმირი, ერთი ძირითადი სახე მაინც შესულიყო ფუძე ხალხის წრიდან. სხვას რომ თავი დავანებოთ, მხატვრული ღირებულების მნიშვნელობაც აქვს იმას, თუ საით ან ვისკენ გაურბის მწერალს თვალი. იმ შემთხვევაშიაც კი, თუ ჩვენს ნიჭიერ მწერალს რაიმე ხელმოსაკიდი ისტორიული ფაქტიც არ მოეპოებოდა, მის საკმაოდ მდიდარ მხატვრულ ფანტაზიას ძალუძდა კონკრეტულ სახეში მოეცა ფუძე ხალხის ყოფა-ცხოვრება და ფსიქო-იდეოლოგიური სამყარო. მართალია მწერალმა გააკრთო ლანდი მდაბიორ ხორგაისი, მაგრამ ის მხოლოდ ლანდია. იქნებ შემდეგში წამოიზარდოს, ხორცი შეისხას. ჯერ კი ვხედავთ მხოლოდ იმას, რაც არის. ამავე დროს, ეჭვი არ არის, რომ ერის აღორძინების თესლი და ხალხის უკვდავი სული სწორედ ფუძე ხალხის წიაღში ღვიოდა ჩაუქრობლად. მხოლოდ ფუძე ხალხმა შეინახა დაუცარავად ერის ლრეშა, მხოლოდ ის ზრდიდა სამშობლოს ჭეშმარიტი სიყვარულის უჭკნობ ნერგს.

საგულისხმოა მწერლის მხატვრული მეტყველება. კონსტანტინე გამსახურდიას უეჭველად თავისებურება შეაქვს ქართული პროზის ენაში. უნდა ითქვას, რომ კ. გამსახურდიაც არ არის ამ მხრივ უწინაპრო. უახლოესი წარსულის ქართულ პროზაშიაც მოიპოვება მხატვრული მეტყველების ის სათავეები, რასაც დღეს კონსტანტინე გამსახურდია აღრმავებს და ანვითარებს. მაგრამ დამსახურება უცილოა, ჩვენის აზრით. კონსტანტინე გამსახურდია უეჭველად ამდიდრებს ქართულ სიტყვათა ლექსიკონს. ამისათვის სამი წყარო აურჩევია: შერჩეული ძველი სიტყვების გამოცოცხლება, ზოგიერთი კუთხური თუ ხალხში გაბნეული სიტყვების შემოტანა ლიტერატურულ ენაში და ახალი სიტყვების, უმთავრესად, კომპოზიტების შექმნა. ყოველივე ეს გამართლებული ცდა იქნება იმდენად, რამდენადაც ხალხის ცოცხალი ენის გამდიდრება და გაღრმავება მოხდება და რამდენადაც ეს ცდა სიტყვის უსულო პოეზიის მოტრფიალეობად არ იქცევა. თორემ ზოგჯერ მოხდება ხოლმე ისე, რომ ვინმე სიტყვის ხმაურს გამოეკიდება, აზრსა და სახეს კი დაივიწყებს. მწერლისათვის კი მთავარი მაინც აზრი და მხატვრული სახეა.

რომანი „დავით აღმაშენებელი" ქართული ლიტერატურის ფრიად ღირსშესანიშნავი მოვლენაა. მაგრამ ის უეჭველად გაკაფული გზით მოდის. ლიტერატურაში საერთოდ, თუ ყველაზე მეტად არა, საკმაოდ მაინც არის დამუშავებული ისტორიული თემები, ისტორიული ხასიათები და გარემოებანი. მიუხედავად იმისა, რომ მწერალს შეიძლება ძალიან დიდი შრომა დასჭირდეს ისტორიული მასალების დამუშავებაზე, გზა მაინც გაკაფულია. კაცობრიობის მხატვრული შემეცნების ლაბორატორიას დიდი გამოცდილება აქვს დაგროვილი ამ მხრივ. მხატვრული შემეცნების სიახლის თვალსაზრისით, ლიტერატურის წინსვლა და განვითარება უეჭველად ახალ ადამიანთა და ახალ ხასიათთა ჩვენებით ხდება.

ლ. კალანდაძე.

ს. ხუნდაძე — „ნარკვევები"

ფედერაცია. 1941.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცხრამეტე საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის პრობლემათა მარქსისტულ-ლენინურ გაშუქებას მრავალი სერიოზული ხასიათის სიძნელე ახლავს:

ა) ფაქტიური მასალის უდიდესი ნაწილი ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელია და სხვადასხვა არქივებში ინახება, მათი საკმაო ნაწილი აღწერილი და ანოტირებული არ არის დღემდისაც კი.

ბ) არ არის გამოცემული მთელ რიგ გამოჩენილ ქართველ საზოგადოებრივ მოღვაწეთა როგორც მხატვრული, ისე პუბლიცისტური ნაწერები.

გ) არ მოიპოვება მეცხრამეტე საუკუნის ქართულ-რუსული პერიოდიკის სრული ბიბლიოგრაფია და სხვა მეცნიერული ბიბლიოგრაფიულ-საცნობარო გამოცემანი.

დ) არ მოგვეპოვება საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის ცალკე ძირითად პრობლემათა შესახებ ვრცელი მონოგრაფიები, ცალკე გამოკვლევანი და სხვა.

განსვენებულმა სიმონ ხუნდაძემ თავისი მეცნიერული კვლევის ძირითად საგნად სწორედ მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორია აირჩია. იგი ცდილობდა საქართველოს მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურის და საზოგადოებრივ აზროვნების ისტორიის პრობლემები მარქსისტულ-ლენინური პრინციპების საფუძველზე დაემუშავებინა. მიუხედავად ხანმოკლე, მაგრამ ინტენსიური კვლევითი მუშაობისა, მან ამ მხრივ ბევრის გაკეთება მოასწრო. მან გამოაქვეყნა მთელი რიგი საფუძვლიანი ვრცელი გამოკვლევები ამ დარგში, დასტოვა მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა. მაგრამ სამწუხაროდ მრავალ მნიშვნელოვან პრობლემათა დამუშავება დარჩა მას განუხორციელებელი, უდროოდ გარდაცვალების გამო.

როგორც სამართლიანად შენიშნავს სარეცენზიო შრომის „ნარკვევების" წინასიტყვაობაში ამხანაგი ბესარიონ ჟღენტი: „მთელი ეს მრავალმხრივი და უხვი მისი კვლევითი ლიტერატურული მუშაობა დაზღვეული არ ყოფილა ცალკეულ ნაკლოვანებისაგან" (გვ. 3).

1941 წელს გამოცემული სიმონ ხუნდაძის სარეცენზიო წიგნი წარმოადგენს მის ცალკე გამოკვლევათა კრებულს. „ნარკვევებში" მოთავსებულია გამოკვლევები: 1. გრიგოლ ორბელიანის, 2. დიმიტრი ყიფიანის, 3. სოლ. რაზმაძის, 4. ივანე მაჩაბელის, 5. აკაკი წერეთლის, 6. გიორგი წერეთლის, 7. ნიკო ნიკოლაძის, 8. მაქსიმ გორკის, 9. გალაკტიონ ტაბიძის, 10. შანშიაშვილის შესახებ და 11. ერთი სპეციალური გამოკვლევა ეხება — არსენას ტიპს ქართულ მწერლობაში. ამ გამოკვლევათა უმეტესობაში ავტორი, არა მარტო აქ დასახელებულ ავტორთა მხატვრულ შემოქმედებას განიხილავს, არამედ უფრო გადმოსცემს მათ სოციალ-პოლიტიკურ, ეკონომიურ შეხედულებათა თვალსაზრისს და იძლევა ამ თვალსაზრისთა მარქსისტულ-ლენინურ შეფასება-დახასიათებას.

გამოკვლევაში „პოეტი-სარდალი", ს. ხუნდაძე იძლევა გრ. ორბელიანის მოკლე დახასიათებას, არა მარტო როგორც პოეტისას, არამედ ახასიათებს მას, როგორც სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეს, გადმოსცემს მის პოლიტიკურ-ეკონომიურ კონცეპციას და იძლევა მის მარქსისტულ შეფასებას, — მართალია გამოკვლევა გრ. ორბელიანის შესახებ, როგორც გამოკვლევის სათაურიდან სჩანს უნდა იძლეოდეს გრ. ორბელიანის, როგორც სარდლის დახასიათებას, მაგრამ ამ საკითხების დამუშავება მკვლევარმა ვერ მოასწრო.

შემდეგი ნარკვევი ეხება დიმიტრი ყიფიანს. განსვენებულ ავტორს ცალკე მონოგრაფია აქვს მიძღვნილი დიმიტრი ყიფიანისადმი, რომელშიაც განხილულია დიმიტრი ყიფიანის მოღვაწეობა მთლიანად და ყოველ მხრივ. ნარკვევთა ამ კრებულში კი დიმიტრი ყიფიანის ლიტერატურული მოღვაწეობაა უმთავრესად განხილული. ნარკვევში ნაჩვენებია თუ როგორი როლი ითამაშა ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეში დ. ყიფიანმა; ამასთანავე ავტორი განიხილავს მის „ახალ ქართულ გრამატიკას", გადმოგვცემს მის ზოგიერთ ლინგვისტურ იდეებსა და მის პოლიტიკურ კონცეპციის ძირითად დებულებებს.

კრებულში მოთავსებულია არა ვრცელი, მაგრამ შესანიშნავი გამოკვლევა 1830—32 წლის ერთერთი შეთქმულთაგანის, რომელიც სამუდამო გადასახლებაში გარდაიცვალა 1862 წელს, სოლომონ რაზმაძის შესახებ.

ივანე მაჩაბლის შესახებ მოკლე ნარკვევი წარმოადგენს ამ შესანიშნავი საზოგადო მოღვაწის, შექსპირის უბადლო ქართველი მთარგმნელის, ლიტერატურული პუბლიცისტური მემკვიდრეობის მეტად მოკლე დახასიათებას. ავტორს ივანე მაჩაბელი პროგრესიულად მოაზ-

როვნე თავად-აზნაურობის იმ ფენის იდეოლოგად მიაჩნდა, რომელიც ცდილობდა შემდგარიყო კაპიტალისტური განვითარების გზაზე. ავტორი წერს: „იგი, ამრიგად, გაბურჟუების გზაზე დამდგარ თავად-აზნაურობის იდეოლოგია და მისი სამოღვაწეო პროგრამა კაპიტალიზმის განვითარების პრუსიული გზის ამსახველია“ (79). მაგრამ ეს დებულება დეტალურად [illegible] ტიული ხასიათისაა და ის არ არის დასაბუთებული თვით ი. მაჩაბელის ლიტერატურულ-პუბლიცისტურ ნაწერთა მეცნიერული ანალიზით. გამოკვლევაში მოკლეთ განხილულია ივ. მაჩაბლის „სოციოლოგიური“ და ესთეტიური შეხედულებანი. სრულიად გაკვრით გაკეთებულია რამდენიმე შენიშვნა მაჩაბლის საბანკო პოლიტიკის შესახებ, სამწუხაროდ ეს მაშინ, როგორც თვით ავტორს აქვს აღნიშნული, როდესაც ნიჭიერი მწერლის თითქმის მთელი ენერგია შეიწირა ილ. ჭავჭავაძესთან ბრძოლამ, რომელშიც მთავარ ადგილს საბანკო საკითხები იკავებდა. ვერ დავეთანხმებით ავტორს, რომ „კამათს მათ შორის პრინციპიალურ-იდეოლოგიური ხასიათი არ ჰქონია“ (82).

მოკლე გამოკვლევას ი. მაჩაბლის შესახებ მოსდევს ვრცელი და შესანიშნავი გამოკვლევა აკაკი წერეთლის შესახებ. ამ ვრცელ გამოკვლევაში დახასიათებულია აკაკი წერეთლის ლიტერატურული შემოქმედება და გადმოცემულია მისი აზროვნების დამახასიათებელი ძირითადი მომენტები.

ვრცელ გამოკვლევაში, გიორგი წერეთლის შესახებ, ავტორი მიზნად ისახავს, გაგვაცნოს გ. წერეთელი, როგორც ბელეტრისტი და გადმოგვცეს მისი სოციალ-პოლიტიკური აზროვნების დამახასიათებელი ძირითადი მომენტები. ამ გამოკვლევაში ავტორი ცდილობს გზა გაუკაფოს გ. წერეთლის ბელეტრისტიკაზე სწორ მეცნიერულ შეხედულებას, უკუაგდოს სხვადასხვა პოლიტიკური მიმდინარეობის წარმომადგენელ-კრიტიკოსთაგან დადგენილი თვალსაზრისები, თვით დაადგინოს გ. წერეთლის სოციალ-პოლიტიკური აზროვნების დამახასიათებელი მომენტები და მისცეს მეცნიერულ-მარქსისტული კვალიფიკაცია. ავტორი თავის გამოკვლევაში არსებითად აღწევს მიზანს.

განიხილავს რა გ. წერეთლის სოციალ-პოლიტიკურ და ეკონომიურ შეხედულებებს, მიუთითებს, რომ გ. წერეთლის სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიური შეხედულებანი ბურჟუაზიული შინაარსისაა, მაგრამ რადიკალურ-დემოკრატიულობითაც ხასიათდება. ავტორის აზრით „გ. წერეთლის დემოკრატიული მისწრაფება, უწინარეს ყოვლისა, ბატონყმურ წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიხატა“ (188). მაგრამ, თუ როგორ უნდა მომხდარიყო ლიკვიდაცია გ. წერეთლის აზრით ბატონყმური წყობილებისა, არ არის ნაჩვენები ავტორის მიერ.

არ არის ნაჩვენები თუ როგორ ჰქონდა წარმოდგენილი გ. წერეთელს დემოკრატიული წყობილება, არც ის თუ, როგორი საშუალებით ცდილობდა გ. წერეთელი მის დამყარებას.

ავტორი შემდეგ გადადის გ. წერეთლის ეკონომიური შეხედულებების დახასიათებაზე და ასკვნის: „მისი ეკონომიური პროგრამა ეროვნული კაპიტალის განვითარებაში გამოიხატებოდა“ (192).

სრულიად მოკლედაა განხილული გ. წერეთლის საბანკო პოლიტიკა, მაშინ, როდესაც ამ საკითხის საფუძვლიანი შესწავლა ავტორს საშუალებას მისცემდა ნათლად გარკვეულიყო გ. წერეთლის ეკონომიურ შეხედულებებსა და მის ეკონომიურ პროგრამაში. ასევე მოკლეთ განხილულია გ. წერეთლის ეროვნული პოლიტიკა.

გამოკვლევის მეექვსე თავი არკვევს გ. წერეთლის დამოკიდებულებას მესამე დასისადმი. შესანიშნავ ნარკვევში „სამნი ძმანი — სამნივ თერგდალეულთაგანი“ ავტორი წარმოადგენს გ. წერეთელს, როგორც პრესის გამოჩენილ მუშაკს. ამ არა ვრცელ გამოკვლევაში მეტად საინტერესო ფაქტიური ხასიათის მასალაა თავმოყრილი იმის შესახებ, თუ, როგორ მძიმე ცენზურულ და მძიმე მატერიალურ პირობებში უხდებოდა მუშაობა ჩვენი პრესის მაშინდელ მოღვაწეთ და კერძოდ გ. წერეთელს, რომელიც მაშინ რამოდენიმე პერიოდულ გამოცემას ხელმძღვანელობდა.

ვრცელ გამოკვლევაში ნიკო ნიკოლაძის შესახებ გადმოცემულია იმ ეპოქის ხასიათი, რომელშიაც ნ. ნიკოლაძეს უხდებოდა მოღვაწეობა, დამახასიათებელი მომენტები მისი მოღვაწეობიდან და ცხოვრებიდან.

გამოკვლევის მესამე თავში გადმოცემულია ნ. ნიკოლაძის სოციალური მსოფლმხედველობა, მეოთხეში — 70-იან წლების სამოღვაწეო პროგრამა, მეხუთეში — ნიკოლაძე, როგორც ბურჟუაზიის იდეოლოგი.

გამოკვლევის მეხუთე თავში — ნ. ნიკოლაძე როგორც ბურჟუაზიის იდეოლოგი — ავტორი განიხილავს ნ. ნიკოლაძის ეკონომიურ პროგრამას და მის პოლიტიკურ შეხედულებებს.

როგორც ავტორი ასკვნის ნიკოლაძე ქართველი სამრეწველო ბურჟუაზიის იდეოლოგი იყო. რაც შეეხება მის პოლიტიკურ მსოფლმხედველობას, ის ასეთია: ნიკოლაძე ცდილობდა მშვიდობიანი საშუალებით აეძულებინა მეფის ხელისუფლება შემოეღო [illegible] ევროპეიზი პარლამენტარული სისტემა, კონსტიტუციონარული მონარქია, გაენაწილებინა [illegible] ბურჟუაზიისათვის ძალაუფლება; ის თვითმპყრობელობის შერყევასა და მის დამხობას კი არ ცდილობდა, არამედ მის შეგუებას კაპიტალისტურ ურთიერთობის განვითარებასთან (328). გამოკვლევაში დახასიათებულია აგრეთვე ნ. ნიკოლაძის ეროვნული პოლიტიკა.

გამოკვლევა: „მაქსიმ გორკი საქართველოში" ეხება დიდი პროლეტარული მწერლის მაქსიმ გორკის ახალგაზრდობის ცხოვრებისა და შემოქმედების წლებს საქართველოში. „ნარკვევებში" მოთავსებულია აგრეთვე გამოკვლევები გ. ტაბიძის და ს. შანშიაშვილის მხატვრულ შემოქმედებაზე და ნარკვევი „არსენას ტიპი ქართულ მწერლობაში".

ასეთია მეტად მოკლეთ ს. ხუნდაძის „ნარკვევების" შინაარსი. წიგნი კარგად არის გამოცემული, მაგრამ კორექტურული შეცდომები არც თუ ისე იშვიათია. ზოგიერთი კორექტურული შეცდომა სავსებით ამახინჯებს აზრს.

სარეცენზიო წიგნის გამოცემით „ფედერაციამ" გააკეთა სასარგებლო საქმე, როგორც ჩვენი მეცნიერებისა და ლიტერატურის მუშაკთათვის, ისე მოსწავლე ახალგაზრდობისათვის.

წიგნი უსათუოდ მნიშვნელოვნად ავსებს იმ დიდ ხარვეზს, რომელიც გვაქვს მეცხრამეტე საუკუნის ქართული აზროვნების ისტორიის მეცნიერული ლიტერატურის დარგში.

გ. მეგრელიშვილი.

20

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

მხატვრული ლიტერატურა

გვ.

ალექსანდრე ქუთათელი — პირისპირ (რომანი) 3
გიორგი ქუჩიშვილი — უკრაინისთვის (ლექსი) 27
დავით კასრაძე — გორის დღეები (მოთხრობა) 31
მარიამ გარიყული — დედისერთა (მოთხრობა) 49
ალეკო შენგელია — ლექსები 56
აკაკი გეწაძე — კალამს (ლექსი) 59
იონა ვაკელი — დიდი მოურავი (პიესა) 60
ივანე ნოვიკოვი — პუშკინი და რაევსკის ოჯახი (ნაწყვეტი რომანიდან) 92
რამაიანი (ინდიური ეპოსი) 119
გი დე მოპასანი — ტყვეები (მოთხრობა) 122

ეჭვსი წელი გორკის გარდაცვალებიდან

ერ. ასტვაცატუროვი — დიდი მებრძოლი პატრიოტი 130

სამამულო ომის ერთი წლის პოლიტიკური და სამხედრო შედეგები

უცხოეთის ქრონიკა

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ლ. კალანდაძე — კ. გამსახურდია — „დავით ალმაშენებელი“ . . . 152
გ. მეგრელიშვილი — ს. ხუნდაძე — „ნარკვევები“ 157

Тбилисский Филиал
Библиотека
ИМЭЛ при ЦК ВКП (б)